

821.112.2  
8-58

იოჰან ვოლფგანგ  
გოეთე  
ფაუსტი II



F A U S T II  
J O H A N N  
W O L F G A N G  
V O N G O E T H E

821.112.2

გ-58

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

# ფაუსტი

მეორე ნაწილი

გერმანულიდან თარგმნა  
დავით წერედიანმა

95065  
საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
ცენტრი



საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
ცენტრი

სერია „მსოფლიო კლასიკა“

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ფაუსტი

მეორე ნაწილი

მთარგმნელი დავით წერედიანი  
რედაქტორი ნინო გოგალაძე  
ყდის დიზაინერი თამაზ ვარვარიძე  
ტექნიკური დიზაინერი თინათინ ბერბერაშვილი

ქართული გამოცემა © „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2017  
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“  
დავით აღმაშენებლის 150, 0112, თბილისი  
ელფოსტა: info@sulakauri.ge  
www.sulakauri.ge

ISBN 978-9941-23-863-5

Johann Wolfgang von Goethe

FAUST

Part II

Translated by Davit Tserediani

Georgian edition published by Sulakauri Publishing, 2017

All Rights Reserved

SULAKAURI PUBLISHING

Tbilisi, Georgia

150, Agmashenebeli Ave.

The Translation of this work was supported by a grant from the Goethe-Institut  
which is funded by the German Ministry of Foreign Affairs



წიგნი გამოიცა გოეთეს ინსტიტუტის ხელშეწყობით, რომელიც ფინანსდება  
გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ

## შინააწესი

წინათქმა მეორე ნაწილისათვის . . . . . 7

### პირველი მოქმედება

|   |    |
|---|----|
| ლამაზი მიდამო . . . . .                         | 15 |
| სამეფო სასახლე, სატახტო დარბაზი . . . . .       | 19 |
| ვრცელი დარბაზი გვერდითი გასასვლელებით . . . . . | 32 |
| სასახლის ბაღნარი . . . . .                      | 68 |
| ბნელი ტალანი . . . . .                          | 78 |
| გადაჩახჩახებული დარბაზი . . . . .               | 85 |
| სარაინდო დარბაზი . . . . .                      | 90 |

### მეორე მოქმედება

|  |     |
|--|-----|
| მაღალთალიანი გოტიკური ოთახი . . . . .  | 105 |
| ლაბორატორია . . . . .                  | 116 |
| კლასიკური ვალპურგობის ღამე . . . . .   | 126 |
| პენეოსის ზედანელზე . . . . .           | 130 |
| პენეოსის ქვედანელზე . . . . .          | 139 |
| ისევ პენეოსის ზედანელზე . . . . .      | 150 |
| კლდოვანი ყურე ეგვესის ზღვაზე . . . . . | 172 |

### მესამე მოქმედება

|  |     |
|--|-----|
| სპარტა, მენელაოსის სასახლის შესასვლელი . . . . . | 195 |
| ციხე-დარბაზის შიდა ეზო . . . . .                 | 225 |

## მეოთხე მოქმედება

|                           |     |
|---------------------------|-----|
| მთისწინეთი.....           | 263 |
| მთისძირი.....             | 276 |
| ცრუ კაიზერის კარავი ..... | 293 |

## მეხუთე მოქმედება

|                         |     |
|-------------------------|-----|
| გაშლილი ადგილი .....    | 307 |
| ბალი .....              | 310 |
| სასახლე .....           | 312 |
| გვიანი ღამე.....        | 318 |
| შუალამე.....            | 322 |
| სასახლის წინა ეზო ..... | 329 |
| სამარეში ჩასვენება..... | 334 |
| მთის ხეობები .....      | 343 |
| შენიშვნები.....         | 354 |

## წინათქმა მეორე ნაწილისათვის

„ფაუსტის“ მეორე ნაწილი აზრთა მკვეთრ სხვადასხვაობას იწვევს. ერთნი მიიჩნევენ, რომ ის პირველ ნაწილზე გაცილებით დაბლა დგას და, არსებითად, შემოქმედებითი მარცხია. სხვანი კი დარწმუნებულნი არიან, რომ „ფაუსტის“ მეორე ნაწილის ბადალი გოეთეს არაფერი დაუნერია. ამ ორ თვალსაზრისს შორის საერთო საშუალოს გამონახვა დღემდე ვერ ხერხდება.

ერთნი დრამატურგიის მკაცრი კანონების მიხედვით სჯიან, ხოლო მეორენი ამგვარ კანონებს სავსებით უგულბებლყოფენ, მიაჩნიათ, რომ „ფაუსტი“ იმ რანგის ნაწარმოებია, რომელიც თვითონვე ქმნის თავის საკუთარ კანონებს.

აქ დრამატული ხელოვნება და პოეტური ხელოვნება აშკარად უპირისპირდება ერთმანეთს. მათი ურთიერთდამოკიდებულება დროდადრო პირველ ნაწილშიაც პრობლემური იყო, მაგრამ მეორეში ლამის ანტაგონიზმამდე მისული. ოთხი მოქმედების მანძილზე ცენტრალური სიუჟეტი ადგილიდან არ იძვრის, ძირითადი სივრცე დივერტიმენტებსა და ინტერმედიებს ეთმობა.

და მაინც, ამ ორი ურთიერთდამპირისპირებული თვალსაზრისიდან სიმართლესთან რომელი დგას უფრო ახლოს?

საქმე ის გახლავთ, რომ ერთი თვალსაწიერიდან ნაწარმოების მხოლოდ ცალ მხარეს ვხედავთ, მეორე არ ჩანს ანდა ბუნდოვნად ჩანს, თითქოს ლიბრი ეფაროს. ის, რასაც ერთნი შიშველ ალევორიებად და მშრალ მითოლოგიურ ერუდიციად მიიჩნევენ, მეორეთათვის პოეტის დაუშრეტელი ფანტაზიის ნაყოფია. იმას, რაც პირველთ მოქმედების შემაფერხებელ ჩუქურთმებად და სამშვენივებად ეჩვენებათ, მეორენი მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტ დღესასწაულად აცხადებენ. შუალედი კი, როგორც უკვე ითქვა, არ არსებობს.

ასეთია ეს უცნაური წიგნი – „ფაუსტის“ მეორე ნაწილი.

მისი კითხვისას დასაწყისიდანვე არ გვტოვებს შეგრძნება, რომ სადღაც სხვაგან, სრულიად განსხვავებულ ნაწარმოებში მოვხვდით, არა იმაში, რომელიც პირველ ნაწილად მოგვეწოდა.

მოქმედება ელფების მაღალპოეტური სცენით იწყება. ფაუსტი, წინა

ნაწილში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, მინაზე უგონოდ აგდია და საშველად მოხმობილი კეთილი ელფები თავს დასტრიალებენ. აქ ყველაფერი მშვენიერია, არიელისა და ელფების სიმღერებიც, ფაუსტის ვრცელი მონოლოგიც, დანტესეული ტერცინებით განწყობილი... მაგრამ ეს მოსიყვარულე ელფები, ჩვენდა გასაკვირად, თურმე იმისთვის იღვნიან, რომ მათი დახმარებით ფაუსტმა დაიგინყოს მომხდარი უბედურება, რომლის მიზეზიც თვითონვე იყო, განთავისუფლდეს ყოველგვარი ქენჯნისა და ნუხილისაგან.

არადა, ჩვენი მოლოდინის მიხედვით, ასეთი მაძიებელი გმირი, რომელიც გამუდმებით ისწრაფის ადამიანური სრულყოფილებისაკენ, კი არ უნდა იგინყებდეს, თვალს უნდა უსწორებდეს მომხდარს, რათა შინაგანად განინმინდოს, ახალ სულიერ საფეხურზე ავიდეს და ისე განაგრძოს საკუთარი თავისა და ჭეშმარიტი დანიშნულების ძიება.

მაგრამ გოეთე ასეთ გაგრძელებაზე სრულიად შეგნებულად ამბობს უარს, მას ახალ პოეტურ სამყაროში შესასვლელად თავისუფალი, ტვირთახსნილი, მსუბუქად მავალი ფაუსტი სჭირდება. გზა, რომელიც მან უნდა გაიაროს, აჩრდილებისა და ლანდების თამაშია, რომელიც ქენჯნისა და სულიერი ტანჯვისათვის არანაირ ადგილს აღარ ტოვებს.

თავიდან ეს აჩრდილები და ლანდები ნაწარმოების რეალურ სივრცეში ბუნებრივად შემოიჭრებიან, ისინი საკარნავალო ნიღბებია – ხელმწიფის კარზე, სადაც ფაუსტი მოხვდა, დიდი კარნავალი იმართება. მაგრამ კარნავალი მთავრდება, ხოლო ეს მწყობრი ქაოსი ისევ და ისევ განაგრძობს მოძრაობას, იგი ხან კლასიკური ვალპურგობის ლამეა, ხანაც მაგიის ძალით გაცოცხლებულ ელენესთან შეუღლება. მთავარი გმირები, ფაუსტიცა და მეფისტოფელიც, სრულად ერწყმიან ამ ფიგურებს და დროდადრო მათ ჩრდილში კიდევაც იკარგებიან.

ელენესთან შეუღლების მოტივს, რომელიც „ფაუსტის“ ხალხური ვერსიიდან მომდინარეობს, დიდი ხნით გაცყავართ ნაწარმოების მთავარი მდინარეებიდან, მაგრამ გოეთე მასზე უარის თქმას არ აპირებს. მონაკვეთი წინდან, კარგა ხნით ადრე, აქვს დანერვილი, სადაც თავისი სიყვარული ანტიკურობისადმი ცოცხალ სახეებად ჩამოქნა და, რასაკვირველია, არ ეთმობა. მასში ძველბერძნული ტრაგედიის ხმებსა და ტონალობას ახალი დროის სალექსო ფორმები ენაცვლება.

ელენეს მოტივი თითქმის დამოუკიდებელი დრამაა, როგორც აღნაგობით, ასევე მოცულობით. საერთოდ, ამ ჩანართებს მთელი წიგნის თითქმის ნახევარი უკავია.

ოთხი ვრცელი მოქმედების მანძილზე ჩვენ თვალწინ უცნაური სახეები და ფიგურები ბრუნავენ, ისინი ხან ალეგორიები არიან, ხან კიდევ ცოცხალი

მეტაფორები, მაგრამ მათი ამოხსნა-ამოუხსნელობა ნანარმოების გაგებაში არსებითად არაფერს ცვლის. ისინი ფანტასმაგორიებია, მითოლოგიური ზმანებებია, საბოლოო ჯამში კი მთელისაგან დამოუკიდებელი პოეტური სამყაროა, ზოგჯერ ნიშანდობლივად, სპეციფიკურად დასავლეთევროპული პოეტური სამყარო, ანტიკითა და შუა საუკუნეებით გაჯერებული.

საკუთრივ ფაუსტურ პრობლემატიკას მხოლოდ მეხუთე მოქმედებაში ვუბრუნდებით. ფაუსტი ღრმად მოხუცებული გვხვდება, თუმცა წინა მოქმედებაში ჯერ ისეც ახალგაზრდა დავტოვეთ. ვიგებთ, რომ მინის გამოუყენებელ ზოლზე, რომელიც ზღვის მიქცევასა და მოქცევას შორის დევს, ჯებირები აუგია, არხები გაუყვანია, ჭაობებს აშრობს და მასზე ნალკოტების გაშენებას გეგმავს.

საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ ფაუსტმა შრომასა და კაცთა უანგარო სამსახურში პოვა ცხოვრების აზრი და ნამდვილი ბედნიერება.

მაგრამ ასეთი მარტივი, ცალხაზოვანი დასასრული სრულიად ეწინააღმდეგება ამ რთული ნანარმოების ჩანაფიქრსა და პათოსს. რადგან, თუ დავუშვებთ, რომ ფაუსტმა მიაგნო, რასაც ეძებდა და დაკმაყოფილდა მინაგნებით, მაშინ იმის აღიარებაც მოგვიწევს, რომ მან თავი დამარცხებულად ცნო და ეშმაკს საკუთარი ნებით ჩაბარდა.

გავიხსენოთ ფაუსტის სიტყვები, მეფისტოფელთან დადებული ხელშეკრულების ფორმალურ პირობად რომ იქცა – „თუ წამს მიმავალს როდისმე ვეტყვი: // შეყოვნდი, წამო, ხარ მშვენიერი! // დამდე ბორკილი, დამეც შენს ფერხთით, // ჩამასვე ჭანგი ქვესკნელიერი“. მათში წინასწარ ჩადებულია ფაუსტის შეუვალელი რწმენა: რასაც ის დაეძებს, აქ, მინიერ ცხოვრებაში, არ იპოვება.

„რანამს მიხილავ დატბორებულს, არსაით მავალს, // შენი თუ ვისიც, არ ვკითხულობ, მარადი ყმა ვარ“, ეუბნება ფაუსტი მეფისტოფელს. ეს ამავე დროს თვითონ გოეთეს აზრია ადამიანის დანიშნულებაზე. მისი შეხედულებით, ყველაზე მძიმე ცოდვა, რაც კაცმა შეიძლება ჩაიდინოს, სულიერი უძრაობაა.

ფაუსტს კი მსგავსი ცოდვა დანამდვილებით არა აქვს ჩადენილი.

რაც შეეხება შრომაში ნაპოვნ ბედნიერებას, აქ ყველაფერი თავიდან ბოლომდე ორჭოფულია. როგორც მეხუთე მოქმედების დასაწყისიდანვე ვიგებთ, მისი ეს ამაღლებული საქმიანობა, რომელშიც მას, საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებით, ადამიანური არსებობის აზრი უპოვია, ეშმაკეული მაგიის გარეშე არ ჩატარებულა. „თუმცა შრომა არ წყდებოდა, // მცირე იყო მისი წვლილი: // სადაც ღამით ცეცხლი კრთოდა, // ჯებირები იდგა დილით“.

გარდა ამისა, შრომის ამგვარ აპოთეოზში კიდევ სხვა ცოდვაცაა ჩადე-

ბული. ფაუსტის ხელდასხმით ცეცხლში გამოიბუგება უწყინარი მოხუცე-ბული ცოლ-ქმარი, რომელთა კარ-მიდამოსაც მან თვალი დაადგა. გოეთე ისეთი ავტორი არ არის, რომ ეს პასაჟი დაუფიქრებლობით გაჰპარვოდა. იგი ცხადად გვეუბნება, რომ ფაუსტის ბოლო საქმიანობაც ცოდვისაგან ვერ განთავისუფლდა და მასში მესაკუთრის დაუძლეველი თავკერძობა არცთუ ძნელი დასანახია.

ორჭოფულია აგრეთვე შრომის შედეგი, რომელიც, თუ მეფისტოფელის ნათქვამს ვერწმუნებით, ფაუსტის სიკვდილისთანავე გაქრება. დაბოლოს, ორჭოფულია ფაუსტის მიერ ბოლო მონოლოგში წარმოთქმული სიტყვები – „შეყოვნდი, ნამო!“ – რა ფორმითაც ეს სიტყვები წარმოითქვა: „...ასეთი მინდა, რომ ვიხილო ახალი ტომი, // თავისუფალი, თავისუფალ მინაზე მდგომი. // მაშინ, ო, მაშინ გულავსილია მძლავრი, ხმიერი, // – შეყოვნდი, ნამო! – შეეცახებდი, – ხარ მშვენიერი!“

გადაწყვეტით ვერც იტყვი: ითვლება წარმოთქმულად თუ არ ითვლება?

და, საერთოდ, რა შედეგით დამთავრდა ფაუსტის მრავალწლოვანი ჭიდილი მეფისტოფელთან – გაიმარჯვა? დამარცხდა? არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ გზაზე მას მისმა უკეთურმა თანამგზავრმა საკმარისზე მეტი ცოდვები დააგროვებინა სულის წასაწყმედად.

თვითონ გოეთეს მიაჩნდა, რომ ბრძოლა არც ერთ მხარეს არ მოუგია, ფაუსტი გამარჯვებული კი არ არის, მხოლოდ შენდობილია. ანგელოზები, რომლებმაც მეფისტოფელს ფაუსტის სული წაართვეს და ცაში მიაქვთ, ასე ხსნიან მისი შენდობის მიზეზს: „ვინც წინ ისწრაფის, ქმედითად ცხოვრობს, // ის, შეგვიძლია, ვიხსნათ“. ეს სიტყვები ტექსტში კურსივით არის გამოყოფილი, რაც იმის მაუწყებელია, რომ პოეტი ცოდვების საპირწონედ ფაუსტის დაუცხრომელ, ქმედით ცხოვრებას მიიჩნევს.

„ცოდვილიც იბრძოდა, // ცოდვას არ დანებდა“, – მღერიან ანგელოზები.

პოეტის აზრით, ეს არის ყველაზე მეტი, რისი მიღწევაც ამ ქვეყანაზე ადამიანს შეუძლია.

მაგრამ ის დავა როგორღა დასრულდა, ის დიდი დავა უფალსა და ეშმას შორის, წიგნის პროლოგში რომ გაინასკვა? გოეთე ახლა, ხანგრძლივი ცხოვრების ბოლოს, კეთილსა და ბოროტს შორის დადებულ სანაძლეოს ძალიან სერიოზულადაც აღარ უყურებს, თუკი როდისმე უყურებდა: ახლა მისთვის უფრო მისაღები ის თვალსაზრისია, რომ სიკეთე და ბოროტება ერთმანეთით არსებობს, ერთმანეთს განაპირობებს, და რომ აქ, ამქვეყნად, რომელიმე მათგანის საბოლოო გამარჯვება შეუძლებელია.

აღბათ აქედან მომდინარეობს ის დამცინავი, მაგრამ თან აშკარად ლოიალური დამოკიდებულება უფალსა და მეფისტოფელს შორის. ერთი

მხრივ – „აქ გამოჩენა თუ მოგინდეს, თამამად მოდი, // მტრობას არასდროს აღმიძრავდა შენდართა შფოთი. // თქვენი დასიდან, უარყოფელ მაგ სულთა ნრიდან // თუ ვიტან ვისმე, ჭკუამახვილ ცულლუტებს ვიტან“. ხოლო მეორე მხრივ – „მიყვარს შემოვლა ბერიკაცთან და საუბარი, // გულს დამაკლდება, მუდამ ასე თუ არ გასტანა. // ვერაფერს იტყვი, ზის ამხელა მამაუფალი // და კაცურ სიტყვას ლაპარაკობს თვით უშმასთანაც“. ისინი, რასაკვირველია, აბსოლუტურად სხვადასხვანი არიან, მაგრამ მტრებად არ განიცდიან ერთმანეთს, მხოლოდ მოპირდაპირებად. ცნობისათვის: პროლოგი პოეტს ახალგაზრდობაში არ დაუნერია, დაახლოებით ორმოცდაათი წლისამ დაწერა.

მოქმედება დამთავრებულია, მოსახდენი მომხდარია, მაგრამ ყველაფერი ჯერ არ თქმულა. წინ კიდევ ერთი სცენა გველოდება, აპოთეოზის სცენა, სადაც განდევნილები, წმინდანები, ანგელოზები, ცად მიმავალი სულელები მალალთა მიმართ სადიდებლებს გალობენ. საბოლოო სიტყვის თქმა ამ ლირიკულ პასაჟებს აკისრიათ. მათ ლაიტმოტივად გასდევს სიტყვა „სიყვარული“. ეს სიყვარული საღვთოც არის და მიწიერიც, მათ შორის გადაულახავი ზღვარი არ დევს. ლაიტმოტივი თანდათან მთავარ მოტივად იქცევა და ანგელოზების დასი პირდაპირ გვიცხადებს, რომ საუკუნო ნეტარებას სიყვარულის მეოხებით ვეწევით.

ფაუსტიც აქ არის, ცისკენ მიემართება, მის ხსენაში გრეტხენის სიყვარულსაც დიდი წილი დაუდვია.

წიგნი მისტიკური ქოროს ორსტროფიანი საგალობლით მთავრდება. იგი მცირეოდენი განმარტებების ჩართვით ასე შეიძლება გადმოიცეს: „ყველაფერი, რაც კი ამა ქვეყნად ხდება, მხოლოდ მსგავსებაა, ერთი სუბსტანციის (სავარაუდოდ, ჭეშმარიტების) ემანაციაა. როცა დაფარული გაცხადდება და მიწიერი გარსისგან განვიძარცვებით, ცად მხოლოდ „სიყვარული აგვამალლებს“, რომელიც თავისი არსით მარადქალურია, წმინდად ქალური სანყისია და არა მამაკაცური“.

დავით წერედიანი

პირველი  
მოქმედება

## ლაშაზი მიღამო

ფაუსტი ყვავილოვან კონდზე მიჯდებულა.  
ბორჯავს ძალაჯამოცლილი და ძილმღვიძარო.

ა რ ი ე ლ ი . სიმღერა ეოლოსის ქნარის თანხლებით

როცა მალლით ყვავილი ნვიმს,  
სიო დაქრის საამინდო,  
როცა ირგვლივ მადლი მიწის  
აფერადებს ჭალა-მინდორს,  
ციცქნა ელფთა ჩქროლავს ქორო,  
ვნებულთათვის მიაქვს შველა,  
არ კითხულობს კეთილ-ბოროტს,  
ებრალეზა ჭირში ყველა.

აქეთ, ელფებო, აქ დაფრინდით, მოსხედით გუნდად,  
კაცი ნევს, ძალა წართმევია, მიხედვა უნდა.  
თქვენს ელფურ წესზე გაუნელეთ გულში გენია,  
ქენჯნის ეკლები გამოჰკრიბეთ, განოვეთ შხამი,  
ლანდად უქციეთ, რაც რამ ავი გადახდენია.  
მხნედ იმუშაკეთ, გამოზოგეთ ყოველი ნამი,  
ლამის ოთხივე სახმილავი სანამ თქვენია.  
გულმონყალების დააფარეთ ელფური კალთა,  
მწარედ იგვემა, გაუშალეთ ხელ-ფეხი ფრთხილად,  
თავსასათუმალი აუმაღლეთ და ლეთის წყალთა  
აპკურეთ შხეფი, გაუთენეთ კეთილი დილა.

ვინემ ბილილმობიბინე  
ელურსება ნიაეს ველი,  
ეფინება ცისპირს ვინემ  
შელამების ნისლი ნელი,  
დაარნიეთ როგორც ჩვილი,  
უნანავეთ მწუხრის ხმაზე,  
დაუამეთ თვალთა ჩინი,  
დღის კარიბჭე გადარაზეთ.

ჩამოცურდა უკვე ლამეც,  
ვარსკვლავები ააროკა,  
მოკიაფე, მოხამხამე  
შორიშორ თუ ლოყა-ლოყა.  
აციაგდნენ წკრიალ-წკრიალ,  
ტბაში ჩასხდა მთელი დასტა.  
აჰა, მთვარეც ჩაენვია,  
ჭაველზე გადაფიანდა ზდა.

ნაიშალა, რაც განვალეხს,  
ძველი სიტკბოც, ძველი ელდაც,  
ნურას ეჭვობ, ენდე ხვალეს,  
სულიც, ხორციც გაგიმრთელდა.  
მოატარე ველად მზერა,  
რა სიმშვიდემ დაივანა!  
დატალღული ვერცხლისფერად  
დაპურდება შენი ყანა.

სურვილიდან სურვილისკენ  
გაესწრაფე გზაგახსნილი,  
შეფაკლულა ბნელი სივრცე,  
შემოგცლია ქერცლი ძილის.  
აიხდინე სანადელი,  
ნინ იარე, ნურას ნანობ,  
რას არ შეძლებს კაცი ქველი,  
მიმხვედრი და უყოყმანო!

ა რ ი ე ლ ი

ყური უგდეთ ჰორთა ქორალს,  
მხოლოდ სულთა გასაგონარს!  
შუქი გრგვინავს, შუქი ბროლავს!  
ჰა, ფებუსის მოქუხს ეტლი,  
ხმებს მოგრაგნის განუნყვეტლივ,  
ზრიალებენ კლდეთა ბჭენი.  
ჭექა-ბრწყინვა, გრგვინვა შუქის,  
თვალსაც უკვირს, ყურსაც უკვირს,  
ვერას ისმენს ვერა-მსმენი.  
თავს უშველეთ, ნადით მალე,  
ხევ-ხუვებში ჩაიმაღეთ!  
ნუ შებრკოლდით, ფეხი გადგით,  
გაყრუვდებით სხივთა ზათქით!

ფ ა უ ს ტ ი

ცემს, ფეთქავს მაჯა სიცოცხლისა, ჟამიერს ღვიძავს,  
ეთერულ რიჟრაჟს ესალმება, უსმენს იმედით.  
ნუხელაც მშვიდად, მისანდობად სუნთქავდი, მინავ,  
მყარად ირთხმოდი, ახალ ძალას მაკრებინებდი,  
ნელა, წვეთ-წვეთად მიბრუნებდი ცხოვრების ხალისს,  
და, აჰა, კვლავაც ზემიმხმობელ ნებას მივნებდი,  
ნინ მიმაჩქარებს განუხრელი ნყურვილი ხვალის...  
აჟრიაშულდნენ ტყე-ველები, შებრუნდნენ დღისკენ,  
მოილანძება ალიონი, ჯერ ისევ მკრთალი.  
ნისლი, ხევალმა შეფენილი, აკრეფას იწყებს,  
ორიოდ ფთილა გაცურდება, კლდეზე გარჩება,  
ძირს, უფსკრულებში, წამისწამად იხსნება სივრცე,  
ამოიხედეს ბურუსიდან ხეთა ვარჯებმა.  
ყვავილის ყელზე მარგალიტის კამკამებს წვეთი,  
ფერი ფერს ეძებს, ეთრთოლება, ზედ ეხარჯება,  
გარს თვალუპყრობი სამოთხეა! – რა ეთქმის მეტი!

95065

თხემებს გახედე! – დგანან მთები, გოლიათები,  
პრიალებს წითლად შეფერილი აღმასის წვეტი.  
იესება სივრცე ხელთუქმნელი წმინდა ნათებით,  
საფეხურებად მოიღვრება კაშკაშა ჩქერი,  
ახასხასდება იალალთა მწვანე კალთები,  
ფერდობს ჩამოვა, ველ-მინდვრების დადგება ჯერი.  
ამობრწყინვალდა! მაგრამ, ვაგლახ, შემდრკალი შევდექ,  
სახე დავხარე, დავბრმავდები მნათობის ცქერით!

ასევე ხდება, როცა ძებნის, წვალუბის შემდეგ  
გზაზე გასულნი, დაძრულები დიდი მიზნისკენ,  
სანატრელ კარებს მივადგებით, გამოხსნილს ბჭემდე,  
მაგრამ შიგ ალთა გუგუნია, ცეცხლი გიზგიზებს,  
და ულმობელი თაკარება უკანვე გვდენის.  
დაგვეძებს ცეცხლი, მოკვეთილნი ვდგავართ გზისპირზე,  
ელამობთ, ავანთოთ ჩირაღდანი ცხოვრების ჩვენის,  
ცეცხლი ბრიალებს და რა ცეცხლი! ზღვად მოვარდნილი!  
სიყვარულია? თუ საუფლო ტანჯვის და ზრზენის?  
შვებას ტკივილი შერევია, თმენას – ნადილი...  
და, სიყრმის ძველო საბურველო, კვლავ გვებურები,  
რომ, სადაც ჩვენი ფესვებია, ვპოვოთ ადგილი.

ეჰა, მნათობო! – ვდგავარ შენგან ზურგშებრუნებით,  
მზერა დაამდა, თვალსანიერს მშვიდად გავცქერი,  
ზედ ჩემს პირისპირ ასვეტილან კლდენი მრუმენი,  
ათას ნაკადად გატოტვილი მოქუხს ჩანჩქერი.  
ქაფზე, შხეფებზე ცისარტყელას ლივლივებს ზოლი,  
ხან მოელვარე, ხან მიმქრალი, ძლივს გასარჩევი.  
ანარეკლია, მზისიერი კამკამი ბროლის,  
ათინათებად დაქსელილი, ფერად ყოვნებად,  
დაუსრულებელივ რომ ბრკილებს ნამნამებს შორის.  
ჰგავს ეგ ლივლივი, ჩაქრობა და აცისკროვნება,  
ლტოლევებს ნამიერს, ციაგებად თანაშეკრებით.  
დაფიქრდი მათზე და ჩახვდები: კაცის ცხოვრება  
მოქსოვილია მაგ ფერადი ანარეკლებით.

## საქეთო სასახლე, საცანცო დაწბანი

სახელმწიფო სათათბირო ხელმწიფის მილოდინში. ვაისმის საყვირების  
ხმა. შემოდინ მოსთულ-მოკანძული კარისკაცები და დიდებულები.  
ხელმწიფე-კაინერი ცახტზე დაბრძანდება. ცახტის მარჯვენა მხარეს  
ვარსკვლავთმეტყველი დგას.

### კ ა ი ზ ე რ ი

მოგესალმებით, ერთგულეულნო,  
მახლობელნო თუ შორით წვეულნო...  
დაიცათ, ვხედავ, აქ არის ბრძენი,  
მაგრამ სად გაქრა სულელი ჩვენი?

### კ ა რ ი ს კ ა ც ი

თქვენს ქობა-კალთას წაედო წელან,  
და კიბის ძირში გასდინდა რეხვა.  
ნათანთალეს ბურთივით მრგვალი,  
არ ვიცი, მკვდარი, არ ვიცი, მთვრალი.

### მ ე ო რ ე კ ა რ ი ს კ ა ც ი

უმაღ სხვა გაჩნდა მისმაგიერი!  
უცხო სამოსი – ჭმახი იერი!  
კაცმა არ უწყის, ვისი ვინ არი.  
კართ გადაუდგენ მცველნი ჯვარედინ  
გადაჭდობილი შუბისტარებით.  
გამოსხლტომია! მოხტის მცინარი!

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . ცახცის წინ მუხლს მოიყვრის

რა არის, გვძაგს და ვერ კი ველევით,  
რა არის, გვწაღს და ვმტრობთ გახელებით?  
რა არის, ვეძებთ მონადინებით,  
რა არის, ვგმობთ და ვიკლებთ გინებით?  
ვინ არის, ხმობა არა სჭირდება,  
ვინ არის, მუდამ ხალისს გვპირდება?  
ვინ არის იგი, წუთით აზევდეს,  
წუთით აზევდეს, ნებით გაძევდეს?

## კ ა ი ზ ე რ ი

დღეს შეკითხვები უშენოდაც თავსაყარია,  
აქ ეს რჩეულნი, რა გგონია, რისთვის არიან?  
იმდენი კითხვა მოიტანეს, თავგზა ამებნა.  
გაეც პასუხი ჩემი გულის დასაამებლად!  
ძველმა მასხარამ, მიარაკეს, გაღმა გაცურა.  
მისი ადგილი დაიკავე, დექ მამაცურად.

## ჩ ო ჩ ქ ო ლ ი

ახალი მასხარა – ახალი ვაება –  
საიდან მოვიდა? – რა საბელს ჩაება? –  
მომკვდარა სქელუკა – საღვინელოკია –  
ის იყო ტიკჭორა – ეს კიდევ ჭოკია.

## კ ა ი ზ ე რ ი

ჰო, რას ვამბობდი? ერთგულეულნო,  
მახლობელნო თუ შორით ნვეულნო,  
მსურს მოგახაროთ: ვარსკვლავთა ნყობა  
ყოვლად ბედნიერს გვპირდება მყოფადს.  
მაგრამ, მიბრძანეთ, როდესაც ეს დღე  
ეკუთვნის თამაშს, ნიღბებს, გართობას,  
გვიღირს, თავსატეხ საქმეებს ვესხდეთ,

ვარკვიით დროის უკულმართობა?  
არადა, რაკი დაგვიდგენია,  
იყოს, გმორჩილებთ, ნება თქვენია.

## კ ა ნ ც ლ ე რ ი

უზენაესი სათნოება შარავანდედად  
ადგას ხელმწიფეს, მარტოოდენ იგი ბრძანდება  
კვერთხის მპყრობელი, სიმართლის და სამართლის მჭერი.  
სამართალს ითხოვს კაცადკაცი, ერი თუ ბერი.  
მაგრამ რას გვარგებს გამრჯე ხელი, ჭკუა-გონება,  
მტყუან-მართალი რა სასწორზე აინონება,  
მთელი სამეფო ჰგავს შეპყრობილს ციებ-ცხელებით,  
მოძმეს კი არა, თავს საკუთარს ვერ ვეშველებით...  
უბედურება დაგვებედა წილად და ხვედრად,  
ავი სიზმარი გეგონება, გარს რასაც ვხედავთ,  
კანონის ნიღბით დაპარპაშებს უსჯულოება,  
გვინდა, არ გვინდა, ცოდვის ბეჭედს გვასვამს დროება.

არის ტაცება ხვასტაგების, იქით – ცოლების,  
საკურთხეველიდან იპარავენ ჯვარს, ბარძიშს, კანდელს,  
და ვინც უვნებლად ყაჩაღობდა წლებმიყოლებით,  
ამაყად დადის, კმაყოფილი ბრძანდება ცამდე.  
სამართლის კართან წელმოხრილი დგას მომჩივანი,  
მალალ სადგარზე მოსამართლე შესკუპებულა,  
გარშემო – ხალხის ზედახორა, ხმები მყივანი,  
აჯაგრულან და მოსეულან კრებულ-კრებულად.  
რა განსაჩენი განჩინდება ასეთ ალყაში,  
ავაზაკს მონმედ დასდგომია მისივ დამქაში,  
და, ვაი საწყალს, ვინც სიმართლის ამარა დარჩა!  
მრუდე მსჯავრისთვის ერთითად ფასდება გარჯა.  
კაციც კი, ყოვლად ღვთისნიერი, ნახდება ამით,  
ადრე თუ გვიან გადაძალავს ლიქნა და ქრთამი.  
დასასჯელთაგან თუ კანონი ვერავის დასჯის,  
გასაგებია, ქვეყანას და ზნეობას რა სჭირს.  
წვეთს არ ვამატებ, რაც შავია, დავხატე შავად,  
ნაკლებ სამძიმო ყოფილიყო, მერჩია თავად.

(პაუზა.)

ამასაც დაეძენ: თუ სასწრაფოდ ვერაფერს გავხდით,  
ეგ ჯერიც მოვა, დაემხოვა სამეფო ტახტი.

### მ ხ ე დ ა რ თ მ თ ა ვ ა რ ი

რა დრომ გვინია! – ძალადობა, მტრობა, ქიშპობა!  
ყველა ერთმანეთს დარეცია, სპობს და ისპობა.  
ქალაქის მკვიდრნი შეკრებილან გალავნებს შიგნით,  
კლდეებში ჩასხდნენ რაინდები, რიგნი და რიგნი.  
ძალა მოიცეს, არ სრულდება არა ბრძანება,  
რამდენიც გინდა იმრისხანე, ვინ გეკრძალება!  
დაქირავებულ ჯარისკაცებს ვერ ვუხდით ქირას,  
ლიქნა-მუდარით, როგორც იყო, დღემდე მოვედით,  
ვალი არ გვედოს, მაგათ კვალსაც ვერ ვიპოვიდით,  
არ გასტანს ასე! დაგვისვამენ ძალიან ძვირად!  
გაბედავ, რამე აუკრძალო, რაც გულში უდევთ –  
ველური კოლტი! კრაზანების აშლილი ბუდე!  
თუმცა ერთია, რა საპირე და რა სარჩული:  
მხარე, მაგათი დასაცავი, წევს გაძარცული.  
ცოტალა უნდა, მთელი ხალხის მოსკდება რისხვა,  
ნალექილია ნახევარი მსოფლიო მისგან.  
მაგრამ მეფეებს არ ჰგონიათ, ჯერ გადარჩენილთ,  
რომ იმათ თავზეც მოინევა ეს განაჩენი.

### ხ ა ზ ი ნ ი ს ტ ა ნ მ ტ ე ზ ე ლ ი

გაგვითავკერძდნენ მოკავშირენი,  
გინა დიდნი და გინა მცირენი,  
მოსაკრებელი აღარ შემოდის.  
ისიც გაგვიხდა თავში სახალი,  
მთავრები დაჩდნენ ახალ-ახალი  
მიმოქსაქსული ზემო-ქვემოთის.  
ბუზს არ იფრენენ სათავადონი  
არ სურთ თავზევით არა ბატონი.

თან უფლებებიც იმდენ-იმდენი,  
ეს – ანინდელი, ის – უნინდელი,  
ჩამოვარიგეთ ისე ჩქარ-ჩქარა,  
საჩვენოდ ბევრიც არა დარჩა რა.  
სად რაც პარტია, ქვეგამჩხიბელი,  
ვერ გამოარჩევ გველფს და გიბელინს,  
ვძულვართ, ვუყვარვართ, ერთი ჭირია.  
ხელს ვინ გაუნვდის მოყვასს და თვისტომს,  
ყველა თავისას ფლიდობს და ქიშპობს,  
რა დაითრიონ, იმას ტირიან.  
სულ მალე თავსაც ველარ გავიტანთ,  
ყველა სალარო ფსკერზე დავიდა.

### შ ი ნ ა ტ ა ნ მ ტ ე ბ ე ლ ი

ჩემი სათქმელიც იგივეა: დღემუდამ ვლამობთ,  
მეტი დავზოგოთ, და დღითიდღე ხარჯები გვძალავს.  
თუ ხორცეული არ გვაკლია, ეგ იმის გამო,  
სხვით ველარაფრით, ნატურითლა გროვდება ლალა,  
შვლითა და ირმით, კურდღლით და ბოცვრით,  
ქათმით და ბატით, თხითა და მოზვრით.  
ღვინო კი, ღვინო დაგვიძვირდა, ცოტა არ იყოს,  
მაგრამ მარნებში სასმელების ზღვაც ჩამდგარიყო,  
კეთილშობილი ბატონების მემთვრალეობას  
რა გასწვდებოდა! თან უფასოდ უყვართ ღრეობა!  
ქალაქის საბჭოც დიდია და დიდ ნადიმს შეიქმს,  
სუფრას მოილევს, სუფრის ქვეშაც აგრძელებს ქეიფს.  
შენ კი უხადე! კაციშვილი – გროშის დამდები!  
ურჩიის ვალში ჩავცვენილვართ, ვის შებრალდები!  
თან ყოველწლიურ ვახშს მიხედე სანინასწაროს!  
ღორს ვერ ვასუქებ, რა ვილონო, ვინმემ მასწავლოს!  
ლამის იქამდე დავექანოთ, მოგვწყურდ-მოგვკვივდეს,  
თავქვეშ რომ ბალიშს ამოიდებ, გირაოში დევს!  
სუფრაზე გაგვაქვს წინასწარვე შეჭმული პური...

კ ა ი ზ ე რ ი . მეფისტოფელს. წაპით ჩაფიქრების შემდეგ  
აბა, მასხარავ, შენს მოთქმასაც დაეუგდოთ ყური.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჩემსას? ო, არა! მოთქმისათვის ვერ ვხედავ მიზეზს,  
თქვენს სიახლოვეს ყველაფერი ჩახჩახებს ისე!  
ვინა თქვა ნდობის ნაკლებობა, სადაც მბრძანებელს  
შეჰხარის ყველა და ორგულნი ვერ ჭაჭანებენ?  
სადაც მაღალი გონება და კეთილი ნება  
სასიქადულო საქმისათვის ერთმანეთს ხვდება?  
როგორ ვირნმუნო, ბნელს და უნასს იქ ედოს ბინა,  
სადაც გარშემო ეს ამდენი ვარსკვლავი ბრწყინავს?

### ჩ ო ჩ ქ ო ლ ი

ენას არ უკიდებს – სჭირს მეტისმეტობა –  
ფლიდი და მლიქვნელი! – ბოლომდე შეტოპა –  
ნეტავ რა სწადია? – მოგვარგებს გასალებს –  
პროექტი ექნება – ცხლად შემოგვასალებს.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ამქვეყნად ყველას რაღაც უჭირს, ვის რა და ვის რა,  
თქვენ ფული გიჭირთ, ეგ სიმძიმე გკიდიათ კისრად.  
ფულს კი მიწიდან ვერ აბოჭავ, არსად ხვეტია,  
მაგრამ ღრმა სიბრძნე მიწაშიაც ჩანაჭვრეტია.  
სამალავებში მონეტებად, მთებში – ზოდებად  
დიდძალი ოქრო მარხია და ჩვენ გველოდება.  
მკითხავთ, ვინ უნდა გამოჩხრიკოს? მოკრებს რომელი?  
კაცის ბუნება, კაცის გონი დაუცხრომელი.

## კ ა ნ ც ლ ე რ ი

ბუნება! გონი! ნურც უხსენებთ ნურა ქრისტიანს!  
ვინც მათ აჰყვება, ნაწყმედილი ათეისტია,  
შიგ გულისგულში აქვს გაყრილი ეჭვის ისარი.  
იმდენი საფრთხის შემცველია მათი ერთობა,  
კოცონზე ასვლა არ ასცდება, ვინც მიენდობა,  
ის ერთი – ცოდვის, ის მეორე ეშმაკის არი!  
ხოლო აქ, ჩვენში, ოდითგანვე ქვეყნის დამცველად.  
სამღვდელოება აღიმართა და რაინდობა,  
მათზე დგას ტახტი, ვერც ვერავინ შეენაცვლება,  
ასე დანესდა, ლეთის განგებამ ასე ინდომა.  
სამაგიეროდ, ჯილდოც ღვანლის თანაბარია,  
ეკლესიაც და სახელმწიფოც მათ აბარიათ.  
ზოგ-ზოგი მაინც დასუნსულებს, ჩრდილს ეფარება,  
ხალხს ჭკუას უმღვრევს, რაც სწაღია – ქვეყნის არევა.  
ჯადოქრები და მწვალებლები! ბოროტი ძალა!  
ერესს გვითესენ, გვიმხედრებენ სოფელს თუ ქალაქს.  
და შენც მაგ შენი თავხედური მასხრული ნირით  
ცდილობ, ჩვენს წრეშიც შემოთესო იგივე ჭირი.  
აკი მასხარაც მაგ ხისავე გახლავთ ნაყოფი,  
მაგავ შხამს ლესავს სიცილით და ლალობ-ლალობით.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მეცნო სწავლული! – მისეული ნირიც და სახეც:  
მხოლოდ ის სჯერა არსებულად, ხელს რასაც ახებს,  
ითადარიგებს, ახარისხებს, რიცხვებად კონავს,  
სხვა დანარჩენი ლანდებია, ფანტომთა დასი!  
რასაც სასწორზე ვერ შემოდებს, არა აქვს წონა,  
რასაც ოქროზე ვერ გადაცვლის, არა აქვს ფასი.

## კ ა ი ზ ე რ ი

ისევ ის ქება-ძაგებანი! სიტყვის გებანი!  
ჭირს ეგ უშველის? სადიდმარხვო ქადაგებანი?

„როგორ“ და „როდის“, შეკითხვები მყოფნის ამითიც.  
თუ ფულს გაგვიჩენ, გაგვიჩინე, ნუ დაგვაძალი!

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ეგ ადვილია, რასაც დღესვე დაგინამდვილებთ,  
თან ოღონდ ძალზე ძნელი გახლავთ ეგ სიადვილე.  
განძი აქვეა, მაგრამ მისგან სარგებლის ნახვას  
სხვა ხერხი უნდა, ხელოვნებას მოითხოვს მაღალს.  
ისე ვით ყველგან, სვებედნიერ ამ თქვენს მხარეშიც  
იყო საზღვრების გადალექვა, მტრების თარეში.  
გარბოდა ხალხი, შიშისაგან გონდაზაფრული,  
დაფლული დარჩა არაერთი განძი ზღაპრული.  
მარტო ის რად ღირს, დიდი რომის მძლავრობის ხანა!  
ათასწლოვანი საუნჯენი მიწაში წვანან!  
მიწა კი სრულად – იმიანად, რაც შიგ მარხია –  
ბოლო მისხლამდე ტახტს ეკუთვნის და მონარქიას.

### ხ ა ზ ი ნ ი ს გ ა ნ მ გ ე ბ ე ლ ი

ჩვენი სულელი სულელურსაც არ გვეუბნება,  
სწორად განმარტა სამკვიდროზე მეფის უფლება.

### კ ა ნ ც ლ ე რ ი

ნუთუ ვერ ატყობთ, რომ სატანის ქსელში ებმებით  
მადააშლილნი უკეთური, ბნელი გეგმებით!

### ფ ი ნ ა გ ა ნ მ გ ე ბ ე ლ ი

გასხლტეს ცოტ-ცოტა უკეთურიც, ჭირს თუ უშველის!  
მე, ჩემდათავად, ორივ თვალის ვარ წამხუჭველი.

## მ ს ე დ ა რ თ მ თ ა ვ ა რ ი

ჩვენი სულელი ჭკვიანია, იცის, რაც იცის:  
ფული საიდან, – სულერთია ჯარისკაცისთვის.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

თუ ვინმე ფიქრობს, კვებნით ვამბობ, ვარ მეტყუილე,  
კაცი დგას აგერ ბრძენთაბრძენი! ვარსკვლავთმეტყველი!  
იცის წრებრუნვა და ცთომილთა ყოველი სახლი.  
გვითხარ, ბრძენკაცო, რას გვიმხელენ მნათობნი მალლით!

## ჩ ო ჩ ქ ო ლ ი

გადასკვნეს კუდები – თაღლითი ორი –  
შლეგი და მეზღაპრე – ტოლი და სწორი –  
ნაცნობი ჰანგია – ჩმახები ძველი –  
ჩასძახის სულელი – ქაქანებს ბრძენი.

## ა ს ც რ ო ლ ო გ ი . მეფისტოფელის კარნახით

მზე, წმინდა ოქრო, ნიშანს გაძლევს, დია სასურველს,  
ბრწყინავს მერკური, მაცნე მისი და მესაჭურველე.  
გულგახსნილია ქალბატონი ვენერა შენდა,  
წყალობას მოგვფენს, ისე როგორც აქამდე გვფენდა.  
ქალწული მთვარე წამისწამად ხასიათს იცვლის.  
მარსი კუშტია, მაგრამ ფერი არ ადევს სისხლის.  
იუპიტერი საძნელბედოს არაფერს ირევს,  
სრული სიკეთის აღმთქმელია მისი კიაფი.  
დიდი სატურნი, თვალისათვის შორი და მცირე,  
ლითონი გახლავთ წონით მძიმე, ფასად იაფი.  
ოქრო და ვერცხლი – მზე და მთვარე – სოლუს და ლუნა  
ერთად შეყრილან, ბედ-იღბალი წალმისკენ ბრუნავს.  
მიიღებ, რასაც მოინებებ: წალკოტ-პალატებს,  
ტრფობას, გართობას – მოლოდინი არ გიღალატებს.  
სწავლული კაცი კართ მომდგარი ყველაფერს შეძლებს.  
ერთი გახლავთ და ერთადერთი, ვერ ნახავ შემცველეს.

## კ ა ი ზ ე რ ი

ვუსმენ ორ ხმაში მისნურ მჭევრობებს,  
ოლონდ ვერ ვიტყვი, დიდად მჯეროდეს.

## ჩ ო ჩ ქ ო ლ ი

ურცხვი ტყუილია – ფუჭი ბზუილია –  
ქიმისტერობანა – ცაში ცქერობანა –  
ათასჯერ მსმენია – არვის აგვხდენია –  
ეგეც იმათია – დიდი კვიმატია.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

საქმიანს არას გაგაგონებენ,  
უჯექ, უძებნე გამოსავალი!  
მავანი ყბედობს მანდრაგორებზე,  
შავი ძალლისას ყბედობს მავანი.  
უმალვე უფალს შესთხოვთ შენვენას,  
დარწმუნებულნი – დაითარსენით,  
ფეხისგულეები თუ აგენვებათ,  
მოგიდუნდებათ უცებ სახსრები.  
სინამდვილეში იდუმალს შეხვდით,  
ჟრიალი მოგწვდათ უცნობი ძალის,  
ქვემორე სკნელი გიფეთქავთ ფერხითთ,  
თქვენამდე მოდის ცოცხალი კვალი.  
ტანში ტკივილმა თუ გაგკრათ მწარედ,  
ან უმიზეზოდ გაგიწყდათ ქანცი,  
ხელში ბარი და – გულდაგულ თხარეთ,  
იქ, იმ ადგილას, მარხია განძი.

## ჩ ო ჩ ქ ო ლ ი

თავი მტებს – მკლავი მტებს – ამტკივდა მხარი –  
ნელკავი მეტაკა – ნიკრისის ქარი –  
ფებს ველარ ვაქანებ – ხელს ველარ ვაქნევ –  
ეტყობა, განძია ჩვენს ქვემოთ, აქვე.

## კ ა ი ზ ე რ ი

იჩქარე! სანამ არ მივაგნებთ, ვერსად გაძვრები!  
უნდა სრული წრე შემოხაზო, დასხა საზღვრები.  
კვერთხს გადავდებ და ბარს ავიღებ, დავიჭერ წერაქვს,  
მეფური ხელით ისე ვთხარო, გეამოთ ცქერა.  
მაგრამ თუ ღორლი ამოცვივდა ხაზინის ნაცვლად,  
პირობას გაძლევ, ჯოჯოხეთში მოგიწევს ნასვლა.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

უცებ რომ კვალი ამერიოს იქ ნასასვლელი!  
მაგრამ ჯერ განძზე მოგახსენოთ, რისგან რას ველი.  
ცოტა რამ ნასხლეტს პოულობენ არცთუ ცოტანი,  
ხნავს გლეხი, სახნისს ამოჰყვება ოქროს ქოთანი.  
ან თიხის კედელს მიფხეკ-მოფხეკს, ეძებს გვარჯილას,  
შიგ, ერთიც ვნახოთ, ფირფიტებად ოქრო გაჩრილა!  
აქვს შიშისა და სიხარულის ელეთ-მელეთი!  
ჩვენ კი თაღები უნდა გავხსნათ, ჩავჭრათ ბნელეთი.  
განძით გავსილან ტალანები, კოლონადები,  
უცხო საჭურჭლით, ჯოჯოხეთის ბჭესთან ნადებით.  
ოქროს თეფშები – რიგი რიგზე – ოქროს თასები –  
ლალის ჭიქები – ათასები – სხვა ათასები.  
კასრებში – ღვინო ძველისძველი, რაგინდრა ფერის,  
სალტე-ფიცრები დაბრეცილა, მომპალა ფსკერი.  
დგას მაინც ღვინო, მცირე წვეთიც არ ჟონავს არსად,  
ღვინის ქვა იჭერს, შემოჰკვრია უმტკიცეს გარსად.  
ეგ არის, ირგვლივ წყვდიადია განუჭვრეტელი,  
ხედავს მარტოდენ ბრძენის თვალი, ბნელთა მკვეთელი.

## კ ა ი ზ ე რ ი

ჰოდა, გაგვიძებ, საქმე გენყურია!  
რაც ბნელში ყრია, უფასურია.  
იქ, სადაც შუქი ვერასდროს ატანს,  
რის თეთრი კატა, რის შავი კატა!

მიდი, სახნავი დროზე მოხანი,  
ამოაყოლე სახნისს ქოთანი!

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჯობს, შენვე დასწვდე ბარს და ძალაყინს.  
გლეხური შრომით იქმნა ამაყი.  
მტკიცე მარჯვენით, მჭახე ძახილით  
ოქროს კუროთა დაძარ ნახირი!  
შემოიმშვენე განძი ნებაზე,  
შეამკე სატრფო თვლებით უღვეით,  
სილამაზესაც, ხელმწიფებასაც  
ბრწყინვას მატებენ სამკაულები.

### კ ა ი ზ ე რ ი

დღესვე დავინყოთ! ამ წუთშივე! კმარა ლოდინი!

### ა ს ტ რ ო ლ ო გ ი . შუღანდებურად

ჯერ მოთმინება, ხელმწიფეო, მცირეოდენი!  
ორ საქმეს ერთად შეუდგები – თავს ვერ დაუვლი,  
ნიღბების დღეა, გვაზვიმე დღესასწაული.  
რაც ბედმა ცაზე დაგვინერა ვარსკვლავთა ენით,  
უნდა ქმედებით მოვიპოვოთ, მივაგნოთ ჩვენით.  
სიკეთეს ვითხოვთ – თავად გვმართებს, ვიყოთ კეთილი,  
სიმშვიდეს ვითხოვთ – ნუ ვიქნებით თავანყვეტილი,  
პურ-ღვინოს ვითხოვთ – მოვუაროთ ყანას და ვენახს,  
სასწაულს ვითხოვთ – განვიმტკიცოთ ღვთისადმი რწმენა.

### კ ა ი ზ ე რ ი

ზეიმია და მაგ ზეიმშიც დავიდოთ ნილი!  
ჰა, ეგეც ფერფლის ოთხშაბათი! თავდება ხსნილი!  
მხიარულება მრავალი და კიდევ მრავალი  
დაგვბედებოდეს დღევანდელი ამ კარნავალით.

(საყვირთა ცემა. ჯადიან.)

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ბედს ნაშველება სჭირდება ხელის,  
უქმ-უშრომელმა ვინ მიაკვლია!  
სიბრძნის ქვისგანაც ნურაფერს ველით,  
ქვა თუ გვიდევს და ბრძენი გვაკლია!

# ვრცელი დარბაზი გვერდითი გასასვლელებით

საკონსტრუქციო პროექტი

## პ რ ო ლ დ ი

დღეს გერმანული გართობანი აქ არ მოგველის,  
მკვდრები, ჭინკები, მკელობლები მცეკველ-მროკველი!  
მხოლოდ თვალსასურს ვნახავთ სანახავს.

იმ ნათელ მხარეს მივაშურებთ ფერთა მზიერთა,  
რომელიც ჩვენმა მბრძანებელმა შემოგვიერთა,  
ალპები ძლევეთ რომ გადალახა.

იქ, მუხლმოყრილმა უნმინდესთა ფერხთა წინარე,  
უფლის სახელით დაიმტკიცა ხმლით მონაგარი,  
დაბრუნდა გვირგვინაკურთხი და პირმოცინარე,  
ჩვენთვის კი ქუდი მოიყოლა ჩაჩის მაგვარი.

ღმრთივ კურთხეული გამოდგა ძლევენი,  
უმალ ვიგრძენით თავი ნეტარად.

იყავ, თუ გინდა, ათასგზის ბრძენი,  
ვინც დაიფხატა, შლეგს დაედარა.

გიჟობს იმ ქუდში თავის შემრგველი,  
გინდა ჭკვიანი, გინდა რეგვენი.

დღესაც მოზღვავენენ, დახტიან ცხვირწინ,  
შლეგობენ ცალ-ცალ, შლეგობენ წყვილ-წყვილ,  
ვერ გავერიდე, საითაც ვდექი.

მაგრამ მაგათზე შლეგად მოარი  
თავად და თავად სანუთრო არი,  
ეს სოფელია შლეგთაგან შლეგი.

მ ე ბ ა ლ ე ქ ა ლ ე ბ ი . მღერთან მანდოლინების თანხლებით

ტაშისათვის მოვალთ, მივალთ,  
კალათებით კობტა-კობტით.  
ფლორენციის ასულნი ვართ,  
ალემანთა კარად მოვხვდით.

შავი თმა და, ფერი ფერზე,  
ყვავილები თმაში წნული,  
აბრეშუმის სიხავერდე  
ყაისნალით ამოსხმული.

შორი გზები დაგვივლია,  
არ გვიჭკნება გზაში ვარდი,  
მონათარგი ყვავილია,  
განა ბალში განაზარდი.

შევახამეთ ლერო-ლეროდ  
უჩინოსთან საჩინარი,  
ფერი როცა ფერსა ჰფერობს,  
სილამაზე მაშინ არი.

შევმოსილვართ მისი სხივით  
მწყაზრები და ფეროვნები.  
ქალის ეშხი ბუნებრივი  
ნაქსოვია ხელოვნებით.

ჰ ე წ ო ლ დ ი

ძირს ჩამოდგით თქვენი ტვირთი,  
კალათები ჭრელა-ჭრელი,  
დაგვანახეთ, რასაც ყიდით,  
გადმოშალეთ თქვენი ხელით.  
ვარდი ვარდად, ია იად,  
ყვავილს აწყობს ყმანვილქალი,  
ისიც ყოვლად ლამაზია,  
ყვავილებთან მისათვალი.

## მ ე ბ ა ლ ე ქ ა ლ ე ბ ი

მოკლე თქვით და სასიამო,  
ნაიყოლეთ ღიმი თანა,  
გახვრეტილი გროშის გამო  
არ გამართოთ ვაჭრობანა.

## ზ ე თ ი ს ხ ი ლ ი ს მ ს ხ მ თ ი ა რ ე ტ ო ტ ი

ყვავილების არა მშურს და  
სხვებთან დავა არა მსურს და  
მშვიდად ვცხოვრობ ჩემი წესით.  
უამსა აქეთ კიდობნისა  
ნიშანი ვარ მშვიდობისა,  
ყველა ხილზე უკეთესი.  
ვინ გახდება ჩემი ღირსი?  
შეიმკობა შუბლი ვისი?

## პ უ რ ი ს თ ა ვ თ ა ვ ე ბ ი . ო ქ რ ო ს ფ ე რ ტ ვ ი რ ტ ვ ი ნ ა ღ უ ე კ რ უ ლ ი

მხოლოდ ძნა ვარ, ჭირნახული,  
ცერერასგან შემოძღვნილი,  
მაინც მომაქვს სავსე გულით  
სილამაზე ჩემი წილი.

## ნ ა ხ ე ლ ო ვ ნ ა რ ი ყ ვ ა ვ ი ლ ტ ვ ი რ ტ ვ ი ნ ი

ყვავილები, ბალბის მსგავსი,  
მოგებულა მწვანე ხავსით.  
ჩვეულებრივს არად არ ჰგავს,  
ბოლო მოდას მოუქარგავს.

## ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი თ ა ი გ უ ლ ი

სახელს ჩვენსას იტყვის ვინა,  
თეოფრასტე იყოს გინა!  
ორ-სამს ვისამ თუ მოვწონდეთ,  
მეტისთვისაც არა ვლონდეთ.  
უნდოდეთ და დავიშლებით,  
ჩავენვნებით თმაში ნებით.  
არ ვინაღვლით, იყოს ერთი,  
დაიმშვენოს ჩვენით მკერდი.

## ვ ა რ დ ი ს კ ო კ რ ე ბ ი

წუთისათვის შენათხზენი,  
მოდისათვის შენაძღვენი,  
ბუნებისგან არა ქმნილან,  
თარგებიდან გამოჭრილან.  
მხოლოდ სირმა, მხოლოდ ფოჩი,  
ქალის თმაზე მისაკოჭი!  
ჩვენ კი დრომდე უჩინო ვართ,  
გაზაფხულის ბოლოს მოვალთ.  
რა რომ სრულად განვისახოთ,  
მაშინ გვენახოთ, ვინცა გვენახოთ!  
ერთად პოვოთ შენასკეული  
შენაპირი – შენასრული.  
გადაიყრით გულის დარდებს,  
სიყვარულის დარი დარდეს!

(მწვანე თალამის ქვეშ შეყვავილე ქალები  
თავიანთ ფასაყიდლებს შლიან.)

## მ ე ბ ა ლ ე ვ ა ყ ი . სიმღერა თეორზების თანხლებით

თვალს აცთუნებს ვარდ-ყვავილი,  
გვირგვინობს და დიადემობს!

რაც არ ტყუის, მწიფე ხილი,  
ჩამოკრეფ და ნახავ გემოს.

ატამიც მაქვს, ალუბალიც,  
ქლიავიც და, იტყვით რასაც,  
არ იამებს მხოლოდ თვალი,  
დაგიტკბებათ ენაც, სასაც.

ძღვენია და სულ სხვა ძღვენი,  
არ გეგონოთ დაქადნება,  
ვარდოკობი სტრიქონს შვენის,  
ვაშლი პირში ჩაგადნება.

ყმანვილქალნო, ხელსავსენო,  
დავუნყვილოთ ხილი ყვავილს,  
სადაც თქვენი ბალი შენობს,  
ნაყოფისაც დადგეს ხვაი.

შევაჯეროთ ფერი ფერთან,  
ქება გვითხრას, ვინცა გვნახოს,  
შეჰხაროდეს თვალი ერთად  
ფოთოლს,  
ყვავილს,  
ნასკეს და ნაყოფს.

(ორივე გუნდი, გიცარებისა და თოჩბების ხმზე.  
სიმღერამონაცვლეობით, განაგრძობს თავ-თავიანთი  
ჯასაყიდლების მალლა, საფენ-ურ-საფენ-ურებად დაწყობას.)

დედა

შვილო, ისე კარგი გაჩნდი,  
შევქმენ მიეთ-მოეთი,  
მინას ჯერეთ არც კი აჩნდი,  
უკვე იმედს მოვედი,  
სულ მდიდრებზე ფიქრი მქონდა,  
გული იმას რიკრიკობდა,  
კარგად გაგათხოვებდი.

მაგრამ წლებმა ჩაიარეს,  
გახდი დასანუნები,  
მივაცილებ მზეს და მთვარეს  
წახდენილი გუნებით,  
ზოგთან იყო, როკაობდი,  
ზოგთან იყო, ტროკაობდი,  
იდაყვს უბაგუნებდი.

ალარა ჭრის რეტიც რეტი  
ყოველ ჯერზე ცხრაჯერი,  
ფანტები და „ვინც ზედმეტი“,  
ცოტა კალთა გაჯერი,  
ერთხანს აქაც ვივაგლახოთ,  
ეგებ ვინმე შტერი ვნახოთ,  
შენი გამოსაჭერი.

(შემოწმობან გოგოს ლამაზ-ლამაზი თანაცოლები. გავს  
შემოეხვევიან დედა-შვილს, თანდათან სულ უფრო მკაფიოდ  
ისმის ცულითადი საუბარი. მალე შეთეწეები და შენიცბადეები  
შემოუერთდებიან. ხელში თავ-თავიანთი ბადე-საჭერებით.  
ინყება კეკლეუცობანი, დაჭერა-გასხლტომანი, მიყვავილება-  
მილაქანდებანი.)

ვჭრით! ვჩეხთ! ვჭრით!  
ცხელ ოფლს ვღვრით!  
გაგვეცათ, გაგვეცათ,  
ცვივიან ხეები!  
თავში არ დაგვეცეთ  
ვარჯებით ვეებით!

რაგინდაც ტლანქები,  
ვართ თქვენგან საქები!  
თქვენ ქუდბედიანნი,  
ვინც ცხოვრობთ აზიზად,  
რაგინდაც ჭკვიანნი,  
უჩვენოდ რას იზამთ!  
მოლხენით მსხდომარნი,  
ჩვენს ოფლზე იცინით!  
ეგ ოფლი რომ არა,  
მოკვდებით სიცვიით!

პ უ ლ ჩ ი ნ ე ლ ე ბ ი . ანცები, თითქმის პრანქები

ხართ ხვითქის მღვრელები,  
ბრიყვები, ბნელები,  
დადიხართ კაკვით,  
მორების თრაქვით.  
ჩვენ ჭკვიანები ვართ,  
დავდივართ ნებივრად.  
რაც ტვირთი გვეკიდია,  
ყველაზე დიდია  
ქუდი და ქურთუკი.  
გვიყვარს ბორიალი,  
ბაზრებში წრიალი,  
უსაქმოდ ყურყუტი.  
შიგ ბრბოში შევცვივით,  
ავტებთ ალიაქოსს,

ერთმანეთს შევცინით,  
ხალხი რომ წიოკობს,  
ხალხი რომ წიაქობს.  
თვითონ კი გავსხლტებით,  
შორიშორ გავსხდებით.  
რასაც არ გვეტყვიან,  
მხოლოდ გვეცინება,  
ჩვენს თვალში ერთია,  
ქება და გინება.

### მ უ ქ თ ა მ ჭ ა მ ე ლ ნ ი

დიდნო თუ მცირენო,  
ტყისმჭრელნო მარჯვენო,  
თქვენც, მენახშირენო,  
ხალხი ხართ საჩვენო.  
თქვენ თუ არ იქნებით,  
ჩვენც ვერას გავხდებით  
უზომო ლიქნებით,  
იკლიკანტურებით.  
მდაბალი ნახრებით,  
თავის კანტურებით.  
ცეცხლი საზარია,  
ციდან რომ ეშვება,  
დაუსაზღვრავია  
მისი გავეშება.  
თქვენ კი მას ჯერ-ჯერზე  
ქურებში ათავსებთ,  
მზადდება კერძები  
ქვაბში თუ ლადარზე.  
ტაფებო! ქვაბებო!  
რა სუნი! რა გემო!  
ყოვლად გასაგები  
დაგვიძღვის წადილი –  
პატრონთან საგემი,  
მუქთაზე, სადილი.

მთვრალი ვარ და ვიყო მთვრალი,  
გავაბიჯო აცა-ბაცად,  
სიმღერებს და შვება-ხალისს  
თან მივიტან, მივალ საცა.  
გადამძალოს ძალმა ვისამ!  
იმას ვიზამ, რასაც ვიზამ!  
დავენაფოთ სავსე თასებს!  
აბა, ერთად! ესეც ასე.

მამკობს ცოლი მწარე-მწარით,  
ერთს არ გეტყვის სასიამოს,  
ვარ ჭინჭების საკიდარი,  
ცხვირს უბზუებს ჭრელა სამოსს.  
თქვენც, ჭინჭების საკიდარნო,  
მემთვრალენო ჩემო დარნო,  
გშვენით სმაში სიკისკასე!  
კიდევ ერთი! ესეც ასე.

თუ მედუქნემ, დღესა მქისსა,  
ნისიაზე აშა მცესა,  
შეებრალდები ცოლსა მისსა,  
თუ ცოლს არა, მოახლესა.  
აბა, ჩქარა! ნუ ხართ დუნედ!  
ჭიქა შემომიჭახუნეთ!  
მაგ წკრიალის გლოცავთ ხმაზე –  
ესეც ასე! ესეც ასე!

ბოლო თასთან ბოლო ბრძოლამ  
ვხედავ, ხელიც მომითავა.  
დამანებეთ ჩემთვის წოლა,  
მაინც ფეხზე ვერა ვდგავარ.

## გ უ ნ დ ი

აბა, ძმებო, ნუ შედრკებით,  
ვიყოთ ლალად, ვიყოთ შვეებით!  
ეგ ძმაც მშვიდად მოვათავსეთ  
სუფრის ქვეშ და – ესეც ასე!

(გამოდინან პეროლდისაგან გამოსძობილი ნაირ-ნაირი  
პოეტები – ბუნებისა თუ კარის მგოსნები. რაინდობის მეხოტბენი,  
ეროტიკული თუ მისტიკური წყობის პელექსენი. იწყება ქიშპი და  
ჯნიალი, ერთმანეთს სიტყვას არ ავლიან. ერთი მათგანი მაინც  
გამოსხლცება და რამდენიმე სიტყვის თქმას მოასწრებს.)

## ს ა ც ი რ ი კ ო ს ი

ჩემი კალმის შესაფერად  
ერთი ყინი მქონდა მუდამ –  
ისეთების თქმა და მღერა,  
რისი სმენაც არვის უნდა.

(ღამისა და სასაფლაოს მგოსნები ბოდიშს ითხოვენ, რომ  
ახალგაძოჩნილ ვამპირებთან უაღრესად საჯულისხმო ლაპარაკს  
შეჰყენენ, საიდანაც, შესაძლოა, სულ მალე ახალი პოეზია  
დაიბადოს. პეროლდი ამ საქმეს ამოწურულად მიიჩნევს და  
ახლა უკვე ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟებად გადაცმულ  
ნიღბოსნებს გამოიხმობს. მათი მოჩთულობა ახლებურია, მაგრამ  
ქველს მისადაგებული და გემოვნებით შერწყმული.)

სამი გრაცია.

ა გ ლ ა ი ა

ვთქვა, გრაცია ნიშნავს რასაც?  
საბოძვართა შნოს და ლაზათს.

პ ე ტ ე მ ო ნ ე

რას ნიშნავს და იმის უნარს,  
მოხდენილად შეხვდე სტუმარს.

ე ვ ფ რ ო ს ი ნ ე

რას ნიშნავს და კეთილ სიტყვას, –  
სიკეთისთვის მაღლი ითქვას.

სამი პარკა

ა ც რ ო პ ო ს ი

უფროსი ვარ დათა შორის,  
დამევალა ძაფის დართვა,  
თუმცა დღემდე, გითხრათ სწორი,  
არა ვმჯდარვარ თითისტართან.

ძაფად შენნა ბედის ხაზი.  
სუფთად, არა ზიანებით,  
სელი უნდა ნაზად ნაზი  
და თითები – ქკვიანები.

დაცალცალდით, გინა წყვილდით,  
ნუ დარბიხართ ოლონდ ცეტად.

ცოცხალ ძაფებს გაუფრთხილდით,  
ადვილია გასანყვეტად!

### კ ლ ო თ ო

მომაჩივს მაკრატელი,  
იმის ნაცვლად, ძაფი ვართო.  
უფროსმა დამ ხანი მთელი  
ვერა ქნა რა სანალმართო.

უგვანი და ყოვლად ფუჭი  
ქვეყანაზე ლალად ავლო,  
დაამინა ხრაჭა-ხრუჭით  
სამზეო და სამომავლო.

არ შემინდეს იგივ სენი,  
მაკრატელი ბუდეს ჩავდე,  
ხრაჭა-ხრუჭებს დავეხსენი,  
ზეიმს ვერთვი ამაღამდელს.

შემოგლიმით გულგახსნილი,  
შეუმკრთალი გელით ღამე,  
უსაფრთხოა თქვენი ღხინი,  
იამეთ და ითამამეთ!

### ლ ე ხ ე ს ი ს ი

მე ვარ, ვისაც აზრი მომდევს,  
საქმე მიმყავს შეუმცდარად,  
არ ჩქარდება არასოდეს,  
ნესს აწესებს ჩემი ჯარა.

მიიხვევა მკედზე მკედი,  
უსკვნელად და უბურდველად,  
არსად – რამე უცაბედი,  
თავის რიგზე მიდის ყველა.

მეც შემიდგეს ერთხელ ქარი,  
ეს ქვეყანა აბრუნდს მოვა.  
მოდის, მიდის ფეიქარი,  
ნართი მიაქვს მოსაქსოვად.

### ჰ ე რ ო ლ დ ი

ვისაც აქ ახლა გამოვიხმობ, ვერავინ იცნობთ,  
გინდაც გულდასმით ნაგეკითხოთ ნანერნი ძველთა,  
მათი დანახვა სასიკვდილოს ინვევედა ელდას,  
დღეს კი სასურველ სტუმრებადაც შერაცხოთ ვინძლო.

ფურიებს ხედავთ – არ ირწმუნებს ალბათ არავინ,  
ყმანვილქალები სათნონი და კეთილნი თვალად!  
მაგრამ, ვინც ენდოს, მაგ მტრედების იხილავს ძალას,  
ხელთ შემოგრჩებათ ასპიტები, გესლით მზარავი.

დღეს აქ, ნიღბების ამ ზეიმში, როცა საჩვენოდ  
თამამად ყბედობს თავის ნაკლზე ყველა რეგვენი,  
ნარმოდგებიან სრული სახით ალბათ ეგენიც,  
ანგელოზებად, არა მგონი, თავი გვაჩვენონ.

### სამი ფურია

### ა ლ ე ქ ტ ო

მაინც მოგინდობთ, ლამაზნი ვართ, სალუქნი თანაც,  
მოკრუტუნე და მოალერსე ვართ ფისუნები,  
თავს შემოგაჩვევთ მოფერება-მოგლასუნებით  
და მერე ნახეთ თქვენს სატრფოზე ენების ფხანა!

გეტყვით: ო, არა, შეხედავ და არ ეთქმის ავი,  
მაგრამ ჩუმ-ჩუმად ვისთან აღარ უღლაბუცია,  
აედევნება ყველა ყვეყჩს, კოჭლს და ბრუციანს,  
თუ მართლა შენი საცოლეა, მოგვეჭრა თავი.

საქმროზე გეტყვით: არ გინონებთ ასეთ არჩევანს,  
ვილაც ბიჭბუჭებს ამასწინათ, თავის მარაქას,  
შენზე ეყბოდა, სულ სიბილნე ილაპარაკა! –  
გინდაც შერიგდეთ, რალაც ბზარი მაინც დარჩება.

### მ ე გ ე რ ა

ეგ თამაშია! თუ შეუღლდნენ, მე მნახეთ მაშინ!  
ისეთ ხუშტურებს გავუღვიძებ, ნავუნყოფ რიგზე,  
ბედნიერება დლიდან დღემდე ბალამად იქცეს!  
კაციც და ჟამიც დარ-ავდრების არიან ცვლაში.

არვინ სმენილა, ის იკმაროს, რაც ეპყრას ხელთით,  
ამხდარი ნატვრა წამისწამად სხვა ნატვრას აჩენს,  
ნეტარებასაც, განცხრომასაც ვერ ჰგუობთ ნაჩვევს,  
მზეს გაურბით და გაუსაძლის ყინულეთს ელტვით.

სულ ვიცი, როგორ ჩავაყამო ლამაზი დილა,  
ასმოდევს ვუხმობ, დროით ჩაყრის მარცვალს ავბედითს,  
ყველა დანარჩენს მე თვითონვე ავუთავდები,  
ჩავაქვესკნელებ კაცთა მოდგმას წყვილად და წყვილად.

### ც ი ს ი ფ ო ნ ე

მე აქ ენას კი არ ვლესავ,  
შხამს და ხანჯალს ვლესავ მათთვის,  
ვინც საყვარლის ლალატს სჩადის –  
შეეყრება მესამესა.

სიხარულის ყველა ნუთი  
უნდა ექცეს შხამ-სამსალად.  
საცა ვნახავ, დავსჯი ლალატს,  
შენყალბა არ ეკუთვნის.

შური ეგოს? – ვკითხე ექოს,  
კლდეთა შორის ხმათა მძახავს.

შური ეგოს! – გადმომძახა,  
დგას გუგუნი, – შური ეგოს!

### ჰ ე რ ო ლ დ ი

ახლა გთხოვთ ყველას, უკან მიდგეთ, მოდიან სხვები,  
ამოსაცნობი სახიობის მონმენი ვხდებით.  
ქარაგმას ხედავთ, გასალებიც აგერ აქვეა,  
სცადეთ, ამოხსნათ, ვინ ვინ არის, რომელს რა ჰქვია.  
მთა მოტაატებს, ხალიჩებით ჭრელად მორთული,  
თავი გამოჩანს, წყვილი ეშვი, გრძელი ხორთუმი.  
კისერზე ქალი შესჯდომია, ამოდ სასური,  
გზას მოანიშნებს პანანკინა ნკეპლის ცაცუნით.  
სხვა კიდევ მალლით გადმოგვცქერის ღმრთივ-მშვენიერი,  
თვალს ვერ ვუსწორებ, ელვარება დასდის ციერი.  
ორნიც გვერდიგვერდ მოჰყვებიან ჯაჭვთა ჟღარუნით,  
ერთი – ძრწოლვილი და მეორე – პირმხიარული.  
აბა, გვიბრძანეთ თვითეულმა, რა გაქვთ სათქმელი,  
წინ წამოდექით, გაგვიმჟღავნეთ თქვენი საქმენი.

### ფ ი ფ ი

აკვამლებულ ამ ჩირაღდნებს,  
დაჭრელებულ საზარ ნიჩვებს,  
არ გეგონოთ, თავი ვანდე,  
ბორკილები არსად მიშვებს.

გამაშორეთ მაგათ ხარხარს,  
მაგ უამურ ათას ნილაბს,  
ყველა ერთად აიყალყა,  
თქვენს ღამეში შემომჩიხა.

მეგობარიც მტერი გახდა,  
ვიცნობ, რაგინდ სახე მალოს.  
თვალი ვკიდე – ჩუმად გახტა,  
სვეს მიმზადებს სავალალოს.

აქეთ – ხრჩოლვა, იქით – ბნელი!  
ნეტავ ქვეყნის გარე გამსვა!  
ყველა მხრიდან ლალატს ველი,  
არ არსებობს შველა არსად.

### ი მ ე დ ი

სალამს გიძღვნით, დებო, ყველას,  
ვინც გარშემო მიმოღელავს.  
დღეს აქ ნიღბის გიდგათ ჯერი,  
დაჰყევით და ხელი დასხით,  
ნიშანს მაძლევს ყველაფერი,  
ხვალვე გნახავთ ნილაბახსნილთ.  
ამ სალამურ შუქთა ნაცვლად,  
სადაც ჩრდილში მალავთ სახეს,  
გველოდება მზეში გასვლა,  
დღე დაგვხედავს მოჩახჩახე.  
ღელით ღელედ, ველით ველად  
ვიხალისებთ უზრუნველად.  
სანატრელი სტუმრები ვართ,  
ყველგან დავალთ გულნებივრად.  
თქვენც გენვიეთ ამა ღამით,  
გაგიღიმოთ, მოგცეთ ხელი.  
ყველას გვიცდის ჩვენი ჟამი,  
სიხარულად მოსასვლელი!

### ჯ თ ი ე რ ე ბ ა

ის შიშია, ეს – იმედი,  
კაცთა მოდგმის მტრები მწარე.  
სხვა რა მექნა მაგის მეტი –  
ბორკილები გავუყარე.

დავატარებ ცოცხალ კოლოსს,  
ზურგზე კოშკი შემოვადგი,  
ვზომავ ქვეყნის თავს და ბოლოს,  
დღეცისმარე ვიცვლით ადგილს.

კოშკის თავზე ფართო ფრთენი  
გაუშლია ასულს ვისმე,  
მიმობრუნავს შუქთა მფენი,  
იყურება ყველა მხრისკენ.

ნიმბი ადგას – ცის გლორია,  
ოთხსავე კუთხეს ნათელს ავლებს.  
ქაღალდმერტვს ხედავთ, ვიქტორიას,  
სადიადო ღვანლთა მფარველს.

### ზოილოთესისციე

ჰუ-ჰუ, კარგია, ვერ გამასწარიო!  
გადმოგერევიო სიტყვიო მწარ-მწარით!  
ჯერ მაგას უნდა შევეფარფატო,  
თქვენს ვიქტორიას, ამაყ ქალბატონს.  
ფრთა გაუშლია მალლა შემომდგარს,  
მართლა ჰგონია, არწივს შემოჰგავს!  
გარშემო რასაც მიაპყრობს მზერას,  
ხალხიც, ქვეყანაც თავისად სჯერა.  
თუ მოახდინა რამე საქები,  
წავბილწავ ჩემი შელაქლაქებით.  
ზედა და ქვედა, მრუდე და სწორი  
თუ აილუფხა ერთმანეთს შორის,  
მაშინ ვხალისობ თქვენი ყურებით,  
ბედს მხოლოდ მაშინ არ ვემდურები.

### ჰელოლო

მე შენ გიჩვენებ, შე ძალღთაპირო!  
ამ საღვთო კვერთხქვეშ ამიჭრელდები!  
ვერ გაგივიდეს, რაც დააპირო,  
დაგეკრუნჩხება ზურგიც, ფერდებიც!  
თუმცა მაგ საქმეს სხვა პირი უჩანს,  
დამრგვალდა ჩვენი ორსაბა ჯუჯა,  
კვერცხად იქცა და იწყებს გორიალს,

გასკდა და ვხედავ, კვლავაც ორია!  
ორნი გამოძვრნენ იმავნამურად,  
აქეთ – ასპიტი, იქით – ლამურა!  
პირველი გასხლტა, მონახა მტვერი.  
მეორე მიფრენს, მონახა ჭერი.  
კვლავ შეირწყმიან ტყუპად ტყუპები.  
მე მაგათ თამაშს ვერ შევუყვები.

### ჩ ო ჩ ქ ო ლ ი

ასისინდნენ ხმები ნავსად –  
ნეტავ ახლა სხვაგან დამსვა –  
გესმის? გესმის? რალაც ჩქროლავს –  
მოჩვენებამ ჩაიქროლა –  
ყურთან რალაც გაშრიალდა –  
ფეხქვეშ რალაც გასრიალდა –  
ჯერეთ ისევ მრთელეები ვართ –  
ჭირის ოფლით სველები ვართ –  
ჩაგვეშალა ეს სალამო –  
ორსახელა ჯუჯას გამო.

### ჰ ე რ ო ლ დ ი

რაც ჰეროლდად დამანესეს,  
დამაკისრეს ტვირთი ესე,  
ნირუცვლელი ვდგავარ მტკიცედ,  
ლხინს და ზეიმს რიგი მივცე,  
არ აიბნეს გზა და კვალი,  
არ მიაკლდეს წვეთი ხალისს.  
დღეს კი, ვშიშობ, ნახდა რიგი,  
მოჩვენებებს ვხედავ ირგვლივ,  
მთელი სივრცე გადალიბრეს,  
დასი მოფრენს, დასი მიფრენს.  
რა ვქნა, რითი ვისაშველო,  
გამიცუდდი, წესო ძველო,  
ვერც რამე ვთქვი დალაგებით,

ვერც გავხსენი ქარაგმები.  
სად რა თეთრი, სად რა შავი –  
არ მითანხმებს აღარავინ!  
ჩაგკითხავთ და მიპასუხეთ,  
თქვენ იცოდეთ ეგებ უკეთ.  
აგერ ეტლი ოთხი ცხენით –  
რას გვანიშნებს, ამიხსენით!  
შუა ხალხში ისე მოქრის,  
ერთს არავის შეხებია,  
სხივებს მიყრის, სხივებს მოყრის,  
ვარსკვლავს აპნევს შხეფებიანს.  
გეგონება ჯადოსნური  
ფანრებიდან გადმოსული.  
ჩვენკენ მოდის გრგვინვა-ჭექით,  
მოვეცალოთ!

### ყ მ ა წ ვ ი ლ ი მ ე ე ტ ლ ე

აბა, სდექით!  
სდექით, ჩემო ოთხო რაშო,  
მანდეთ ნულარ მითამაშობთ!  
მოიკეცეთ ფრთები ლალი,  
დამორჩილდით ლაგამ-ალვირს.  
დარბაზია გრძნეულ გზაზე!  
შიგაც ხალხი მოდარბაზე!  
გაგვიცეტდნენ მზირველები,  
ვეოც-ვესაკვირველებით.  
ჰეროლდს მართებს სიტყვის გება,  
ვდგავართ ცოცხალ ქარაგმებად.  
რა შემკრთალი მიგვემალე!  
აღვწერე და აგვხსენ მალე!

### ჰ ე რ ო ლ დ ი

სახელს ვერ დაგდებ, ვინ ხარ და რა ხარ,  
აღვწერ, ჩემ თვალწინ როგორიც დგახარ.

ყ მ ა წ ვ ი ლ ი მ ე ე ტ ლ ე  
დაინყე, გისმენთ.

### ჰ ე რ ო ლ დ ი

ვინ თქვას აუგი –  
ხარ თვალტანადი, ხილვად ჩაუქი,  
ყმანვილი, ჯერაც ტანასაყრელი,  
მაგრამ ქალთათვის – ვაჟი ზრდასრული,  
ხვალ-ზეგ მაგათი რისხვაც გახდები,  
შეიქმნებიან შენით ბასრული.

### ყ მ ა წ ვ ი ლ ი მ ე ე ტ ლ ე

სმენას ეამა! გასწი, განაგრძე!  
პასუხსაც ველი გამოცანაზე.

### ჰ ე რ ო ლ დ ი

კულულნი – შავნი ბნელ ღამესავით,  
თვალნი – შავ-შავი ელვის მკვესავი,  
უცხო სამოსი ღობილ ნაკეცებად  
მხრიდან ტერფამდე თრთოლვით ეცემა,  
შემოსირმული პურპურის ქობით.  
ქალურობასაც შეგნამებს ზოგი,  
მაგრამ ქალების რჯანი და სჯანი,  
ვხედავ და ვუსმენ, სხვაა სრულიად:  
სასიყვარულო ანი და ბანი,  
უცებ გასწავლონ, ერთი სული აქვთ.

### ყ მ ა წ ვ ი ლ ი მ ე ე ტ ლ ე

თქვი, ის ვინ არის კვადრიგის ტახტზე,  
აღგვიწერე და, თუ ძალგიძს, ახსენ!

### ჰ ე წ ო ლ დ ი

დიდხელმწიფური ახლავს იერი,  
მბრძანებლური და თან ლმობიერი.  
ნეტავი იმას, ვისზეც გადადის  
მისი მადლი და მისი უხვება.  
დღემუდამ ფხიზლობს ოდენ სხვათათვის,  
თავისი თავი არ ენუხება.

### ყ მ ა წ ვ ი ლ ი მ ე ე ტ ლ ე

კიდევ აღწერე! წვრილმანიც ითქვას!  
ასე მარტივად ნუ მოკვეთ სიტყვას!

### ჰ ე წ ო ლ დ ი

დიდებულებას ვერ აღწერ ენით,  
პირბაკმიანი მთვარეა სავსე.  
ყოველი ნაკვთი თლილი და მშვენი,  
აღმოსავლური დოღბანდი თავზე.  
სამოსი – გრძელი, ძირს დაშვებული,  
რაც სამკაული – ყველა მეფური.  
თითქოს მეცნობა... ჰგავს და არა ჰგავს.  
რა ნილაბია? გახსენ ქარაგმა.

### ყ მ ა წ ვ ი ლ ი მ ე ე ტ ლ ე

პლუტუსი გახლავთ, სიმდიდრის და სიუხვის ღმერთი,  
ის, ვისაც ჩვენი მბრძანებელი უხმობს და ელტვის.

### ჰ ე წ ო ლ დ ი

თავად ვინა ხარ? შენც წარმოდექ, როგორც წესია.

## ყ მ ა წ ვ ი ლ ი მ ე ე ტ ლ ე

მე ვარ, ვინც გასცემს უანგაროდ, ვარ პოეზია.  
სრულყოფას ვაღწევ, უხინჯოს ყოვლად,  
თუ სრულად ვხარჯავ მონაგებ დოვლათს.  
ჩემი სიმდიდრე თვლად ურიცხვია,  
თავი პლუტუსის სწორად მიცვნია.  
მეჯლისებს ვუვსებ შუქით და ღიმით,  
ვუმკობ, რაც თავად აკლია, იმით.

## ჰ ე წ ო ლ დ ი

ვერაფერს ვიტყვი, ქადილი გშვენის,  
მაგრამ თან საქმეც ვიხილოთ შენი.

## ყ მ ა წ ვ ი ლ ი მ ე ე ტ ლ ე

აჰა, შეხედე! თითის ერთი გატკაცუნება  
და ძირს მოცვივა სამკაული უზღვაგ-ულევი!  
(თითს აქეთ-იქით ატკაცუნებს.)  
მოდით, წაიღეთ, ვისაც რისი გქონდეთ გუნება,  
საყურ-ბეჭდები, გულქანდები, სამაჯურები,  
დიადემები, კილიტები – ვინ ხართ მსურველი!  
მივფანტ-მოვფანტე აქეთ-იქით ცოტ-ცოტა ალიც,  
სად აინთება, სად ჩაქრება, შევავლო თვალი.

## ჰ ე წ ო ლ დ ი

უმალ მოჯარდა ხალხი დას-დასად,  
ყველამ რალაცას ხელი დასტაცა.  
ტკაცუნებს თითი, მატულობს ძღვენი,  
როგორც სიზმარში, გადმოდის ცვენით.  
მაგრამ, რაც არი, ყველა ცრუ არი,  
გვაცუნდრუკებენ მაგ სატყუარით.  
მძივს მობოჭავ და ხელში რა გრჩება?  
ქცეულან თვლები ხოჭო-ღრაჭებად,

გაყრი და თავთან იწყებენ ბლუილს.  
ოქროა – ტყუის, ვერცხლია – ტყუის.  
მაჯაზე რალაც სლიპინებს ცივად,  
დიადემები პეპლებად ცვივა.  
რაც მაგ თაღლითმა გვიძღვნა ზინათად,  
ან მწერად იქცა, ან ათინათად.

### ყ მ ა წ ვ ი ლ ი მ ე ე ტ ლ ე

გაქებ, გქონია აღწერის ნიჭი,  
მაგრამ სიღრმეში ჩახედვა გიჭირს.  
თუმცა ეგ ჰეროდეს არ ავალია,  
მზერაც არ უჭრის ეგრე ძალიან.  
თუმცა ურგია მაგაზე დავა,  
მბრძანებელს ვკითხოთ, ვინ ვარ და რა ვარ.

(პლუტუსს.)

ვის აბარია ეგ ეტლი შენი,  
ეს ოთხი მძლავრი, ფრთამალი ცხენი?  
არ იყო მწყობრი მათი ჭენება?  
იქ არ ვჩნდებოდით, საცა გენება?  
ვინ გამშვენებდა პალმის რტოებით,  
შლეგურ სრბოლებზე მონაპოვებით?  
გინახავს ომში ჩემი სიჯაბნე?  
შუბლი დიდებით არ დაგიდაფნე?

### პ ლ უ ტ უ ს ი

გაცხადებულად გემონმები, დე, ყველას ესმას!  
ხარ სული ჩემი სულთაგანი, ჰყოფ ნებას ჩემსას,  
მნიკელი არ გახლავს შობიდანვე არავითარი.  
თუ მდიდარი ვარ, ხარ უფრორე ჩემზე მდიდარი.  
მთელ დიადემებს მირჩენია, ოქროს გვირგვინებს,  
მწვანე რტოები, ის, რომელიც შენით ვირგუნე.  
ისმინეთ სიტყვა ჭეშმარიტი, სიღრმეთა მხედნო:  
აჰა, ძე ჩემი საყვარელი, ვინ-იგი მეთნო!

## ყ მ ა წ ვ ი ლ ი მ ე ე ტ ლ ე

ნახეთ, იხილეთ ძღვენი რჩეული,  
გარს ჩემი ხელით მიმოპნეული.  
ხალხის თავებზე დახტის ასობით  
ცეცხლის მარცვლები, ჩემგან ნასროლი.  
კაციდან კაცზე გადადის მალ-მალ,  
მაგრამ თუ დიდხანს იაროს ალმა!  
გადაიელვებს მცირე ნათებით  
სულ ერთი წამის აფარფატებით.  
უმეტესობა არც კი ანათებს,  
თვალსაც ვერ მოჰკრავ, ქრება მანამდე.

## ქ ა ლ ე ბ ი ს ქ ო თ ქ ო თ ი

ის იქ ვინ არი, ეტლზე შემდგარი! –  
შარლატანს მოჰგავს! – ვიცით შენდარნი! –  
აულერია მასხარა თავი! –  
ნაშიმშილარი! – ძვალი და ტყავი! –  
უ, შე ბებრეკო! – რას ჭამდა ნეტა!  
ნაძლევს ჩამოვალ, თუ იგრძნოს ჩქმეტა!

## ძ ვ ა ლ ც ყ ა ვ ა

აქედან მოწყდი, ქალთა ჯილაგო!  
ის არ ვარ, ჩემზე თავი ილალო!  
ქალი რომ კერას დასცახცახებდა,  
სიძუნნე მერქვა, ავარიტია.  
ბევრის მოღება, ცოტას გაღება,  
ბინად ნუ გიჩანთ, ცუდიც რითია!  
თავზე ვადექი სკივრს და კიდობანს,  
იყო წესი და გექონდა რიდობა.  
დღეს ვილას ახსოვს მომჭირნეობა.  
დაკარგა ქალმა რიდიც, ზნეობაც.  
ნდომა-სურვილი აურაცხელი,  
ათასჯერ მეტი, ვინემ ტალერი,

ვალებს ვერ ასდის ქმარი სანყალი,  
ხვალაც ვახშია მისატანელი.  
თვითონ დიაცი თუ გასწევს გარჯას,  
მოითითისტრებს ცოტ-ცოტას რასმე,  
თავის ჩვრებსა და ნუგბრებში ხარჯავს,  
თავის კუროებს აჭმევს და ასმევს.  
მაგრად დადექით, მამაკაცებო,  
ვიძუნნოთ, გროში გროშზე ვანებოთ!

### წ ი ნ ა მ დ გ ო მ ი ქ ა ლ ი

შენს დრაკონებთან იძუნნე ასე!  
ვიშ, ქვეყნის ბედი ევალალება!  
ტყუის წყეული, გვიმხედრებს კაცებს,  
ვითომცდა გვაკლდეს მათგან წვალება!

### ქ ა ლ ე ბ ი დ ა ს ა დ

ეგ საფრთხობელა! წენეთ და ურტყით!  
ხმელი ჭოკია, ნახეთ, რასა ჰგავს!  
ხე და მუყაო, შეკრული ფურთხით,  
ფრთოსან ცხენებად შემოგვასალა!

### ჰ ე რ ო ლ დ ი

დანყნარდით, თორემ, ამ სკიპტრას ვფიცავ...  
თუმცა დრაკონებს, ზეაყალყულებს,  
რა დაცვა უნდათ ან ვისგან ვიცავ,  
მთელი დარბაზი შიშით აჰყურებს.  
წინ მოინევენ ფრთადაგრაგნილნი,  
ცეცხლს მოაფრქევევენ ოთხივე ხახით.  
მოცარიელდა უცებ ადგილი,  
დაფეთებული მიმორბის ხალხი.

აჰა, პლუტუსიც ტოვებს კვადრივას,  
ოთხივ დრაკონმა თავი დადრიკა,  
სკივრი გადმოაქვთ, ოქროთი სავსე,  
ძვალტყავა ძუნწი ზედ აფოფრია.  
მთელი სურათი თუმცა მწყობრია,  
მწყობრად ამოხსნას ვერ ვიღებ თავზე.

### პ ლ უ ტ უ ს ი . ყმაწვილ შეეტლეს

გათავისუფლებ უმძიმესი მაგ ტვირთისაგან,  
გასწი, ეწიე, მალალ მიზნად რასაც ისახავ.  
არ მემეტები, ბრბოს შეერთო, უბირს, აყვიას,  
დალმეტქილ ნიღბებს, ამ დარბაზში გარს რომ გვარტყია.  
დამკვიდრდი, სადაც სიკეთე და მშვენიერება  
სინათლის ჭავლად მოიღვრება, წმინდა ბგერებად.  
იქ წლიდან წლამდე, უდრტვინველად და უანგაროდ,  
სიმარტოვეში უნდა შეთხზა შენი სამყარო.

### ყ მ ა წ ვ ი ლ ი მ ე ე ტ ლ ე

საცა ვიქნები, ვარ სახელის შენის მხმობელი,  
მშობლად მიცვნიხარ, ახლობელზე ხარ ახლობელი.  
შენი წილია, ყოველადი და სრული რაც არი,  
ჩემი – ჩემგანვე მონაგარი და ნაღვანარი.  
რას რა არჩიონ, აქვთ ყოყმანი ყოველთა მრწემთა,  
სად დადონ გული, ვისთან დადონ, შენთან თუ ჩემთან.  
ვინც შენ გამოგყვეს, უზრუნველმა ქვეყნად იაროს,  
ვინც მე გამომყვეს, შთაგონების მადლს ეზიაროს.  
მშვიდობით იყავ! დაილოცე, ხელდასხმულს მიშვებ!  
დაგჭირდები და, საცა მეტყვი, გაეჩნდები მყისვე.

(იმჯვარადვე მიდის. როგორც მოვიდა.)

## პ ლ უ ტ უ ს ი

ახლა კი განძი მოვიხილოთ, რა გვიდევს ფერხთით.  
მივლენ-მოვლენავ საკლიტურებს ჰეროდის კვერთხით.  
აჰა, გაიხსნა! შხეფებს ისვრის ოქრო მდულარი!  
ბრუნავს სპილენძის დიდ ქვაბებში ჩანაგუბარი!  
დიადემები წელანდელი, თუ ფარლულები  
შიგ თუხთუხებენ, სრულად ჩამდნარ-ჩაკარგულები!

## ჯ ა დ ა ძ ა ხ ი ლ - ჯ ა დ მ ო ძ ა ხ ი ლ ი

დულს და გადმოდულს, მოდენს ღვარ-ღვარად –  
ეს რამოდენა განძი გამღვალა –  
ბზრიალით მოხტის, რაც არ ეტევა –  
მიმოფანტულა ძირს მონეტებად –  
ზრიალებს ხალხი ირგვლივ მოჯრილი –  
წინ დუკატები ახლად მოჭრილი –  
თვალს ვერ ვუსწორებ – ხელები მითრთის –  
დაიხარე და მდიდრდი და მდიდრდი –  
მაგათ ხუმტურზე სადამდე ვივლით,  
თავს დაეუაროთ, ნავტაცოთ სკივრი!

## პ ე რ ო ლ დ ი

საით, შტერებო, მანდ სად მიძვრებით!  
უკან გადაექით, ეშმაკის კერძნო!  
გარეტებულხართ ოქროს სიზმრებით,  
საკარნავალო ხუმრობებს ვერ ცნობთ!  
მაშ! სულ ბაჯალლო ოქრო ამოდის,  
თქვენ რომ გამდიდრდეთ ამ სალამოთი!  
მხოლოდ ფოლგები მოგიხვეტიათ,  
თითბრის ჟეტონიც თქვენთვის მეტია!  
გენამდვილებათ ლანდად ჩენილი,  
ორივე ხელით ხართ ჩაფრენილი.  
მანდ რომ ყუდიხარ პლუტუსის სახით,  
რალას უყურებ, გაფანტე ხალხი!

### პ ლ უ ტ უ ს ი

შენი ხელჯოხი მათხოვე მაშინ,  
მეტიც არ მინდა, გავრეკავ წამში.  
ელვარე ნაკადს შევახე წვერით,  
აბა, ნიღბებო, მიფრთხილდით ახლა!  
გარს ნაპერწკლების მოცვივა ჩქერი!  
დაგწვავთ! სათქვენოდ შევმართე მალლა!  
ცხელი შხეფები მოგწვდებათ მყისვე.  
გასწით! ადგილის მონიშვნას ვინყებ.

### წ ი ვ ი ლ - კ ი ვ ი ლ ი

ცეცხლი მესხურა! – გვკლავენ, დავინვით! –  
შეჩერდით, ხალხო! – უკან დაინით! –  
აღმოდებული ტრიალებს კვერთხი! –  
ნელა! რას სჩადით! დაინით-მეთქი! –  
სახეში ცხელი შხეფები მანვიმს! –  
მხარზე მომედო, გავთავდი კაცი! –  
ახლა გვჭირდება ფრთები საფრენი! –  
სხვა ველარ გვიხსნის ველარაფერი! –

### პ ლ უ ტ უ ს ი

ხალხი კივილით გარბის მწარ-მწარით,  
არადა, ვერვინ ვნახე დამწვარი.  
მაინც ჯობია, მოვთოკოთ ალი,  
გარს უჩინარი მოვავლოთ რკალი.

### ჰ ე რ ი ლ დ ი

ძალისხმევისაც გცოდნია ყადრი.  
შენს ძლიერებას – ქება და მადლი!

## პ ლ უ ც უ ს ი

კვლავაც ზოგი რამ გვიცდის სათმენი,  
არ მორჩენილა ჯერ ეგ საქმენი.

## ძ უ ნ წ ი

ჰე-ჰე, ჩაყურდი, ხალხო ხმიერო?  
ის დროა, მშვიდად გათვალეერო.  
ნინ – დიაცები, თვალთა მფახველი,  
რამე არ დარჩეთ დაუნახველი!  
არ მომდებია ჯერ ისე ჟანგი,  
დიაცს ვერ ვუთხრა სიტყვა საფერი,  
უნდა თამამად გამოვდო ჭანგი,  
დღეს მუქთად არის აქ ყველაფერი.  
თუმცა, გარს როცა ხალხია დიდი,  
სიტყვა ყურამდე უსწოროდ მიდის.  
ამიტომ მათთვის სათქმელი რაც მაქვს,  
ჯობს, პანტომიმის ენაზე წარვთქვა.  
თუ ხელ-ფეხისაც ვერ გაჭრის ქნევა,  
სხვა საეშმაკო სარჯელში შევალ,  
ოქროსგან, როგორც სველი თიხისგან,  
ისეთებს მოვზელ, ნულარ იკითხავთ!

## ჰ ე რ ო ლ დ ი

ნეტავ რას ლამობს ეგ დამთხვეული?  
კიდევ რომ ხუმრობს ჩონჩხად ქცეული!  
ოქროებს ინვდის, ზელს მთელი ეშხით,  
რბილი ცომივით მოჰყვება ხელში.  
რას ძერწავს ამას! შეხედეთ უშვერს!  
ქალებთან მიაქვს, ახლოდან უშვერს!  
ნივილ-კივილი შეუდგათ ქალებს,  
მირბი-მორბიან, გაასწრონ მალე.  
ო, ეს უხამსი! ლირნების მთესი!  
სულ აგვირია რიგი და წესი.

ტკბება წყეული! სეირობს მაგით!  
ხარობს, ზნეობას რაც უფრო ბლაღავს.  
ეგ ჩემი კვერთხი მომეცი აქეთ,  
უნდა მის ზურგზე მოვსინჯო ძალა.

### პ ლ უ ც უ ს ი

შეეშვი, მაგან ჯერ არ იცის, რა შიში გველის!  
იყოს, იბრიყვოს! მალე ვნახავთ, მოსწყდება წელი.  
ყველა დაცხრება, თავის ტყავში ვინც არ ეტია,  
ნესი ნესია, მაგრამ ძალა გარდამეტია!

### პ ე რ ო ლ დ ი

ტყე-ველებიდან მოდის ლაშქარი,  
ერთად ირევა ჯგრო ათასგვარი.  
მათი მუფუე დიდი პანია,  
თან ზარ-ზეიმით მოუყვანიათ.  
ცარიელ წრეში შემოვლენ ახლავ.  
რაც მათ იციან, არ იცის ხალხმა.

### პ ლ უ ც უ ს ი

ვიციტ, ვინც არის ეგ თქვენი პანი,  
და ისიც, სხვებმა რაც არ იციან!  
მედგრად დალახეს კლდენი და მთანი,  
წრესაც გავუხსნი, გზა მიმიცია.  
ქმნან სასწაული, ევლოთ კეთილად,  
მაგრამ რა უნდათ, სად იჩქარიან,  
ამ ჩვენს მხარეში რისთვის არიან,  
ერთიც ვერ გეტყვის გადაწყვეტილად.

## მ ჭ ა ხ ე ს ი მ ლ ე რ ა

თქვენ აქ – სალუქნი და დამწყაზრულნი,  
ეგენი – ტლანქნი, შმაგად დაძრულნი,  
მოდინ ხტუნვით და თოხარიკით,  
სხვა სიმღერებით, როკვით სხვარიგით.

## ფ ა ვ ნ ე ბ ი

ფავნები ვართ, გვირგვინებად  
გვშვენის მუხის ტოტები,  
მოცცეკვაობთ წყება-წყება,  
მოვალთ, მოვიბლოტებით.  
თმები აბურდული, ყურები ნანვეტილი,  
ფართო სახეები, ცხვირები ჩაჭყლეთილი.  
მაგრამ არ გვწუნობენ მაგისტვის ქალები,  
არც გვეკრძალებიან, არც ჩვენ ვეკრძალებით.  
ვისაც საცეკვაოდ ჩავკიდეთ ხელი,  
არვინ შეგვხვედრია უარის მთქმელი.

## ს ა ტ ი რ ო ს ი

კვალზე ხედავთ ვისაო,  
სატიროსი ხტისაო,  
ფეხები აქვს თხისაო,  
წვრილები და ჩქარები,  
კლდეზე მოსახმარები.  
იქ, კლდეებს შორის მსუბუქად სუნთქავს  
დანაფებული მთის ჰაერს სუფთას.  
აქ, დაბლა ყოფნა არ უჩანს არად,  
დასცინის ყველას, რომელნიც ბარად  
მტვერში და ბულში იხუთებიან,  
მისი სავანე მხოლოდ მთებია.

## ჯ ნ ო მ ე ბ ი

გოჯისტოლანი მოვალთ, მოვლელავთ,  
ჯარ-ჯარად, მაგრამ დაუნყობელად.  
ხავსის სამოსით და სანათებით  
მალაროსაკენ მივემართებით.  
ცალ-ცალკე ვიღვწით ერთად მყოფელნი,  
ვფუთფუთებთ, როგორც მანათობელი  
ჭიანჭველები, აშლილი რიგით,  
რომელნი აქეთ, რომელნი იქით.  
ვართ მინრიელი კეთილი სულნი,  
მთის დასტაქრებად ძველთაგან თქმულნი.  
ნადავლი ჩვენი მთათა სისხლია,  
მიწის ძარღვები გადაგვიხსნია.  
ჩავალთ-ამოვალთ, ვახვავებთ მადანს,  
ყოველი კაცი გზად ლოცვას გვატანს.  
კეთილი ხალხის ვართ მეგობრები,  
ვარიგებთ ოქროს, ბნელში მოკრებილს.  
მაგრამ, ბოროტად, არცთუ ცოტანი,  
ხმარობენ მადანს ჩვენგან მოტანილს.  
აბორგებულნი მძლავრობის ჟინით  
სასაკლაოებს აწყობენ რკინით.  
ის, ვინც გადავა მცნებასა სამსა,  
სხვასაც გადავა სამისვე მსგავსად.  
მაგრამ მანდ ბრალი არა დევს ჩვენი.  
თქვენც ჩვენებურად შეხედეთ თმენით.

## ბ უ მ ბ ე რ ა ზ ე ბ ი

ვართ ტყისკაცებად ხალხში ხმობილნი,  
ვართ ჰარცის მთებში ოდით ცნობილნი.  
მკვრივი, შიშველი, მძლავრი სხეული,  
ფოთლის არდაგი – ნელთ მოხვეული.  
ტანი, რა ტანი! ჯანი, რა ჯანი!  
ცალ ხელში თითო მსხვილი ჭადარი!  
თვით რომის პაპსაც მცველ-დარაჯანი  
არ ეყოლება ჩვენი სადარი.

ნ ი მ ფ ე ბ ი . გარს შემოერტყმიან დიდ პანს

შეხედეთ, ნახეთ  
ვინ მოდის, სცანით,  
რა ნილაბ-სახით  
დგას დიდი პანი!  
გარს შემოერტყით ცეკვა-როკვებით,  
სიმხიარულით დაუოკებით!  
თვითონ თამაშებს არ ეშურება,  
სხვათა გართობის უყვარს ყურება.  
ძილფხიზლობს, სანამ ზეცა ლურჯია,  
მაგრამ როდესაც დღე აღმურშია,  
წყაროს ლიკლიკით, ღელის ხმიანით,  
სიოს ლამუნით ალერსიანით  
ძილისკენ მიდრეკს შუადღე დიდი,  
ტოტზე ფოთოლიც არ იძვრის რიდით,  
მხოლოდ სურნელი სწვდება მფშვინარი,  
ბალზამური და დამაძინარი.  
ნიმფაც ვერ ბედავს თამაშს და სიცილს,  
იქვე, მდელიოზე, იძინებს ისიც.  
მაგრამ უეცრად ძახილი პანის,  
წყალთა რღვნისა თუ ქუხილის მგვანი,  
მოულოდნელად ედება მთა-ველს,  
ვისაც მისწვდება, შიშისგან გალევს.  
მხნეობას კარგავს გმირიც, ლაჩარიც,  
დაფეთებული გარბის ლაშქარი.  
შევამკოთ, ვისიც გემართებს შემკობა,  
საუფლო მისი ნუ დაემხობა!

გ ნ ო მ ე ბ ი ს დ ე პ უ ტ ა ც ი ა . დიდი პანის წინაშე

მინას მივთხრით, კლდეებს ვარღვევთ  
ოქროს მადნის მოსაკრებლად,  
დატოტვილ და სავსე ძარღვებს  
გვაგნებინებს ჯადო-ნკეპლა.

ბნელში გვიდევს ბინა მქისი,  
ტროგლოგიტურ სახლთა დარი,  
რომ ხალხისთვის დღისით-მზისით,  
მეტი გასცე საბოძვარი.

ვრცელ საბადოს მივაგენით,  
ოქრო-ვერცხლის ისეთ მარაგს,  
ზღვადაც იდგეს ვალი შენი,  
ათასმაგად გადაფარავს.

მეოხ გვექმენ, მაგას გვედრით,  
გემსახუროთ, დაგვრთე ნება,  
განძი, შენთან მონახვედრი,  
მთელ ქვეყანას ნაადგება.

### პ ლ უ ტ უ ს ი . ჰეროლდს

ახლა გავმაგრდეთ, რაც მოხდება, გავუძლოთ უნდა,  
ძნელბედობაში უტეხ ნებას იჩენდი მუდამ.  
მოხდება რალაც საზარელი, რაც ოდენ ქმნილა,  
ვერ დაიჯერებს, ვინც არ ნახავს თავისი თვალით.  
უნდა პირნათლად მოიხადო ჰეროლდის ვალი,  
მაგ შენს ნუსხაში ყველაფერი აღწერო წვრილად.

### პ ე რ ო ლ დ ი . კეჩთხს წაუტანება. რომელიც ფერ ისევ პლუტუსს უპყრია

იქ, სადაც ცეცხლი ღვარად გადმოდის,  
დგას დიდი პანი ჯუჯა საძმოთი.  
ამოვარდება უეცრად ალი,  
ჩაიგრაგნება სიღრმეში მალივ.

ჩასცქერის პანი უფსკრულის ხახას,  
სანახავს ამგვარს როდისლა ნახავს –  
ოქროცურვილი დინება სწრაფი!

მარგალიტები, ქაფი და ქაფი!  
ისე გაერთო ქვაბების ცქერით,  
შიგ ჩაუვარდა მიკრული წვერი.  
დგას პირახდილი, სახემჩინარი,  
კარგად შეხედეთ! გეცნოთ, ვინ არი?  
ხელებს იფარებს, დამალა პირი,  
მაგრამ ახალი შეემთხვა ჭირი,  
დაბრუნდა წვერი ალავარდნილი,  
ყბაზე მონახა ძველი ადგილი.  
ცეცხლი ავლია გვირგვინს და სამოსს,  
მიეჭრა ხალხი, ჩაქრობას ლამობს.  
ბრიალებს ცეცხლი, წრე გაფართოვდა!  
ცუდად თავდება ჩვენი გართობა.  
სტიქიისაგან არ არის შველა,  
რაც ნილაბია, ცეცხლშია ყველა!

ეს რა ხმებია? გესმის თუ არა?  
ბაგიდან ბაგეს გადაუარა.  
ლამევ, წყეულო ან და მარადის,  
კუნაპექტ გულში მაგას მალავდი?  
ხვალვე, დილითვე, გარე და გარე  
გავა ამბავი, სასმენად მწარე.  
ყოველი მხრიდან მოისმის ერთხმად:  
მეფეს უშველეთ, დაფარა ცეცხლმა!  
ნახეთ! შეხედეთ! მეფე ყოფილა!  
ის არის! პანად გამოწყობილა!  
უმალ იფეთქეს ტანზე რტოებმა,  
გაფისულ ქერქებს ვინ აგროვებდა!  
მოდინ თავის დასალუპველად,  
მღერის, ყიჟინებს, შუშპრობს სუყველა!  
ო, სიჭაბუკევე, ნუთუ ვერასდროს  
ვერ დაგაოკებს ზომიერება?  
ო, ხელმწიფებავ, ნუთუ ვერასდროს  
ზღვარს ვერ დაგიდებს გონიერება?

ჩანან ტევრები გადაბუგული,  
მალლა მიინევს ცეცხლი გუგუნით,  
ინვის, ბრიალებს, ხისა რაც არი,  
მალე ყველაფერს დანთქავს ხანძარი!  
ვერსად წავუვალთ სტიქიის რისხვას,  
არავინ არის, ცეცხლისგან გვიხსნას!  
ხვალ ამ დიდებულ სრა-სასახლისგან  
დარჩება მხოლოდ გროვა ნაცრისა.

### პ ლ უ ც უ ს ი

საშველს ვუხმით, კმარა შიში!  
გზა მიტიეთ! გადამიშვით!  
დატრიალდეს საღვთო კვერთხი,  
ლანდებია დასაფერთხი!  
შემოდინდით, ქარნო გრილნო,  
ტყე-ველიდან შემოჭრილნო,  
მოუძებით სავსე ღრუბლებს,  
დელგმის ენით მოსაუბრეს!  
მალტობელო, მალბობელო,  
შემოცურდი, ნისლო სველო!  
დაიცალე, ღრუბლის ცურო,  
დროა, ხანძარს დაეწურო!  
ნუ შედრკებით მნახველები  
ყალბი ცეცხლის გახელებით!  
მათ კი, ავის მზრახველ სულებს,  
ჯადოს ძალა მოარჯულებს.

# სასახლის ბაღნაწი

მზიანი დილა.

კაიზერი, კარისკაცები, ფაუსტი და კიდევ მეფისცოფელი.  
ამდევრად ქრელა-ქრულულების ფარეშე. წესისა და რიფისაშემბრ ჩაცმული.  
ორივეს მუხლი მოუყრია.

ფ ა უ ს ტ ი

გთხოვთ, ხელმწიფეო, მოგვიტევეო ცრუ ცეცხლის ფანტვა.

კ ა ი ზ ე რ ი

პირიქით, მსგავსი გართობისთვის ყოველთვის მზად ვარ.  
პლუტონად ვიქეც, ზედ უფსკრულზე ვიყავ დახრილი,  
გადახსნილიყო ბნელი ლამის და ქვანახშირის  
კლდოვანი სიღრმე, ანათებდნენ ცეცხლის ენები,  
იკლაკნებოდნენ, ამოსრბოდნენ შეუსვენებლივ,  
გარს მეხვეოდნენ, მიინევდნენ გუგუნით მალლა  
და იქ, თავზემთ, იკვრებოდნენ ერთიან თალად.  
იდგა, ქრებოდა, კვლავ ჩნდებოდა ტაძარი მნათი,  
იგივე, მაგრამ კვლავ ახალი, წარუვალ-ცვლადი.  
ვიხილე ცეცხლის სვეტებს შორის ხალხი მრავალი,  
თაყვანსაცემად ტაძარს შიგნით შემომავალი.  
ქვეშევრდომები იყვნენ ჩემი, ვმეფობდი იქაც,  
მრავალათასი სალამანდრის მბრძანებლად ვიქეც.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

დიახ, ეს შენ ხარ, ვისაც მონებს ყველა სტიქია,  
ცეცხლი, ეს უკვე გამოვცადეთ, ფეხქვეშ გიგია.  
წყალიც შენია, არ შეგამთხვევს არაფერ საშიშს,  
გინდაც პირდაპირ გადაეშვი მლეღვარე ზღვაში.  
მარგალიტებით მოფენილი დაგხვდება ფსკერი,  
შენ ირგვლივ მტკიცედ შენივთდება მოძრავი ჩქერი,  
ილივლივებენ გამჭვირვალე წელი ჭავლები,  
ლურჯი და მწვანე, კიდეებზე ძონმონავლები.  
სადაც არ ნახვალ, თან ნაგყვება დარბაზი შენი,  
იგივ კედელნი შენივთულნი, იგივე ბჭენი.  
მოჯარდებიან ურჩხულები მცურავნი ზღვა-ზღვა,  
მაგრამ ვერაინ გადმოსცდება შენივთულ საზღვარს.  
ნახავ, ოქროსფრად შეჯავშნია დრაკონს ფერდები,  
ზვიგენის ხახას მოცინარი ჩააცქერდები.  
ისეთ სიმრავლეს მოიხილავ დასთა და დასთა,  
თვით შენი კარიც ხალხმრავლობით ვერ მივა მასთან.  
ნერეიდები, ატანილნი ცნობისნადილით,  
მოცურდებიან, შენს მახლობლად პოვონ ადგილი.  
რომელნი – ნორჩნი, თევზებივით დაუდგრომელნი,  
დარბაისლურად მოარულნი – რომელ-რომელნი.  
თვითონ თეტიისიც მოაკითხავს სასახლეს უჩვევს,  
მეორე პელევსს გამოუნვდის ხელსა და ტუჩებს,  
ზეაიტაცებს, ოლიმპოზე სამყოფელს მისცემს.

## კ ა ი ზ ე რ ი

ო, არა! დრომდე შენ დაგითმობ ზეგარდმო სივრცეს!  
მაგ ტახტზე ასვლა, მირჩვენია, შევაგვიანო.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მინა ისედაც შენ გეკუთვნის, მეფევ სვიანო.

## კ ა ი ზ ე რ ი

აქეთ რა ქარმა გადმოგაგდო? ბედი მქონია!  
უცებ ჩემს კარზე უცნაური ჩიტი დაფრინდა!  
საიდან გაჩნდი? ათას ერთი ლამის ზღაპრიდან?  
შეჰერაზადა შენ წინაშე მონაგონია.  
მადლით აგავსებ, მოდი ხოლმე მოსაშველებლად,  
როცა დღიური წვრილმანებით გული მეღევა.

## ფ ი ნ ა ტ ა ნ მ ტ ე ბ ე ლ ი . გაჩქარებული შემოდის

აჰა, გეახელ ბედნიერი მახარობელი,  
წინაშე შენსა საკვირველი ამბის მთხრობელი.  
გადახდილია ყველა ვალი, თავნიც და ვახშიც,  
უშფოთველობამ დაივანა სამეფო სახლში.  
ავცდი ჯოჯოხეთს, მივეახლე უამს სანეტაროს!  
ისეთი დღეა, თვით სამოთხეც ვერ დაედაროს.

## მ ხ ე დ ა რ თ მ თ ა ვ ა რ ი

ჯარისკაცებმაც მოითქვეს სული,  
ჩამოურიგდათ ხელფასი სრული.  
მთელი ლაშქარი სიხარულს ახმევს,  
დარი დაუდგათ დუქნებს და კახპებს.

## კ ა ი ზ ე რ ი

რა ფრთაშესხმული შემორბიან, შეხედეთ ერთი!  
შუბლი გახსნიათ, თავისუფლად დაუდით მკერდი.  
მაინც რა დილა გაგვითენდა დღეს ამისთანა?

## ხ ა ზ ი ნ ი ს ტ ა ნ მ ტ ე ბ ე ლ ი

ჯობს, მათვე ჰკითხოთ, ყველაფერი მოდის ვისგანაც.

## ფ ა უ ს ტ ი

ისევ კანცლერმა მოგახსენოთ, წესს ნუ გადავალთ.

### კ ა ნ ც ლ ე რ ი . წინ წამოდგება

ამ სიბერეში რას მოვესწარ! მეცხრე ცადა ვარ!  
აი ფურცელი, ჭირთა ჩვენთა ღვინად მქცეველი,  
ზედაც წარწერა, მეფის სიტყვა დაურღვეველი:

(კითხულობს.)

„ქალაღი ეგე სახელმწიფო ფულად ცხადდება  
და მისი ფასი ათას ოქროს უთანადდება.  
უზრუნველ იქმნას საგანძურით უზღვავე-ულევეით,  
მცოდნე კაცთაგან მინის შიგნით შენაგულებით.  
ხელისმონერით ვადასტურებ, რომ მთელი განძი  
ნაპოვნია და მზეს იხილავს უმოკლეს ხანში“.

### კ ა ი ზ ე რ ი

არა, ეს ვილაც თაღლითია, ქვეყნის მტერია!  
მაგაზე ხელი არასოდეს მომიწერია.  
უნდა სასტიკად დაისაჯოს ეგ სითავხედე!

### ხ ა ზ ი ნ ი ს ტ ა ნ მ ტ ე ბ ე ლ ი

შენი ხელია, მბრძანებელო, კარგად დახედე!  
ეს მაშინ მოხდა, როცა იდექ პანად ჩაცმული  
და გარეშემო ჩვენ ვიყავით შემორაზმული.  
თავად კანცლერმა მოგანოდა, ეყო მხნეობა,  
თქვა: „ამას ითხოვს ჩვენი ხალხის კეთილდღეობა“.  
მერე ოსტატებს გადავეცით, ასლის გადამღებთ,  
მათ კი ნუხელვე ათასსა და ათას ქალაღდზე  
გადაიტანეს და ფურცლები მზად იყო დილით,  
დიდით მცირემდე ყველას ერგო თავისი წილი.

თვითეულ დასტას საკუთრივი დავადეთ ფასი:  
ორმოცდაათი, ოცდაათი, ათი თუ ასი.  
ხარობს, ზეიმობს კაცადკაცი, ერი და ბერი,  
მთელი ქალაქი გამოსულა, ცეკვავს და მღერის.  
დღემდე ასეთი აღტაცების არ ვარ მნახველი!  
მაგ ქალაღებზე წარწერილი შენი სახელი  
ისეთი ბრწყინვით შემოსილა, როგორ ვთქვა უკეთ,  
ანბანის რიგში სხვა ასოებს ზედმეტს ხდის უკვე.

### კ ა ი ზ ე რ ი

და ჩემმა ხალხმა იყაბულა ეს ქალაღები?  
სავინიცობო განძეულით გასანაღები?  
თან მჯერა, მაგრამ სულ ბოლომდეც არ მეჯერება.

### შ ი ნ ა ტ ა ნ მ გ ე ზ ე ლ ი

ფულივით ბრუნავს, მიდი-მოდის შეუჩერებლად.  
თვლიან და ცვლიან, გახსნილია ჯიხურ-დახლები,  
ყველა მაგ ქალაღდს, უმნიშვნელო ტარიფდაკლებით,  
ახურდავებენ ოქროზე თუ ვერცხლსა და რვალზე,  
ყიდულობს ხალხი სანოვაგეს, ტრაქტირებს ავსებს.  
რიგმა და რიგმა დილიდანვე სმა გაახურა,  
სხვებს ერთადერთი რამე ახსოვთ – ჩაცმა-დახურვა.  
ფართალს ყიდიან მეფართლენი, მკერავი კერავს,  
სარდაფებიდან ამოისმის ჯერად და ჯერად –  
„დღეგრძელი იყოს მეფე ჩვენი!“ – ხმა სიხარულის,  
ზედაც კერძების თუხთუხი და ჭურჭლის ჩხარუნი.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

თუ სასეირნოდ ტერასიდან მარტო ჩაივლი,  
ლაშაზებს ნახავ, დამწყაზრულან, როგორც ყვავილნი.  
სახეს უჩრდილავთ ფარშევანგის ფრთათა მარაო,  
თვალს გინაბავენ და ფურცლებიც წარამარაობს.  
ალარ გჭირდება ლაქარღები, გინდი და მინდი,

სასიყვარულოს მიაქვს უსტარს მდიდრული წინდი.  
აღარვის დასთრევს ქისა მძიმე და გაბერილი,  
ყველაფერს იტევს გულის ჯიბე, მომცრო წერილი.  
მღვდლებს სასოებით მიუპყრიათ ლოცვათა წიგნი,  
ჩვენი ფურცლები ჩაუკეცავთ ლოცვანებს შიგნით.  
ჯარისკაცებმაც თავისუფლად გამართეს წელი,  
აღარ არტყიათ სალტეებად ქამრები სქელი.  
შენდობას ვითხოვ, ხელმწიფეო, სიტყვა გამებნა,  
დავახურდავე დიდი საქმე ფუჭ წერილმანებად.

### ფ ა უ ს ტ ი

დამარხულია შენს მინაში განძი უზღვავი,  
თვალ-მარგალიტი, ოქრო-ვერცხლი აღუნუსხავი,  
ვერც ფიქრმა, ყველგან შემღწეველმა, ვერ შეხსნას კარი,  
ვერც წარმოსახვამ ცადაჭრილმა უსწოროს მხარი,  
მხოლოდ ის გონი, ერთადერთი, გაგჭრის, წყვიდადო,  
ზღვარდაუდებელს ვინც ერთხელვე თავი მიანდო.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ლითონზე ბევრად მარჯვე გახლავთ ეს ქალღებები,  
რაცა გაქვს, იცი, გადაცვლებით აღარ წვალღებები.  
არც კბილით გიკვნეტს აღარავინ ჩამოყრილ ხურდებს,  
დათვერ ღვინით და სიყვარულით, რამდენიც გსურდეს.  
ოქრო დაგჭირდა? მეკერმენიც აქვე არიან.  
არ არიან და შენი შემწე ხელში ბარია.  
ამოცვივდება აღმასები, ოქროს თასები,  
ფურცლებსაც უფრო გაგვიმყარებს ეგ საფასენი.  
ვინც დაგვცინოდა, დასაციინი გახდება თავად.  
თუ ხალხი ერთხელ მივაჩვიეთ, წავა და წავა.

### კ ა ი ზ ე რ ი

გაგინევიათ დიდი ღვანლი მთელი ერისთვის,  
დე, ჯილდოც გერგოთ სამსახურის შესაფერისი.

გებარებოდეთ მიწის სიღრმე განუწვლილავად,  
ინოდებოდეთ გაუხსნელი განძის მხილავად.  
მცირე ალაგიც არსად დაგრჩეთ დაუზვერავი,  
თქვენს უკითხავად ვერ გაბედოს მოთხრა ვერავინ.  
მას კი, ხილულად ვინც განაგებს ხაზინას ჩემსას.  
შეუხმატკბილდით, გესმათ მისი, მას თქვენი ესმას.  
ძმურად იღვანეთ, შეაჯერეთ მიწის შრეები,  
ზედაპირსაც და ქვედაპირსაც ერთად შეებით.

### ხ ა ზ ი ნ ი ს   გ ა ნ მ ტ ე ბ ე ლ ი

რახან გვებრძანა, შევეწყობი შეუბრკოლებლად,  
კიდევაც მომწონს, ჯადოქარი მყავდეს კოლეგად.

### კ ა ი ზ ე რ ი

ახლა კი მნებავს დასაჩუქრდეთ მაგ განძით ყველა,  
ოლონდ რომელი რას მოახმართ, მითხარით წრფელად.

### პ ა ყ ი .   ა რ თ მ ე ვ ს

ისეთს მოვილხენ, ზრუნვა-ნაღველს რომ არ გაირევს.

### მ ე ო რ ე .   ა რ თ მ ე ვ ს

სატრფოს ვუყიდი სამკაულებს ნაირ-ნაირებს.

### კ ა მ ე რ ჰ ე რ ი .   ა რ თ მ ე ვ ს

ათჯერ და ასჯერ გავიმრავლებ ძვირფას სასმელებს.

### მ ე ო რ ე .   ა ს ე ვ ე

დახტის ჯიბეში კამათელი, წამს არ მასვენებს.

ბ ა ნ ე რ ჰ ე რ ი , ჩაფიქრდება

მამულს დავიხსნი, შემეჭამა ვალმა ყოველი.

მ ე ო რ ე , ასევე

იმას შეევამტებ, რაც ძველთაგან მაქვს დაგროვილი.

კ ა ი ზ ე რ ი

გასაგებია, არ სჭირდება დიდი მისნობა,  
ვინც კარგად გიცნობთ, უთქმელადაც გამოიცნობდა.  
მანც მეგონა, ახალ საქმეს გამონახავდით.  
ისევ ისა ხართ მოუხდელი თქვენი სახადით.

მ ა ს ხ ა რ ა , ზემოდის

ჩემზეც მოილე მონყალება, მეც შენი ყმა ვარ.

კ ა ი ზ ე რ ი

გაცოცხლებულხარ? რასაც მოგცემ, სმაშივე წავა.

მ ა ს ხ ა რ ა

არა მესმის რა ჯადოსნური მაგ ფურცლებისა!

კ ა ი ზ ე რ ი

ჰოდა, ჭკუასაც ნუ დაატან, ხარჯე ნებისად.

მ ა ს ხ ა რ ა

მოდის, მოცვივა... სულ ჩემია? ყველა ჩემია?

კ ა ი ზ ე რ ი

მშვიდად აკრიფე, შენდა წილად განმიჩენია.

(ვაღის.)

მ ა ს ხ ა რ ა

კარგად შეგროვდა! ექვსი ათას ოქროზე მეტი!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

შენ ისევ აქ ხარ, ღვინის რუმბო? აღდექი მკვდრეთით?

მ ა ს ხ ა რ ა

ბევრჯერ აღემდგარვარ, ოღონდ ასეთ იღბალზეც არა.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

სიხარულისგან წითლად ღუი, სულ ოფლი გცვარავს!

მ ა ს ხ ა რ ა

მართლა ყადრი აქვს? ფულის ფარდი საჩუქარია?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არ გამოგიღვეს, ყელს და სტომაქს რაც უხარია.

მ ა ს ხ ა რ ა

მამულს მიყიდის? სახნავე-სათესს? ფარას და ნახირს?

მ ე თ ი ს ტ ო თ ე ლ ი

ყველაფერს უცებ გამოვინებ, რამდენიც რა ღირს.

მ ა ს ხ ა რ ა

ქვის სასახლესაც? სანადირო-სათევზაოსაც?

მ ე თ ი ს ტ ო თ ე ლ ი

ნამდვილ ბატონკაცს დაგამგვანებს, დიდს და მზვობარს.

მ ა ს ხ ა რ ა

ჩემს სასახლეში გავიღვიძებ უკვე ხვალ დილით!

(ვადის.)

მ ე თ ი ს ტ ო თ ე ლ ი

არადა, სულელს ეძახიან... ბრძენი ნამდვილი!

# ბნელი ცალანი

ფაუსტი. მეფისტოფელი

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მაგ სიბნელეში საით მიმათრევ,  
გარეთ კვლავ გიმძიმს თავის გაყოფა?  
ხალხის სიჭრელე, მზე და სინათლე?  
შვება-სიცილი, ზმობა-ლალობა?

ფ ა უ ს ტ ი

კარგი, გეყოფა, შეცვალე კილო,  
გაცვთა ეგ შენი ძველი ჯღანები!  
ბანზე ამიგდო სათქმელი, ცდილობ,  
მხოლოდ მაგისტვის მექაქანები.  
არადა, თავი, კარგად იცი, რა ჭირშიც გავყავ,  
სადაც არ ნავალ, მეფის კაცთა მარტყია ალყა.  
ლეღავს ხელმწიფე, მაჩქარებს და არა იცის რა,  
ხილვა სწადია ელენესი და პარისისა.  
ნებავს, სრულქმნილი ქალისა და ვაჟის სახება,  
ლანდად კი არა, ცხადად ნახოს, თვალშესახებად.  
უნდა მიმოდგე, ვუთხარი და ვერ გავტეხ სიტყვას.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ამჩატებულხარ, სახლიკაცო, ზედმეტი გითქვამს.

## ფ ა უ ს ტ ი

ის როგორ იყო, ხელოვნებით საჯადოქროთი  
თავს რომ იქებდი, დაოთხილი მიქრი-მოქროდი?  
სად მიგვიყვანდა, ვერ ხვდებოდი, ის ჯომარდობა?  
გამდიდრებული რას მოგთხოვდა, თუ არ გართობას.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ადვილი საქმე ნუ გგონია – დასტვენ და მოვა!  
გინდაც უკუნში საფეხურებს მისჭრიდე კლდოვანს!  
უგზო მხარეა, ნურც ძალიან გადიდგულდები.  
ელენეს მანდით გამოხმობა ის არ გეგონოს,  
კაცმა ხელდახელ ქალაღების დასტა შეკონოს,  
ვითომ ოქროა, აფარფატოს ფურცლის გულდენი.  
მოჩვენებათა ნახვა გნებავს? ჯადოსან ქალთა?  
ჩიყვიან გნომთა? მიმსახურე, ჯარობას ვმართავ!  
ემმას ტურფები მოგესურვა? დას-დასად არი!  
გმირი ქალების არ გახლავან თუმცა სადარი.

## ფ ა უ ს ტ ი

ისევ ის ჰანგი! ნაყალბევი გმინვა და ოხვრა!  
რასაც არ მოგთხოვ, სამძიმოა და სატაატო!  
უნდა ყველაფერს არნახული ფასი დაადო.  
თითქოს წამშივე არ შეგეძლოს ორივეს მოგვრა.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ეგრეც ნუ იტყვი, წარმართებთან მე ხელი არ მაქვს,  
თავისი ცალკე ჯოჯოხეთი უპყრია წარმართს.  
და მაინც არის ერთი ხერხი... უცხო რამ ჯადო...

## ფ ა უ ს ტ ი

მერედა, რაღას მახვეწნინებ? თუ არის, ვცადოთ!

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

საიდუმლოა დიდზე დიდი... მეც ვეკრძალები.  
მარტოდ სუფევენ მაღალ ტახტზე ის ღმერთქალები,  
სიარაფრეში, დროს და სივრცეს რომ არ ედები.  
მათი სახელია დედები.

## ფ ა უ ს ტ ი

რა თქვი? დედები?  
დედები?

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

შეკრთი?

## ფ ა უ ს ტ ი

რატომ ცეცხლი არ მეკიდება!  
ჩამესმის ძალზე უცნაურად...

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არის კიდევაც.  
თქვენ, მოკვდავებმა, არსებობაც მათი არ იცით,  
ჩვენც ვერიდებით, არ ვახსენებთ დიდი ხალისით.  
რაკი მიზეზი მაგ საქმისა შენ თვითონა ხარ,  
შენვე ნახვალ და მათ სამყოფელს მარტო მონახავ.

## ფ ა უ ს ტ ი

გზა სად ვიპოვო?

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არ არსებობს გზა არაგვარი,  
უგზოზე ივლი, არა მხარეს არ წანაგვარი.  
მოუხილველი ადგილია. მზად ხარ ნახვიდე?  
არსად კარი თუ ცხრაკლიტული გასაღებელი,  
სიმარტოვეა ერთადერთი მეგზურ-მხლებელი,  
ვერაფერს ნახავ ხელმოსაჭიდს თუ შესახიდველს.

## ფ ა უ ს ტ ი

იმ დიაცივით წინაუკმობ, ქაჯის ქალივით!  
კვლავ ცხვირში მეცა კუდიანის სამზარეულო!  
ის ჩემი ჭირიც გამახსენა, ჟამი ჩავლილი,  
სიცარიელეს რომ ვსწავლობდი და ვასწავლიდი!  
ო, სიბრძნის კარო! ზმანებებო შხამგარეულო!  
მეგონა, მართალს ვლალადებდი, მაგრამ ჩემს ლალადს  
ხმით, უფრო მძლავრით, შიგნიდანვე ახშობდა რალაც.  
მერე ის ხმები, ის ჭიდილი მალვე დავტოვე,  
ყრუ ალაგს ჩავჯექ, შევეფარე ჩემს სიმარტოვეს,  
და, როცა მივხვდი, არც ეგ იყო, რაც მე მინდოდა,  
ეშმაკისათვის გადავწყვიტე თავის მინდობა.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ზღვაშიც რომ მოხვდე, არა ჩანდეს ირგვლივ ნაპირი,  
მხოლოდ უსაზღვრო სივრცე იყოს, სხვა არაფერი,  
მაინც ათასი სანახავით სავსეა მზერა,  
ზღვა ადი-ჩადის, მიირწევა ტალლა ტალლაზე,  
დათამაშობენ დელფინები, მზე დაგჩახჩახებს,  
იქ კი, იმ წმინდა არარაში, ვერ ნახავ ვერას,  
თვით საკუთარი ნაბიჯისაც არ გესმის ჩქამი,  
მცირე სიმყარეს ვერ მოიძევ, დაეყრდნო წამით.

## ფ ა უ ს ტ ი

მისტაგოგური ჩმახებია, რასაც მიყვები,  
მხოლოდ ერთგული ნეოფიტის გასაბრიყვები.  
თან განზე დგომას ამჯობინებ! მე მგზავნი მარტოს!  
ალბათ იმისთვის, ჩემი ცოდნა ჩემითვე ვზარდო.  
იგავის კატად გსურს მაქციო, ვიცი, რაც გინდა:  
შემწვარი ნაბლი გამოვზიდო ცხელი ნაცრიდან.  
მაინც მივდივარ, უკუნეთშიც ჭიატებს სხივი,  
შენს არარაში ყოვლის პოვნის იმედი ჭვივის.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

სანამ წასულხარ, ვერ მოვითმენ, არ გითხრა ქებით,  
ემშაკის ზრახვებს წამისწამში ძირამდე სწედები.  
ეს გასაღები თან წაიღე.

## ფ ა უ ს ტ ი

რა პატარაა!

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

შენი საქმისთვის, დამერწმუნე, ცოტაც არაა.

## ფ ა უ ს ტ ი

როგორ უეცრად გაიზარდა, – ბრწყინავს, ანთია!

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჰგავს, უკვე მიხვდი: სულ სხვაგვარი ანდამატია.  
ეს გიმეგზურებს, უკან მიჰყევ დაიმედებით,  
ფსკერზე ჩაგიყვანს, დაგხვდებიან სადაც დედები.

## ფ ა უ ს ც ი

დედები! ისევ ჟრუოლა მომდო და შემარხია!  
ამ ერთ სიტყვაში რამოდენა ძალა მარხია!

## მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი

მაინც კაცი ხარ კაცთაგანი, გზარავს უჩვევი!  
მხოლოდ ნაჩვევს და ჩვეულებრივს არ ეურჩები.  
კაცი ამდენი სასნაულის იყო მნახველი  
და უცებ ერთმა მცირე სიტყვამ დაგცეს ნალველი!

## ფ ა უ ს ც ი

რის მაქნისი ვარ, თუ გავხევდი, გრძნობები გაცვთა!  
ძრწოლის უნარი უკეთესი წილია კაცთა.  
სალვთო ძრწოლისგან შეუძვრელმა, სად რა ვეძიო!  
უკიდევანოს, ზღვარდაუდებს რითლა ვენიო!

## მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი

იქ, იმ მხარეში, სულერთია „ადი“ და „ჩადი“:  
გარს არა ნივთი, საგნიერი არა რამ ხატი,  
არ განირჩევა „წინ“ და „უკან“, „ზევით“ და „ქვევით“.  
ჩრდილები თრთიან, გარდასული და უარსებო,  
მზერას ახშობენ, ღრუბლებივით დიან გარშემო,  
უნდა გარეკო, გასალების გაფანტო ქნევით.

## ფ ა უ ს ც ი . შემაჩუბით

აჰა, ხელთ ვიპყარ და ჩემია მთელი სამყარო!  
არ მეგულება არა პინა, ვერ გადავხარო!

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ბნელში სამფეხა ზედადგარი თუ აელვარდეს,  
მაგით მიხვდები, დასული ხარ ფსკერთა ფსკერამდე.  
მის შუქზე დედებს დაინახავ, დგანან და სხედან,  
ან მიმოდინ – სწორედ ისე, აქ როგორც ხდება.  
სახეთა სახვა – გარდასახვა – შრომა წრიული  
მათი საქმე და შესაქმეა მარადიული!  
და რადგან მხოლოდ არსს უცქერენ, არსებებს არა,  
ვერ შეგამჩნევენ, მაგრამ მაინც დიდია საფრთხე,  
ჯიქურ მიიჭერ, გასაღები შეახე სამფეხს.

ფაუსტი. მხრძანებლური მოძრაობით გასაღებს შემართავს.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჰო, აი ასე! შეახებ და მსახურის დარად  
თან გამოგყვება, დასრულდება მით განსაცდელი,  
სანამ დანაკარგს შეამჩნევენ, კვლავ აქ გაჩნდები.  
შელოცვის გარდა არ დაგრჩება სხვა საფიქრალი,  
დადექ, ბნელთაგან გამოიხმე გმირიც, გმირქალიც!  
მაგიის ძალით შენივთდება საკმევლის კვამლი,  
ამოიზრდება ღვთაებრივი მდედრი და მამრი.

## ფ ა უ ს ტ ი

ახლა კი რა ვქნა?

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

გაემგზავრე მშვიდი გუნებით,  
ჩახვალ-ამოხვალ ფეხის თითო დაბაკუნებით.

(ფაუსტი მიწას ფეხს დაჰკრავს და ჩაეშვება.)

იხმარს გასაღებს? რა იქნება, როგორ იქნება?  
ამობრუნდება? სამუდამოდ იქ დაინთქმება?

## ჯადაჩახჩახებული დარბაზი

კაინური და დიდებულები. მთელ სამეფო კარს დიდი ფორიაქი შესდგომია.

კ ა მ ე რ ჰ ე რ ი . მეფისცოფელს

შფოთავს ხელმწიფე, –  
სულთა სცენა კვლავ გმართებთ ჩვენი.  
ნულარ გავწელავთ, თუ აკეთებთ, დროულად ქმენით.

წ ი ნ ა ტ ა ნ მ ტ ე ბ ე ლ ი

ჯერი არ არის, ვალოდინოთ ხელმწიფე დიდხანს.  
რა ხდება, რატომ არ იწყებთო, მალ-მალე გვკითხავს.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მაგისტვის ჩემი თანამოძმე იღვწის კეთილად,  
მშვიდი ადგილი მოუნახავს, შიგ შეკეტილა.  
იცის ეგ საქმე, გზა და ხერხი ათასმაგი აქვს,  
ზედ შეაკვდება და თავისას მაინც გაიტანს.  
მალალს მოითხოვს ხელოვნებას, ბრძენთა მაგიას,  
მშვენიერების გამოხმობა არარაიდან.

წ ი ნ ა ტ ა ნ მ ტ ე ბ ე ლ ი

ჩვენ შედეგს ვითხოვთ, ხელოვნება ჩვენ არ გვეხება!  
ბევრსაც არ გასტანს, იმედია, ეგ შეფერხება.

## ქ ე რ ა ქ ა ლ ი

ბატონო ჩემო, ერთი წამით მომხედეთ, გვედრით!  
კანი მაქვს ნაზი, დაწმენდილი, თოვლივით თეთრი.  
მაგრამ როგორც კი გაზაფხულის დგება დარები,  
მზე დამხედავს და უმალ ჭორფლით დავიფარები.  
მხრებზე, სახეზე შავ-წითელი მასხას ფორეჯი.  
იქნებ წამალი არსებობდეს მოსაშორები?

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მაშ, მაისიდან ეგ სუფთა და ქათქათა კანი  
ისეთი ხდება, გინდაც შენი პანტერის ტანი?  
უნდა ბაყაყის ქვირითი და გომბეშოს ენა  
სავსემთვარობას მოადულოთ მობლანტო წვენად.  
ტანზე წაისვით, უებარი გახლავთ წამალი,  
თქვენი ჭორფლისგან არ დარჩება არც ნატამალი.

## შ ა ვ ტ ვ რ ე მ ა ნ ი ქ ა ლ ი

მეც, მეც მომხედეთ, სანამ ხალხი შემოგესიათ!  
ამ წინას ფეხი მომეყინა, სიარულს მიშლის,  
ცეკვა-თამაში აღარც მახსოვს, მაქვს ვაი-ვიში,  
რევერანსებსაც ვერ ვაკეთებ, როგორც წესია.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ნება მიბოძეთ, მტკივან ფეხზე ფეხით დაგანვეთ.

## შ ა ვ ტ ვ რ ე მ ა ნ ი

იცით, რას ნიშნავს, ნებას დაგყვეთ ქალი მაგაზე?

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჰე-ჰე-ჰე, ჩემგან დაბიჯება მეტს ნიშნავს კიდევ!  
„მსგავსი – მსგავსითვე!“ – კურნებისას კანონად მიდევს.  
ფეხს ფეხი კურნავს, ყოველ ასოს – ასო სამისო.  
ახლოს მოდექით! გაემზადეთ! უნდა გამიძლოთ!

## ფ ა ვ ტ ვ რ ე მ ა ნ ი , შეპკოვლებს

ვაიმე, მტკივა! ფეხია თუ ფლოქვია ცხენის?!

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

სატკივარს თქვენსას ეგ სჭირდება, კურნება ცხელი!  
ივლით, იცეკვებთ, იხტუნავებთ სალი ფეხებით,  
გნებავთ, სუფრის ქვეშ საყვარელსაც მიეხეხებით.

## ს ხ ვ ა ს ე ფ ე ქ ა ლ ი , ხალხს გამოარღვევს

მომიშვით, ხალხო! ჩამექცევა ბალლამი გულში!  
ვინც სასოებით დაეძებდა ჩემს მზერას გუშინ,  
არც იყურება, ერთი ნახეთ, რა ლაქლაქშია!  
სხვა ქალს გაუბა საუბარი, ზურგი მაქცია!

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ძნელი ამბავი დაგმართიათ, მძიმეზე მძიმე!  
ვფიქრობ, გიშველით: ეს ნახშირი მიბრუნებს იმედს.  
გამომართვით და შეუმჩნეველად წასცხეთ სამოსზე.  
თავმოდრეკილი გეახლებათ ამ სალამოსვე!  
ხოლო ნახშირი გადაყლაპეთ დაუყოვნებლივ,  
ოღონდ მშრალადვე, წყლის და ღვინის დაუყოლებლივ.

## ს ე ფ ე ქ ა ლ ი

ხომ არ მომწამლავს?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . წყნობით

ჩემს ღირსებას პატივი ეცით!  
არ გეკადრებათ, შეურაცხმყოთ ასეთი ეჭვით!  
არა, მაგ ნახშირს სულ სხვაგვარი ჯადო სტანია,  
ერეტიკოსის კოცონიდან მონატანია.

პ ა ყ ი

შეყვარებული ვარ და, – არაო,  
ჯერ რა დროსია, ხარ პატარაო!  
მაქილიკებენ, მაყრიან სიცილს.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . თავისთვის

რომელს ვუსმინო, აღარც კი ვიცი!

(პაყს)

ჩემი რჩევაა, ყმანვილქალებს თავი ანებე,  
მონიფულები მეტი ეშხით გასიამებენ.

(ახლა სხვები მოიწვევენ.)

აღარ ცხრებიან, გამაცეცეს, დამასხეს რეტი!  
სიმართლეს ვეტყვი, აღარ არის საშველი მეტი!  
თუმცა ჯერ არ ღირს, ჯერ იქაურ ამბავს დავუცდი.  
სად ხართ, დედებო, დამიბრუნეთ დროზე ფაუსტი!

(მიმოიხედავს.)

აჰა, იწყება, დაანელეს უკვე სანთლები,  
და ჩვენც ყველანი დარბაზისკენ მივემართებით.  
დაიძრა ხალხი ნება-ნება, ზიმზიმით ნელით,  
სტუმრებს მიელის სარაინდო დარბაზი ვრცელი.  
ფართო კედლებზე – ხალიჩები შეუდარები,  
კუთხის ნიშებში – ჯაჭვ-აბჯრები, ხმლები, ფარები.  
გარშემო სულთა მიღმიერთა ვგრძნობ სიახლოვეს,  
არ დაგჭირდება შორით ხმობა, აქვე სახლობენ.

## საჩაინდო დაჩბპზი

მკრთალი სინათლე.

ხელმწიფე და მისი დიდებულეზი უკვე მობძძანებულან.

### პ ე რ ო ლ დ ი

წინასწარ გამცნოთ სანახავთა წყოზა და რიგი,  
გახლავთ ძველი და საპატიო ჩემი ხელოზა,  
მაგრამ აქ, სულთა მოლოდინში, უქმია იგი,  
ვინ შემითანხმებს მაგათ მოსვლა-მოუსვლელოზას!  
ახალ სანახავს ელის ხალხი მოუთმინარედ,  
მეფეც დაბრძანდა გასაჯრელი კედლის წინარე.  
არა უშლის რა, ხალიჩებზე, თანმიყოლებით,  
თვალი გაართოს გარდასული დიდი ბრძოლებით.  
წინ, სავარძლებში – ამალა და მეფის კაცები,  
უკან და უკან – ხალხი ნაკლებ პატივისაცემი.  
ერთიერთმანეთს მიყუყვიან შეყვარებულნი,  
ჩამომდგარ ბინდში კუთხე-კუნჭულს შეფარებულნი.  
აქა ვართ ყველა, უკვე სულთა ხმოზის დროც არი.  
წინ საქმე გვიცდის – ასე გვამცნეს – გასაოცარი.

(საყვირთა ცემა)

### ა ს ც რ ო ლ ო ჯ ი

ხელმწიფემ დრამის დასაწყეზად გასცა ბრძანეზა.  
აზა, კედლებო, გაიხსენით დაუხანებლად!  
ხალ-ფარდაგები, თითქოს ხანძარს დაუგრავნია,

იკეცებიან და ქრებიან, – ზეობს მაგია.  
ორად გახსნილი უკან-უკან იხევს კედელი,  
ბინდი შეირხა და სიღრმიდან ამოჩნდა სცენა,  
თანდათან შუქმა, იდუმალმა, დაიწყო ჩენა,  
და, აჰა, უკვე სცენაზე ვარ, ყოვლის მჭვრეტელი.

მ ე თ ი ს ც ო თ ე ლ ი . სუფლიორის ნიჟარიდან გამოიქყიტება

საჩემო ადგილს მოვაგენი, ვზი გაყურსული.  
ეშმაკის საქმეც სხვა რა არის, – ყურში ჩურჩული.

(ასტროლოგს)

იმას, ვინც მალლით ვარსკვლავიერ ხმათა მწვდომია,  
ჩემი ბუტბუტის გაგონებაც რა გახდომია!

ა ს ც რ ო ლ ო გ ი

თითქოს ჯადოთი, უეცარი რალაც სხვა ძალით,  
თვალთა წინაშე აღიმართა ძველი ტაძარი.  
ატლასის დარად, ცა რომ ეპყრა ოდესლაც ქედით,  
ბომონის თავანს უთვალავი შესდგმია სვეტი.  
უცქერ და გიკვირს, იმდენია, მთელ გორაკს ასწევს.  
ორიც კმაროდა, შედგმულიყო შენობა მათზე.

ა რ ქ ი ც ე ქ ც ო რ ი

ანტიკა გახლავთ, სილამაზე მაგას არ ჰქვია,  
ძალზე მძიმეა სამაგისოდ, ერთობ ტლანქია.  
მიყვარს ისრული ნაგებობა ზეასხლეტილი,  
ამალლებული, დახვეწილი, ხილვად კეთილი.  
ცისკენ მიმიხმობს ნანვეტილი მისი ზეთავი,  
ეს კი მძიმეა, გაბორჯლლილი, შეუხედავი.

## ა ს ც რ ო ლ ო გ ი

ჰა, ვარსკვლავთაგან ნაუნყები საათი დგება,  
მაგიურ სიტყვას დამორჩილდეს ყოველი ნება,  
რომ უთამამეს ფანტაზიას არ ჰქონდეს ზღვარი!  
ერთად გაილოს გულისა და გონების კარი!  
ხილვა ვიხილოთ უცებ სუნთქვის გასაჩერები,  
შეუძლებელი, ამიტომაც დასაჯერები!

ფაუსტი, შემოდის სცენის მეორე მხრიდან.

## ა ს ც რ ო ლ ო გ ი

კაცი ქურუმად შემოსილი, გვირგვინდადგმული,  
მოდის, ბოლომდე აღასრულოს საქმე აღთქმული.  
უკან სამფეხა ზედადგარი მოსდევს ბრიალით,  
ზედ ნელსურნელი დაგზნებულა ფართო ფიალით!  
ლოცვას აპირებს! საკმეველი შეეხო ყნოსვას!  
კურთხეულ იყოს ხელმეორედ აქ შენი მოსვლა!

## ფ ა უ ს ც ი . ამაღლებულად

იქმნას, დედებო, რაც ვიზრახე, სახელით თქვენით!  
უსაზღვროება გასაზღვრიათ ზენით თუ ქვენით.  
მარტოდ მყოფელნი არასოდეს მარტონი არ ხართ,  
გარდასულ ჟამთა აჩრდილები გარტყიათ ალყად  
და ადგილს უჩინთ ოდინდელი მათი სახებით  
იქ, სადაც ღამის თალებია, დღის ჩარდახები.  
ზოგი ცხოვრების მდინარებას ხელახლა ერთვის,  
ზოგსაც მაგია საგანგებოდ აცოცხლებს ჩვენთვის  
და ჟამით ჟამად ხილვას ვხედავთ სასწაულებრივს:  
კვლავ იმოსავენ ძველ სხეულებს მათი სულები.

## ა ს ტ რ ო ლ ო გ ი

ნახეთ, მის ხელში გასაღები ამოვარვარდა,  
ჭურჭელს შეახო და იმნამსვე კვამლი ავარდა.  
დარბაზს ედება, თვალსანიერს ნელ-ნელა ფარავს,  
ხან მსუბუქდება, ხან მძიმდება ღრუბლების დარად.  
მისი ყოველი მიმოქცევა მუსიკა ხდება.  
იღვრება სულთა ხელოვნება ზეგარდმო ხმებად,  
ყველა ფრიზი თუ კოლონადა ჰანგია მჟღერი,  
ასე მგონია, ერთიანი ტაძარი მღერის.  
კვამლი ძირს განვა, სანახავი ჩნდება ახალი,  
მუსიკის ტაქტზე ვაჟი მოდის თვალთუნახავი.  
დროა, გავჩუმდე, აქ თავდება ჩემი ხელობა.  
პარისი გახლავთ, არც სჭირდება დასახელება.

(შემოდის პარისი.)

## ს ე ფ ე ქ ა ლ ი

სრული მშვენება! სილამაზე ყმანვილკაცური!

## მ ე ო რ ე

სინორჩის ფეთქვა! რძე და ღვინო ერთად ნანური!

## მ ე ს ა მ ე

სავსე და ოდნავ გაბუტული ტკბილი ტუჩები!

## მ ე ო თ ხ ე

შეგეხებოდნენ, რა სიამით გაუყურდები!

## მ ე ს უ თ ე

მოუქნელია, არ დამინყოთ ახლა ცილობა!

## მ ე ე ქ ვ ს ე

კი, ერთადერთი ეგ აკლია, დახვეწილობა.

## ჩ ა ი ნ დ ი

კეთილშობილი მანერების არა სცხია რა,  
მწყემსად გაზრდილი გეგონება, პრინცად კი არა.

## ს ს ვ ა ჩ ა ი ნ დ ი

ნახევრად შიშველს, ადვილია, გქონდეს გრაცია,  
მაშინ გვეჩვენოს, ჯაჭვ-აბჯარი როცა აცვია.

## ს ე ფ ე ქ ა ლ ი

ნახეთ, შეხედეთ, როგორ დაჯდა! რარიგ მოხდენით!

## ჩ ა ი ნ დ ი

ნებას მიგიშვან, ჰგავს, მუხლებზეც აახოხდებით...

## ს ს ვ ა ს ე ფ ე ქ ა ლ ი

რა მომხიბლავად ამოინყო ხელები თავქვეშ!

## კ ა მ ე ჩ ჰ ე ჩ ი

გაუზრდელია! წაძინებას აპირებს აქვე.

ს ე ფ ე ქ ა ლ ი

უნდა კაცებმა ყველაფერში ეძებოთ ავი.

კ ა მ ე რ ჰ ე რ ი

მეფის წინაშე როგორ ბედავს, აიგდოს თავი!

ს ე ფ ე ქ ა ლ ი

სახიობაა, მარტო დარჩა, ასე ჰგონია.

კ ა მ ე რ ჰ ე რ ი

მანც ეგ საქმე ვერაფერი მოსაწონია.

ს ე ფ ე ქ ა ლ ი

ნეტარი ღიმი დასთამაშებს, ედება რული.

კ ა მ ე რ ჰ ე რ ი

კიდევ აფშვინდა, სინამდვილე გვეგონოს სრული.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ქ ა ლ ი , ადტაცებით

საკმეველის გარდა კიდევ მომწვდა სხვა რამ სურნელი,  
საოცრად ნაზი, დაწმენდილი, გულსასურველი.

ხ ნ ი ე რ ი

კი, მეც ვიგრძენი! გეგონება სუნთქვა დილისა!  
დანამდვილებით მისგან მოდის, მაგ ყმანვილისგან.

## კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ხ ნ ი ე რ ი

ზრდამ იცის ასე, ამბროზიას აკმევს სხეული.  
და ეგ საამო სურნელია, გარს დარხეული.

(შემოდის ელენე.)

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ამას აქებდნენ? მომიტევეთ, ვერ ვეცთუნები.  
კი, ლამაზია, მაგრამ არა ჩემი გუნების.

## ა ს ტ რ ო ლ ო გ ი

ორიოდ სიტყვას კიდევ გეტყვით განსამარტებლად:  
სახიობაში ჩემი წვლილი ამით მთავრდება.  
მშვენიერება გამობრწყინდა ნაარაკები.  
ო, ცეცხლოვანი ენა მომცა მისი საქები!  
რეტი დაგესხმის! წაგერთმევა ენა და გრძნობა!  
ნეტავი იმას, ვისაც მისი რგებია ტრფობა!

## ფ ა უ ს ტ ი

ჩემმა მგზავრობამ ძრწოლით მომცველ უგზო მხარეში  
ეს მონაგარი მომიპოვა უნეტარესი.  
ცხოვრება, დღემდე ასე ფუჭი და უფასური,  
პირველად გახდა წარუვალი, მყარი, სასური.  
შენ ხარ ჯადოსნურ იმ სარკეში ნანახი ლანდი,  
ჩემს დღეში მსგავსი არაფერი მინახავს არსად!  
თუმცა შორიდან, მაგიური ნისლიდან, ჩანდი,  
მივხვდი, მე მარტოს მომეველინე ზეგარდმო არსად.  
მომკლან, ვერ დაგთმობ, უშენობა არ შემიძლია,  
ვნებაც, სიშმაგეც, მგზნებარებაც შენთვის მიძღვნია!  
თავი მიძღვნია! სამუდამო სიყვარულს გეტყვი!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

შესდექ! როლიდან გამოდიხარ! შეჩერდი-მეთქი!

ხ ნ ი ე რ ი ს ე ფ ე ქ ა ლ ი

სრული ტანი და უსიამოდ მომცრო თავი აქვს.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ს ე ფ ე ქ ა ლ ი

მსხვილი ტერფებიც ვერაფერი სანახავია.

დ ი პ ლ ო მ ა ტ ი

პრინცესებს ვიცნობ, სწორედ იმათ რიცხვში წერია,  
ეგეც თავიდან ფეხებამდე მშვენიერია.

კ ა რ ი ს კ ა ტ ი

რა ეშმაკურად მოლიმარი მიდის მძინართან!

ს ე ფ ე ქ ა ლ ი

როგორ გახუნდა ვაჟის გვერდით, გაუჩინარდა!

პ ო ე ტ ი

პირიქით, ქალი ასხივოსნებს, მალლიდან დანათს.

ს ე ფ ე ქ ა ლ ი

დახატულს იტყვი! ენდიმიონს და მთვარეს ჰგვანან!

### პ ო ე ტ ი

შედგა, შეყონდა! ყმანვილისკენ, ჩანს, გული უთქვამს!  
გალიმებული დაიხარა, სვამს ვაჟის სუნთქვას,  
კიდევაც კოცნის! ვუყურებ და შურით არა ვარ!

### ჯ ა ღ ი ა

არც კი რცხვენია! ხალხის თვალწინ! დაუფარავად!

### ფ ა უ ს ტ ი

უგვანი ლტოლვა ბავშვისადმი!

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ნუ გაშმაგდები!  
ადროვე ლანდებს, მოთმინება გაგყვეს მაგდენი!

### კ ა წ ი ს კ ა უ ი

იღვიძებს ვაჟი, ფეხაკრეფით შორდება ქალი.

### ს ე ფ ე ქ ა ლ ი

ასეც ვიცოდი: უკან-უკან მიურბის თვალი.

### კ ა წ ი ს კ ა უ ი

კვირვობს ყმანვილი, სასწაულის გახდა მხილველი!

## ს ე ფ ე ქ ა ლ ი

ქალისთვის კიდევ – არაფერი გასაკვირველი!

## კ ა რ ი ს კ ა უ ი

ისევ მობრუნდა მშვიდი სახით, სათნო იერით.

## ს ე ფ ე ქ ა ლ ი

საქმეს შეუდგა! გაკვეთილის მიცემას ჩქარობს!  
ბრიყვია მაგ დროს მამაკაცი, ნორჩიც, ხნიერიც,  
ამასაც ალბათ ეს ჰგონია, – პირველი ვარო.

## რ ა ი ნ დ ი

ნაკლი არა აქვს! ყველა ნაკვთი ჩამოხვეწილი!

## ს ე ფ ე ქ ა ლ ი

ზედ ახატია: წილი გახლდათ ბევრი მენილის.

## პ ა უ ი

ნეტავი, მე მქნა მაგის გვერდით იმ ვაჟის ნაცვლად!

## რ ა ი ნ დ ი

შეძლებს კი ვინმე, მის ბადეში რომ არ გაეზას?

## ს ე ფ ე ქ ა ლ ი

იმდენ ხელშია გამოვლილი, ვარაყი გაცვდა.

## ს ს ვ ა ს ე ფ ე ქ ა ლ ი

კაცებს იცვლიდა ათი წლიდან თქვენი ღვთაება.

## ჩ ა ი ნ დ ი

ვისაც რა სურდეს, სათავისომ უნიოს ჯერმა!  
მე მაგ მშვენიერ ნამუსრევსაც სავსებით ვჯერვარ.

## ს წ ა ვ ლ უ ლ ი

რასაც ვუყურებ, კი, ის არის ცხადად და ნათლად,  
არადა, ეჭვი არ მშორდება, ის არის მართლა?  
ასე მარტივად ვერ ვენდობი ნანახს საკუთარს,  
მხოლოდ ნაწერი მიმაჩნია ნამდვილ საბუთად.  
ტროაში ყველა ბერიკაცი, წიგნიდან ვიცით,  
რაგინდ მხცოვანიც, მოხიბლული ყოფილა მისით.  
არც ნაჭორი ჩანს ეს ამბავი, არც განაბუქი,  
მეც მოვიხიბლე, აღარა ვარ თუმცა ჭაბუკი.

## ა ს ც რ ო ლ ო ზ ი

ბავშვი ეძახე! დევგმირია ძალით და ღონით!  
ხელი დახვია, მოტაცებას უპირებს, მგონი.

## ფ ა უ ს ც ი

შლეგო, თავხედო, როგორ ბედავ! ჩემია ქალი!

## მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი

გონს უხმე! სულთა თამაშია! ნუ ჩაშლი ძალით!

## ა ს ც რ ო ლ ო გ ი

ახლავე ვიცი, სათაურად რა გამოდგება:  
ერქვას „ელენეს მოტაცება“ ამ წარმოდგენას.

## ფ ა უ ს ც ი

რის მოტაცება! არც იფიქროთ! მე ვინ ვარ მაშინ?  
ან რისთვის მინდა ჯადოსნური ეს გასაღები?  
მისი შეწვევით სიმარტოვის ვიარე ზღვაში,  
თავი გავწირე! გავიგენი ვერგასაგნები!  
აქ მიდგას ფეხი! ყველაფერი აქ ნამდვილია!  
სულეთს შევბმივარ, ყველა ზღვარი გადამივლია.  
კვლავაც შევებმი! ვეზიარე ქვეყანას ორმაგს!  
მშვენიერებამ, დღევანდლამდე უცხომ და შორმა,  
მიხმო, მიმილო, განგებისგან მე მომცემია,  
აქაც და იქაც დავიუფლე, ორგზის ჩემია!  
დედებო, ჩემკენ მოაქციეთ! გიხმობთ მშველელად!  
ვინც ნახა იგი და მიიპყრო, ვერ შეეღევა!

## ა ს ც რ ო ლ ო გ ი

შეჩერდი, ფაუსტი! ქალს მიეჭრა, ქრება ხატება...  
ხელში ჩაადნა... ვაჟისაკენ მიემართება...  
უცებ იელვა! გასაღებმა ცეცხლი გაყარა!  
დავიღუპებით! წამი დარჩა! წამიც აღარა!

(აფეთქება. ფაუსტი ძირს ავდია. სულელები ქრებიან.)

## მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი

ჰა, ეს გინდოდა? – ყველაფერი არივ-დარია!  
ეშმაკისთვისაც ბრიყვის დევნა მხოლოდ შარია.

მეორე  
მოქმედება

## მაღალთადიანი ცოცხეუნი ოთახი

ფაუსტის უწინდელი კაბინეტი. უცვლელი სახით.

ფარდის იქიდან შემოდის მეფისცოფელი. როცა წამით ფარდას  
ჯადასწევს და უკან მიიხედავს, გამოჩნდება ძველი, მაშაბაური  
სახოლი. მოშელზეც ფაუსტი წევს.

### მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი

წევხარ, საბრალოვ, მწარედ სწეული,  
ელენეს ტრფობა განწევს ხუნდებად.  
ვერავენ, მისგან გონნართმეული,  
ადვილად ველარ გამობრუნდება.

(მიმოიხედავს.)

კვლავ იგივეა ოთახი ძველი,  
ჰგავს, შენი წასვლა არც გაუგია.  
მხოლოდ ობობებს გაუბამთ ქსელი,  
ჭრელი სარკმლებიც ოდნავ მუქია.  
ჩაშრა მელანი, ქალაღები ჩაყვითლებულა,  
სხვაფრივ ისე დევს ყველაფერი, როგორც დებულა.  
აგერ კალამი, ხელწერილი დაწვერეთ რითიც,  
ის ძველი სისხლიც, მაშინდელი, ზედ მიმხმარია.  
დიდ კოლექციებს დაამშვენებს ასეთი ნივთი,  
ის დროც მოანწევს, ჩაბარდება ანტიკვარიატს.  
ხედავ? კაჩხაზეც მაშინდელი ის ტყავბენვია,  
მაგ ქურქმოსხმულმა წავიხუმრე უბირ ყმანვილთან.

მართლა ეგონა, სახელგანთქმულ სწავლულს ეწვია!  
როგორ მისმენდა დანდობილი! როგორ განზილდა!  
უკვე ჭაბუკი, იმდროინდელ ნალაპარაკევს,  
ვინ იცის, დღესაც ჩაჰკირკიტებს, ახლივ ალაგებს.  
ისევ მოგისხამ, ძველო ქურქო, კვამლისგან თბილო,  
ისევ მოვსინჯოთ ყოვლისმცოდნე სწავლულთა კილო.  
თუმცა ეს კილო თავად ეშმას მონაგონია,  
ხანი გამხდარა, მასთან საქმე აღარ ჰქონია.

(ფერითხავს ქურქს. ვადმოუკვივინა ჭრიჭინები, ხოჭოები,  
წყრილ-წყრილი პეპლები.)

### მ წ ე რ ე ბ ი ს გ უ ნ დ ი

მობრძანდი, პატრონო,  
ვართ შენი მზმობელი,  
იმნამსვე გიცანით,  
მამა ხარ მშობელი.  
შენგანვე ცალდაცალ  
აქ ჩამონათესი,  
გვიხილე, შევქმნილვართ  
ათასჯერ ათასი.  
ქურქშიც არ ფუთფუთებს  
იმდენი მკბენარი,  
რამდენიც მავნეში  
ზრახვანი ქვენანი.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რა ნაყარია! უმტ-უმქარი! ცეკვავს და ლალობს!  
შენ ოლონდ თესე, უცილობლად მოიწევ ნაყოფს.  
ამ ძველ ტყაპუჭში რა ჩრჩილია, რა ტილ-რწყილია!  
ცვივა და ცვივა! რაც არ ვფერთხავ, არ დაილია!  
აიშაღეთ და გაიშაღეთ, თქვე ძვირფასებო,  
მოედეთ ყველა ბნელ სამყოფელს, რაც აქ არსებობს.  
აშარიშურდეს ყველა სკივრი, უქმი ჭურჭელი,

ჩაუამებული პერგამენტის ყველა ფურცელი,  
თავისქალების ამოავსეთ თვალთა ღრმულები,  
ზინთში, წვირეში ჭუპრი ჩასხით ამოულევი!

(ქურქში გამოეხვევა.)

ისევ აქა ხარ, ძველო ქურქო, მე მელოდები!  
მო, კვლავ შემოსე პრინციპალის ურგი ნოდებით!  
მაგრამ თუ ხალხმა ვერ მიხილოს, ვინ მაღიაროს?  
მათ მოსახმობად ჩამოვრეკავ ამ საჟღერიალოს.

(ჯაისპის ზარის მკვეთრი, გამწვიანი ხმა.

ცალანი აწრიალდება და კარს თავისით ფაილება.)

## ფ ა მ უ ლ უ ს ი

ეს რა ზარის გრიალია,  
სახლი მიაქვს რია-რია.  
მოხატული ბროლავს მინა,  
მალლით ელვა დაეწვდინა.  
ძირს ჩამოდის მთელი ჭერი,  
ალაგ – კირი, ალაგ – მტვერი.  
ჯადოქრულმა რალაც ძალამ  
კარიც მოაფარალალა.  
შიგ ახმახი ვილაც ზის და  
ქურქი მოსავს ფაუსტისა.  
შემოდო, ნიშანს მაძლევს,  
ლამის შიშით სული გამძვრეს.  
გამოხსნილო, მითხარ, კარო,  
მივეახლო? გავეპარო?

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

შემოდი, გიცან! ნიკოდემი გქვია სახელად.

ფ ა მ უ ლ უ ს ი

კი, ეგრე მქვია. ხომ არ დავდგეთ ლოცვის სათქმელად?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ეგ არც ახსენო!

ფ ა მ უ ლ უ ს ი

მიხარია, მართლა გცნობივართ.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

კი, სტუდენტი ხარ, შორს წასული ასაკობრივად!  
მოსაწონია, გაქვს სწავლულის ძვირი თვისება,  
ბებერიც სწავლობ, აღარ ძალგაძს უმაგისობა.  
უყვართ სწავლულებს ქვიშისაგან სახლის აგება,  
არადა, რისთვის, ვერ გვიხსნიან მთლად გასაგებად.  
მაგრამ სულ სხვაა ღირსეული მოძღვარი თქვენი,  
დოქტორ ვაგნერზე მოგახსენებთ, კაცია ბრძენი.  
დღეს სწავლულებში ქვეყანაზე არ ჰყავს ბადალი,  
მისი ცოდნისა არ მოჰყვებათ არც ნაათალი.  
სიბრძნეს იმრავლებს დაუცხრობლივ, შეუსვენებლივ,  
ცოდნის მძებნელი ყველა მხრიდან მოსდის მსმენელი.  
მაღალთუმაღლეს კათედრებზე ის ბრწყინავს ერთი,  
ვით წმინდა პეტრეს, კლიტეები უპყრია ხელთით  
და ზესკნელ-ქვესკნელს ისე ალებს, როგორც ინებებს,  
ცოდნას გვიუნჯებს უძიროს და წარუდინებელს.  
ბოლომდე მიჰყავს, რა საქმესაც მოეკიდება,  
გადაამეტა თვით ფაუსტის სახელ-დიდებას...

ფ ა მ უ ლ უ ს ი

ბატონო ჩემო, შემოგბედავთ, გადაჭრით გითხრათ:  
არა, ჩვენს პატრონს მსგავსი რამე არა აქვს ფიქრად.

ფაუსტს ედაროს, თავი ეგრეც არ ეღირსება,  
თავმდაბლობაა განუყრელი მისი თვისება.  
იმ დიდი კაცის უცნაური გაქრობის შემდეგ  
თავს ვერ პოულობს, დაბრუნებას სასოებს დღემდე.  
ოთახიც ისევ ისე დარჩა, მოელის პატრონს.  
არ მახსოვს, კარი გაღებული გვექონოდა სხვა დროს.  
ახლა რა მოხდა? ვარსკვლავური მობრუნდა ჟამი?  
აქ, სადაც დღემდე არ გვსმენია ზედმეტი ჩქამი,  
ზარი დარისხდა, უეცარი გახდა ზანზარი,  
შექანდა კარი, ამოცვივდნენ ურდულ-რაზანი.  
არ შეძრულიყვნენ შიშისაგან მთელი კედლები,  
ვინც გინდა იყავ, შემოღწევას ვერც შენ შეძლებდი.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

თქვენი პატრონი სადღა არის? არა ჩანს ისიც.  
შემიძებ ანდა გამოიხმე, ნახვა მსურს მისი.

### ფ ა მ უ ლ უ ს ი

ვერა, ბატონო! თუ არ მიხმო, ვერ შევალ მასთან,  
ნუ მომაცდენთო, – უმკაცრესი ბრძანება გასცა.  
სიმარტოვეში, თვე გაუხდა, იღვნის მღუმარი,  
არა ძილი და მოსვენება, არა სტუმარი.  
სწავლული კაცი, ფაქიზი და სუფთად მოვლილი,  
მენახშირეს ჰგავს, გამჭვარტლული და გაბოლილი.  
თვალეები ცეცხლის ხშირი ბერვით ჩასწითლებია.  
თუ რამ მუსიკა ეყურება, ქანჩის ხმებია.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

გთხოვთ, მოახსენოთ, ვერსად წავალ მის უნახავად,  
მაგ საქმეებში ჩახედული კაცი გახლავართ.

(ფამულუსი წადის. მეფისცოფელი მძიმე-მძიმედ დაფდება.)

როგორც კი ტახტი ვიპოვე და ამაყად დავჯექი,  
კვლავ მაშინდელი ის სტუმარი დამადგა თავზე!  
სულ სხვა გამხდარა, ახალთაგან ახალთაგანი,  
ზღვარგადასულით, თავგასულით მოდის ქაქანით.

### ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი . ცალანში შემოქანდება

ღია ბჭე და კარი ღია!  
რა დღეა და თარიღია?  
ის, რაც დღემდე მკვდარი ჩანდა,  
გაცოცხლდა და ახმიანდა?  
არ ჩამხრჩვეალა სიდამპლესი?  
ალარ ყროლავს როგორც ლესი?

ეს კედელიც, ის კედელიც,  
წაფერდილა სახლი მთელი.  
ნელა-ნელა იწევს ქვევით.  
ნანგრევებში მოვექცევით!  
დროზე უნდა გავეჩქარო,  
ვინ დამწამებს, მხდალი ხარო!

აქ რას ვეძებ, რისთვის მოველ?  
ან იმ ჯერზე რა ვიპოვე?  
ვიდექ მორცხვი, ახალბედა,  
ვილაც კაცი დაჯდა ყბედად,  
და ის უცხო წვეროსანი  
შეუცდომარ მოძღვრად ვცანი.

დაგაბნევენ არაკებით,  
წიგნთა ძველთა ვარაყებით.  
დაგაყრიან ჯერა-ჯერად,  
რაც თვითონვე არა სჯერათ.  
აგერ ერთი მსგავსი სული,  
ბინდბუნდშია შეყუჟული...

ნახე! ნახე! – კვლავ ის არი!  
ქურქიც იმავე ტყავის არი!  
უმალ მეცნო ეგ სანმისი,  
კაციც მეცნო, სახე მისი.  
ის ჯომარდი სულაც არ ჩანს,  
როგორც მაშინ გაისარჯა.  
აბა, ერთი ახლა ნახოს,  
რას გამომრჩეს სატრაბახოს!

პატივდებულო ბერიკაცო, თუ ლეთის წყლებმა  
არ გაგიმტკნარეს მახსოვრობა მაგ ქაჩალ თავში,  
ის მაშინდელი მოწაფე ვარ, დამფრთხალი ბავშვი,  
აკადემიურს, როგორც ხედავთ, გამოვცდი წკეპლას.  
ზუსტად ისა ხართ, რა სახითაც ოდესლაც გნახეთ,  
მე კი ამჯერად სხვა გახლავართ, ვიცვალე სახე.

### მ ე თ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჩემმა ზარის ხმამ მოგიყვანათ? ვარ მოხარული,  
იმ ნახვაზევე დაგაფასეთ, მახსოვს, ჯეროვნად.  
აკი ჭურჭივე შეიცნობა ნასკვით ფარულით  
ღრაჭის თუ პეპლის სახვალთ ნაირფერობა.  
მიამიტური ქცევა გქონდათ, ბავშვური ნირი,  
ამოქარგული გულისპირი, კულული ხშირი.  
გრძელი კონოლი აღარ გშეენით, წლები წლებია,  
თმა, შვედურ წესზე, შესამჩნევად დაგმოკლებიათ.  
სწავლა, ბატონო! თმამცირობა, ზვაობა დიდი...  
აბსოლუტამდეც ნუ გაუტევთ, შინ დროზე მიდით.

### ბ ა კ ა ლ ა ვ წ ი

მისმინეთ, ღირსო ბერიკაცო, მიიღეთ რჩევად,  
მაგ ორაზროვან საუბრებში კვლავ ნულარ შევალთ.  
იმავე სახლში ვართ, მაგრამ ახლა დრო ახალია,  
აღარც საკბილოდ გამოვდგები ისე ძალიან.  
მაშინ მიამიტ ყმანვილს შეხვდით, მიმნდობს და კეთილს,

რა დაგიშლიდათ – აქილიკეთ, დაასხით რეტი.  
დღეს სცადოს ვინმემ! სამუდამოდ დაკარგავს სურვილს!

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ახალგაზრდობას გინდ სიმართლე უთხარი სრული,  
განათუ სჯერა! უმნიფარი უშფოთავს სული!  
მერე ზოგ რამეს საკუთარით გამოცდის ტყავით  
და ქვეყნის პირველამომჩენი ჰგონია თავი.  
ყველა საცოდნარს, რაც რა არის, მან სტაცა ხელი,  
ხოლო მოძღვარი ვინ უგდია, ბრიყვია ბნელი...

### ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი

უმალ თაღლითი, ვინემ ბრიყვი! რა თავზე იდებს,  
მთელი სიმართლე მოგვახალოს, იცოდეს კიდევ!  
კარგი მოძღვარი ანანევრებს, აკლებს და ავსებს,  
ღიმილს გაურევს, სახალისოდ მიანვდის ბავშვებს.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ვხედავ, სწავლისთვის მიგიძღვნიათ ეს დრო და ხანი,  
ანუ ის ჟამიც მონეულა, განსწავლოთ სხვანი.  
ველარ გცნობთ, ისე შეუცვლიხართ ორ-სამ წელიწადს,  
გამოცდილების პატრონი ხართ, აუნყველისა.

### ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი

გამოცდილება არაფრისგან არაფერია,  
თვალსაწიერის დამხშობია – ბური და ჯანლი.  
ჩვენს გონებაში იმთავითვე რაც არ წერია  
და გარე ცოდნით მოიძევა, ცოდნადაც არ ღირს.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

კი, მაგის ეჭვი მეც მანუხებს დიდი ხანია.  
ვაგლახ, ცხოვრება რა უაზროდ გამიტანია!

## ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი

სავსებით სწორად განგისჯიათ, გეკუთვნით ქება!  
პირველად ვხედავ, ბერიკაცი რალაცას ხვდება.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ღრმად დამარბული საგანძურის პოვნა მენადა,  
მაგრამ რაც რამე გამოვთხარე, მხოლოდ ნახშირი.

ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი . იქვე. ოთახში მდგარი ჩონჩხის თავის ქალაზე  
ათითებს

არა მგონია, იმ ქალაზე უფრო მეტადაც  
ღირდეს ეგ თქვენი ფშუტე თავი, არცთუ თმახშირი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . უწყინარი კილოთი  
მინდა შეგნიშნოთ: უზრდელობა არ ნიშნავს ჭკუას.

## ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი

თავაზიანი გერმანელი ყალბი და ცრუა.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . სავარძელს ავანსცენისკენ მიაჯორებს და  
პარტენს მიმართავს

აქ, მაღლა, სუნთქვას მიკრძალავენ, ცოცხლადვე მჭამენ!  
თქვენთან ჩამოვალ, შემიკედლეთ, მიშველეთ რამე!

## ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი

ჩემი თუ გნებავთ, თავხედობა უფრო ის არი,  
კვლავ რომ ფოლხავენ ბეხრეკები თქვენი ხნისანი.  
სიცოცხლე სისხლის დულილია ახალგაზრდული,  
მასშია კაცის დასაწყისი და დასასრულიც,  
სიცოცხლისგან ხელმეორე სიცოცხლეს სახავს,  
ძველი ქრება და არსებობა ეთმობა ახალს.  
ქვეყნიერების ნახევარი რომ დავიპყარით,  
თვლემდით? ოცნებებს ეძლეოდით? თქვენ სად იყავით!  
სიბერე განა სხვა რა არის, – ცივი ცხელება,  
თხელდება ჭკუა, დრო უაზროდ მიიწელება.  
კაცი ოცდაათს გადამცდარი, ყველა მკვდარია,  
არიან, მაგრამ ამქვეყნადაც აღარ არიან.  
რაც უფრო სწრაფად გავისტუმრებთ, უკეთესია.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

აქ ეშმას სიტყვა უეშმოდაც უკვე თესია...

## ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი

მე თუ არ შევთხზე, არ არსებობს ეშმაკი ისე.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . თავისთვის

გაფრთხილდი, ფეხი არ დაგიდოს, მოიტყებ კისერს.

## ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი

თვით შესაქმესაც სულ სხვაგვარი მივეციო რიგი!  
არ არსებობდა ეს სამყარო, მე შეექმენ იგი.  
მზეს მე მოვუძღვი, ჩემეული ახლავს ნათება,  
მე დავანესე მთვარის გზა და კლება-მატება.  
დღე ჩემით იწყებს გათენებას, ჩემთვის ირთვება,  
ჩემკენ მოლელავს დედამინა მწვანე ზვირთებად.

მე მარტომ დავსხი ვარსკვლავები ცის კამარაზე,  
ლამის წყვილიადი მათი ბრწყინვით გავალამაზე.  
თუ არ მე, აზრი ვინ შესძინა მთელ ამ დროებას?  
ვინ გაგირღვიათ ფილისტერთა ეს ვინროება?  
მოვალ, მოვდივარ შინაგანი შუქით აღვსილი,  
თავისუფალი, გზაგახსნილი, ხუნდებახსნილი.

(გადის.)

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

გასწი, იარე, ჭკუისა გჭირს, რა გაენყობა,  
ერთ სიტყვას გეტყვი, არ განყენდა მაგის შეტყობა:  
ვერ მოიფიქრებ ვერც სიბრიყვეს, ვერც სიჭკვიანეს,  
უკვე ნაფიქრი რომ არ ჰქონდეთ ადამიანებს.  
ყველას და ყოველს დრო აქვს და ვადა,  
ყმანვილკაცურო ჩაცხრები ჟინო,  
რაც უნდა ცეცხლი ეკიდოს ბადაგს,  
დადულდება და იქცევა ღვინოდ.

(მიმართავს ახალგაზრდა მაყურებლებს, რომლებიც ცაშს არ  
უკრავენ.)

რასაც გიამბობთ ეშმა ბებერი,  
არად არ მოგწონთ, დუმილს სჯერდებით.  
მანამ დაგრჩებათ გაუგებელი,  
სანამ თავადაც არ დაბერდებით.

## ლაბორატორია

შუასაუკუნეობრივ წესზე განწყობილი ოთახი. უცნაური ფორმისა და დანიშნულების ხელსაწყოები.

### ვ ა გ ნ ე რ ი

რა ზრიალია! რა რეკვა ატყდა!  
ჩამომჭვარტლული შეძრა კედლები!  
მორჩა, ეს არის, ახდება ნალდად,  
რასაც ველვნი და ვეიმედები.  
ჰა, ჭურჭლის შიგნით აინთო სხივი,  
ნაკვერჩხალს მოჰგავს, ლალისფრად ღვივის.  
მანათობელი მცირე ზოლია,  
შუქიც და ჩრდილიც მიმოჰყოლია.  
ნეტავ არ ჩაქრეს, ბოლომდე ენთოს!  
კარზეა ვილაც... ვინ არის, ღმერთო!

მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი . შემოდის  
მოგესალმებით! მომიყვანა კეთილმა ძალამ.

### ვ ა გ ნ ე რ ი . შემკრთალი

კეთილი იყოს თქვენი ფეხი, მეც გიძღვნით სალამს.  
(ხმადაბლა)  
სიტყვაც და სუნთქვაც შეიოკეთ ორიოდ ნამით,  
დიადი საქმე ახლოვდება, ვარსკვლავთა ჟამი!

## მ ე თ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მაინც რა საქმე?

## ვ ა გ ნ ე რ ი

კაცის შექმნა.

## მ ე თ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მერედა, წყვილი?

ჯერ არ მსმენია ეგ ამბავი უწყვილოდ ქმნილი.

## ვ ა გ ნ ე რ ი

დროა, დავაგდოთ გამრავლების უხამსი წესი,  
ან კაცთა მოდგმა აღარ უნდა ჩავსახოთ სქესით.  
სუსტი წერტილი, ინყებოდა სიცოცხლე რითაც,  
ჯერ შიდა შრეებს იერთებდა, მერე გარეთას,  
ფართოვდებოდა და თავის თავს თვითონვე ქმნიდა,  
მაგრამ ან მორჩა, შეიცვლება დღეს ვითარება,  
რადგან ის, რასაც უწოდებენ ზოგჯერ სიამეს,  
შეჭფერის პირუტყვს, მაგრამ არა ადამიანებს,  
ხოლო თუ კაცი მაღალია სხვა ყველა არსზე,  
არ უნდა ჰგავდეს წარმოშობით არსთაგან არცერთს!

(ქუჩისკენ მიცნიალდება.)

ნახეთ, ინთება! ესე იგი, ბოლო ცდით ჩვენით,  
ასი ათასი ნაზავისგან შემდგარი ხსენით,  
სრული მასალა კომპონირდა, სათხზველი კაცთა,  
კოლბაში ნელა ვერლუტირდა, თანდათან დაწდა  
და კოჰობირდა, არ იმღვრევა სხვა რაიმეთი,  
რაც ნიშნავს, სრული წარმატების გაჩნდა იმედი.

(ქუმრზე დაიხრება.)

სულ უფრო ცხადად ამოძრავდა შეკრული მასა,  
კიდევ ცოტაც და გამოჩნდება სულ ბოლო მიჯნა:  
ბუნების უღრმეს საიდუმლოდ ვსახავდით რასაც,  
დღეს უკვე ცდების საგანია, გონებით ვსინჯავთ.  
ორგანიზების ბუნებრივი ძველი თვისება  
ახალ პროცესად შემობრუნდა, კრისტალიზებად.

### მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი

იგი, ვინც ბევრი იმგზავრა და ბევრი რამ ნახა,  
ვაგლახ, ძნელადლა წაანყდება სანახავს ახალს.  
უთვალავს ვისმე შევხვედრივარ ავლილს თუ ჩავლილს,  
კრისტალიზების მოწმეცა ვარ კაცისა მრავლის.

### ვ ა ჯ ნ ე რ ი

იკვრის, შენივთდა! რაც თვალნათლივ იძლევა ნიშანს,  
წამილა დაგვრჩა, სინჯარაში სიცოცხლე იშვას.  
თავიდან დიდი განზრახვები ბრიყვულნი ჩანან,  
დაგვცინის ხალხი, ასახდენი ახდება სანამ.  
როცა იქნება, კაცის აზრი მეტსაც მიაღწევს,  
გონებას შექმნის ხელოვნურს და უგამჭრიახესს.

(აღტაცებული სახით დასცქერის ჭუმრჭელს.)

ერთი უსმინე, რა წკრიალი ჩადგა მინაში!  
ქრება და ჩნდება მოცახცახე სინათლის წვეთი!  
ციცქნა კაცუნა ჭურჭელშიგნით დგას ჩვენ წინაშე,  
სხვა რა ვინატროთ? რა ინატროს სამყარომ მეტი?  
პატარა, მაგრამ კეთილალნაგი,  
კაციშვილია ყველა წახნაგით.  
კაცის ხმად იქცა მინის ზრიალი,  
სიტყვად მობგერს და შიგ აზრი არი!

ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი . ჭურჭლის შიგნიდან. ვაცნეს

რაო, მამიკო, ქანცი გაგძვრა? ჭირნაჭამი ხარ?  
რალას უყურებ, დამეხარე, გულში ჩამიკარ,  
ოლონდ, იცოდე, ფრთხილად იყავ, არ გატყდეს მინა,  
ჩემი საკანი, ხელოვნურად შექმნილთა ბინა.  
ცა და ქვეყანა სივინროვედ უჩანთ ბუნებრივთ,  
ჩვენ კი დახშულში უნდა ვისხდეთ ხელოვნურები.

(მეფისტოფელს)

აჰ, ეს შენ ხარ, შე თაღლითო? გმადლობ, მოხვედი.  
გმართებს, მომხედო, სახლიკაცად რაკი მომხვედები.  
ეტყობა, ბედმა გადმოგაგდო ჩემს სიახლოვეს,  
ვჩქარობ არდაგის შემოჭერას, ძალთა მოკრებას.  
რახან ვარსებობ, ავმოქმედდე უნდა ახლავე,  
შენ ერთადერთი რამ გეხება – გზის შემოკლება.

### ვ ა ც ნ ე რ ი

გამოგიტყდებით, ჩემი თავის მევე მრცხვენია,  
გადაუჭრელი საკითხები გარს იმდენია.  
თუნდაც ავილოთ სულისა და ხორცის ამბავი:  
ერთმანეთისთვის თუ შეიქმნენ იმ დასაბამით,  
ერთმანეთს რალად შორდებიან, თან ასე ჩქარა?  
ან, რატომ ხდება, ერთმანეთთან ომი აქვთ მარად?

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჯერ ის ამიხსენ, რატომ ხდება, რომ ვერა ძალით  
ვერ რიგდებიან ერთმანეთში კაცი და ქალი...  
თუმცა რას გკითხავ, შენ მაგისა რა გაგეგება.  
ძნელი საქმეა, მაგ პატარამ ახსნას ეგება.

## პ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

მე როგორ ავხსნა?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . გვერდითა კარზე მიანიშნებს  
არ დაზოგო, რაც მოგდევს ნიჭი!

ვ ა გ ნ ე რ ი . ისევ მინის ჭურჭელში იყურება  
ნახეთ, რა ბიჭი გავაჩინე, ცინცხალი ბიჭი!

(გვერდითა კარი გაიღება, გამოჩნდება სანოლზე გამოცდილი  
ფაუსტი.)

## პ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

ხედავთ, რას უჭვრეტს?

(მინის ჭურჭელი ვაგნერის ხელთაგან გასხლტება. ფაუსტს  
დაპბრუნაეს და დაძნათის თავზე.)

სილამაზე აკრავს ხალასი!  
მშვენიერ ქალთა გუნდი მოჩანს წყლისპირს, ჭალაში...  
ტანთ გაუხდიათ... ის ვინ არის? დედოფალია?  
ლმერთებისა თუ ლმერთკაცების მოდგმისად ვცანი.  
ნელა გაშიშვლდა, ბოლო კორდიც ნელა ჩალია,  
მსუბუქე ჭავლებში გაიგრილა მხურვალე ტანი.  
მაგრამ რა ჩქროლვა-შრიალია, რა ქროლვა ჩქარი?  
წყლოვანი სარკე ფრთათაცემის იმსხვრევა ქარით.  
შეშინებული გარბის ყველა. დედოფალს მარტოს  
მოულოდნელი სანახავი არ აკრთობს, ართობს.  
მალე ქალური სიამისაც იგრძნობს სავსებას,  
როცა მის კალთას მეფე-გედი მიეტმანება  
ძალუმი ძალით. ამგვარ საქმეს, ჩანს, ჩვეულია.  
არადა, ვიდრე შმაგი ვნება გადაკვალთავდათ,

ნისლი ჩამოწვა, გადაფარა ტვერი სრულიად,  
და მშვენიერი ეს სურათიც გაქრა თვალთაგან.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ასე პატარა – და მეზღაპრე ასეთი დიდი!  
არც კი გრცხვენია, მოლანდებულს ნანახად ყიდი.  
ვერაფერს ვხედავ მე მაგდაგვარს...

### პ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

სავსებით მჯერა.  
ჩრდილოელი ხარ, დაგხშობია ნისლისგან მზერა.  
მღვდელმსახურების, რაინდობის ხრიოკმა გზარდა,  
სხვას რას ნახავდი ჯანლისა და კლდეების გარდა!

(მიმოიხედავს.)

ჩაუამებული თალ-ფანჯრები ისრული ნყოფით,  
ჩალამებული სივინროვე, ხავსი და ობი...  
გაიღვიძებს და – ისევ ისე ეგ ძველი ფუძე!  
შიში მაქვს, გული გაუსკდება ზაფრისგან უცებ!  
სულ სხვა მხარეში იმყოფება ახლა ზმანებით –  
თეთრი გედები, მობანავე ლამაზმანები...  
ველარ იგუებს, ტყუილია, ამ ყოფას დუხჭირს!  
მეც მიჭირს ჯდომა გამოკეტილ, შემინულ ხუფში.  
შორს, შორს აქედან!

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ბარემ გვითხარ, სად მიგვიძღვები!

### ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

ყველას ის შვენის, ბუნებითად მისი რაც არი!  
მამაც ჯარისკაცს რა შეფერის? ომი ფიცხელი,  
კობტა ქალიშვილს – ცეკვა-როკვა, სიცილ-ტკარცალი.  
ამ მეტრფეს კიდევ, მიმხვდარი ვარ, ვაამებთ რითიც, –  
დღეს კლასიკური ვალპურგობის ღამეა დიდი,  
მივიყვანოთ და შეერთვება თავის სტიქიას.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რაც არ მივლია, ეგ ალლუმი არ გამიგია.

### ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

სად გაიგებდი, რომანტიკულ ლანდებს ედები,  
გძულს კლასიკური სახებანი, ძველი ხედები.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არ მხიბლავს ყოფნა მაგ მხარეში, დაგემონებები.  
მაფრთხობენ ჩემი ელინური ძველი მოძმენი.

### ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

სატანავ, ჩრდილო-დასავლეთის გიყვარს ნაპირი,  
დღეს ოლონდ სამხრეთ-აღმოსავლეთს შევეფარებით,  
პენეიოსის დასწვრივ მიდის გზა პირდაპირი,  
დაღმა და დაღმა, თუ ტევრებით, თუ ბუჩქნარებით.  
გარშემო დიდი მინდვრებია, მთები მაღალი,  
და ფარსალუსი მდებარეობს, ძველიც, ახალიც.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მოვრჩეთ! გამიშვით! არ მჭირდება ის ძველი დავა!  
მონობისა და ტირანიის კვეთება მტრული!  
ჩაცხრება, ისევ დაიგზნება, ზღვა სისხლად წავა,  
არ იქნა, ველარ ამოთავდა, განყალდა გული!  
ექვს ვერ იღებენ, რომ მიზეზი ასმოდევსია,  
ჩუმად დაძვრება, ყველა შუღლი მისგან თესია.  
„თავისუფლება!“ – ალტაცების ისმის ძახილი,  
არადა, მონა მონას ებრძვის ხელში მახვილით.

## ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

ასეა კაცი, სიჯიუტე დაჰყვა ბუნებით.  
ვისაც რა ხერხით შეუძლია, თავს იცავს ყველა.  
ბავშვი ბავშვია, დაკაცდება ნება-უნებლივ...  
მაგრამ შევეშვათ... ჯერ ამ სანყალს ვაღირსოთ შეველა.  
როდემდე გვინდა შევატოვოთ თავის ზმანებებს!  
შეძლებ, უნამლე, ვერ შეძლებ და მე დამანებე.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რამე ჩემებურს ბარე ვცდიდი, ბროკენულს რასამ,  
მაგრამ ის კარი წარმართულმა დამიხშო რაზამ.  
ისე, ბერძნებზე დიდი აზრიც არ დამრჩენია,  
გრძნობადის იქით ვერას ხედავს მათი გენია.  
ხალისიან და ლამაზ ცოდვებს სთავაზობს მსურველთ,  
ჩვენი კი ყოვლად უსახო და ქუფრია თურმე.

## ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

ვინძლო მაგ ცოდვებს ფერხორციანს შენც კი დანებდე!  
გსმენია რამე თესალიელ კუდიანებზე?  
გაიგონებ და უეჭველად დაეხარბები.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . მსუნაფი სახით

ო, თესალიელ კუდიანებს ვეტრფი, ცხადია!  
ოლონდ შორიდან. ახლო მისვლა არც მიქადია.  
გამომიკითხავს შიგადაშიგ მათი ამბები.  
არა მგონია, ღამით ღამე დავრჩე მაგათთან.  
მაინც მოვსინჯავ – ორი-სამი მისვლაც რა გახდა...

### პ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

დროა, დაფინო შენი ძველი წამოსასხამი,  
ჩვენი მიჯნური გამოვხვიოთ, მოყმე სანყალი.  
მაშინდელივით აფრინდებით ჯადო-ჭინჭებით,  
მე გაგინათებთ, სამივენი შორს გავიჭრებით.

### ვ ა ჯ ნ ე რ ი

მერე მე რა ვქნა?

### პ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

რა უნდა ქნა, შენ აქ დარჩები,  
რამდენი რამე გელოდება საქნარ-სარჯელი.  
ნუ აჩქარდები, იყავ დინჯი, იღვანე ნელა,  
შეიცან ყველა „რა“ და „როგორ“, ჩახედე მიზეზს.  
მე კი იქამდე გარე ვივლი სკნელიდან სკნელად,  
მინდა, ნერტილი ჩემი ხელით რომ დავსვა „ი“-ზე.  
შენს მაღალ მიზანს თუ ენევი, გაცლის დროება,  
მაშინ, ო, მაშინ საზღაურიც მაღალი გელის:  
ოქრო, სახელი, წარჩინება, ცხოვრება გრძელი,  
და, იმედია, ცოტა ცოდნაც და სათნოებაც...  
აბა, მშვიდობით!

ვ ა გ ნ ე რ ი . მწუხარედ

გული მიგრძნობს, ნახვალ და ნახვალ.  
მშვიდობით გველოს! აღარასდროს მომიწევს ნახვა.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ვერ ვიზამ, ხათრი არ მივაგო, ჩვენი მისხია,  
პენეიოსზე ჩასვლა სურს და გზა გამიხსნია.

(მაყურებელს)

როგორც იქნება, უნდა ვცადო შეხმატკბილება.  
ასეა ხოლმე: საკუთარი გვმართავს ქმნილება.

# კლასიკური ვალპურგოზის ღამე

## ფარსალიის ველები

სიბნელე.

### ე რ ი ქ თ ო

ჩვენს ამაღამდელ ხილვად საზარელ ზეიმს  
ბნელი ერიქთო წინ მოვუძღვები ისევ,  
ოღონდ ისეთი თვალთამაზრზენიც არ ვარ,  
როგორც ავყიად, სიტყვაჭარბობით უთქვამთ  
უბადრუკ მგოსნებს... აჰა, ბინდბუნდში ვხედავ,  
ნამომართულა რუხი კარვების წყება.  
ისევ ჩამოდგა ის ავბედითი ღამე,  
წლის ყოველ ამ დღეს რომ მეორდება ახლივ.  
ხელმწიფებისთვის ერთურთს შებმიან ორნი,  
აზავთებულან, არც ერთს დათმობა არ სურს.  
ასეა კაცი, თავის არ ძალუძს ფლობა,  
და, გულით გოროზს, ფლობა სწაღია სხვისა...  
აქვე, ჩვენს თვალწინ, მძლავრზე მიიწევს მძლავრი,  
რომ იგივე ბრძოლა გადაიხადონ კვლავაც.  
თავისუფლების ათასფეროვან გვირგვინს  
ფოთოლი სცვივა, ზეობს ხეშეშა დაფნა.  
ზის კეისარი, ბედის სასწორთან ფხიზლობს,  
ძველ გამარჯვებებს ხედავს მაგნუსი სიზმრად,  
თუმცა დღეს უკვე მთელმა ქვეყანამ იცის,  
რომელი მხრისკენ გადაიხრება პინა.

ისევ გიზგიზებს სადარაჯოთა ცეცხლი,  
დაღვრილი სისხლით კვლავ იპოხება მინა,  
ბინდი მკრთალდება და თქმულებები ძველი  
ამოუღეველად მოაქვს ელინურ ღამეს.  
ყოველ კოცონთან ზის ან ფარფატი იძვრის  
ზღაპრული ლანდი, ხილვა გარდასულ დროთა.  
აუვსებელმა, შუქი დაფინა მთვარემ,  
კარვები გაქრნენ, ცისფრად აცეკვდა ალი.

მაგრამ იქ რა ჩანს? ის რა ანათებს მაღლით?  
მრგვალია რალაც, ნელი ციმციმით მოფრენს!  
მინიერია! ციდან მოწყვეტილს არ ჰგავს.  
სუნიც ვიკარი! ცოცხალ არსებად მეცნო!  
ახლა რომ მაგას რამე შეემთხვას ავი,  
მე დამბრალდება, მე ამიკლებენ წყევლით.  
დაბლა ეშვება! ჯობს, გავერიდო უხმოდ.

(ჯადის.  
მაღლიდან გამოჩნდებიან მოფრინალნი.)

### პ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

წრე დავარტყათ ერთხელ კიდევ,  
ენახოთ, ვინაც ბრძანდებიან.  
რასაც ირგვლივ თვალი ვკიდე,  
ამაზრზენი ლანდებია.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ვითომ ჩვენი, ჩრდილოური,  
ნაკლებ ამაზრზინალია!  
უფრო ახლოს მიმოვუვლი,  
რა უნდათ და ვინ არიან.

### ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

ბუმბერაზი ტანის ქალი  
გზაზე გარბის, ვხედავ ლანდად.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჩვენ რომ გვნახა მოფრინალი,  
შიშით გული შეუქანდა.

### ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

ჯერ ამ მიჯნურს უპატრონე,  
მინა იგრძნოს, დადგეს ზეზე,  
სასიცოცხლო მიეც ღონე,  
აპოენინე რასაც ეძებს.

ფ ა უ ს ტ ი . როგორც კი შინას შეეხება

ის, ის სად არის?

### ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

შენი ქალი? ვლამობთ მიგნებას.  
აქ კითხვა-კითხვით კვალს ვიპოვით, როგორც იქნება.  
კოცონებს დაჰყევ, ეგებ შენით შეიტყო რამე,  
დედებთან ნამყოფს ვერ შეგზარავს აჩრდილთა ღამე.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რაკი მეც მინდა მაგ საქმეში წილის ალება,  
გეტყვით, ყველაზე უკეთესად რაც მესახება.  
ჯობს, საძებნელად თუ ცალ-ცალკე გავემართებით,  
ჩვენ-ჩვენი ვცადოთ, ვისარგებლოთ ამ მყუდროებით.  
შენ კი, პატარავ, მონკრიალე შენი ნათებით  
მოგვანახვინე ერთმანეთი. აბა, დროებით!

## ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

ბრწყინვა-ნკრიალი უნდა შევექმნა დაუზოგველი!

(მინა ძლიერად განათდება და აწყრილდება.)

სასწაულებრივ სანახავთა ხილვა მოგველის.

## ფ ა უ ს ც ი . მარტო

გიხმობ, სადა ხარ? მაგრამ არა, ეგ ცოტა მერე...  
ვიცი, ამ წყალთან, ამ ფლატეზეც, იდექი ერთხელ,  
შენკენ დიოდნენ ეს ტალღები, ფეხებთან გერთხნენ,  
და ეს ჰაერიც აქ არხევდა შენეულ ბგერებს,  
დიდებულ ბგერებს მშობლიური შენი ენისას.  
საბერძნეთია! რაწამს ავდექ, უმალ მენიშნა.  
უმალ ვიგრძენი ძველი მინა, მადლით მოსილი,  
ახალი ძალით ავესებულვარ ანტიკოსივით.  
დავყვეთ კოცონთა ამ ლაბირინთს დაუყოვნებლივ!  
მშვენიერების ხელახალი გავხდეთ მპოვნელი!

## პენიოსის ზედანელზე

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . ყნოსავს იქაურობას

როცა ღამეში ამ კოცონებს ჩამოვყევ რიგზე,  
აქაურობის სიუცხოვე ბოლომდე ვიგრძენ.  
ეს სფინქსები თუ ეს გრიფები, რაც რამდენია,  
შიშველ-ტიტვლები გამომსხდარან, არცა რცხვენიათ!  
ვის ბუმბული აქვს, ვის ბალანი, ვის ფაფარა თმა,  
მაგრამ რად გინდა, წინ და უკან არა ფარავთ რა.  
თუმცა თავადაც მრუშებასთან არ ვართ მდურებით,  
ასე ბოლომდეც ვერ გავხდებით ანტიკურები.  
რაც საოხრეა, სამოსშიგნით უნდა მოთავსდეს,  
ყველაფერს სჯობდა, მორთულიყვენ ახალ მოდაზე.  
რაო, გრიფებო? დგახართ ნისკარტმემართულები...

ჯ რ ი ფ ე ბ ი . ყიპყიპით

იარალია, თუმცა გვიშლის კაცურ ლაპარაკს.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ვინა ხართ, განძის მცველები თუ ყაჩაღ-თულები?  
ერთგულებთ ვინმეს?

ჯ რ ი ფ ე ბ ი

განძეული ვინც ჩაგვაბარა.

მაგრამ თან, სწორად გამოიცან, გვიყვარს ტაცებაც,  
მაგ წესზე ვცხოვრობთ, თავი მაგით გვემამაცება.  
უმალ ვაცხრებით, მოედება რასაც კი ბრჭყალი,  
ოქრო იქნება, გვირგვინი თუ ლამაზი ქალი.  
მოკლედ, ვიტაცებთ, საზეიმოდ რა-რაც მორთულა,  
აკი მტაცებლებს გამორჩევით სწყალობს ფორტუნა.

### გ ი გ ა ნ ტ უ რ ი ჭ ი ა ნ ჭ ე ე ლ ე ბ ი

ოქრო ახსენეთ... ერთ დროს, ვაგლახ, გვექონდა ულევნი,  
ოქროთი გვევსო კლდის გულები თუ ქვაბულები,  
არიმასპებმა მოგვტაცეს და სადღაც ჩაკარგეს,  
ახლა დგანან და იცინიან ნაყაჩაღარზე.

### ტ რ ი ფ ე ბ ი

უნდა ვანანოთ!

### ა რ ი მ ა ს პ ე ბ ი

არა, ოღონდ ამაღამ არა,  
ჯერ დრო მოგვეცით, ჩავათავოთ ზეიმი წყნარად.  
ხვალ დილისათვის მთელ ნაქურდალს თუ ნაყაჩაღარს,  
მცირედი კვალიც ვერვინ ნახოს, ისე დავხარჯავთ.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . სფინქსებს შოჩის დაფდება

აქაურობას ცოტა-ცოტა კიდევ ვეჩვევი,  
ვხედავ, ბოლომდე არ მართლდება ჩემი ეჭვები.

### ს ფ ი ნ ქ ს ი

ჩვენი საქმეა აზრების ხმევა.  
თქვენი საქმეა სიტყვებად ქცევა.  
სახელი გვითხარ, გვინდა გაგეცნოთ.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ბევრ სახელს მდებენ, უძვირფასესნო.  
აქ ბრიტანელნი არ გწვევიათ? უყვართ ნანწალი,  
ნახონ კლდეები, ჩანჩქერები, ბრძოლის ველები,  
კლასიკურ უამთა ნასახლარი თუ ნატაძრალი,  
ყველგან რალაცას დაეძებენ შეუსვენებლივ.  
აქაც შეძლებენ, ღირსეული პოვონ მიზანი,  
ვთქვათ, კედელ-ყურე მოიარონ ამ დრამისანი,  
თან ჭორი-ჭური გამივრცელონ აქეთ-იქითი,  
ძველ პიესებში ვარ მაგათთვის old iniquity.

## ს ფ ი ნ ქ ს ი

ასე შეგარქვეს? მაინც რატომ?

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

აბა, რა ვიცი.

## ს ფ ი ნ ქ ს ი

მნათობებს თუ ცნობ?  
ყველა მათგანს დრო აქვს თავისი.  
სცადე, აღწერო ახლანდელი კონსტელაცია.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მთვარე მატულობს, ვარსკვლავები განზე განია,  
იქ ერთი მყუდრო რამ ადგილი მეც მიკავია,  
და რითაც ვთბები, შენეული ლომის ტყავია.  
ისე მოვედი, რალაც ძალა, ჩანს, მიფარავდა.  
თქვი გამოცანა ან თუგინდაც რამე შარადა.

## ს ფ ი ნ ქ ს ი

გსურს გამოცანა? ამოხსენი შენივე თავი!  
ვთქვათ, აი ასე: „კეთილიც და ბოროტიც მეძებს,  
პირველს სწადია, სრული ძალა მოსინჯოს ჩემზე,  
ლამობს მეორე, ჩემთან ერთად აკეთოს ავი.  
მოკლედ, ღმერთები გავაცინოთ, აზრი ეს არი“.

პ ი რ ვ ე ლ ი ტ რ ი ფ ი . ბრძანანი ყიყიპით  
კეთილ სულს არ ჰგავს, თვალები აქვს ავად მკვესარი!

მ ე ო რ ე ტ რ ი ფ ი . კიდევ უფრო ბრძანანი ყიყიპით  
სრულად, თავიდან ფეხებამდე საზიზღარია!

## ო რ ი ვ ე ნ ი

შენს ქვეყანაში შენდარები მრავლად არიან?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . შკაზედ

გირჩევ, გაფრთხილდე, ასე უშნოდ ნუ იფშხალები,  
ჩემსაზე ბასრი არ გეგონოს შენი ბრჭყალები.

## ს ფ ი ნ ქ ს ი

დარჩი, არ გიშლით! აქაობას, გსურს, შეენივთე!  
ისე, დიდი დროც არ გაივლის, ნახვალ შენითვე.  
შინ, როგორც გატყობ, გუნებისად გითავლაღია,  
აქ კი ხალვათად ვერ ბრძანდები, სხვისი ბაღია.

## მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი

მალლა აგყურებ, ქალი ხარ და შეგეხედება,  
დაბლა დაყურებ, მხეცი ხარ და შიში მედება.

## ს ფ ი ნ ქ ს ი

შე უბედურო, შენს თავს დახედე!  
ჩემი ჯანსალი თათები აკრთობს!  
როგორ წამოგცდა ეგ სითავხედე  
გაქვავებული მაგ ჩლიქის პატრონს!

## მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი

იქ, მდინარესთან, ფოთლოვანში, რა ფრთოსნებია?  
ასე მგონია, ირწევიან ჭავლში ნებივრად...

## ს ფ ი ნ ქ ს ი

ფრთხილად იყავი! სიმღერებით, მათგან რწეულით,  
ბევრი ვაუკაცი დაღუპულა რჩეულ-რჩეული.

## ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი

მაგ უსახურთ დაეხსენით,  
ალარ გინდათ მეტი მოცდა!  
ყურს ნუ დალლით მათი სმენით,  
სიმღერები გესმათ ჩვენი,  
ხმა ისმინეთ სირინოზთა!

## ს ფ ი ნ ქ ს ე ბ ი , იმავე პანჯის გამოფაფრებით

თუ წაიგდეს ერთხელ ყელი,  
თუ წაგტაცეს ერთხელ გული,  
აქვთ ჭანგები მჭრელზე მჭრელი,

განზრახვები – მტრულზე მტრული,  
სასიკეთოს ნურას ელით,  
შეიქნებით გაფატრული.

ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი

შორს, შურო და სიძულვილო,  
ჩვენს გაკილვას ნურვინ ცდილობს,  
გიჯობთ, აქეთ გამოცურდეთ!  
წყალშიც, ხმელზეც ჰანგთა ხმევით  
სიხარულად მოვიფრქვევით,  
დაგვეწვიეთ, ვისაც გსურდეთ.

მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი

ჯერ არ მსმენია სრული და ერთხმა  
სიმის და ყელის ასეთი შერწყმა,  
გაოცებული კი ვაყურადებ,  
მაგრამ ვერ მიცვლის მაინც გუნებას,  
იმის მაგივრად, მომწვედეს გულამდე,  
მარტოდენ სმენას ელამუნება.

ს ფ ი ნ ქ ს ი

გულს ნუ ეძახი დაფხავებულ მაგ ტყავის ქისას,  
უხიაგ შუბლზე განერია, მქნელი ხარ რისაც.

ფ ა უ ს ც ი . შემოდის

მშვენიერია! ურჩხულებთან კი აქეთ მსგავსება,  
მაგრამ მათ ნაკეთებს დაფარული ახლავს სავსება.  
ვუცქერ და რალაც სასიკეთოს ამბობს გუმანი,  
მომანიშნებენ, სად მიმიძღვის გზა იღუმალი.  
(სყინქსეზე მიათიფებს.)

ოიდიპოსი მაგათ მსგავსის წინაშე მდგარა.

(სირინოზებზე მიათითებს.)

ულისე ანძას მაგათ მსგავსთა წინაშე ეკრა.

(ქიანჭველებზე ათითებს.)

ეგენი ოქროს აგროვებდნენ, იღვწოდნენ ჯარად.

(ფრიფებზე ათითებს.)

ეგენი კლდეში ინახავდნენ, იცავდნენ მედგრად.

ძველი, დიადი სახეების ვიქმენ მხილველი,

აქვე, თვალდათვალ გამიცოცხლეს დრო საკვირველი.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რასაც არ ვხედავთ, ამაზრუნია,  
მაგრამ, თუ კაცი სატრფოს დაეძებს,  
გზაზე ყველაფერს ვარდი ჰფენია,  
და ურჩხულებშიც ხედავს ღვთაებებს.

### ფ ა უ ს ტ ი

მითხარით, ქალთა სახებანო, არავინა ხართ,  
ვისაც ელენე საკუთარი თვალით გინახავთ?

### ს ფ ი ნ ქ ს ე ბ ი

არა, ჩვენ არა! ჩვენ ის ვიცით, რაც ამბად თქმულა,  
ის მაშინდელნი ჰერკულესმა შემუსრა სრულად.  
ქირონი გეტყვის, უსათუოდ ნახე ქირონი,  
დღეს მანლა იცის ეგ საქმენი ძველსაგმირონი.  
შემოჭენდება ამაღამდელ დღესასწაულზე,  
თუ გაგიჩერდა, რასაც ჰკითხავ, მართლად გაუნყებს.

### ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი

ჩვენც კი ვიცით ეგ საქმენი,  
ულისესგან მონასმენი,

ჩვენთან ხანი დაიხანა.  
ზღვას შემოჰყევ მოლივლივეს,  
უცებ გეტყვით ყოველივეს,  
ჩვენს გალობას მოჰყევ თანა.

### ს ფ ი ნ ქ ს ე ბ ი

არ ეცთუნო! გიჯობს გაცლა!  
უნდა თავი დაიოკო!  
დე, ულისეს თოკის ნაცვლად  
ჩვენი რჩევის ძალამ გთოკოს!  
დაუჯერე მხოლოდ ქირონს,  
სხვამ არავინ მიგიბიროს!

(ფაუსტი ჯადის.)

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ფრთების ტყლაშუნი მესმის მალლიდან,  
ისე დაქრიან, ჩანან ზოლებად,  
თვით მონადირის თვალსაც დალიდა  
თაეზემთ მათი გადაქროლება.

### ს ფ ი ნ ქ ს ი

ღრუბლებს გრიგალი რომ დაგრაგნის, სწორედ ის არი!  
ვერც ალკიდესგან განატყორცნი მისწვდეს ისარი!  
სტიმფალიდები მოფრინავენ ჩვენს სანახავად,  
გესტუმრობენ ხოლმე, ერთმანეთის მისხნი გახლავართ.  
აქვთ ნისკარტები შევარდნისა, ფეხები – ბატის,  
და ყვავის ხმაზე ჩხავილია სალამი მათი.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . შექმნალი

მანდ ახლოს რაღაც ასისინდა ხმაგააგებით!

## ს ფ ი ნ ქ ს ი

ლერნული ჰიდრის მოკვეთილი ყრია თავები,  
ნუ გეშინია, სისინებენ სნორედ ისინი,  
კვლავაც ჰგონიათ, რამეს ნიშნავს მათი სისინი.  
მაგრამ რა ხდება? უცებ სხვაგან გაგექცა მზერა,  
წასვლას აპირებ... მოუთმენლად რალაცას ზვერავ...  
ახ, ლამიები გამოსულან, კობტა კახპები,  
ბაგემლიმარნი, მიმხმობელნი, მორცხვად ურცხვები...  
თუ თხისფეხება სატიროსებს ვნებას უცხრობენ,  
შენც, იმედია, შენი ფლოქვით რამეს გახდები.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

თქვენ აქ იქნებით, ისევ გნახოთ და გესაუბროთ?

## ს ფ ი ნ ქ ს ი

თამამად გასწი! ეგვიპტეა ჩვენი საუფლო,  
მიჩვეულნი ვართ ათასწლობით უძრავად წოლას,  
აქ გვიდგას ტახტი,  
რიგს ვუნესებთ მნათობთა სრბოლას.  
პირამიდებს ვუცქერთ დიადს,  
მიმოვმსხდარვართ ვითა მცველნი,  
ომებსა და ხალხის გნიასს  
ვაკვირდებით ნირუცველნი.

## პენეიოსის ქვედაწელზე

პენეიოსი, ნაკადუბითა და ნიძუებით ფაქუმორცყმული

### პ ე ნ ე ი ო ს ი

ტირიფებო, ლერნამ-ლელო,  
ფოთლოვნებში ქარის ჩქამო,  
უნდა ახლავ მომეშველოთ,  
გულიც, სმენაც დამიამოთ.  
ამოვყავი თავი ზევით,  
უცხო ხმაზე გამელვიძა,  
ახმაურდა უცებ ხევი  
სადღაც ახლოს იძრა მიწა.

### ფ ა უ ს ც ი . მდინარესთან შეჩერდება

ლერნმებს შორის, ბუჩქებს შორის,  
სადაც ტოტებს არწევს წნორი,  
ფოთლოვანში ხმა რამ ისმა,  
მსგავსი არის კაცის ხმისა.  
რაღაც ამბავს ჰყვება წყალი,  
ქარი ანცობს ფრთაფართქალით.

## ნ ი მ ფ ე ბ ი

დანექ, დაისვენე  
მცირედი ხანი,  
ნებივრად გაშალე  
დაღლილი ტანი.  
იპოვე სიმშვიდე,  
წყალთუანკარესი,  
ვიქროლებთ, ვიჩქროლებთ,  
აგავსებთ ალერსით.

## ფ ა უ ს ტ ი

არა, არ მძინავს! ეს ხატებანი,  
სურვილთა ჩემთა გაცხადებანი,  
ახლახან იყო, ბედნიერს მხდიდა.  
ეს უეცარი შვება-ვნებები,  
სიზმრებია თუ მოგონებები?  
გარს მომდგომიან ყოველი მხრიდან.  
ნელა ირწევა მჭვირვალე ჭავლი,  
ნაკადულებით შეთხზულა მრავლით,  
სიგრილეს ქსოვენ ჩრდილები ხეთა.  
მდინარის უბე გამოჩნდა ვრცელი,  
მიმოდის ტალლა ჩურჩულით ნელით.  
საბანაოა, შორითვე ვხედავ.  
ვუყურებ ქალთა შიშველ სხეულებს,  
წყლის სარკისაგან ორმაგეულებს.  
ყველა ნორჩია, ყველა ლამაზი!  
ზოგი მიტოპავს შიშით ფარულით,  
ზოგიც მიცურავს ლალი მხარულით,  
აქვთ ჟრიამული, ბრძოლა-თამაში.  
თითქოს სხვაც რალა, დაჯექი წყნარად,  
დატკები, უჭვრიტე, სიამედ კმარა,  
არადა, ფიქრი მისხლტის მალევე,  
იქ, სადაც ტყე და მდინარის პირი  
ფოთლოვანების სიმწვანით ხშირით  
დიდი დედოფლის სამყოფს მალავენ.

გაშლილია ფართო ყურე,  
გაოცებით გადავყურებ,  
მოჩანს უცხო სანახავი:  
ასი გედი მოდის ცურვით,  
სვლით ამაყით, ხელმწიფურით,  
აუპყრიათ მაღლა თავი.  
ერთი, უფრო თავმომწონე,  
არ იშურებს არა ღონეს,  
არა ღონეს, არა ძალას,  
მოისწრაფის სხვებზე ჩქარი,  
ბუმბულს უშლის ზურგის ქარი,  
მოაშურა წმინდა ალაგს...

დანარჩენებმა არიეს რიგი,  
დაფართქალებენ აქეთ და იქით,  
საბანაოზე იწყეს დაშვება.  
ქალების გუნდი წივილით გარბის,  
თვით დედოფალიც არ ახსოვს არვის,  
მიიჩქარიან თავის საშველად.

### ნ ი მ ფ ე ბ ი

გთხოვთ, დაადოთ მინას ყური  
ნაპირს, მწვანედ მოხასხასეს!  
გესმით ფლოქვთა თქართქური?  
ცხენოსანი მოქრის გზაზე.  
ვინ არის და ვისი მხარის?  
ამ ღამეში სად იჩქარის?

### ფ ა უ ს ც ი

შიკრიკია? სად რა მიაქვს?  
უსტარი აქვს? ამბავი აქვს?  
იქნებ სულაც ფლოქვთა ცემით  
ახლოვდება ბედი ჩემი!

მხედარი მოქრის მხნე და ძლიერი,  
უცხოოდ მეჩვენა მისი იერი.  
თეთრი ცხენია, ანათებს ღამით.  
ცხენიც, მხედარიც ერთი მგონია.  
ფილერას ძეა! კი, ქირონია!  
შეჩერდი, ქირონ! სულ ერთი წამით!

ქ ი რ ო ნ ი

რა გინდა?

ფ ა უ ს ც ი

მინდა, გამიჩერდე, რალაცა გკითხო!

ქ ი რ ო ნ ი

ვერ შევჩერდები, შეუძლებელს ტყუილად ითხოვ!

ფ ა უ ს ც ი

რაკი ასეა, წამიყვანე!

ქ ი რ ო ნ ი

ზურგს შემომაჯექ,   
თუ თანახმა ხარ თავანყვეტილ, შლეგურ სრბოლაზე!

ფ ა უ ს ც ი . ზურგზე მოახტება

სალამი შენდა, დიდო კაცო! მადლობას გიძღვნი,  
აღმზრდელი გმირთა უებროთა, აღვსილო სიბრძნით!  
არგონავტები გაგიზრდია! სხვაც კიდევე ბევრი!  
ვისითაც მშვენობს პოეზიის სამყარო მჭევრი!

ქ ი წ ო ნ ი

აღზრდას შევეშვათ... რა მოიგო თავად ათენამ,  
როცა მენტორად გარდასახვა მოინადინა!  
კეთილი სწავლა ვინ კაცთაგანს გაჰყვა ბოლომდე?  
ისეთნი გახდნენ, გინდ აღმზრდელი არცა ჰყოლოდეთ...

ფ ა უ ს ც ი

რაკი ასეა, მაღალ მკურნალს მივუძღვნი სალამს,  
ვინც ცნობს და იცის მცენარეთა ყოველი ძალა!  
ერთბამ გეხვევი, სულით, გულით, სისხლხორცეულად...

ქ ი წ ო ნ ი

მომირჩენია არაერთი დაჭრილი გმირი  
მაგრამ ის ცოდნა, იქ იმ დროში საკმაოდ ძვირი,  
დღეს ხუცესთა და ექიმბაშთა საქმედ ქცეულა.

ფ ა უ ს ც ი

დიდი კაცი ხარ, გაგონებაც არ გინდა ქების,  
ვითომდა ბევრიც არაფერი, მსგავსი ხარ სხვების.

ქ ი წ ო ნ ი

ერთობ საამო სიტყვებს ამბობ, ტკბილად მღიმარო,  
ცოტა პირფერიც მეჩვენები, რა დაგიმალო.

ფ ა უ ს ც ი

ეგ არ მჩვევია, პირფერულად არ გეზრახები...  
ხარ ძველი დროის უდიადეს გმირთა მნახველი.  
გაგინევია საქმეები შენც მათთან ერთად,  
მათთან ერთადვე გიცხოვრია ნახევარღმერთად.

ყველა მათგანის ზუსტად იცი გზაცა და ბედიც,  
რომელი იყო, შენი ფიქრით, ყველაზე მეტი?

### ქ ი რ ო ნ ი

არგონავტების ღვთაებრივი მახსოვს კრებული,  
ყველა – მამაცი და საქმისთვის თავდადებული.  
თვითეულ მათგანს საკუთარი ჰქონდა ღირსება  
და, რასაც ერთი ვერ შეძლებდა, სხვა იკისრებდა.  
დიოსკურები ზეციერთა იყვნენ მსგავსები,  
ახალგაზრდული მშვენებით და ძალით სავსენი.  
შველა მოძმისა, არა ყოვნი, არა ყოყმანი,  
ასეთნი იყვნენ ბორეადნი, ქველნი მოყმენი.  
ქალების კერპი იაზონი – მხნე და ძლიერი,  
საქმეთა განმბჭობ-გამომრჩევი, დიდგონიერი.  
ორფევსი, ფიქრში გადასული, ნაზი და წყნარი,  
სულის ნამღებად ჟღერდა მისი ღვთიური ქნარი.  
ლინკევსის თვალი მიუძლოდათ ყოვლის განმჭვრეტი,  
არ შემთხვევია წმინდა ხომალდს საფრთხე არც ერთი.  
ყველა ერთმანეთს ღირსეულად წესს მიაგებდა,  
გულით აქებდნენ უშურველით საქმეს საქებარს.

### ფ ა უ ს ტ ი

ჰერკულესს რატომ არ ახსენებ?

### ქ ი რ ო ნ ი

მისი ხსენება  
ტკივილს მიღვიძებს! მონატრებით არ მესვენება!  
არ მყავს ნანახი არც ჰერმესი და არც არესი,  
არც აპოლონი შემხვედრია უელვარესი.  
მაგრამ ვინც ვნახე, არ შობილა არვინ მისებრი,  
მეფური გახლდათ მოდგმითა და ყველა თვისებით.  
იმ სიდიადის ვერ გავხდებით კვლავაც მჭვრეტელი,  
ვერც სიმღერები გაგვიცხადებს, ვერც საჭრეთელი.

## ფ ა უ ს ტ ი

საკმარისია, რაც მშვენიერ ვაჟუცაზე ითქვა,  
ახლა მშვენიერ ქალზეც ბრძანე ორიოდ სიტყვა.

## ქ ი მ ო ნ ი

ქალურ მშვენებას, სწორი გითხრა, შეხვედები ძვირად.  
უსულო ნახატს ჩამოჰგვანან ყველაზე ხშირად.  
გულის ნარმტაცი უნდა იყოს მშვენება ქალის,  
სულიერებას ასხივებდეს, სიცოცხლის ხალისს.  
მხოლოდ ელენეს ხილვა მგვრიდა მაგ ნეტარებას,  
ახლოც მინახავს და ზურგითაც მყავს ნატარები.

## ფ ა უ ს ტ ი

ზურგით?

## ქ ი მ ო ნ ი

ამ ზურგით!

## ფ ა უ ს ტ ი

ამავე ზურგით? მორჩა! გიჟი ვარ!  
ასევე გეჯდა, აგერ ახლა მე რომ გიზივარ?

## ქ ი მ ო ნ ი

სწორედ შენსავით თმაზე მყავდა მოჭიდებული.

## ფ ა უ ს ტ ი

თქვი, როგორ იყო! გაიხსენე დრო დიდებული!

## ქ ი რ თ ნ ი

უკან მოგვყავდა პირველ ჯერზე მონატაცები,  
დიოსკურებმა გამოიხსნეს, თავისმა ძმებმა.  
გამტაცებლებიც ფიცხნი იყვნენ, მძლავრი კაცები,  
დაედევნენ და ელევსინთან მოუხდათ შებმა.  
მეც მათთან ვიყავ, ყველა ჭირი ერთად გარდაგვხდა  
და ელევსინის ჭაობებიც ვტოპეთ მხარდამხარ.  
ზურგზე შევისვი, მოვუნახე სანდო საფარი!  
როგორ მმადლობდა! გადამვარცხნა სველი ფაფარი!  
მომიალერსა! სინაზისგან კვლავ გული მითრთის.  
მოხუცის თვალთა სიხარული! საამო ტვირთი!

## ფ ა უ ს ტ ი

სულ ათი წლისა!

## ქ ი რ თ ნ ი

ფილოლოგებს ნუკი ენდობი,  
თავს იტყუებენ, ერთობიან ფუჭი ყბედობით.  
მითოლოგიურ ქალთა ხანი სულ სხვა ხანია,  
მარად ის არის, პოეტს ერთხელ რაც უზმანია.  
არც ბებერია არასოდეს, არც უმწიფარი,  
სულ ინარჩუნებს სილამაზეს, ცეცხლის მომდებარს,  
ბავშვს იტაცებენ, სიბერეში ახლად თხოვდება,  
მგოსნისგან შექმნილთ არ აჩნიათ დროის ტვიფარი.

## ფ ა უ ს ტ ი

დაე, ნურც ახლა ნუ იქნება დროსთან მისკვნილი!  
კუნძულ ფერეზე აქილევსმაც აკი სიკვდილის  
მერე მონახა, განზე დარჩათ დროც და სვებედიც.  
მეც, მეც ვიბრძოლებ! მეც ასევე არ დავენებდები!  
მიხმობს, მეძახის ის არსება ღმერთების სწორი!  
ახლო და შორი, ო, თანაბრად ახლო და შორი!

შენ ძველად ნახე ეგ მშვენება დიდსაკვირველი,  
მე დღეს მომნუსხა, დღეს შევიქენ მისი მხილველი!  
სრულად მომიცვა მთელი გულით, მთელი გონებით!  
არა, უმისოდ ვერ ვიცოცხლებ! მას ვემონები!

### ქ ი რ ო ნ ი

მოხიბლული ხარ, უცხოელო, თუ კაცებრ განვესჯით,  
მაგრამ თუ სულთა კვალად ვიტყვი, შლეგი ხარ სრული.  
თავს დაილუპავ, უბედურო, უსაგნო ტანჯვით,  
უნდა მანტოსთან მიგიყვანო, დაგიცხროს წყლული.  
ჰო, შენდა ბედად სწორედ მასთან მივდივარ ახლა,  
ესკულაპოსის საყვარელი ასული გახლავს.  
მამამისს ხშირად ევედრება თვალცრემლიანი,  
სახელისთვისაც, ხალხისთვისაც გასწიოს ზრუნვა  
და შიგადაშიგ გაუნათოს გონება მკურნალთ,  
რომ სნეულს შველა მოუტანონ, არა ზიანი.  
სიბილესს შორის ის ერთი მყავს გამორჩეული,  
არ მეტისმეტობს, გულმშვიდია, ღიმილს ჩვეული.  
რამეს გინამლებს, ათასგვარი იცის ბალახი.  
ცოტალა დაგვრჩა, ეს წყალია გადასალახი.

### ფ ა უ ს ტ ი

მერედა, მინდა განკურნება? მიბრწყინავს გონი!  
არ მეკარება სიძაბუნე მხდლისა და მონის!

### ქ ი რ ო ნ ი

ვფიქრობ, ეგ სენი თბილი წყლებით განიკურნება.  
აბა, გადმოხტი, მოგიყვანე უკვე უვნებლად.

## ფ ა უ ს ტ ი

აქ სად მოვედით? არაფერი მოსანიშნარი:  
ბნელში მდინარის ჩხრიალი და სველი ქვიშნარი.

## ქ ი რ ო ნ ი

პენეოსი მოვიტოვეთ მარჯვენა მხარეს,  
ოლიმპო – მარცხნივ. აქ საბერძნეთს შეება რომი.  
პირველად შეხედნენ, ბრძოლა იყო, დიდი და ცხარე,  
მეფე დამარცხდა, მოქალაქემ მოიგო ომი.  
ქვიშნარებს იქით მიკარგულა სამეფო ვრცელი.  
ანათებს მთვარე, ტაძარი ჩანს ძველთაგან ძველი.

## მ ა ნ ტ ო . ძილ-ღვიძილში

უსმინე, ცხენის ფლოქვებია,  
წმინდა საფეხურებს მოჰყვებიან...  
ნახევარღმერთია, ვიგრძენი გუმანით.

## ქ ი რ ო ნ ი

თვალის გაახილე, მიილე სტუმარი.

## მ ა ნ ტ ო . ილიქებს

კეთილი იყოს შენი მოსვლა! მემამა ნახვა.

## ქ ი რ ო ნ ი

შენი ტაძარი უცვლელია, დგას, როგორც მდგარა.

## მ ა ნ ც ო

შენც ისევ ისე ვერ ჩერდები, ჭენებით დახვალ.

## ქ ი რ ო ნ ი

არ ვარ შენსავით, – შინ კერასთან დაჯდები წყნარად.  
დღემუდამ დავრბი, მინდა ყველგან ავილო წილი.

## მ ა ნ ც ო

მე კი ის მიყვარს, დრო და ჟამი განზე რომ მივლის.  
ეს აქ ვინ არის?

## ქ ი რ ო ნ ი

ამ ნაძრახმა ლამემ მაჩუქა,  
ელენეს ლანდი უნახავს და ხელობს მასუკან.  
გულში სურვილი ამოსჭრია, გიჟური ყოვლად,  
ქვესკნელის ჩავლას ეპირება, სურს მისი პოვნა.  
რაც მოუხდება, ასკლებური წამალი ერთი.

## მ ა ნ ც ო

პირიქით, მომწონს, შეუძლებელს თუ ვინმე ელტვის.

(მაგზამ ქირონი უკვე ვახულია.)

გულადო კაცო, წინ წამოდექ და გიხაროდეს,  
პერსეფონემდე მიდის ეს გზა, სადაც აროდეს  
ცოცხალს არავის გაუვლია, მარტოდენ ორფევსს,  
ისიც ოდესლაც მე ჩაუშვი გულმგლოვიარე.  
ოლიმპოს ღრმულში მისდარადვე იპოვი სწორფერს.  
გასწი, უკეთეს ფეხზე გეველოს! მედგრად იარე!

## ისევ პენეოსის ზედაწელზე

ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი

პენეოსს მივცეთ თავი,  
ავაქაფოთ მისი ჩქერი!  
სიმღერა გვაქვს უთვალავი,  
დავცურავთ და ისე ვმღერით.  
წყალში არის ქვეყნის შველა,  
თვალო, მიხვდი! იგრძენ, ყურო!  
ჩქერებს გავყვეთ უდარდელად,  
ეგვესის ზღვას მივაშუროთ!

(მიწისძვრა)

რამოდენა გახდა ტალღა,  
აიჯაგრა, აიყალყა!  
უეცარმა რყევის ძალამ  
კალაპოტი გამოცვალა.  
თავს უშველეთ, გაეცალეთ  
სტუმარნიც და ვისიც ვინა!  
ავიძრათ და – ზღვისკენ მალე!  
ნაგიძღვებით ცეკვა-ლხინად!

ზღვა წყნარია, ნირუცველელი,  
ოდნავ იძვრის ჭავლი ნელი.  
მთვარე დამზერს მისსავ სახეს,  
წყლის სიღრმეში მოცახცახეს.  
აქ, მთის ძირას – მიწის რყევა,  
იქ – ტალღების ნელი რწევა.

ჭკუას ვუხმოთ ჭკვიანებმა,  
არ ეგების გვიანება!

ს ე ი ს მ ო ს ი , სიღრმეიდან ბუბუნითა და ცრიალით

ლონე მერჩის, გავკრა მხარი,  
შევარყიო მინა მყარი!  
ამოვიდე უნდა ზემოთ,  
მზის ნათელიც მოვიგემო!

ს ფ ი ნ ქ ს ე ბ ი

ზრიალია უსიამო,  
არ ჩაივლის უზიანოდ.  
სფინქსები ვართ, სიღრმეც მხედი,  
ვერ შეგვაკრთობს ვერა ზათქი,  
გინდაც მოსკდეს ჯოჯოხეთი,  
არ შევიცვლით მაინც ადგილს.

მაგ ბებერმა, ნახეთ, რა ქნა,  
ბნელი თალი ამოგრაგნა!  
ის კაცია, შუა ზღვიდან  
ვინც დელოსი ამოზიდა,  
მშობიარეს მისცა ბინად,  
მის სარეცლად განაჩინა.  
ატლასურად, ქედდაზნექით,  
შემოუდგამს მხრებზე ბექი.  
ცვივა ღორღი, ცვივა ქვიშა,  
ღვარი მოდის რიყის ქვისა.  
ამოტოტდა ორივე ტოტით,  
გადახერგა კალაპოტი.  
რა სიმძიმე აკიდია!  
ჰგავს თუ – კარიატიდია!  
ზემოთ უნდა ამოძვრომა,  
სანახევროდ ამოსულა!  
ამაოა მისი შრომა,

ვერ ამოვა უფრო სრულად.  
სფინქსები ვართ, ვუდარაჯებთ,  
არ დავყვებით მუდარაზე!

### ს ე ი ს მ ო ს ი

გარს რასაც ხედავთ, მარტოკამ ვქენი,  
ჩემი ღონეა, ჩემი ხერხია;  
რა იქნებოდა ქვეყანა თქვენი,  
დროდადრო მაგრად არ შემერყია!  
სად იქნებოდნენ ეს თქვენი მთები,  
ლაჟვარდ სივრცეში ატყორცნილები?  
არც იცით, ვისი ნამხრევით ტკბებით,  
ალტაცებულხართ ვისი ქმნილებით!  
ძენი წყვდიადის და ქაოსისა  
მშობლების თვალწინ ომში ჩავებით,  
პელიონის მთა, გინა ოსისა,  
ბრუნავდნენ ჩემგან ნაბურთავეები.  
არა გვტოვებდა არც ერთი ნუთით  
ახალგაზრდული ძალა მღელვარი  
და პარნასს, როგორც ორწვეტა ქუდი,  
თავზე დავადგით ორი მწვერვალი,  
სად აპოლონმა დაიდო ბინა,  
სათნო მუზების გუნდმაც ასევე!  
მეხთამტეხელიც მაღალთა შინა  
ოლიმპოს ტახტზე მე აღვაზევე!  
გულმხიარულო ამ მიწის შვილო,  
ამ ნაპირების მკვიდრო მზიანო,  
ბნელი ხაროდან ამოსვლას ვცდილობ,  
ახალ ცხოვრებას მსურს გაზიარო!

### ს ფ ი ნ ქ ს ე ბ ი

წილს მოითხოვს ღრიალ-ღრიალ,  
გეგონება მკვიდრი ძველი!  
მიანგრია, მოანგრია,

რასაც მისწვდა მისი ხელი.  
გინდ მოსკდნენ კლდენი, უღრანებად იქცნენ ველები,  
ამ წმინდა ადგილს ჩვენ, სფინქსები, ვერ შეველევიო.

### ჯ რ ი ფ ე ბ ი

გადახსნილ ნაპრალს შუქი ეცემა,  
ბრჭყვიალებს ოქრო წვრილ ნამცეცებად.  
ჭიანჭველების დიდო ლაშქარო,  
მათ მოსაკრებად გასწი საჩქაროდ!

### ჭ ი ა ნ ჭ ვ ე ლ ე ბ ი

თუ ბუმბერაზებმა  
აზიდეს მთები,  
ჩვენ ვინრო ნაპრალში  
ადვილად ვძვრებით.  
გაჩნდება საბადო,  
იქა ვართ წამზე,  
გულდასმით დავეძებთ  
თვითეულ ნამცეცს.  
მცირეზე მცირესაც  
დიდი აქვს ფასი,  
ვართ ოქროს მძებნელთა  
ფუთფუთა დასი.  
ბეჯითად ვიღვანოთ,  
ვიაროთ მხნედ,  
მადანი წავილოთ,  
კლდე დარჩეს კლდედ.

### ჯ რ ი ფ ე ბ ი

მოდით, მოზიდეთ მთელი ალაფი,  
აქ დაგვიხვავეთ ყოველი ოქრო,  
მათ დასაცავად ჩვენი ბრჭყალები,  
რით არ სჯობია ზანდუკს და ბოქლომს!

## პ ი ტ მ ე ე ბ ი

ჩვენც საჩვენო ადგილს ვითხოვთ,  
კლდეს დავყვებით ბზარით ბზარად,  
საიდან ვართ, არვინ გვკითხოთ,  
აქა ვართ და ეგეც კმარა.  
ვნახეთ მინის ყველა კალთა,  
კლდეებს ვზვერავთ, მადანს ვაცლით.  
საცა კბოდე დანაპრალდა,  
იქ გავჩნდებით ჯუჯაკაცნი.  
ჯუჯა კაცი, ჯუჯა ქალი,  
ბედნიერი შრომობს წყვილი.  
ეს ნაპრალიც, ის ნაპრალიც  
სამოთხეა ჩვენთვის ქმნილი.  
საქმისათვის გული დავდეთ,  
ბედის ვარსკვლავს არ ვემდურით,  
აღმოსავლით დასავლამდე  
ყველას კვებავს მინის ცური.

## დ ა ქ ტ ი ლ ე ბ ი

წრიპა-წრიპად, ჯლიბა-ჯლიბად,  
ვინც ლამიდან გამოგჩხიბათ,  
ჩვენც იმ მიწამ გამოგვჩეკა,  
თქვენზე უფრო ნეკა-ნეკა.

## პ ი ტ მ ე ე ბ ი ს უ ხ უ ც ე ს ი

ახლა კი ნებით უდრეკით  
საქმესაც შემოუდექით!  
აბა, ცოცხლად და ხალისით!  
აბა, სიჩქარე ძალის წილ!  
ვიდრე მშვიდობის დრო არი,  
ვართ თავისუფლად მოარი,  
ვჭედოთ ხმლები თუ ფარები,  
დიდ ომში მოსახმარები.

ჭიანჭველების დასებო,  
ნაასებ-ნაათასებო,  
დროზე მოზიდეთ მადანი,  
გრდემლი და ქურა მზად არი.  
დაქტილნო პანანინანო,  
მაგრამ სიმრავლით წინანო,  
შეშა მოზიდეთ მორებად,  
კოცონზე შედგით გორებად,  
არ შემოგვაკლოთ ნახშირი,  
ღველფიდან გამონახშირი.

### პ ი ტ მ ე ე ბ ი ს მ ხ ე დ ა რ თ მ თ ა ვ ა რ ი

კარგი მოისრე ის არი,  
არ გააცუდოს ისარი.  
ტბასთან ბუდობენ ყანჩები,  
უჩანთ მაღალი კანჭები.  
გადმოგვცქერიან ზევიდან,  
დადიან რხევა-რხევითა.  
დაუხოცოთ ერთი გასროლით  
ერთი ბოძალით ბასრულით.  
მოვდივართ რიხიანები,  
ზუჩებით ჯილიანებით.

### ჭ ი ა ნ ჭ ვ ე ლ ე ბ ი დ ა დ ა ქ ტ ი ლ ე ბ ი

ჩვენ ვილას მივეკედლებით,  
ჩვენივ ბორკილის მჭედლები.  
დრო დაგვიდგება ძლევისა,  
ჟამი ბორკილთა მსხვრევისა.

### ი ბ ი კ ო ს ი ს წ ე რ ო ე ბ ი

ეს რა ხმები ამოგვესმა,  
სასიკვდილო გმინვა-კენესა!

მოდგმას ჟლეტენ კეთილშობილს,  
ჩვენს ახლობელს, ყანჩად ხმობილს.  
დარევიან კარგებს ცუდნი,  
დაგვაჯულნი, ფეხებმრუდნი.  
რა გნიასით, რა ფართხალით  
გადანითლდა ტბაში წყალი.  
დას-დასებო, მსგავსო ჩვენო,  
ზღვის გადაღმა გადამფრენო,  
დრო ვუპოვოთ, ნუ შევარჩენთ!  
მოვიხელთოთ ნამი მარჯვე!  
შერიგება არვინ ცადოთ,  
მტრობა დავდოთ სამარადო!

(ხმაურით გადაიკლიან.)

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ვიცი ჩვენებურ კუდიანთა ზნეცა და ნირიც,  
აქ ამ სამხრეთში რად მინდოდა ზედმეტი ჭირი!  
არა, ბლოკსბერგი სხვა რამეა, სხვა სიამეა,  
არ დაგანებებს გზის დაკარგვას, დღეა, ღამეა.  
ილზეშტაინში ქალბატონი ილზე შინ არი,  
ჰაინრიხ-მთაზე ჰაინრიხი ზის მოცინარი.  
მხვრინავი კლდიდან ელენდამდე გაისმის ხვრინი,  
ათასი წელი იგივეა ჭირიც და ლხინიც.  
აქ კი ერთ ნამში თუ რაიმე დაგხვდეს უცვლელად!  
არ იცი, ფეხქვეშ მინა როდის აგებურცება.  
მცირე მინდორი გადავჭერი ფიქრით გართულმა,  
მივიხედე და ჩემს ზურგსუკან მთა აღმართულა.  
გინდ სერი იყოს, კი ბატონო, შევთანხმდეთ სერზე,  
არადა, ჩემი სფინქსებიდან ვერ ვხედავ ვერც ერთს.  
ისე, კოცონთა მიმქრალ შუქზე სულ არ ჩანს ძნელი,  
სასიყვარულო რამე საქმეს გამოვკრა ხელი.  
კეკლუცთა გუნდი ცეკვა-ცეკვით მოემართება,  
არა მგონია, იუარონ ჩემთან გართობა.

ლ ა მ ი ე ბ ი . მეფისცოფელის მისახილად

მრუში და ართვალი  
შედგა და გვიცქერს.  
ტკარცალით, ფართქალით  
გავიქცეთ მისკენ.  
შევჩერდეთ ჩურჩულით,  
სიცილით ჩუმ-ჩუმით,  
დავტოვოთ სახტად.  
ეგ ძველი ცოდვილი  
ქელავს ატოტვილი,  
ახტა და დახტა!  
გამორბის გრეხით,  
ჩაუხა ფეხით!

მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი . შეჩერდება

საბრალო მამრო, ეხ, რამდენს იტან!  
სულ გატყუებენ ადამის დლიდან!  
გაცუნდრუკებენ ძველი ფანდებით,  
რაც არ ბერდები, ვერ ჭკვიანდები.  
ვიციტ, ეგ მდედრნი რანიც არიან,  
პირგათხიპნილნი, ტანგაკოჭილნი,  
მინც მათ გზაზე მიგვიხარია,  
დავბტუნავთ მათი მონა-მორჩილნი.

ლ ა მ ი ე ბ ი

ფიქრობს, შეჩერდა, ყოყმანშია! თავს დაუარეთ!  
შეეთამაშეთ, ნუ დააფრთხობთ მკაცრი უარით!

მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი

არა, ჯობია, თავი ვანებო,  
ამ უსარგებლო ფიქრსა და ყოყმანს.  
რომ არ ეგენი, კუდიანები,  
ვინ ინდომებდა ეშმაკად ყოფნას!

ლ ა მ ი ე ბ ი

გააბრუეთ გმირთაგმირი,  
აუშალეთ ტრფობის ქირი!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ბუნდ ნათელში ვარჩევ ქალებს,  
მთელი გუნდი დაფართქალებს!  
ალარ მინდა გითხრათ ავი,  
ხართ ლამაზი სანახავი!

ე მ პ უ ს ე

მეც შემრიე მაგ შენს დედლებს,  
შენს ამაღას შემაკედლე.

ლ ა მ ი ე ბ ი

თამაშს არევს უსახური!  
არ შემოძვრეს, უგდეთ ყური!

ე მ პ უ ს ე . მეფისტოფელს

მე ვარ ემპუსე, შენი მამიდა,  
ვირის ჩლიქი მაქვს, მიცნობ ამითაც.  
აკი შენც ჩლიქი გშევენის ჩემსავით,  
უახლოესი ხარ ნათესავი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

უცხო სახეებს მაინც ვხედავდე!  
ყველა ერთია! არ ჩანს საშველი!  
ირგვლივ, ჰარციდან საბერძნეთამდე,  
ყველგან ბიძაშვილ-მამიდაშვილი!

## ე მ ჰ უ ს ე

მაქცია ვარ, დამინახეთ,  
შევიცვალე უცებ სახე,  
გამოვიბი ვირის თავი,  
გავახარო ნათესავი.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ვერ მივიღებ ასეთ პატივს,  
ვერც შეგაქებ მაგისათვის.  
არად მინდა ჩემი თავი  
ვირის თავის ნათესავი.

## ლ ა მ ი ე ბ ი

არ მიიკარო! მოსხლტეს ახლავე!  
უხიაგ არსთა რიგში წერია!  
იმწამსვე ქრება მის სიახლოვეს,  
თუ რამ კარგი და მშვენიერია.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

თქვენც, დაზმანული ტურფა დობილნი,  
არ ჩანხართ დიდად მისანდობელნი.  
ფერადოვნება თქვენი ღანვების  
სულ ფუნჯით არის მონაღვანები.

## ლ ა მ ი ე ბ ი

სინჯე! ბევრნი ვართ! გადმოგვერიე!  
სხვაგან სად ნახავ ჩვენდარ ფერიებს,  
თუ ბედი მოგდევს, შეგხვდება წილი!  
მაგრამ რაგინდაც თავი გაბუქო,  
გაიმიჯნურო, გაიჭაბუქო,  
არც შენ ბრძანდები ყვაველი შლილი.

ჩვენ კი, დობილნო, ნელა და ნელა,  
შემოვიცალოთ ნიღბები ყველამ,  
თავს დააბრალოს, თუ დარჩეს ნბილი.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ყველაზე ლამაზს ჩავჭიდე ხელი...

(მიიხუტებს.)

რისი ლამაზი! ცოცხია ძველი!

(ახლა სხვას წასწვდება.)

ეს კი... – ვაიმე, ესეც ართვალი!

### ლ ა მ ი ე ბ ი

შენი სარგოა, თუ გსურს მართალი!

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ვგონებ, ის მომცრო სხვებზე კარგია!

ხვლიკივით გასხლტა, რა დაგკარგვია!

გაასრიალა ნაწნავი-გველი!

აგერ ის მომწონს, ჩავჭიდოთ ხელი!

მაგრამ რა შემრჩა? ჭიგო და ტირსი!

ზედ წამოსცმია პინიის გირჩი.

ვინ ავირჩიო? ის ტანად სრული?

მაგ სქელუკასთან ვიჯერო გული?

გავა-თეძოთა შვენის დავლათი,

ჭკუას გადავა აღმოსავლეთი!

მაგრამ უეცრად დაიფშუტუნა

და გასკდა როგორც სოკო ფშუტურა...

### ლ ა მ ი ე ბ ი

უხმო, უღინღლო და უამური

გადააფარეთ ფრთები ლამურის!

ფრთა შემოავლეთ შავი და ჩქარი,  
როკაპის ნაშობს წენავდეს ქარი!  
კარგად გადარჩა ავყია ცეტი,  
რა ეთქმის ჩვენდა მადლობის მეტი!

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არ მომიმატებს არა ჭკუას მათი ყურება,  
ჩრდილოეთით უაზროა აქაურობაც.  
ყველა აჩრდილი აღერდილი, ავად მწენავი,  
ხალხიც, მგოსანიც გაუჩორკნელ-დაუხვენავი.  
ნიღბების ცეკვა, როგორც ყველგან, სიძვა-ლირნება!  
ხედავ, გონჯია, მაინც გინვევს, ვნებით ირწევა.  
თავს მოვიტყუებ, კი ბატონო, არ მენანება,  
ასე უეცრად არ ქრებოდეს ტკბილი ზმანება.

(კლდე-ღრეში ჭხაბნული)

სად ვარ? გარშემო ქვის ნაყარია,  
ბილიკი იყო, ბილიკი არ ჩანს,  
ჩემი სფინქსებიც არსად არიან,  
ყველა მათგანი მთის უკან დარჩა.  
შენს ციცაბოზე, კლდეო ტიალო,  
აღმა და დაღმა დავბლოტილობ.  
აქ ერთ ღამეში, ვხედავ, მიწიდან  
უცებ მწვერვალი ამოიზიდა!  
თითქოს როკაპთა ცეკვა-როკვებით  
აქ გადმობრძანდა ჩვენი ბროკენი.

ო რ ე ა ს ი , ზუნებჩივი კლდიდან

ჩემთან ამოდი მათათა გრეხილზე,  
უხსოვარ თხემებს შემოეხიზნე!  
ეს აქ პინდუსის ბოლო ტოტია,  
ახალდადგმული ბორცვი კი არა!  
ძლეულ პომპეუსს აქ უოტია,  
სწორედ ჩემს ზურგზე გადაიარა.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მუხნარიანო მაღალო თხემო,  
შემოგეფარე, ამოველ ზემოთ.  
ვერ აღწევს შიგნით კაშკაში მთვარის,  
ვარ განუჭვრეტელ უკუნში მდგარი.  
მაგრამ იქ რალაც აინთო მკრთალად,  
სუსტი შუქია, არა აქვს ძალა.  
მომიახლოვდა... ვხედავ, ვინც არი!  
ჰომუნკულუსი! უმაღ ვიცანი!  
პატარა კაცო, საით გივლია?

## ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

შემოვიარე, გარეშემო რაც ადგილია.  
მსურდა ეგ შუშა, ჩემი კოლბა, გამომემტვრია,  
ნახევრად ქმნილი ვშობილიყავ ბარემ ერთიან!  
მაგრამ, რაც ვნახე, მაგ სურვილმა გადამიარა,  
ხიფათს შემყრიან, აქ რომ ვიქცე ადამიანად.  
ორ ფილოსოფოსს გზად ვუსმენდი აქ მომავალი,  
მხოლოდ ბუნებას ახსენებდნენ გაბმით, უწყვეტად!  
ეგ ის სიტყვაა, უზღვავე ცოდნას რომ იუნყება.  
მოუხვეჭიათ, როგორც მივხვდი, სიბრძნე მრავალი.  
კვლავ მათთან ვივლი, არსთა არსი ეცოდინებათ,  
მეტყვიან, რა ვქნა, საით ნავყვე ქვეყნის დინებას.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჩემი რჩევაა, რეტისრეტში არ გადავარდე,  
სხვას ნუ უყურებ, შენი თავი შექმენ თავადვე.  
თუ სადმე ბნელში ლანდ-აჩრდილებს გასდით რიალი,  
ფილოსოფოსიც იქ ბრძანდება, ზის ფიქრიანი,  
ზის, თავი მოსწონს, საკუთარით ტკბება ხელობით,  
საზრისთა ხმევით, ახალ-ახალ ლანდთა მქმნელობით.  
გზას უძებნელად ვერ იპოვი სხვის ჯოხზე ბჯენით,  
თუ გინდა იქმნა, შენ თვითონვე ქმენ თავი შენი!

### ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

მაგრამ ის რჩევაც თუ კეთილად შესასმენია?

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მაშ, გასწი! ნახავ, რაც მოხდება! ნება შენია.

(ერთმანეთს ფაშორდებიან.)

### ა ნ ა ქ ს ა გ ო რ ა

ვერავინ გაგტეხს, იმოდენა სიკერპეს იტევ,  
თორემ ამ საქმეს რა მტკიცება სჭირდება კიდევ?

### თ ა ლ ე ს ი

ქარის ნებაზე მიდი-მოდის ტალღა რწეული.  
კლდეს ვერ გადადის, უკუმისრბის დუჟმორეული.

### ა ნ ა ქ ს ა გ ო რ ა

იმ ურყევ კლდესაც ცეცხლი ბადებს პირველყოფილი.

### თ ა ლ ე ს ი

რაც კი რამეა, წყლისგან არის ოდენ შობილი.

### ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

თქვენს გვერდით ვივლი, თუ ნებას დამრთავთ.  
ხომ უნდა ვიშვა მართლა და მართლა!

## ა ნ ა ქ ს ა ჯ ო რ ა

მითხარი, თაღეს, შეგიძლია, მაგ შენი შლამით  
ეს ამოდენა მთა აღმართო აქ, ამავე ღამით?

### თ ა ლ ე ს ი

ბუნება მარად მედინია, მდინარის გვარად,  
დღეს, ღამეს, საათს – არა ვადას არ იღებს ზღვარად.  
ის არ ძალადობს, ნება-ნება ამზადებს ახალს,  
დიდსაც, მცირესაც დადინჯებით ძერწავს და სახავს.

## ა ნ ა ქ ს ა ჯ ო რ ა

მაშ, ეს რა იყო, პლუტონური ცეცხლი საზარი!  
ამოქშენილი ეოლოსის ერთი შებერვით!  
უცებ დაბზარა მინის პირი, ქერქი ბებერი,  
აქვე, ჩვენს თვალნინ, მთა ამოჩნდა უზარმაზარი.

### თ ა ლ ე ს ი

კი, მთაც ამოჩნდა, კბოდეებიც და ქარაფებიც,  
მერედა, ამით რა მტკიცდება? არც არაფერი.  
მაგაზე დავა იმას ნიშნავს, დაკარგო დრო!  
მაგაზე დავა იმას ნიშნავს, გაართო ბრბო!

## ა ნ ა ქ ს ა ჯ ო რ ა

მირმიდონელნი მოვარდნილან მეყსეულები,  
მთის ფერდობებს და კლდის ნაპრალებს შესეულები.  
ჭიანჭველები, პიგმეები, დაქტილთა ჯგრო!  
არც ისე უქმად დაკარგულა ყოველი დრო.

(პომპეიკულუსს)

შენ, ვინც დიდ საქმეს არა სწევიხარ,  
და მანდ, საკანში გიყრია ფუძე,  
ამათ ხელმწიფედ ამირჩევიხარ,  
სამეფო ტახტზე დაგადგენ უცებ.

ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

თალესსაც ვკითხვით!

თ ა ლ ე ს ი

არ გირჩევ მაგას!  
ამათ ფუთფუთთან საერთო რა გაქვს!  
თანაც შეხედე: წერთა გუნდი  
შესამუსრავად აცხრება უნდით,  
ვეჭვობ, ხელმწიფე გადარჩეს მათი.  
ვერ გასხლტებიან, რა-რაც სხარტები,  
დაღერებიან ჭანგ-ნისკარტები,  
ამზადებს ბედი საზარელ ნადიმს.  
მიჯრით შეუდგნენ ფერდობზე ცოცვას,  
ჰგონიათ, შერჩათ ყანჩების ხოცვა.  
ზღავენ მაგ ისარ-ბოძალთა წვიმას,  
ბოროტად სისხლი რომ ღვარეს, იმას!  
ჰა, წეროები მოიჩქარიან!  
იგივ ჯიშია! ყანჩის გვარია!  
ვერ იხსნის ჯუჯებს ფარ-ხმალი მათი,  
ჯავშან-ბეგთარი, შუბი თუ წათი,  
ვერც მუზარადზე ჯილის ფარფარი,  
ყანჩების ფრთები, ნაალაფარი!

ა ნ ა ქ ს ა ც ო რ ა , სანეიმოდ, მცირე პაუზის შემდეგ

აქამდე მხოლოდ მიწისქვეშეთს ვუძღვნიდი ქებას,  
ახლა კი ცისკენ, მთვარის მიმართ, ღალადი მნებავს.  
უბერებლო! შენ, ვისთვისაც არ გადის ჟამი!  
სამსახოვანო და ხმობილო სახელით სამით!

ხალხისთვის შეგთხოვ!  
სატანჯველი მისი დამთავრდეს!  
დიანა, ლუნა და ჰეკატე შენ ხარ სამთავე!  
ო, ღრმათაულრმეს წიაღთა მგ ზავრო,  
გარეგან მცხრალო, შინაგან მძლავრო,  
ჩრდილი გადახსენ, გვაჩვენე ძალა,  
ჯადო-თილისმით ნურაფერს მალავ!

(პაუზა)

როგორ უეცრად გაიგონეს ჩემი ვედრება!  
ბუნების წესი გამოცვალეს დაუყვედრებლად!  
ქაღალმერთის ტახტი, დისკო მთვარისა,  
ვარვარით მოდის! მინას დარისხავს!  
დაილუპება ქვეყანა მთელი,  
გავექრებით ჩვენც და ზღვაცა და ხმელიც!  
დიდო ქაღალმერთო, ჩემგან მოხდა ეგ ავი საქმე!  
თუ ღირსი ვიყო, დავისაჯო, დავმინდე აქვე!

### თ ა ლ ე ს ი

საოცარია, რას ხედავს ასეთს,  
დგას და ლაღადებს სულ ბოლო ხმაზე!  
ვერ გამიგია, ვის შესჩივის ან რაზე მოთქვამს?  
ისე, ამალამ, ვერ დავმაღავ, სიგიჟის დრო დგას.  
მთვარე კი, ნახე, კვლავ მშვიდია, აუმღვრეველი,  
თავის გზაზევე მიირწევა, შუქთა მფრქვეველი.

### ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

იმ მთას შეხედეთ! პიგმეების მთა იყო წელან!  
ცაში მწვერვალად აისროლა მაგ ერთმა ჭეხამ!  
რა ზათქი გახდა! რა ვეება კლდე მოსწყდა მთვარეს!  
გადასხვაფერდა გარეშემო ყოველი არე.  
მომწონს! კარგია! ქმედით ძალთა მიყვარს თამაში!  
ერთბაშად ვნახეთ ცის და მიწის ძალთა მოდენა!

უცებ, ჩვენს თვალწინ, ამ ერთ ღამეში  
წამოიშრათა მთა რამოდენა!

### თ ა ლ ე ს ი

არ შეგაშინონ! ყველაფერი ფიქრშიგნით ხდება!  
მხოლოდ ჯუჯათა საზიზღარი ჯილაგი წყდება.  
ბედი გქონია, მათ ხელმწიფედ რომ არ ნახვედი!  
ახლა ნახავენ, რა სიმდიდრეც აქვთ მოსახვეტი!  
ჩვენ კი დავიძრათ, ზეიმია იქ, ზღვასთან ახლოს.  
უცნაურ სტუმრებს მოეღიან. მივიდეთ, ვნახოთ.

(გაღიან.)

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

საქმეა? უნდა ამ კლდეებში ვიძრომილო,  
მუხების ფესვებს მოვეჭიდო, აველო ფრიალო.  
სულ სხვა რამ არის ჩემი ჰარცი, სუნი დგას ფიჭვის!  
ფისის სურნელი! გეგონება გოგირდი იწვის!  
ამათ ქვესკნელში რითი ხდება ნეტავ წამება,  
კუპრსა და გოგირდს რა სახმილი ესაბამება?

### დ რ ი ა ს ი

შენს ქვეყანაში, შესაძლოა, ჭკვიანიც ჩანდი,  
მაგრამ აქ შენი ჭკუისაგან არა ჩანს ლანდიც.  
ო, ეს მამულზე გოდებანი! ცრემლთა ძახვანი!  
ჩვენთან წამოდი, საღვთო მუხებს ეცი თაყვანი.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

წუხილი იცის დაკარგულმა... ვერ ამოგიტქვამს...  
სხვა სიტყბოდ გიჩანს, მიეჩვიე რასაც ოდიტგან.  
მაგრამ იქ, მღვიმის მწვანე ბინდში, ვილაცას ვხედავ,  
გასამებული მეჩვენება... ვინ არის ნეტავ?

## დ რ ი ა ს ი

ფორკიადები! ბინდბუნდია მათი საუფლო.  
თუ არ გზარავენ, ჯობს, ახლოდან გაესაუბრო.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რატომაც არა! მაგრამ ვიტყვი გამოტეხილად:  
არა ვარ თუმცა მცირე აზრის საკუთარ თავზე,  
ჯერ არ ყოფილა, მსგავსი რამე ახლოს მეხილა,  
არსებებს ვხედავ მანდრაგორის ფესვების მსგავსებს!  
ეჭვრეტ სიმახინჯეს, სასიკვდილო ცოდვაზე საზარს!  
თვით ჯოჯოხეთიც არ მიიღებს, დაიდებს რაზას!  
აქ ამ დიდებულ ანტიკაში რა წილი უძევთ?  
მშვენიერების ქვეყანაში ვინ მისცათ ფუძე?  
მგონი, იყნოსეს ჩემი მოსვლა, იშმუშნებიან!  
ლოყებს ბერავენ ვამპირები! სტვენის ხმებია!

## ე რ თ - ე რ თ ი დ ა

დებო, ვილაცამ შემობედა, ხმა მესმა თითქოს...  
გთხოვთ ჩვენი თვალი გადმომეცით, ვინ არის, ჰკითხოხ.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მოკრძალებული მოვეახლე თქვენს სამყოფს წმინდას,  
თქვენი სამკეცი წყალობა და კურთხევა მინდა.  
ჩემით მოვბედე, უცნობი ვარ, არ ვარ წვეული,  
არადა, თქვენი ნათესავი ვარ შორეული.  
იქ ვიყავ, სადაც ძველ ქალღმერთთა მაღალი წრეა,  
თაყვანისცემით მივეახლე ოპსსა თუ რეას,  
პარკებიც ვნახე, ის ასულნი ქაოსისანი.  
დები ხართ მათი, შეგხედეთ და უმალ გიცანით.  
მაგრამ ყველანი რომ შეკრიბო, არ ღირან თქვენად,  
ალტაცებისგან ვერას ვამბობ, წამერთვა ენა.

## ფოტოკადავბი

ეგ უცხო სული, ჩანს, ძალიან გონიერია.

## მეფისტოფელი

მიკვირს, მგოსნები თქვენს დიდებას რად არ მღერიან,  
ან როგორ მოხდა, რომ არსად ხართ გამოსახული,  
არც ქანდაკება, არც სურათი არ მაქვს ნახული.  
კვეთს საჭრეთელი იუნონას, ვენუსს თუ პალასს,  
საოცარია, როგორ თქვენზეც არ სინჯეს ძალა.

## ფოტოკადავბი

გამოუსვლელად ბნელ ღამეში ვცხოვრობთ მარტონი.  
ერთმანეთს ვკმარობთ, არ გვჭირდება სხვა გასართობი.

## მეფისტოფელი

ზიხართ, არავის არც ნახულობთ, არც ენახვებით?  
ქვეყნის გარეშე დარჩენილებს არ გჭამთ ნალველი?  
ქვეყნისა, სადაც თვალსაამოდ, ხელშესახებად,  
გარდაიქმნება მარმარილო გმირთა სახებად,  
სადაც...

## ფოტოკადავბი

გაჩუმდი! ვერ გვაცთუნებს ჩვენ ეგეთები!  
ფიქრობ, ავდგებით, გარე-გარე წავეხეტებით?  
ლამისგან ვიშვით, შევეთვისეთ და შეგვეთვისა,  
არათუ სხვისთვის, უცნობნი ვართ ბარე ჩვენთვისაც.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რაკი ასეა, ახალ თამაშს გთავაზობთ მაშინ:  
არსებობს ხერხი, მთელი არსით გაცხადდე სხვაში.  
ცალი თვალი გაქვთ, ცალიც კბილი – საერთო ყველას,  
მითოლოგია მაგ საქმეზე ნაკლებად ღელავს.  
მოდით, ცოტა ხნით სამივენი იქეცით ორად,  
მესამე სახეს მე წავიღებ, წავიტან შორად,  
ქვეყანამ გნახოთ...

## ე რ თ ი - ე რ თ ი დ ა

თანახმა ხართ? გადავცეთ წილი?

## დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი ო რ ი

ერთი პირობით: ჩვენთან დარჩეს თვალი და კბილი.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

საუკეთესოს თქვენ იტოვებთ? მერე მსგავსება?  
ის ჩემი სახე მაგ თქვენეულს შეეთავსება?

## ე რ თ - ე რ თ ი დ ა

ეგ ადვილია: ცალი და ცალი  
გამოაჩინე ლოჯი და თვალი.  
ისე პირნმინდად დაემთხვევა პროფილს პროფილი,  
თუ გინდაც ერთი დედ-მამისგან ვიყოთ შობილი.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ო, მაღლი თქვენდა, განუზომელს მანიეთ პატივს.  
დე, იყოს ასე!

ფოკიადები

იყოს ასე! იარე, ნადი!

მეფის ცოფელი

ქაოსის ძე ვარ ჭეშმარიტი!

ფოკიადები

ჩვენ კი ასულნი!

მეფის ცოფელი

ჰერმაფროდიტად არ შემრაცხონ ზღვარს გადასული!

ფოკიადები

ჩვენი ახალი დის მშვენება მოგვნათებია,  
ერთი თვალიც და ერთი კბილიც მოგვმატებია.

მეფის ცოფელი

ვის დავენახო დღევანდელი ჩემი სახებით!  
თვით ჯოჯოხეთში დაფრთხებიან ქაჯ-ეშმაკები!

(ჯადის.)

# კლდოვანი ყურე ეტევისის ზღვაზე

მოჩანს მთვარე. შუაფულ ცაზე შეყვონებული

ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი . ქიშკაზე სხედან. ფლეიტებს უკრავენ და ძღვნიან

თესალიელ გრძნეულ ქალთა  
რა რომ ჯადო დაგეკვალთა,  
ძირს, მინაზე, ჩამოხვედი.  
გადმოგვცქერი ახლა ციდან,  
შენი ლამის სიმალიდან,  
დგახარ, როგორც ნათლის სვეტი.  
მოლივლივე ზღვაც შენია,  
შენი შუქი აფენია!  
გვიმსახურე, სავსე მთვარევე,  
მიგვინდე და შეგვინყნარე!

ნ ე რ ე ი დ ე ბ ი და ც რ ი ტ ო ნ ე ბ ი

ჩვენც საყვირთა მძლავრი ხმებით  
მთელ კიდეგანს გადავწვდებით.  
სანამ ქროდა მძაფრი ქარი  
მშვიდ წიალში ჩავასწარით,  
შევეფარეთ ზღვათა სიღრმეს,  
სიმღერებმა ამოგვიხმეს.

ამოვცურდით წყობილები,  
ოქრო-ვერცხლით მკობილები,  
სამკაულით არნახულით,

დღემდე ფსკერზე დამარხულით,  
მათგან დავლად მონაჯერით,  
ვინც დალუპეთ თქვენი მღერით.

### ს ი წ ი ნ ო ზ ე ბ ი

ფსკერზე მხოლოდ თევზი ვიცით!  
გული არ უცთ არავისთვის!  
არა ცეცხლი, არა ჟინი!  
თუ ფსკერიდან ამოხვედით,  
თქვენც რითი ხართ მათზე მეტი?  
სხვანი ხართ და არ ისინი?

### ნ ე წ ე ი დ ე ბ ი    დ ა    ც რ ი ც ო ნ ე ბ ი

მაშ, აქ რისთვის მოგაშურეთ,  
ავირჩიეთ თქვენი ყურე?  
გული გვიცს და ისე დავალთ!  
დაგანახვებთ თქვენი თვალით,  
სად გაივლის ჩვენი კვალი,  
თევზზე მეტი რითიცა ვართ!

### ს ი წ ი ნ ო ზ ე ბ ი

ნამში გაქრნენ, გზად მიიქცნენ,  
წავლენ სამოთრაკიისკენ,  
მოიხილონ ნაპირები,  
იმ ღმერთების, კაბირების,  
თავის თავს რომ თვითონ შობენ,  
შობენ, მაგრამ ვერა სცნობენ!  
მთვარევ, იდექ შუა ცაზე!  
არ ჩახვიდე, დარჩი ასე!  
დაუცხრობლივ იკამკამე,  
დღე ნუ მოვა, იყოს ღამე.

## თ ა ლ ე ს ი

გნებავეს, მიგიყვან, აქ ახლოა ნერევის მღვიმე,  
ოღონდ ბუზლუნა ბებერია, გუნებამძიმე.  
ავობს კუშტი და უჯიათი, თუხთუხებს მარად,  
კაცთა ნაქმარი არა საქმე არ უჩანს არად.  
ხალხი კი მაინც აფასებს და უწოდებს ნეტარს,  
რადგან თვალდათვალ შეუძლია მომავლის ჭვრეტა.  
ბევრისთვის კარგი სამსახურიც გაუწევია,  
სულ საკეთილო გამომდგარა, რაც ურჩევია.

## ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

მივუკაკუნოთ, არ გატყდება ჩემი სინჯარა,  
ალიც მეყოფა იქაობის გასასინჯარად.

## ნ ე რ ე ვ ს ი

ყურში რა ხმები ჩამდგომია? კაცთა ხმებია?  
უნდა ბოლომდე გამამწარონ, არ მეშვებიან!  
ღმერთობას ლამობს უგერგილო სუსტი ქმნილება.  
ამაოდ იბრძვის, ვერ ეწევა სრულყოფილებას!  
ნაცვლად იმისა, გავერიდო, როგორც წესია,  
გვერდით ვუდგავარ, ვინც მაგათგან უკეთესია.  
არადა, სიტყვას ვერ შეასმენ გონებით ურჩებს,  
ერთი ფასი აქვს, ურჩევ რამეს, არაფერს ურჩევ!

## თ ა ლ ე ს ი

ზღვათა მოხუცო, მაინც ყველა გიცხადებს ნდობას.  
ნუ გაგვაძევებ, შენი კალთის გვამთხვიე ქობას.  
ამ ალს შეხედე! ყველა ნაკეთით კაცის მგვანია,  
შველა სჭირდება, აქ რჩევისთვის მომიყვანია.

## ნ ე რ ე ვ ს ი

რჩევა? რა რჩევა? კაცთაგანი ვინ უსმენს რჩევას?  
მიდის და მისტვენს! მე შენ გეტყვი, განსჯაში შევა!  
უთხარ, რაც გინდა! უჯიათად დგას თავისაზე,  
ის უჩანს სწორად, მოკლე ჭკუით რასაც ისაზრებს.  
მამაშვილურად გავაფრთხილე აკი პარისი,  
მაგრამ შლეგისთვის არ აღმოჩნდა ეს საკმარისი.  
ცოლი ნაჰგვარა მასპინძელს და გაქრა, წავიდა.  
რაც მოხდებოდა, სულ იცოდა! ვუთხარ თავიდან!  
ვიხილე კვამლი, შავ ბოლქვებად ცისკენ დაძრული,  
მთელი ქალაქი გადამწვარი, გადახანძრული!  
ისიც, რომ ლექსად დარჩებოდა ტროის დაცემა,  
ათასწლეულებს შიშს მოჰგვრიდა და აღტაცებას.  
ყინჩმა ყმანვილმა არ უსმინა მოხუცის ნათქვამს,  
და ბურჯმოთხრილი ილიონი ხანძარმა დანთქა.  
ვეება მძორი დიდხანს ეგდო მხეცთა ხადილად,  
პინდუსის მთელმა არწივეთმა ზედ ინადიმა...  
ანდა ულისეს არ ვუთხარი, წინ რაც ელოდა?  
რას დამართებდა საკუთარი განუსჯელობა?  
კირკეს ამბავიც, კიკლოპისაც, თვალწინ დავუნყვე-  
ყური მომაპყრო? შეისმინა რაც-რა ვაუნყვე?  
რა დრო დასჭირდა, რამოდენა მსხვერპლის გაღება,  
სამშვიდობოზე გამოორიყეს ვიდრე ტალღებმა!

## თ ა ლ ე ს ი

კი, ეს ბრძენისთვის ერთობ მძიმე გაკვეთილია,  
მაგრამ წყალობას მაინც გასცემს, ვინც კეთილია.  
უმადურობას გადაწონის ასსა და ათასს  
მადლიერების ერთი კვნიტი მცირეთა სხვათა.  
და ჩვენ, მცირენი, გთხოვთ წყალობას: ურჩიე ყმანვილს,  
რა გზას დაადგეს, როგორ გახდეს სრულქმნილი კაცი.

## ნ ე რ ე ვ ს ი

გასწით, გუნებას ნუ წამიხდენთ, მომწყდით ორივე!  
დღეს აქ ვერაფერს გამომრჩებით მაგ ჩაცვივით!  
სულ მალე ჩემი ასულები სტუმრად მომივლენ,  
ჩემი ლამაზი დორიდები, ზღვის გრაციები.  
თქვენს მინას ჰკითხეთ, ოლიმპოს თუ კიდეც რაც არი,  
უნახავთ სადმე მიმოხრანი ასე მწყაზარი?  
ზღვის ცხენთა ზურგზე დრაკონების მწვანე ზურგიდან  
გადაიფრენენ, უკეთესის ნახვა ნუ გინდა!  
ისე მსუბუქად დააქროლებს ტალღა რხეული,  
ჰგავს თუ, ქათქათა ქაფს უჭირავს მათი სხეული.  
ვენუსის ეტლის, ნიჟარათა ეტლის შვიდფერისა,  
იხილეთ სრბოლა! გალატეა გამოჩნდა მნათი!  
მთელი პათოსი მას მიაგებს ღვთაებრივ პატივს,  
რაც იქაობა მიატოვა ოქროს კიპრისმა.  
ახლა მისია ბომონიც და ეტლიც ნიჟარის,  
კუნძულის სრული მბრძანებელი ახლა ის არის.  
გამშორდით-მეთქი! აღარ მინდა მეტი გისმინოთ!  
შვების დღე მიდგას, თავი არვინ შემარისხვინოთ!  
პროტევსთან მიდით! არ მჭირდება თქვენი თავყვანი!  
იმას მოჰკითხეთ სახვანი და გარდასახვანი!

## თ ა ლ ე ს ი

არ გამოვიდა ჩვენი საქმე, ამაოდ დავშვრით!  
პროტევსი გინდაც ჩავიჭიროთ, გასხლტება ნამში.  
არ გასხლტება და ისეთ-ისეთს იტყვის საკვირველს,  
ისეთ უცნაურს გამოთარგავს, ჭკუას აგვირევს.  
მაინც მივიდეთ, არ ყოფილა მეტი საშველი,  
გადავიაროთ ეს ბილიკი, იქ მისასვლელი.

(ვადიან.)

ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი .    მაღლით, კლდეებიდან

რა მოჩანს ტალღებზე შორით?  
რა მოსრბის ქარული სრბოლით?  
თეთრი იალქნების წყება  
ჩნდება და ქრება და ჩნდება.  
მართლა იალქნები როდია,  
ნერევესის ასულნი მოდიან.  
ეს მათი ხმა ისმის  
შვების და ხალისის.

ნ ე რ ე ი დ ე ბ ი    და    ტ რ ი ც ო ნ ე ბ ი

შეხედეთ, რა მოგვაქვს თან!  
მხილველო, შორითვე სცან!  
ქელონის ვეება ფარზე  
ღვთაებრივ სახებებს ვარწევთ.  
მაღალი გალობა თქვით  
ლამაზად შეწნული ხმით!

ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი

კაბირნო, მცირენო თვალად,  
გაქვთ ყოვლად უზღვავი ძალა.  
შემწენო ხომალდებმსხვრეულთა,  
ღელვისგან, ქართაგან ძლეულთა!

ნ ე რ ე ი დ ე ბ ი    და    ტ რ ი ც ო ნ ე ბ ი

მოგვყავს კაბირები,  
გადმონაბირები.  
იქ, სადაც ეგენი არიან,  
ნეტუნნი დღემუდამ წყნარია.

## ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი

თქვით, საით იარებით,  
ჩვენც ჩაგეზიარებით.  
ღმერთნი ხართ ძველთაგან ძველი,  
ღელვაში მეზღვაურთ შველით.

## ნ ე რ ე ი დ ე ბ ი   დ ა   ც რ ი ტ ო ნ ე ბ ი

ეგ სამნი გამოგვყვენ თანა,  
მეოთხემ უარი ბრძანა.  
ზის მარტო, სურვილებს იქრობს,  
ყოველთა მაგიერ ფიქრობს.

## ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი

ღმერთები ქიშპობენ, მტრობენ,  
ერთმანეთს კილავენ, გმობენ.  
ჩვენ ყველას თაყვანი ვცეთ,  
ყველანი მოვიხმოთ მწედ.

## ნ ე რ ე ი დ ე ბ ი   დ ა   ც რ ი ტ ო ნ ე ბ ი

კაბირი შვიდიაო, ზოგ-ზოგი შარიანობს.

## ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი

ის სამნი სად ვეძებოთ, რა მხარეს არიანო?

## ნ ე რ ე ი დ ე ბ ი   დ ა   ც რ ი ტ ო ნ ე ბ ი

არ ვიცით, ჭორია, არ არის ჭორი,  
უნდა ოლიმპოზე შევიტყოთ სწორი.  
სხვა ზოგი ხალისობს,  
კი, მერვეც არისო.

თუმცა არ ყოფილან მზად,  
ერთად დაძრულიყვნენ გზად.  
კაბირნო, არვისა სადარნო,  
ღმერთებო, ძველნო და სხვაგვარნო,  
ხართ შიმშილუღლნი ფრიად,  
უხვდომ-უნვდომელი გშიათ.

ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი

ვადიდოთ ღმერთები  
იქ, სადაც არიან,  
ყველანი ერთობლივ,  
მზიან და მთვარიან.

ნ ე რ ე ი დ ე ბ ი დ ა ც რ ი ტ ო ნ ე ბ ი

ამაყნი ვართ ჩვენი წილით,  
ზეიმისთვის შემოდღვნილით.

ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი

ძველმა გმირებმა პონტი გადავლეს,  
ოქროს სანმისი მოინადავლეს.  
თქვენც ჩამდენი ხართ ამგვარი საქმის,  
თქვენი კაბირნი სჯობიან სანმისს.

ს ა ე რ თ ო მ ი ს ა მ დ ე რ ი , ო რ ფ ა დ

ჩვენც [თქვენც] ჩამდენი ვართ [ხართ] ამგვარი საქმის!  
ჩვენი [თქვენი] კაბირნი სჯობიან სანმისს!

(ნეჩეიდები და ცრიტონები უჩინარდებთან.)

### პ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

დაუმთავრებელს გვანან ესენიც,  
თიხის ქოთნების მაგვართ.  
ბევრი სწავლული, სიბრძნის მთესველი,  
შუბლით შეხლია მაგათ.

### თ ა ლ ე ს ი

გვანან და გვანდნენ, ძალიან კარგი,  
ძველი მონეტა იცნობა ჟანგით.

### პ რ ო ტ ე ვ ს ი . უხილადად

თქვენ თქვენებურად ხუმრობთ სტუმრები,  
მეც ჩემებურად გაგეხუმრებით.

### თ ა ლ ე ს ი

სადა ხარ, პროტევს?

### პ რ ო ტ ე ვ ს ი

აქ ვარ! იქ ვარ!

### თ ა ლ ე ს ი

გვეთამაშები!  
ჩვენ კი საქმე გვაქვს. გვაპოვინო უნდა საშველი.  
ნუ იშალები, მეგობრისთვის სიკეთე ქენი!  
ვიცი, იქ არ ხარ, საიდანაც ხმა ისმის შენი.

### პ რ ო ტ ე ვ ს ი . უორიდან

მშვიდობით განახეთ!

თ ა ლ ე ს ი , ჩუმაღ ჰომუნკულუსს

სულ ახლო დგას. აანთე ალი!  
თევზივით ცნობისმოყვარეა, დარჩება თვალი.  
უმალ იქ ჩნდება, გამორჩევით თუ რამე ბრწყინავს.

ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

ძალიან ბევრსაც ვერ ვიბრწყინებ, გატყდება მინა.

პ რ ო ტ ე ვ ს ი . გიჟანტური კუს სახით

ეს რა ანათებს?

თ ა ლ ე ს ი

სანახავად, გთხოვთ, მოიცალო!  
როდემდე გინდა იწრიალო, სახე იცვალო!  
კაცებრივ კაცად დაგვენახე, ორ ფეხზე მდგარად,  
ჩვენც გამოგიჩინთ, რითი ვნათობთ, რისაგან რა ვართ.

პ რ ო ტ ე ვ ს ი , კაცის სახით

ისევ ის შენი ბრძენთაბრძნული თავსატეხები!

თ ა ლ ე ს ი . გამოაჩენს ჰომუნკულუსს

ისევ ის შენი მაქციური მანჭვა-გრეხები!

პ რ ო ტ ე ვ ს ი . გოცბული

მანათობელი ქონდრისკაცი? პირველად ვხედავ!  
კიდევ ახალი თავსატეხი! რას ნიშნავს ნეტავ?

## თ ა ლ ე ს ი

რასაც უყურებ, სულ ეგ არი, სხვას არას ნიშნავს.  
რჩევისთვის დამყავს, სრული სახით, სნადია, იშვას.  
შველა სჭირდება, ჯერ ბოლომდე ვერ გაჩენილა,  
უცნაურ წესზე შექმნილა და გზად გარჩენილა.  
სულიერებით კაცი გახლავთ ჩვეულებრივი,  
მაგრამ დიდია დანაკლისი სხეულებრივი.  
წონაც არა აქვს, ეს მინაა, რაც აძლევს წონას,  
მონატრებია კაცებრივი სხეულის ქონა.

## პ რ ო ტ ე ვ ს ი

როგორც ეტყობა, ადრე დაბადეს.  
ძე-ასულია, გაჩნდა ვადამდე.

## თ ა ლ ე ს ი . დინჯად

თუ კრიტიკული მხრიდანაც განვსჯით,  
ჰერმეფროდიტის კვალი ჩანს მასში.

## პ რ ო ტ ე ვ ს ი

ჰოდა, მისთვისვე უკეთესი, თუ ეს ასეა,  
სწორად შევურჩევთ, შეჰფეროდეს სქესი ხასიათს.  
არ უნდა ბევრი ზომა-წონა, კარგი და ავი,  
მანდ ერთადერთი ნამალაია, ზღვას მისცეს თავი.  
მცირით იწყება ყოველივე, სწრაფი ქმედებით,  
ნაკლებად მცირე უფრო მცირეს ნთქავს გამეტებით,  
ლონიერდება, ხდება დიდი, კვლავ უფრო დიდი,  
სრულყოფილდება, კიდევ მალლა, სულ მალლა მიდის.

## ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

რა სიმწვანეა! რა სურნელება!  
ნეტარებისგან გული მელევა!

## პ რ ო ტ ე კ ს ი

კონცხზე გაგვიყვანს ეგ ვინრო ყელი,  
აბა, იქ გელის, თუ სიტკბო გელის!  
სხვა სიო დაქრის, იამებ ასნილ.  
აგერ იმ დასსაც სულ ახლოს ვნახავთ,  
შორით მომავალთ! სრულიად ახალთ!  
მოდით, მომყევით!

## თ ა ლ ე ს ი

გაგვიძეხ, გასწი!

## ჰ ო მ უ ნ კ უ ლ უ ს ი

უცხო მსვლელობა სამი სულისა,  
სხვადასხვა მხრიდან გზად მოსულისა!

(როდოსის ცელქინები. ზღვის ცხენებსა და დრაკონებზე  
შემომსხდართ ნეპტუნის სამკაპი მოაქვთ.)

## ქ ო რ ო

ნეპტუნის სამკაპის ჩვენა ვართ მჭედელი.  
ღელვათა დამცხრობის, ტალღათა მკვეთელის.  
თუ იუპიტერი ღრუბლებში გრგვინავს,  
ტალღას ატრიალებს ნეპტუნი მძვინვარს.  
ცად გაიტოტება ელვა დაკლაკნილი,  
ძირს ზათქით მოსკდება ტალღა დაგრაგნილი.  
მათ შუა რაც არის, ეკუთვნის ქარიშხალს,  
რასაც ვერ დაძირავს, დაწენს და დარისხავს.  
მაგრამ დღეს ჩვენ მოგვაქვს ნეპტუნის სკიპტრა,  
დღევანდელ ზეიმზე ხელთ უნდა ვიპყრათ.

## ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი

თქვენ, ჰელიოსის რჩეულნი,  
დღის ელვარებას ჩვეულნი,  
მოხვალთ ჩვენს გასახარისად  
დღესასწაულზე მთვარისა.

## ტ ე ლ ქ ი ნ ე ბ ი

მრავალსანატრელო ქალღმერთო ცისა,  
გულით რომ გახარებს ხოტბანი ძმისა,  
უსმინე, როდოსი რა ხმებად ხმიანებს!  
მის მიმართ წარუვალს ალავლენს პეანებს!  
ცეცხლის სახოვანი დაგვყურებს ღმერთი  
და რასაც დაჰყურებს, უყვარს და ელტვის.  
დასცქერის, დაჰხარის, მთელი დღე დანათს,  
უკაცურ ხრიოკს თუ ხალხმრავალ ქალაქს.  
ქრებიან ნისლები, ჩნდებიან ჭავლები,  
ლივლივებს კუნძული შუქშემონავლები.  
ათასი ქანდაკი – ღმერთისთვის დადგმული,  
ათასი ჭაბუკი სხეულდაკვალთული.  
ჩვენა ვართ პირველნი, ვინც კაცის იერით  
ქვაში გამოსახა ძალი ზეციერი.

## პ რ ო ტ ე ვ ს ი

ფუჭია სიტყვა მოტრაბახეთა!  
მაგათ ნახელავს მზე რომ დახედავს,  
მხოლოდ აცინებს კერპები მკვდარი!  
მათ, რაც რვალისგან ჩამოსხმულია,  
ისე უმღერენ, ვითომ სული აქვთ,  
მართლა ჰგონიათ ღვთაების დარი.  
არადა, ძალა არ არის მათში,  
ერთი მინისძვრა დასცემს და დაფშენის.  
რამდენჯერ მათი სხეული მქისე  
ცეცხლში გამდნარა ისევ და ისევ.

ხმელეთზე ყოფნა არის ჯახირი,  
ფოლხავ, დალოდავ მუხლებჩახრილი.  
გიჯობდა, თავი მიგეცა წყლისთვის!  
წყალში ცხოვრება სულ სხვა რამეა.  
დროზე მოასწარ! წასვლის უამია!  
აჰა, პროტევისი-დელფინი გიცდის!

(სახეზას იცვლის.)

ზურგზე მომაჯექე, ნავიდეთ ზღვისკენ,  
ოკეანესთან გვირგვინი ისკვენ!

### თ ა ლ ე ს ი

შეუდექე საქმეს ძირისძირიდან,  
პირველდვრიტიდან, ყოვლად მცირიდან!  
ფერისცვალებას გაივლი ათასს!  
უცხოობი ძალის მარადი ხმევით  
ადი კვლავ ზევით, სულ უფრო ზევით  
და განკაცების მოაწევს ვადაც.

(პოპუნკულუსი პროტევის-დელფინს ზურგზე შემოაფილება.)

### პ რ ო ტ ე ვ ს ი

შერთე ეგ შენი სულთა სულობა  
სველი სტიქიის უსასრულობას,  
სულ მალლა ივლი, მე ვარ თავდები.  
გზას გაგიკვალავ უცადს თუ ნაცადს,  
ოღონდ გაფრთხილდი, არ იქცე კაცად,  
რანამს იქცევი, იქ დამთავრდები.

### თ ა ლ ე ს ი

რატომ! თუ კაცი გულით მხნეა, სულით მდიდარი,  
იმ კაცად ყოფნა თავის დრომდე ცუდიც რით არი!

### პ რ ო ტ ე ვ ს ი . თალესს

კი, რა თქმა უნდა, თუ შენდარია,  
შენებრივ სიბრძნის გზას შემდგარია.  
გზად ხარ, რამდენი ასი წელია,  
ცქერით თვალები გადამელია.

### ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი . კლდეებზე მიმოქსდარნი

მთვარის ირგვლივ რა რკალია?  
ნისლი მოსდევს ფთილა-ფთილად!  
არა, მტრედთა ფართქალია,  
პათოსიდან მოფრენილან.  
ტრფობის ალი ააქვთ ცამდე,  
რიალებენ ფრთათეთრ გუნდად.  
დღესასწაულს ამაღამდელს  
მაგის მეტიც რალა უნდა!

### პ რ ო ტ ე ვ ს ი

კაცთა მზერას ეგ ფთილები  
ეგონება ბაკმი მთვარის,  
ჩვენ კი, სულნი, უცებ ვხვდებით,  
რკალი იგი რისგან არის.  
მოფარფატე ფრთების წრეა,  
გადასვლია ჟამი ლოდინს,  
ვხედავ, ჩემი გალატეა,  
სადაფების ეტლით მოდის.

### თ ა ლ ე ს ი

ისევ ისე მინდა ბრწყინდეს,  
კაცისათვის რაცა ჯერარს,  
ისევ ისე ძველ სინმინდეს  
ინახავდეს თბილი კერა.

ფ ს ი ლ ე ბ ი და მ ა რ ს ე ბ ი , ზღვის ცხოველებზე  
შემომსხდარნი, ზღვის კურობებზე და ვერცხებზე

სადაც კვიპროსის მწვანე მთებია,  
და მუდამ დაქრის ზღვაური ნელი,  
სადაც კბოდეებს არ შეხებია  
სეისმოსის თუ ნეპტუნის ხელი,  
ვით გვიცხოვრია, ვცხოვრობთ ისევე,  
დროც იგივეა, არ იძვრის ოდნავ,  
ეტლს დავატარებთ კიპრისისეულს,  
მაგრამ ვერ გვხედავს ახალი მოდგმა.  
ეტლში კიპრისის მონაცვლე გვიზის,  
ბრწყინავს, ელვარებს მშვენება მისი.  
ვინც გინდა დასვან სამეფო ტახტზე,  
რაც გინდა მოხდეს, რაც გინდა ნახდეს,  
იყოს ომები, ხოცვა და რბევა,  
ტყვეების წასხმა, ქალაქთა ნგრევა,  
ჩვენს ლამაზ პატრონს ზეიმის კარად  
მოვიყვანთ, როგორც მოგვყავდა მარად.

ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი

ეტლის ირგვლივ წრე შეუკრავთ  
დაუდგრომელ ნერეიდებს,  
რაც წამის წინ ჩანდა ქუფრად,  
გახედავ და – ნათელს იდებს.  
დორიდებმაც რკალი შეკრეს,  
ნაზად ბრუნავს მათი რკალი,  
გალატეა მოჰყავთ ჩვენკენ,  
დედამისის ალი-კვალი.  
განაგრძობენ უცხოდ ლივლივს,  
ირწვეიან ვითა ლელნი,  
ღმერთქალებრივ ღვთაებრივნი,  
მაგრამ ქალებრ მიმზიდველნი.

## დ ო რ ი დ ე ბ ი

მთვარევ, მთვარევ, შუქიც, ჩრდილიც  
მოგვასესხე უამსა ამას,  
ვაჟნი, ქმრებად მოყვანილნი,  
დავანახოთ გვინდა მამას.

(ნერეუსს)

ტალღებისგან განატყორცნი,  
ძირს გდებულნი, გულწასულნი,  
გავაცოცხლეთ ჩვენი კოცნით,  
კვლავ ჩავბერეთ პირში სული.  
ვალს გვიხდიან ერთგულებით,  
ჩვენგან ასცდათ ბედი მწარე,  
სილამაზით შემკულები  
მიიღე და შეიფარე.

## ნ ე რ ე ვ ს ი

რა სჯობს, მოგება თუ ორკეცია!  
მადლი გასწიეთ, მადლი გენიათ.

## დ ო რ ი დ ე ბ ი

მამავ, თუკი ჩვენს ამ ბიჭებს  
ერთგულებას ასე უქებ,  
უკვდავება მიანიჭე  
და მარადი სიჭაბუკე.

## ნ ე რ ე ვ ს ი

კარგი ნადავლი მოგყვით ნამდვილად,  
ოლონდ დანარჩენს ამბობთ ადვილად.  
ნუ დაამყარებთ მაგ იმედს ჩემზე,  
მაგისა მხოლოდ ზევსია შემძლე.

საამოდ გარწევს, თამაშობს ტალღა,  
მაგრამ ტრფობისთვის არ არის მყარი,  
ჯობს, ნაპირზევე დატოვოთ ახლავ,  
ვისაც არ ძალუძს აგიბათ მხარი.

### დ ო რ ი დ ე ბ ი

უნებურ გტოვებთ მკაცრი არათი,  
მშვიდობით გველოთ! ვერ შევერთდებით!  
ჩვენ ერთგულება გვსურდა მარადი,  
მაგრამ სხვაგვარად სჯიან ღმერთები.

### ვ ა ყ ე ბ ი

მეზღვაურთაგან უნეტარესნი  
კვლავაც ვენწევით ზღვას,  
შორით გვასმინეთ სიტყვა ალერსის,  
არას ვინატრით სხვას.

(ნიუაჩრების ეცლით ახლოვდება გალატა.)

### ნ ე რ ე ვ ს ი

ეს შენ ხარ, ჩემო საყვარელო?

### ტ ა ლ ა ტ ე ა

ძვირფასო მამა!  
აბა, შეჩერდით, დელფინებო! ცოტაც დახანდით!

### ნ ე რ ე ვ ს ი

ჯერ არ მოსულხართ და ახლავე მიდიხართ განა?  
თვალის შეველებაც არ მაცალეთ, უკან გაქანდით!  
რას დაეძებენ მამის გულის ორად გაპობას!

ვერ გამოგია, ვის სჭირდება ეს სულსწრაფობა!  
უნდა ვიკმარო მთელი წელი ერთი დანახვა,  
აქ ხარ და უცებ გავიხედავ, აქ აღარა ხარ!

### თ ა ლ ე ს ი

იდიდოს მარად! ო, დიდება! კიდევ დიდება!  
ერთად ვიხილე სილამაზეც, ჭემმარიტებაც!  
წყალი ქმნის ყოველს!  
წყალი სახავს!  
ინახავს წყალი!  
არ იქნებოდა ამა ქვეყნად სიცოცხლის კვალი,  
რომ არ ბრუნავდე, ოკეანევ, ღრუბლის ქულეზად,  
მდინარეებად თუ ლიკლიკა ნაკადულებად!  
რა იქნებოდა დედამინა? უდაბნო კრული!  
ეს შენ ხარ, შენ ხარ!  
შენგან მოდენს სიცოცხლე სრული!

ე ქ ო . გუნდ-გუნდად. მამდენიშე მხრიდან

ეს შენ ხარ, შენ ხარ!  
შენგან მოდენს სიცოცხლე სრული!

### ნ ე რ ე ვ ს ი

უკან ბრუნდებიან ტალღებზე რწეულნი,  
რაც არ ახლობელნი, მაინც შორეულნი.  
წრეებად, რკალებად იძვრიან ირგვლივ,  
სადღესასწაულო წესით და რიგით.  
ბრწყინავს გალატეა და ტახტი სადაფის,  
ვუმზერ და ვერ ვწყდები, ნათელი გადასდის!  
ვარსკვლავად კიაფობს, უქმდება მანძილი,  
მარად თანამყოფი და მარად ნამდვილი!

### ჰომუნკულუსი

ეს ჩემი სინათლეა წყალში,  
ფერი ცვლის ფერს!

### პროტეკსი

ეს შენი სინათლეა წყალში,  
ჰანგებად ჟღერს!

### ნეკეკსი

მაგ სიმრავლეში უცნაური ჩანს სანახავი,  
ნუთუ ჩვენს თვალწინ საიდუმლო აღჩნდა ახალი?  
იქ, გალატეას ტახტის ფერხით რა შუქი მოდენს?  
თითქოს გაცხადდა, ის რაც დღემდე იყო ფარული...  
კრთება, ინთება... ისე ფეთქავს, ვით სიყვარული!

### თალესი

ჰომუნკულუსი მონუსხული მიჰყვება პროტეკსს.  
მაღალი ლტოლვის ნიშანია! მაღალი ჟინის!  
ტახტს შეემსხვრევა, როგორც ვატყობ, თავისი მინით!  
აჰა, ძირს იხრება,  
ტალღებში იღვრება!

### სიწინოზები

ვუცქერით ტალღებზე სასწაულს ცეცხლოვანს  
მიკრთის და ელვარე ფერებად ეწყობა.  
ბრწყინვალეებს ეროსი ზვირთებად დაძრული,  
ყოვლის დასაწყისი, ყოვლის დასასრული.  
დიდება ტალღებს, გარირგვლივ მდგარს,  
წმინდა ცეცხლია, რომ ერტყმის გარს!  
დიდება წყალს! დიდება ცეცხლს!  
დიდება მოსახდენს, რაც ხდება დღეს!

## ყველანი ერთხმად

დიდება ზღვას! დიდება მყარს!  
დიდება ცეცხლს! დიდება ქარს!  
რიგ-რიგად გვიქია  
ოთხივე სტიქია!

მესამე  
მოქმედება

# სპარცა, მენელაოსის სასახლის შესასვლელი

შემოდის ელენე. თან ცროულ ცყვე ქალთა ქორო მოჰყვება  
პენცალისის წინამძღოლობით.

## ე ლ ე ნ ე

მრავალნაქებიც, მრავალნაძრახიც ერთბამ,  
მე ვარ ელენე, ზღვის გადაღმიდან მოვალ,  
ტალღებზე რწევით ჯერ ისევ ისე მთვრალი.  
უკან დავტოვე ვრცელი ფრიგიის მიწა,  
მშობლიურ ყურეს დავბრუნებივარ კელავაც,  
პოსეიდონმა გზაზე მშვიდობით მავლო,  
ევროსის ქროლვით გადმომატარა ზღვები.  
მაღალო სახლო, მოველ, კეთილად შემხვდი,  
მამაჩემისგან, ტინდარევსისგან, ქმნილო!  
პალასის მთიდან მობრუნებულმა დაგდგა,  
სპარტის მხარეში ხარ ყველა სახლის მჯობი.  
აქ ჩემთან ერთად უტარებიათ სიყრმე  
დას, კლიტემნესტრეს, ძმებს, კასტორსა და პოლუქსს.  
სალამი შენდა, რვალით ნაჭედო კარო,  
შენ მენელაოსს ნდობით გაეხსენ უნინ,  
მრავალ გმირთაგან ვინც ავირჩიე საქმროდ.  
ახლაც გაილე, უნდა ერთგულად მიყვე  
ქმრის დანაბარებს, როგორც მორჩილი ცოლი.  
მიმილე-მეთქი, დაე, ზურგსუკან დამრჩეს,  
ბედის ტრიალში რაც ქარიშხალი მდევდა.

სწორედ ეს ზღურბლი გადმოვიარე მშვიდად  
მაშინაც, იმ დღეს, იმ დანყველილი დილით.  
სხვა არაფერი, ტაძრად მინდოდა მისვლა,  
კითერიასთვის რომ მიმერთმია ძღვენი,  
მაგრამ ფრიგიელ ყაჩაღს ნავანყდი გზაზე,  
ხელი დამხვია, თან წამიტანა ძალით.  
რაც მერე მოხდა, ხალხში ამბებად დადის,  
მოსმენა მათი მავანთ სიამით ავსებს,  
ხოლო მსხვერპლისთვის უამურია ფრიად,  
ყველა სიმართლე გადაფარულა ზღაპრით.

### ქ ო რ ო

ბედს ნუ ემდური,  
ქალთა შორის უპირველესო,  
მშვენიერება გაქვს ცათაგან მომადლებული,  
აღმატებული ამა ქვეყნის ყველა დიდებას.  
გმირს წინ მიუძღვის სახელი მისი,  
მიდის ამაყი, შემმართებელი,  
მაგრამ ისიც კი  
სიღამაზის მორჩილებს ძალას.

### ე ლ ე ნ ე

კარგი, გეყოფათ! რაწამს ხომალდი ჩვენი  
ნაპირს მოადგა, წინ გამომიშვა ქმარმა,  
ქალაქისაკენ გამომამგზავრა მარტო.  
რისთვის დასჭირდა? ნეტავ რა უდევს გულში?  
რასაც არ ვფიქრობ, ვერ მივაგენი პასუხს.  
კვლავ მეუღლე ვარ? დედოფალი ვარ ისევ?  
თუ ტყვექალი ვარ, გამზადებული მსხვერპლად,  
უნდა ის ძველი მწარე ტკივილი ვუზღა,  
ვზლო, რაც ელადას ჩემგან სიავე ერგო?  
აკი ღმერთებიც ორმაგს მაძლევენ ნიშანს,  
რომ აქ, ამ ზღურბლზეც, არ გადავლილა საფრთხე,  
მშვენიერების თანამგზავრებად თქმულნი

კუშტად გამდგარან, ბედს შემატოვეს უნდოს!  
 გზაში, ხომალდზე, თვალს მარიდებდა ქმარი,  
 არა უთქვამს რა, მცირე ნუგეში მეგრძნო,  
 გუმანი მქონდა, ავს მიზრახავდა რასამ...  
 როცა გამოჩნდა ჩვენი ევროტის უბე,  
 როცა ხომალდი მაღალს მოადგა ნაპირს,  
 მენელაოსმა თვალი მომაპყრო ბოლოს,  
 თითქოს ღმერთისგან შექეზებულმა, მითხრა:  
 „მე შეეყოვნდები, ერთხანს აქ მინდა დავჩრე,  
 ალღუმს გავმართავ, მიმოვიხილავ ლაშქარს,  
 შენ კი იქამდე წმინდა ევროტის ქალებს  
 ცხენდაცხენ აჰყევ, სადაც პირქუში მთებით  
 გარშემორტყმული ვრცელი ვაკეა ერთი,  
 საძოვრები და ყანები იყო უწინ,  
 დღეს კი ზვიადი ლაკედემონი შენობს.  
 კოშკებმაღალი ნახე სამთავრო სახლი,  
 რაც მე წამოველ, შინ დიაცნილა დარჩნენ,  
 მიმოიარე, თვალი მოავლე ყოველს,  
 კარგად გასინჯე ნამუშავევი მათი.  
 რიგის მიმცემი ბერიქალია ბრძენი,  
 გადანახული გადმოგიშალოს განძი,  
 მამაშენისგან მონაგროვები უწინ,  
 მერე კი ჩემგან, ღალად იყო თუ დავლად.  
 სად რაც დებულა, იქვე იდება ისევ,  
 რადგან ხელმწიფეს, შინ მობრუნებულს შორით,  
 ხამს, ყველაფერი, – ბრძანებს მეფეთა წესი, –  
 რა როგორც დარჩა, ხელუხლებლადვე დახვდეს.  
 ყმა ნუ გაბედავს, რიგი შეცვალოს ნებით.

### ქ ო ს ო

შედი, დაიტკბე თვალიც და გულიც  
 განძით, წლით წლამდე ნაგროვებით,  
 ჩარიგებულან ბექდები, გვირგვინები,  
 როგორც საბრძოლო საჭურველი.  
 შედი, საომრად გამოიხმე,

მიყვარს, როდესაც ეტოქება  
ლამაზი ქალის სილამაზე  
ოქრო-ვერცხლსა და თვალ-მარგალიტს.

## ე ლ ე ნ ე

მერე მბრძანებლის მკაცრი კილოთი წართქვა:  
„როცა ყველაფერს ნახავ შენახულ-მოვლილს,  
აიღებ სამფეხს, წესი რამდენსაც ითხოვს,  
ჭურჭლეულობას, მსხვერპლშესანირად სახმარს,  
გვადრაკებსა თუ ლანკანებსა თუ თასებს.  
მაღალყელიან ვერცხლის სურებში ესხას  
საღვთო წყაროდან ამოტანილი წყალი.  
შეშა მოზიდონ, ალს რომ ტკარცალით იღებს,  
დანა ალესონ, პირი უგავდეს ალმასს.  
თუ რამ გამომრჩა, შენს მზრუნველობას ვანდობ.“  
ასე მითხრა და გამომაჩქარა გზაზე,  
არადა, მსხვერპლზე სიტყვაც არ უთქვამს ერთი,  
არავინ იცის, რა შესანირავს წირავს!  
სხვა რა ძალა მაქვს, ბედს დავმორჩილდე უნდა,  
მანც ახდება, ის რაც ღმერთებმა განბჭეს,  
ერთია მათთვის, მრუდედ გვიჩანს თუ სწორად.  
თუმცა ჯალათის ზეღმართული ცული  
ასეც მომხდარა, არ დაშვებულა მსხვერპლზე,  
შეცვლილა რიგი მტრის სიახლოვის გამო,  
ან ღმერთებისგან გაუქმებულა მსჯავრი.

## ქ ო რ ო

მოსახდენს მაინც ვერ ჩახვდები,  
ნუ ფიქრობ, შედი!  
მოულოდნელად მოინევა  
ავიც და კარგიც,  
რაგინდ წინასწარ გაგვაფრთხილონ,  
არ გვეჯერება!  
ვნახეთ, ხანძარში დაინთქა ტროა,

ნინ სირცხვილეულ სიკვდილს ვხედავდით,  
და უცვებ აქ ვართ,  
შემოგხარით, გემსახურებით!  
ცაზე მზეს ვუმზერთ სხივმოელვარეს,  
ხოლო მინაზე შენ გიცქერით, შეუსადარო.

## ე ლ ე ნ ე

იყოს, რაც არის, არ შევეუდრკები საფრთხეს,  
თამამად შევალ, როგორც დედოფალს ფერობს!  
სახლი, რომელიც ასე ადვილად დავთმე,  
რომელიც ცრემლით მენატრებოდა მწარით,  
ისევ აქ არის, თვალთა წინაშე ჩემთა,  
ვერ გამიგია, როგორ მოხდა და როდის!  
ისევ აქა ვარ, კიბეს ავრბივარ მაღალს,  
არადა, ვაგლახ, მთლად იმ ხალისით ვერა,  
სიყმანვილეში როგორც ავრბოდი უწინ.

(შედის.)

## ქ ო წ ო

განაგდეთ ნალველი,  
მწუხარე ტყვექალნო,  
მხარი აუბით  
დედოფლის სიხარულს,  
ელენეს სიხარულს  
აუბით მხარი!  
ისევ დაუბრუნდა  
კერას მამისეულს,  
ბედნიერ ფეხზე დაუბრუნდა!

ადიდეთ ღმერთები  
შინმომაცევეარი,  
რომელთა შეწევნით  
დახსნილან მრავალნი,

ფრთაშესხმით მოფრენენ  
ნანგრევთა ზედან!  
მაგრამ რამდენია  
ვინც ისევ ტყვედ არის,  
ვინც გოდოლ-ციხეთა  
ქიმ-ქონგურებიდან  
ამაოდ ინვდიან  
უმწეო ხელებს.

შენ კი, დედოფალო,  
ღმერთმა აგიტაცა,  
გულთან მიგიზიდა,  
ტროას გაგარიდა,  
მოგიძღვა მშვიდობით,  
სახლსა მამისასა,  
სახლსა მას მალალსა,  
შემკობილს ახლად.  
ახლად აღგიდგინა,  
დრო ყმანვილქალობის  
ამდენ შვებათა და  
ვებათა შემდეგ.

პ ა ნ თ ა ლ ი ს ი , ქოროს წინამძღოლი

ნადრევია ეგ სიხარულის ჰანგი,  
შეჩერდით, დებო, კარს მიაპყართ მზერა.  
დედოფალია! უკან ბრუნდება ისევ.  
ნეტავ რა მოხდა? გაჩქარებული მოდის.  
თქვი, დედოფალო, რამ შეგაშფოთა ასე?  
ნაცვლად საღმისა, შენს მამისეულ სახლში  
რა დაგახვედრეს? როგორ შეგცვლია სახე!  
გვითხარ, გაგვანდე, ვერ დაგვიმალავ ვერას,  
კრთომაც და წყრომაც ზედ განერია შუბლზე!

ე ლ ე ნ ე , აღელვებულს კაზი ღია დაუტოვებია

მე, ზევსის ასულს, არ მეკადრება, ვიცი,  
შიშმა დამძალოს, ჩვეულებრივმა ყოვლად.  
მაგრამ უეცრად, როცა ბებერი ღამის  
ბნელი საშოდან წითლად დაგრაგნილ ღრუბელს  
ზეამოტყორცნის მთის ცეცხლოვანი სიღრმე,  
თვით გამირთავმირსაც შეუქანდება გული.  
დღესაც ეგ მოხდა! სტიქსის ღმერთებმა ბნელმა  
შინდაბრუნების ცით მონიშნული წუთი,  
ნანატრი წუთი, ესდენ ტკბილი და ამო,  
ძრწოლად მიქციეს და მოკვეთილი სტუმრის  
მსგავსად გამოვრბი! გამოვერიდე თვითონ!  
მაგრამ ან, როცა კვლავ სინათლეში დავექე,  
ბნელეთის ძალნო, მეტს არ დავიხეე უკან.  
პირველ ყოვლისა მსურს განიწმინდოს სახლი,  
რომ კერის ღველფმა ისევ შემრაცხოს თვისად,  
ცოლიც და ქმარიც, ორნივ მიგვიტბოს გულზე.

ქ ო წ ო ს წ ი ნ ა მ ძ ო ლ ი

გვითხარ, გაგვანდე, რა სანახავი ნახე,  
ნუ დაგვიმალავ ერთგულეულთა შენთა!

ე ლ ე ნ ე

რაც ვნახე, მალე თქვენი თვალითაც ნახავთ,  
ღამის წიაღში თუ არ ჩაბრუნდა ისევ.  
მანამ კი გეტყვით: მთელი სამეფო სახლი  
შემოვიარე, ხალხს დავეძებდი შიგმყოფს,  
დანაბარები საქმის დანყება მსურდა,  
მაგრამ არავინ, განსაცვიფრებლად ჩემდა,  
არ შემხვედრია, სრული სიჩუმე იდგა,  
ერთი ფეხის ხმაც არ მოსწვდენია სმენას,  
არც თვალს უნახავს ახალნაქმნარი რამე.  
არსად მოახლე, არც წინამდგომი მათი,

ვინც ჩვეულ წესზე შემოხვდებოდა სტუმარს.  
 უეცრად ვხედავ, კერის მინავლულ ცეცხლთან  
 ზის შესუდრული ტანად ვეება ქალი,  
 თვლემს და არცა თვლემს, ფიქრს მისცემია უფრო.  
 მივხვდი, ის იყო, სახლი ებარა ვისაც,  
 არ მომეწონა, უქმად მყოფი რომ ვნახე.  
 თავზე დავადექ, საქმეს ენიე-მეთქი,  
 პატრონის წესზე ხმით მბრძანებლურით ვუთხარ.  
 არც შერხეულა, გულხელდაკრეფით იჯდა,  
 ჩემი ნათქვამი არც გაეგონოს ვითომ.  
 მუქარის ხმაზე ხელი შემართა ბოლოს,  
 გამეცალეო, მკაცრი ნიშანი მომცა.  
 განრისხებულმა პირი ვიბრუნე მისგან,  
 კიბეს მივმართე, თალამოსია სადაც  
 და ერთი კარიც განძთსაცავისკენ გადის.  
 მაგრამ წამოხტა, წინ გადამიდგა გზაზე,  
 ხმელი, მაღალი, ჩალამებული, ქუფრი.  
 მომჩერებოდა სხივდაშრეტილი მზერით,  
 არა, არ ძალმიძს სიტყვით აღწერა მისი...  
 თუმცა შეხედეთ! თავად ის არის! მოდის!  
 დღის სინათლეზე გამოუბედავს უფმურს,  
 დაე, ფებუსმა, მშვენიერების მცველმა,  
 ბნელში ჩახუფოს, ხუნდი დაადოს მძიმე!

ფორეიასი გამოჩნდება გამოღებული კარის ზღურბლზე

## ქ ო რ ო

მომსწრე ვარ თუმცა ჭირისა მრავლის,  
 კულული მშვენის ყმანვილქალური.  
 თავზარდამცემი ის ჟამიც ვნახე,  
 ბრძოლების ზათქი, ლამე ტროისა,  
 დაცემა მისი.

მტერის ღრუბლებში და სპათა დგრიალში  
 ღმერთების მჭახე ძახილს ვისმენდი,

შულის ღვთაების ვისმენდი ზარხმას,  
და ანყდებოდა ქალაქის ზღუდეს  
ბრინჯაოს ხმები.

ვაჰმე, ჯერ ისევ იდგნენ კედლები  
ილიონისა, მაგრამ ხანძარი  
გადადიოდა სახლიდან სახლზე  
აბორგებული და მოგუგუნე,  
და ივრცობოდა ცეცხლის გრიგალი,  
ცეცხლისავე ძალით ამოვარდნილი.

გამოვრბოდი და ნათლად ვხედავდი,  
რომ ხანძრის კვამლში,  
აღხში, აღმურში  
ტანად ვეება, ხილვად საშიში,  
თვალანთებული, რისხვით მზირალი  
მოაბიჯებდნენ ჩვენკენ ღმერთები.

სიცხადე იყო? თუ მოჩვენება  
ძრწოლით მოცული ჩემი სულისა?  
მე ეს არ ვიცი და არც არასდროს  
მეცოდინება დანამდვილებით,  
მაგრამ ის, რასაც აქ ახლა ვხედავ,  
ეს საზარელი, ბნელი არსება  
არ მეჩვენება,  
შემიძლია,  
ხელით შევეხო,  
შიში და ზიზღი არ მაკავებდეს.

ვხვდები, ფორკისის ასული ხარ,  
მაგრამ რომელი?  
გრაედ შობილხარ თმაჭალარად,  
შენი დებივით.  
გაქვთ ერთადერთი საერთო თვალი  
და ერთადერთი საერთო კბილი,  
რიგრიგობით მოსახმარისი.

ბედავ, შე ჯოჯოვ,  
სილამაზეს გვერდით უდგე  
ფებუსის თვალნინ,  
მშვენიერების პირველმცნობლისა?  
თუმცა გამოჩნდი,  
სიმახინჯეს ვერ ხედავს იგი,  
როგორც მზის თვალი  
ჩრდილს ვერა ხედავს.

მაგრამ მოკვდავნი  
სხვაგვარად ვართ,  
ვაგლახ, შექმნილნი,  
უსახურების დანახვაზე  
ზიზლისაგან  
ტანთ გვაჟრიალებს.

ხოლო თუ მაინც  
თაეხედურად მოგვეახლები,  
წყველა და კრულვა მოგენევა,  
მათგან, რომელთაც  
უფრო მონყალე  
ექმნენ ღმერთები.

### ფ ო რ კ ი ა ს ი

ძველია სიტყვა, მაგრამ არ გასდის ყავლი,  
დასტურ ასეა: არვის უნახავს დღემდე  
ერთად, ხელიხელ, სილამაზე და კდემა.  
ორივეს გულში მტრობას გაუდგამს ფესვი  
და, თუ შემთხვევით გზად შეიყარნენ სადმე,  
ერთიმეორეს ზურგს შეაქცევენ უბრად,  
გაჩქარებულნი ნავლენ სხვადასხვა მხარეს,  
კდემა – დარცხვენით, ფიქრიანი და წყნარი,  
სილამაზე კი – გულზვიადი და ლირფი,  
სანამ ორკუსი ბნელში არ დანთქავს ბოლოს,  
ანდა ვიდრემდე ნირს არ შეუცვლის ხანი.

ვინ ხართ, თავხედნო, რა სიამაყით მიცქერო,  
 უცხო ქვეყნიდან ხართ ოტებულნი, ვხედავ!  
 თითქოს გნიასით, უშნო ხავილით მიფრენს  
 წეროთა გუნდი, ღრუბელს მიჰყვება მწკრივად  
 და ხრინწიანი ხმები მოცვივა მალლით;  
 ახედავს მგზავრი, მერე თავის გზით წავა,  
 ისინიც წავლენ, არც არაფერი მეტი.  
 გუმანით ვხვდები, ასე მოხდება აქაც...  
 მაინც ვინა ხართ, აქ ამ სამეფო სახლში  
 რომ შემოჭრილხართ, ვით მენადები შმაგი?  
 ვინა ხართ-მეთქი, სახლეულთაგან პირველს,  
 ისე რომ მიყეფთ, როგორც ძაღლები მთვარეს?  
 ფიქრობთ, არ ვიცი თქვენი მოდგმა და ჯიში,  
 ომმა რომ გშობათ, სისხლის წვიმებმა გზარდათ?  
 მამრზე ნადირობთ, უშრეტო ძალას და ღონეს,  
 ხმლის კაცია თუ გუთნის კაცია მშვიდი!  
 კალიასავით შემოსევიხართ სამკალს,  
 სხვის ნაშრომ-ნადაგს გულარხეინად ფლანგავთ,  
 არადა, ვინ ხართ? ომში ნაშოვნი დავლა,  
 ბაზრის დახლებზე გამოსადები ნივთი.

## ე ლ ე ნ ე

ჩვენს თანდასწრებით ვინც უკადრისად ლანძღავს  
 მოახლეს ჩვენსას, ის ჩვენს უფლებებს ხელყოფს.  
 მე ამ ქალებით და სამსახურით მათით  
 კმაყოფილი ვარ, გვერდში ერთგულად მედგნენ,  
 ილიონშიც და ილიონს მერეც, გზაში,  
 როცა ათასი უბედურებით შეძრულს  
 თავისი თავი გასჭირვებოდა ყველას.  
 აქაც მაგათგან სრულ ერთგულებას ველი,  
 ჰოდა, გაჩუმდი, ტყუილად ეძებ საძრახს.  
 იმასაც გეტყვი, არც შენ გარჯილხარ ცუდად,  
 ქება გერგება, სახლი მოვლილი დამხვდა,  
 ოლონდ დღეიდან განზე გადგომა გმართებს,  
 თორემ სასჯელად მოგიბრუნდება ჯილდო.  
 დღეს ერთადერთი დიასახლისი მე ვარ.

## ფოტოკიასი

იგი, ვინც სახლში მსახურ-ფარეშთა მიმართ სრული უფლებით იტყვის რისხვიან სიტყვას, ვინ არის, თუ არ სახლის უფროსის ცოლი, და ამ უფლებას იმის სანაცვლოდ იძენს, ნლობით ერთგულად რომ უძღვებოდა ოჯახს. დაბრუნებიხარ შენს მიტოვებულ ადგილს, კვლავ დედოფლად და დიასახლისად მოხველ. განძიც იუფლე და ჩვენც გვიუფლე ყველა, მოფოლხვებული სადავეები იპყარ. ოლონდ მოხედე ხნოვანებასა ჩემსა და მოყიყინე ამ გუნდისაგან მიხსენ, შენი გედური მშვენიერების გვერდით გვანან სანყლები ბუმბულგამოცლილ ბატებს.

## ქოროს წინამძღოლი

სილამაზესთან ორნილ გონჯდება გონჯი.

## ფოტოკიასი

სიბრძნეს შებმული ბრიყვი ორნილად ბრიყვობს.

(შემდგომ კაპითში ქორეტიდები ცალ-ცალკე მონაწილეობენ.)

## პირველი

ერებოსის და ღამის ნაგრამო ბნელო!

## ფოტოკიასი

შენ სკილასი თქვი, შენი და არის ღვიძლი.

მ ე ო რ ე

გეტყობა, მოდგმით ურჩხულეული რომ ხარ.

ფ ო რ კ ი ა ს ი

შენ კი ვინცა ხარ, ჩადი, ორკუსი გეტყვის.

მ ე ს ა მ ე

იქ ჩასულეებზე ბევრად მეტის ხარ ხანად.

ფ ო რ კ ი ა ს ი

შენ უნდა ბებერ ტირესიასთან იწვე.

მ ე ო თ ხ ე

ბავშვია შენთან თვით ორიონის ძიძა.

ფ ო რ კ ი ა ს ი

ჰგავს, ჰარპიებმა უწმინდურებით გკვებეს.

მ ე ხ უ თ ე

შენ ვინლა გკვება, ძვალი რომ ხარ და ტყავი?

ფ ო რ კ ი ა ს ი

როგორც ვინ მკვება, სისხლი არ მისვამს შენებრ.

## მ ე ე ქ ვ ს ე

შე მართლა მძორო, მძორი გიხელებს მადას.

## ფ ო რ კ ი ა ს ი

პირი დაიხშე, ვამპირის კბილებს აჩენ.

## ქ ო რ ო ს წ ი ნ ა მ ძ დ ო ლ ი

პირს შენ დაგიხშობ, თუ მოგახსენე, ვინც ხარ.

## ფ ო რ კ ი ა ს ი

მაშინ შენიც ვთქვათ, ნურას დავეტოვებთ უთქმელს.

## ე ლ ე ნ ე

ჯერ წყრომით არა, შენუხებული გეტყვით,  
ახლავე მორჩით მაგ კინკლაობას უგვანს!  
რამ შეიძლება უფრო არიოს სახლი  
ვიდრე ფარულმა მტრობამ მსახურებს შორის,  
ბრძანების ექო დადის, ფუთფუთებს ირგვლივ  
საქმედ ქცეული არ გიბრუნდება უკან,  
განბილებული დგახარ, ამაოდ ბრაზობ.  
ეგეც არ იყოს, მაგ ავსიტყვობით თქვენით  
ის ავბედითი დრო დამიყენეთ თვალნინ,  
რომლის ხსენება გულს და გონებას მიმღვრევს,  
ასე მგონია, უცებ ორკუსთან მოვხვდი  
და ველარ ვხედავ ჩემი სამშობლოს მთა-ბარს.  
რაც თავს გადამხდა, ეს მე გადამხდა თვითონ?  
მართლა მე ვიყავ? თუ სიზმარი ვარ მათი,  
ვინც ქალაქები მოარბია და მოსრა?  
ეს ყმანვილქალნი ისევ შიშისგან თრთიან,  
შენ მშვიდად ცხოვრობ, თან უფროსიც ხარ ბევრად,  
თქვი ჭკვიანური, რამე კეთილი გვითხარ.

ფ ო რ კ ი ა ს ი

მას, ვინც იხსენებს ბედნიერებას ჩავლილს,  
ისე იხსენებს, როგორც შორეულ სიზმარს.  
შენ თავიდანვე განებივრებდა ბედი  
და სიყვარულით შემოგფრფინავდა ყველა.  
გმირი თესევსი, კაცი ჰერაკლეს მგვანი,  
ჯერ კიდევ ბავშვმა შმაგი სურვილით აღძარ.

ე ლ ე ნ ე

ჰო, მომიტაცა, ჯერ ათი წლისა ვიყავ,  
და ატიკაში, აფიდნის კოშკში დამსვა.

ფ ო რ კ ი ა ს ი

კასტორს და პოლუქსს გამოუხსნიხარ მალე,  
ელადის გმირი ყველა ცოლობას გთხოვდა.

ე ლ ე ნ ე

გეტყვი, პატროკლე მაინც მერჩია ყველას,  
ის, ვინც აქილევსს ტყუპისცალივით ჰგავდა.

ფ ო რ კ ი ა ს ი

არადა, საქმე სხვაგვარ განაგო მამამ,  
ასული თვისი მან მენელაოსს მისცა.

ე ლ ე ნ ე

ასულიც მისცა, ზედაც სამეფო მთელი.  
მოკლედ, შევუღლდით და ჰერმიონე ვშობე.

ფოტოკიასი

და როცა ქმარი კრეტას ნავიდა ომში  
ერთი ლამაზი ვაჟი გენვია სტუმრად.

ელენე

რატომ მახსენებ ყოფნას ნახევარკერივად,  
მთელ იმ სიმნარეს, რაც მაგის გამო შემხვდა.

ფოტოკიასი

მეც კრეტის მკვიდრი, თავისუფალი ქალი,  
მაგავე ომმა აქ მომიყვანა მხეველად.

ელენე

სამაგიეროდ, მთელი სამეფო სახლი,  
ციხე და განძიც, სრულად ჩაგბარდა მალვე.

ფოტოკიასი

შენ კი არჩიე კოშკებმაღალი ტროა,  
ტრფობის სიამეს უძღვენ სული და გული.

ელენე

ნუ გამახსენებ იმ გაუნყვეტელ ტანჯვას,  
სიხარულისა დღეც არ მქონია ერთი.

ფოტოკიასი

ამბობენ, თითქოს ორი სახება გქონდა,  
ტროაშიც იყავ, თან ეგვიპტეში ჩანდი.

## ე ლ ე ნ ე

მაგ მონაჩმახით სრულად ამებნა თავგზა,  
სად ვარ, ვინა ვარ, ვერ გამიგია თვითონ.

## ფ ო ჩ კ ი ა ს ი

ისიც მსმენია, რომ აქილევსი თურმე  
მკვდართა ქვეყნიდან უკან მობრუნდა შენთვის,  
არ დამორჩილდა, რაც განუჩინა ბედმა.

## ე ლ ე ნ ე

სიზმარი იყო, ლანდს შეუერთდა ლანდი.  
გონებას ვკარგავ, შემომამშველეთ ხელი...

(მხევალთა ხელეზზე მიესვენება.)

## ქ ო ჩ ო

გაჩუმდი, გაჩუმდი!  
ავსიტყვავ! ავთვალო!  
შენი ცალკბილა ბილნი პირიდან  
სხვა რა ამოვა  
სიმყრალის მეტი!

მგელი ცხვრის ქურქში,  
ბოროტება სიკეთის ნიღბით,  
ისევე მზარავს,  
თითქოს ცერბერს დაეფჩინოს  
სამივე ხახა.  
ვდგავართ და შიშით ვაყურადებ,  
სად, როდის, როგორ ამოხეთქავს,  
ჩასაფრებული სივერაგის  
შხამი და ბოლმა.

იმის მაგიერ,  
სიტყვა თქვა ნუგეშისა,  
მაკურნებელი,  
ზედ ლეთის წყალი რომ აპკურია,  
ლამობ, წარსული ამოშალო,  
ამოილო, რაც ბალღამია,  
რომ დღევანდელი სიკაშკაშე,  
რომ ხვალინდელი იმედები  
ბნელი ჯანლით გადაიფაროს.

გაჩუმდი, გაჩუმდი,  
რათა დედოფლის სულმა,  
გასაფრენად გამზადებულმა,  
არ მიატოვოს  
ეგ სახება დიდმშვენიერი,  
რომლის სადარი  
ქვეყანაზე ჯერ არ შობილა.

(ელენე. ცრძნობაზე მოვა და ისევ შუაში ჩადგება.)

## ფოკიასი

გამონათდი, მზეთა მზეო, ნუ მოიხვევ კვლავაც ღრუბელს,  
დაბინდულიც შუქსა გვეფენდი, სრული ძალით დაგვებრწყინე!  
სიუშნოვით რაგინდ მძრახოთ, სილამაზის ყადრი ვიცი,  
გეგებებით გულგახსნილი, თვალიც, გულიც შემოგხარის.

## ელენე

რა ვქნა, ძნელად მოველ ცნობას, ბურუსში ვარ ისევ ისე,  
არ მიეცა დაღლილ სხეულს დასვენების მცირე წამი,  
მაგრამ მართებს დედოფალსაც, ისე როგორც ყველა მოკვდავს,  
რაც არ უნდა ჭირი სჭირდეს, გაუსწოროს თვალი საფრთხეს.

ფოტოკიასი

დგახარ ყოვლად მშვენიერი, დგახარ ნათლით შემოსილი,  
გატყობ, გინდა რალაც მითხრა, ბრძანე, გისმენ, დედოფალო.

ელენე

რაც კამათში დრო წამართვით, დამიბრუნოთ უნდა ისევ.  
მოამზადე ყველაფერი, რაც სჭირდება მსხვერპლშენირვას.

ფოტოკიასი

შინ მზად გახლავთ მთელი ბარგი, სამფეხიც და ბასრი ცულიც,  
ფიალებიც, საკმეველიც. ოღონდ საკლავს ვერსად ვხედავ.

ელენე

მსხვერპლზე მეფემ არა თქვა რა.

ფოტოკიასი

შე სანყალო! ვაგლახ! ვაგლახ!

ელენე

რაზე მოთქვამ?

ფოტოკიასი

მსხვერპლი შენ ხარ! დედოფალო, მსხვერპლი შენ ხარ!

ელენე

მე ვარ?

ფოტოკიასი

შენ და შენი გუნდი, ეს ქალებიც შენთან ერთად.

ქოჩო

ვილუპებით! ვაი ჩვენდა!

ფოტოკიასი

მალე ცულქვეშ თავებს დაყრიო.

ელენე

ვგრძნობდი, ასე მოხდებოდა!

ფოტოკიასი

ვერაფერი ველარ გიხსნის.

ქოჩო

ჩვენ რა გველის?

ფოტოკიასი

დედოფალი საპატიო სიკვდილს პოვებს,  
თქვენ კი ისე დაგვიდებენ, დირე-ლარტყის გაყოლებით  
როგორც ჩიტებს ნანადირევს ჰკიდებს ხოლმე მერიტბადე.

(ელენეცა და ქოჩოც შიშით გახევებულან.)

## ფოტოკიასი

საბრალო სულნო, დგახართ, ქვის კერპებს ჰგავხართ,  
ძრწიხართ, რომ, ვაგლახ, დღე გილამდებათ ადრე,  
ის დღე, რომელიც თქვენ არ გეკუთვნიოთ სულაც.  
კაცნი ყოველნი, თქვენებრ აჩრდილთა მსგავსნი,  
თქვენებრვე ძრწიან, დღე არ ეთმობათ მათაც,  
თუმცა იციან, არვინ მოუვათ მხსნელად.  
აბა, დავინყოთ! დროა, მივხედო საქმეს.

(ცაშს შემოკრავს და ამ ნიშანზე კარშიგნიდან ნიღბოსანი  
ფუფუაკაცები გამოჩნდებიან.)

აქეთ, უგვანო! აქეთ, შავნო და მრგვალნო!  
აქ საავსაქმო ნახოთ, რამდენიც გსურდეთ!  
შემოიტანეთ ოქროსრქოვანი კუნძი,  
ვერცხლის სადგარზე ცული ჩამოდეთ ბასრი.  
წყალი მოზიდეთ, ირგვლივ კოკები დადგით,  
დაღვრილი სისხლის გადაირეცხოს კვალი.  
ძირს კი ძვირფასი ხალი დააგეთ ფართო,  
მსხვერპლმა მეფურად შეძლოს მუხლების მოყრა.  
მოკვეთილ თავებს შიგვე გამოხვევთ მერე,  
როგორც წესია, სრული პატივის დაცვით.

## ქოროს წინამძღოლი

დგას დედოფალი, ფიქრს მისცემია მწარეს,  
ყმანვილქალებიც ჰგვანან მოცელილ ბალახს.  
ვფიქრობ, მე მმართვეს, მათში ყველაზე უფროსს,  
მე მადევს ვალად, შენთან გავცვალო სიტყვა,  
როგორც უხნესთან. ხარ გამოცდილიც, ბრძენიც,  
ჰგავს, არას გვერჩი, გვიცქერ მონყალე თვალით,  
თუმცა შტერებმა ავი სიტყვები გკადრეს.  
გვითხარ, თუ იცი, კიდევ გვიშველის რამე?

## ფოტოკიასი

თქმა ადვილია, აღსრულება კი მხოლოდ  
დედოფალს ძალუძს, უნდა შეუდგეს საქმეს  
შეუპოვრად და, რაც მთავარია, სწრაფად.

## ქორო

პარკავ, ყოვლად საკვირველო, სიბილაო ბრძენთა ბრძენო,  
დადე ოქროს მაკრატელი! სასიკეთო გვამცნე რამე!  
იმის ნაცვლად, ცეკვის უინი გვითრთოლებდეს რხეულ ტანებს,  
იმის ნაცვლად, განაბულებს სატრფოს მკერდზე თავი გვედოს,  
სასიკვდილო კუნძი გვიცდის!

## ელენე

მე შიში არ მაქვს, მე მწუხარება მძალავს.  
მაგრამ თუ შეძლებ, სიკვდილისაგან გვიხსნა,  
მადლობას გეტყვი. შეუძლებელი საქმეც,  
თუ ბრძნულად განვსჯით, შესაძლებელი ხდება.  
აბა, გვითხარი, რა მოიფიქრე, გისმენთ!

## ქორო

გაგვიმხილე, თუ რამ იცი, გვითხარ, თავი როგორ ვიხსნათ,  
მწარე ყულფი გამოგვისკვნეს, შიშველ ყელზე შემოგვაჭდეს.  
ყველა ღმერთის დიდი დედა თავად რეა თუ არ გვიხსნის,  
არ იქნება ჩვენი შევლა!

## ფოტოკიასი

გეტყვით, რად არა. მაგრამ მოითმენთ მაგდენს?  
გრძლად სათხრობია, დიდხანს მოგინვეთ სმენა.

## ქ ო რ ო

მით უკეთესი: გადავახანებთ სიკვდილს.

## ფ ო რ კ ი ა ს ი

ის ვინც დარაჯად უდგას სახლსა და დოვლათს,  
მუდამდღე იღვნის, კედელს არ ჰქონდეს ბზარი,  
სახურავიდან არ ჩამოჟონოს წვიმამ,  
მისი ცხოვრება სვებედნიერად ივლის.  
მაგრამ ვინც ყინჩად გადაიარა ზღურბლი,  
სახლი და კერა შორი გზისათვის დათმო,  
დაბრუნებულზე თავის საცხოვრისს ყოფილს  
შეცვლილსლა ნახავს, თუ სულ დაქცეულს არა.

## ე ლ ე ნ ე

მორჩეს, არ გვინდა შეგონებები ძველი,  
თუ ჰყვები, მოჰყევ, სანყენს რალაზე ქექავ!

## ფ ო რ კ ი ა ს ი

ამბავს გაიმბობთ, სულაც არ ვქექავ სანყენს.  
მენელაოსმა მოითარეშა ზღვები,  
ნამეკობრალი შინ გვილაგია ახლაც.  
ტროაში დაჰყო ათი ხანგრძლივი წელი,  
შინ დაბრუნებას წლები დასჭირდა კიდევ.  
და როგორ ხვდება ეს ტინდარევისის სახლი,  
მთელი სამეფო, ვაგლახ, რა დღეში ხვდება!

## ე ლ ე ნ ე

ენამწარობა ისე გაგიჯდა სისხლში,  
ბაგეს ვერ გახსნი, რამე სიავე არ თქვა?

## ფოოკიასი

რამდენი დროა, რაც მიგდებული დაგვრჩა  
ის მთიანეთი, სპარტის ჩრდილოეთ მხარეს,  
ტაიგეტისთვის რომ უბჯენია ზურგი.  
ჯერ მცირე ღელედ მოხტის ევროტის წყალი,  
აქ გადმოსული უცებ ტანს გაშლის მერე  
და ლერწმონებში გედებს იფარებს მრავლად.  
ჰოდა, მთის უკან იმ უკაცრიელ ადგილს  
დაეპატრონა შორით მოსული ხალხი,  
ლამისქვეყნელი კიმერიული მოდგმა.  
მშვიდად დასახლდა, აქვს მიუვალი ციხე,  
და მთელ ამ კუთხეს თავის ნებაზე მართავს.

## ელენე

ეს როგორ შეძლეს? დაუჯერებელს ამბობ!

## ფოოკიასი

დიდი დრო ჰქონდათ, ალბათ ოც წელზე მეტი.

## ელენე

და მაგ ყაჩაღებს მბრძანებელიც ჰყავთ ვინმე?

## ფოოკიასი

არა, ყაჩაღებს მათ ვერ დაარქმევს ვერვინ.  
ჰყავთ მეთაურიც, ვერც მასზე ვიტყვი აუგს,  
თუმცა კი ერთხელ ძღვენი მომთხოვა მცირე,  
ძღვენი ვით ძღვენი, არა ხარკი და დავლა.

## ე ლ ე ნ ე

თვალად კარგია?

### ფ ო რ კ ი ა ს ი

მე, ჩემდათვად მომწონს.  
მხიარულია, განსწავლული და ქველი,  
გონება უჭრის მრავალ ბერძენზე მეტად.  
მაგათი მოდგმა კი ბარბაროსად ითქმის,  
მაგრამ არ ვგონებ, ისე გულმხეცნი იყვნენ,  
როგორც ზოგ-ზოგი ჩვენი განთქმული გმირი,  
ვთქვათ, ილიონთან ვინც კაცის ხორცი ჭამა.  
მე მათ ვენდობი, უფრო – მეთაურს მათსას,  
მისი კაცური სულდიდობისა მჯერა.  
რა ციხე უდგას! თვალით განახათ ნეტავ!  
არ ჰგავს ციკლოპურ გალავნებსა თუ კედლებს,  
თქვენს წინაპართა, თავად ციკლოპთა, ნაშენს,  
გაურანდავი ლოდი რომ შედგეს ლოდზე,  
და მაგით მორჩნენ, დგას ახორხლილი უშნოდ.  
ეს კი, შეხედავ, ცისკენ ისწრაფის მაღლა,  
სულ მისხალ-მისხალ აზომილი და ზუსტი,  
სარკოვნად გლუვი, წმინდა ფოლადის მსგავსი.  
დგას განუხრელი, ნიბო მიჰყვება ნიბოს,  
ზეაცოცების თვითონ ფიქრსაც კი ისხლეტს.  
ფართო ეზოში – ნაგებობები ირგვლივ,  
მცირე-მცირენი, ყველა ჯურის და გვარის.  
მაღალს თუ დაბალს ნახავთ სვეტებს და თალებს,  
გადასასვლელებს, ყველგან, გარეთ თუ შიგნით.  
და კიდევ გერბებს.

## ე ლ ე ნ ე

გერბი რაღაა?

## ფოკიასი

გერბი?

გახსოვს, აიქსს გველი ეხატა ფარზე,  
ძელს მოხვეული. იმ შვიდ თებელსაც ყველას  
გამოსარჩევად ფარზე ნიშანი ედო,  
ვთქვათ, ახატავდნენ ქალღმერთებსა და გმირებს,  
ვთქვათ, მახვილსა და ჩირაღდანსა და კიბეს,  
რითიც იღებენ ალყაშემორტყმულ ქალაქს.  
ჰოდა, ამათაც, ამ ვაჟუკაცების დასსაც,  
ფერად-ფერადი რა-რამ ნიშნები მოსდევთ,  
წინაპართაგან გადმოცემული ძველად.  
რას აღარ ნახავ, არწივებსა თუ ლომებს,  
ჭანგებს, ნისკარტებს, ფარშევეანგების კუდეებს,  
რქებსაც და ფრთებსაც, ვარდ-ყვავილებსაც მრავლად,  
ზოლებს ოქროსფერს, ვერცხლისფერსა თუ წითელს,  
შავსა თუ ცისფერს. შინ უკიდიათ რიგად  
ვრცელ დარბაზებში, ისე უზომოდ ვრცელში,  
ფერხულს რომ გაშლი.

## ქოჩო

მოცეკვავენიც ჰყვანან?

## ფოკიასი

ურჩეულესნი! ოქროსთმიანნი, სხარტნი!  
სულ ყმანვილკაცნი! თვალი დაგრჩება მათზე!  
სურნელი ასდით, აი, პარისს რომ ჰქონდა,  
როცა დედოფალს მოუახლოვდა.

## ელენე

გეყო!

სათქმელს ნუ ასცდი, თქვი საბოლოო სიტყვა!

ფოტოკიასი

სიტყვა შენზეა. გარს შემოგავლებ მყისვე  
იმ ციხის ზღუდეს, რანამს თანხმობას იტყვი.

ქორო

გადაგვარჩინე! დროზე დასტური უთხარ!

ელენე

როგორ ვირწმუნო, შველა არ არის მეტი,  
მენელაოსი ასე უწყალოდ მომკლავს!

ფოტოკიასი

ის დაგავინყდა, როგორ მოექცა მაშინ  
შენს დეიფობუსს, ძმას პარისისას უმცროსს,  
ძალად რომ გექმრო მისი დაღუპვის შემდეგ?  
ყურ-ცხვირი დასჭრა, სულ ასო-ასო აქნა.

ელენე

რაც მას მოსწია, ჩემი მიზეზით მხოლოდ.

ფოტოკიასი

შენ კი იმავებს მისი მიზეზით მოგწევს.  
მშვენიერება არ გაიყოფა სხვასთან,  
ან სრულად ფლობენ, ანაც ნებითად სპობენ.

(შოშიდან მოისმის საყვირთა ხმები. ქორო თავხანდაცემულია.)

ბუკის ხმასავით, ყურს რომ სიმკვეთრით გიხვრეტს,  
გულ-ღვიძლს რომ გიფლეთს, სწორედ ასეა ეჭვი.

საშველს არ მოგცემს, არ დაგავინყებს წამით,  
რასაც ფლობდი და შენი არ არის ახლა.

ქორო

გემის შორით ბუკის ცემა, საჭურველთა ბრწყინვას ხედავ?

ფოქიასი

ხელმწიფევ და მბრძანებულო, მოვედ, გიცდის სახლი შენი.

ქორო

ჩვენ რა გველის?

ფოქიასი

სიკვდილს პოვებთ. ჯერ დედოფლის სიკვდილს ნახავთ,  
მერე თქვენი ჯერიც მოვა, არ გიშველით არაფერი.

ელენე

ნაფიქრიც მაქვს და გადანყვეტილიც უკვე.  
ვგრძნობ, ვინც ბრძანდები, ბოროტ დემონად გიცან,  
ვშიშობ, კეთილსაც ბოლოს ბოროტად აქცევ.  
იმ ციხე-კოშკში მაინც გამოგყვე უნდა,  
რასაც ვიზრახავ, ჯერ საიდუმლოდ დარჩეს.  
აბა, ბებერო, უკან მოგყვები, გასნი!

ქორო

ო, რა სიხარულით  
მივალთ, მივესწრაფებით,  
სიკვდილი უკან გვრჩება,

სიკვდილს გამოვასწარით,  
ნინ ისევ ციხე აზიდულა,  
გალავანშეურყვეელი.  
დე, ისე მკვიდრი ყოფილიყოს,  
ვით ილიონი ბჭემალაღი,  
მხოლოდ ვერაგობამ რომ დასცა,  
ძალა ვერ მოერია.

(უკანა ხედი ნისლით იფარება.)

რა ხდება? მაგრამ ეს რა ხდება?  
მიმოიხედეთ, დებო, ირგვლივ!  
ამნამს არ იყო,  
დღე იდგა მოკაშკაშე?  
ევროტის წმინდა დინებიდან  
ნისლი ამოდის, ივრცობა, მოიწელება,  
თვალწინ ქრება ლერწმოვანი ნაპირი,  
ამაყი გედები,  
შენყობილად რომ დაცურავდნენ,  
ამაყნი და თავისუფალნი.  
ალარ ჩანან, არა, ალარსად ჩანან!

ხმები კი მოისმიან,  
შორით მოირხევიან,  
გაბზარულნი,  
სასიკვდილო ხავილჩამდგარნი.  
ნაცვლად დანაპირები ხსნისა  
აღსასრულს იუნყებთან,  
ჩვენთვისაც, ახ, ჩვენთვისაც,  
გედების სადართათვის,  
გედის ასულო ჩვენო,  
გედისგან ჩასახულო!  
ვაგლახ! ვაგლახ!

ჩვენც ნისლმა მოგვიცვა,  
ერთმანეთს ველარც ვხედავთ!  
ნისლში ჩაკარგულა ყველაფერი.

სადა ვართ? საით მივდივართ?  
ფეხქვეშ მინა გვეცლება,  
ფარფატით მივალთ.  
მაგრამ ის ვინ მიფარფატებს ჩვენს წინ?  
ნუთუ ის არის? ჰერმესია?  
ელავს ოქროს კვერთხი, გზას მიგვანიშნებს.  
იქ სად მივყავართ, იმ რუხ სილიმლამეში?  
რა ადგილია, ნეტავ რა ადგილია?  
მარად სავსე და მარად ცარიელი ჰადესია?

ჩამოზნელდა, ჩამოჯანლდა, არსად ნისლის თეთრი ზოლი,  
თვალი კედელს შეწყდომია, რალაც მოჩანს ეზოს მსგავსი.  
ეზოა თუ დილეგია? დახშულია ოთხივ მხრიდან,  
შევუპყრივართ, გესმით, დებო? ტყვენი ვართ და არასოდეს  
არ ვყოფილვართ უფრო ტყვენი.

## ცინე-ღარბაზის შიდა ეზო

გარშემო შუასაუკუნეობრივი მდიდრული და უჩვეულო ნაგებობანი

ქოროს წინამძღოლი

მოუთმინარნო, ჭკუამოკლენო, ყბედნო,  
მართლა დიაცნო, წამში გუნებაცვლადნო,  
ჭირშიც და ლხინშიც მოუთმენლობა გიპყრობთ,  
მუდამ ქიშპი გაქვთ, მუდამ ერთმანეთს წენავთ!  
ერთ ხმაზე წივით, ზეიმიან თუ გლოვა.  
გაჩუმდით-მეთქი და ქალბატონის სიტყვას  
უსმინეთ ყველამ, აქ ბედი წყდება ჩვენი.

ელენე

ჰე, პითონესა, თუ რაცა გქვია, სად ხარ?  
ცინის შიგნით ხარ? რისთვის დაგვაგდე მარტო?  
იქნებ იმისთვის, გსურს გააფრთხილო ხალხი,  
პატივით შემხვდნენ? მაშინ მადლობას გიხდი.  
ოღონდ იჩქარე, დალლილს სიმშვიდე მინდა.

ქოროს წინამძღოლი

ტყუილად უხმობ, ნისლში დაგვეკარგა ალბათ,  
მაგ უცნაური ჩვენი მგზავრობის შემდეგ.  
თუმცა, ვინ იცის, ეგებ მანდ არის მართლა  
და ტალანებში მაგათ მეთაურს ეძებს,

რომ ციხის ხალხი შენს შესახვედრად დაძრას.  
აჰა, გახედე, ფანჯრებს შეხედე ზემოთ!  
გალერეები ხალხით გაივსო უცებ,  
მსახურთა წყება დარბის აქეთ და იქით,  
ციხის პატრონი დიდ დარბაზობას გიწყობს!

## ქ ო წ ო

გული საგულეს ჩამიდგა ისევ!  
შეხედეთ, რჩეულ ვაჟთა კრებული  
ჩვენკენ დაძრულა ნაბიჯით ნელით.  
ეს ვინ უბრძანა ასე ადრიან  
გამოსულიყვნენ ჩვენს შესახვედრად  
დაკაზმულები, დარაზმულები?  
თავად არ ვიცი, რა უფრო მხიბლავს,  
წყობათა წყობა სვლამშვენიერი,  
თუ ნათელ შუბლზე კულული ქერა,  
ლოყების ფერი, ფერი ატმისა,  
საულვაშეზეც ბუსუსი ატმის?  
სიამოვნებით ჩავკბერდი კიდეც,  
მაგრამ შიში მაქვს, არ განმეორდეს,  
ამბავი იგი, თქმად საზარელი,  
როცა მინა-მტვრით პირი გევსება.  
მოდინ თვალადნი,  
მშვენებით სავსენი,  
მაგრამ ეს რა არის,  
რა მოაქვთ თან?  
მალალი ტახტი,  
საფეხურები,  
ხალ-ფარდაგები,  
ფიანდაზები.  
საჩრდილობელი მოაქვთ კიდეც  
დედოფლისათვის,  
თავზემთ კარვად  
გადასაშლელი.  
აჰა, ავიდა, ტახტზე დაბრძანდა.

თქვენც, თქვენც ამოდით,  
ჩამომწკრივდით საფეხურებზე,  
დალოცვილ იყოს,  
დალოცვილ იყოს,  
დალოცვილ იყოს  
შეხვედრა ჩვენი!

(ყველაფერი, ქოროსაგან ნათქვამი, ნაბიფი-ნაბიფი სრულდება.)

მას შემდეგ, რაც ყმაწვილკაცები და პაყები გრძელ  
მწკრივად ჩაივლიან, კიბის თავზე ფაუსტი გამოჩნდება  
შუასაუკუნეთადროინდელი რაინდის საწიგნო სამოსში  
გამოსვობილი. ღირსეული სახით ნელა-ნელა ძირს ჩამოდის.

ქოროს წინამძღოლი. დაკვირვებით შეათვალიერებს

უკეთუ ღმერთებს, როგორც მომხდარა ხშირად  
თვალსაბყურად არ მიუციათ მისთვის  
ეს გარეგნობა, ეს ახოვანი ტანი,  
ეს შემართება ან ეს მეტყველი სახე,  
მაშინ, გარწმუნებთ, დასტურ მოიგებს მუდამ  
მამაკაცებთან ომებს დიდსა და სასტიკს,  
ხოლო ქალებთან სასიამოს და მცირეს.  
რა ღირსეულად და რა კრძალულად მოდის!  
ჩვენზეა სიტყვა. თქვი, დედოფალო, რამე!

ფაუსტი. მოდის და გვერდით შებოჩილი კაცი ახლავს

ნაცვლად იმისა, საწიგნო აღლუმით შეგხვდეთ,  
კაცი მოგგვარე შეპყრობილი, ხუნდებგაყრილი,  
რომელმაც, ვაგლახ, სამარცხვინოდ დამალაღატა  
და მასპინძლობა გამიცუდდა მაგის წყალობით.  
აქ დაიჩოქე დიდებული ქალის წინაშე  
და აღიარე საკუთარი დანაშაული.  
მაგ კაცს თვალი აქვს, დედოფალო, საოცრად ბასრი,  
და ციხის თავზე გვიყენია, მიდამოს ზვერავს.

ნახირი მოდის, შემოვუშვებთ, მტრის ჯარი მოდის,  
წინ აღვუდგებით. გაგვაფრთხილოს უნდა დროულად.  
დღეს კი უეცრად დაივინყა თავისი ვალი,  
არ გვამცნო შენი მობრძანება, რომ საკადრისი  
პატივი გვეცა, დაგხვედროდით ღირსებისამებრ.  
მაგისტრის სიკვდილს იმსახურებს და თუ ჯერ კიდევ  
დაუხჯელია, ერთადერთი მიზეზი შენ ხარ,  
აქ მოვიყვანეთ, მისი ბედი შენ გადაწყვიტო.

## ე ლ ე ნ ე

მბრძანებლისა და მოსამართლის დიდი პატივი,  
რომელსაც მითმობ, დაე, თუნდაც გამოსაცდელად,  
იმას მავალებს, პირველ რიგში ბრალდებულს ვკითხო,  
რა აქვს სათქმელი. აბა, გისმენთ, ილაპარაკე!

კ ო შ კ ზ ე მ ო დ ა წ ა ფ ე ლ ი ნ კ ე ვ ს ი

გინდ მაცოცხლე, გინდ მომკალი,  
ველოდები შენს განაჩენს.  
გადმოსულა ციდან ქალი –  
დამარჩენს თუ არ დამარჩენს?

აღმოსავლეთს გავცქეროდი,  
მზე სამხრეთით ამობრწყინდა.  
იმა დარი შუქი მოდის,  
მეტი აღარც რამე მინდა.

ვით ფოცხვერი მაღალ ხიდან,  
გავყურებდი არე-მარეს,  
უცებ თვალი გამირინდდა,  
ვთქვი თუ, ასე რა ელვარებს?

ამერია ყოველივე,  
კარი ღია, კარი ხშული,  
ქალღმერთივით მომევილინე,  
ნისლებიდან გადმოსული.

დამავინყდა მოდარაჯეს  
ჩემი ვალიც, ჩემი ბუკიც,  
მაგრამ ქვეყნად ყველა სასჯელს  
შემარიგებს შენი შუქი.

## ე ლ ე ნ ე

როგორ დავსაჯო შეცოდება, რომელშიც თურმე  
მე მიდევს ბრალი. ვაი ჩემდა, რა ბედი დამყვა!  
მამრთა გულებში იმნაირი სიშმაგე შემაქვს,  
სხვებს კი არა და თავის თავსაც აღარ ინდობენ.  
ვაჟკაცები თუ ღმერთები თუ თვით დემონები  
დამატარებდნენ უგზო-უკვლოდ, აღმა და დაღმა,  
იყო ცთუნება, მოტაცება, ომი და სისხლი.  
ჯერ ერთმაგი და მერე უკვე ორმაგი სახით,  
ბოლოს სამმაგით და ოთხმაგით ქვეყანა შევძარ.  
არა, ეგ კაცი უბრალოა, ხუნდი ახსენით.  
ცოდვა არა აქვს, აუბნიეს თავგზა ღმერთებმა.

## ფ ა უ ს ც ი

ახ, დედოფალო, შენი მშვილდი უცთომელია,  
დაისრულია განურჩევლად, ირგვლივ ვინც არის,  
და მეც მათ შორის. მაგრამ უფრო იმის ფიქრი მაქვს,  
რომ განმიდგება, ვინც აქამდე ერთგული მყავდა,  
შენ ჩაგბარდება ჩემეული მთელი ლაშქარი.  
ჯობს, შენ გადმოგცე ყოველივე, რაც გამაჩნია,  
შემოგვევრდომო და შენს ფერხთით ვპოვო ადგილი.

ლ ი ნ კ ე ვ ს ი , შემოდის და ჩამდენიჲე კაცთან ერთად ზანდუკი  
შემოაქვს

ჰა, დედოფალო, ისევ ვბრუნდები,  
ბარემ ამხსენი შენი ხუნდებიც,  
ვარ ერთადერთის მაგის მთხოვარი,  
მე, უმდიდრესი და უპოვარი.

რა ვიყავი და რად ვარ ქცეული,  
საით მივდივარ კვალარეული?  
ალარას ვაქნევ სიბასრეს თვალთა,  
ვერაფერს ვხედავ შენ ერთის გარდა.

აღმოსავლეთით მოვედით მძლენი  
და დასავლეთის შეველენეთ ბჭენი,  
აურაცხელი მახლდა ლაშქარი,  
ბრძოლების ყინით წინ განაჩქარი.

ვიპყრობ-ვარბევდით მხარეს მხარეზე,  
მოვინადავლეთ, მოვითარეშეთ.  
მე ვაგროვებდი პირველი ნადავლს,  
ჯერი ჩემს მერე დგებოდა სხვათა.

კრებდა, სასურად ვის რაც მიაჩნდა,  
ამას მოჰყავდა გუნდი დიაცთა,  
იმას ხარები მოჰყავდა დავლად  
და ყველას ერთად – ცხენები მრავლად.

მე ვკრებდი ხოლმე ნივთებს იშვიათს,  
ერთი შემთხვევა არ გამიშვია.  
თუ სხვასაც ჰქონდა რაიმე მსგავსი,  
ეკარგებოდა ჩემს თვალში ფასი.

განძთა მცირეთა გინა მრავალთა  
თვალთაგან ჩემთა ვერ დამალავდა  
ვერა ჯიბე თუ კაბა-ქობანი,  
ვერა ზანდუკი თუ კიდობანი.

მაქვს უამრავი ოქრო და ვერცხლი,  
ძვირფასი თვლები ბრიალებს ცეცხლი,  
მაგრამ შენს მკერდზე მთელი სიალით  
ზურმუხტს გაჰქონდეს უნდა ციალი.

ყურით ყვრიმალზე დაკრთის რხეული  
წვეთები ზღვათა სიღრმისეული.

წინაშე შენსა ხუნდება ლალი,  
შენს ბაგეებთან გამოჩანს მკრთალი.

განძი, ბრძოლებით დანაუფლები,  
მინდა დაგინყო ფერხთით უკლებლივ,  
განძი ურიცხვი და დიდებული,  
დღემდე რომ უქმად მაქვს დადებული.

რაც მოვიტანე, ჯერ მცირედია,  
გადანახული ბევრად მეტია.  
სკივრებად დაედგამ, მიბრძანებ საცა,  
სულ თალებამდე ავაკვებ საცავს.

როგორც კი გნახეს, ახვედი ტახტზე,  
შენი უსიტყვოდ მორჩილნი გახდნენ  
ძალაც, სიმდიდრეც, სურვილ-ვნებებიც,  
შენ ერთადერთი ხარ მბრძანებელი.

რაც კი აქამდე შემიძენია,  
გთხოვ, მიითვალო, სრულად შენია.  
განძი მეგონა გაუგონარი,  
ახლალა მივხვდი, უქმი რომ არი.

არად არა სჯობს აცელილ ბალახს,  
არად არა სჯობს აკაფულ ჩალას.  
მოდი, მოხედე, მოაპყარ ხელი,  
კვლავ დაუბრუნე ის ფასი ძველი.

### ფ ა ს ტ ი

წაილე შენი სიმამაცით ნაშოვნი ტვირთი!  
რა საჭიროა, გამორჩევით მოართვა რამე,  
როცა ისედაც მისი არის აქ ყველაფერი.  
უმჯობესია მთელი განძი დახვავდე ს ერთად,  
თალამდე შედგი ელვარება თვალთუნახავი,  
მაგ უსიცოცხლო სიცოცხლისგან სამოთხე შექმენ.

ძირს კი ხალები დაუფინე, ლბილად იაროს,  
ხოლო მის თვალებს მიაგებე იმგვარი ბრწყინვა,  
მხოლოდ ღმერთები რომ უძლებენ დაუბრმაველად.

### ლ ი ნ კ ე ვ ს ი

ისეც მზად ვართ, სული მივცეთ,  
უბრძანებლად თაყვანი ვცეთ.  
რაც ჩვენია, არის მისი,  
საქონი თუ საცხოვრისი.  
ტყვედქმნილია მთელი ჯარი,  
მის წინაშე მუხლზე მდგარი.  
მზე რომ მზეა, გადამცხრაღა,  
დაჰკარგავია სხივთა ძალა.  
ყველაფერი გაფერმკრთალდა,  
მისი სილამაზის გარდა.

(ჯადის.)

### ე ლ ე ნ ე . ფაუსტს

შენთან მწაღია საუბარი. აქ, მაღალ ტახტზე,  
ჩემს გვერდით დაჯექ, იგი უნდა მბრძანებელს ეპყრას,  
ჩემი უფლებაც რომ განმტკიცდეს მისი წყალობით.

### ფ ა უ ს ტ ი

ჯერ ნება მომეც, დედოფალო, რომ მუხლმოყრილმა  
ქვეშევრდომული ერთგულება გამოგიცხადო,  
იმ ხელს ვემთხვიო, აქ რომ ახლა ამომიყვანა.  
გარდა ამისა, ზღვარდაუდებ შენს სამეფოში  
თანამმართველად დამადგინე, შემწედ, მსახურად.

## ე ლ ე ნ ე

დღეს მრავალკეცი სასწაულის გავხდი მნახველი,  
მინდა თანდათან ბევრი რამე გამოვიკითხო,  
მაგრამ იქამდე ეს მითხარი, აი ამ კაცის  
ნალაპარაკებს, უცნაური რა ჟღერა ახლდა,  
უცნაური და ყურისათვის საამო ფრიად?  
წყვილდება სიტყვა, ბგერა ბგერას ეხმატკბილება...

## ფ ა უ ს ტ ი

თუ ჩვენი ხალხის ნაუბარმა ასე მოგხიბლა,  
მაშინ სიმღერა აღტაცებას მოგგვრის უმეტესს,  
ორივ თანაბრად ისიამებს, აზრიც და სმენაც.  
უმჯობესია, ნუ გადავდებთ, ახლავე ვცადოთ.  
ორთა საუბარს უკეთ მოაქვს ეგ ხმოვანება.

## ე ლ ე ნ ე

შევძლებთ ლაპარაკს იმგვარივე ლამაზი სიტყვით?

## ფ ა უ ს ტ ი

სულ ადვილია, რასაც ვამბობთ, თუ გულით ვიტყვით.  
უჭირს მარტოკაცს დაფარული განცდის ტარება,  
გაიზიაროს გვინდა სხვამაც ეს ნე...

## ე ლ ე ნ ე

...ტარება.

## ფ ა უ ს ტ ი

მარად აქ არის, ჩვენთან არის გრძნობა ციერი,  
მხოლოდ ანმყოთი და ანმყოში ვართ ბედ...

## ე ლ ე ნ ე

...ნიერი.

## ფ ა უ ს ც ი

ერთმანეთისთვის რაც უთქმელად გაგვიმხელია,  
მაგის დასტური, საყვარელო...

## ე ლ ე ნ ე

ჩემი ხელია.

## ქ ო მ ო

ვინ იტყვის აუგს  
დედოფალზე  
კეთილმონყალე  
ამ შეხვედრისთვის?  
ჩვენ ტყვექალნი ვართ,  
იმ დღის შემდეგ,  
ილიონი როცა დაემხო,  
მხოლოდ ტყვექალნი,  
შიშნეულად დამავალნი  
მწუხარების ლაბირინთებით.

არა გვაქვს ჩვენი არჩევანი  
ჩვენს სიყვარულში.  
ვეძლევიტ მწყემსებს  
ოქროსთმიანებს,  
შავად შეჯაგრულთ  
ვეძლევიტ ფაენებს,  
ყველა მას, ვაგლახ,  
ვინც კი შემთხვევით  
ჩვენს სათუთ სხეულს  
ეპატრონება.

ტახტზე დამსხდარან,  
ხედავთ, ხედავთ?  
მხარი მხართან,  
მუხლი მუხლთან,  
ტახტზე დამსხდარან,  
და ტახტი იგი  
ბალიშებით,  
ფარდაგებით მოფენილია.  
ო, არა, არა,  
არ უფრთხიან მეფე-მთავარნი,  
საიდუმლო სიხარული  
სამზეოზე გამოიტანონ.

### ე ლ ე ნ ე

აღარაფერი მეყურება, შორს ვარ... ახლოს ვარ...  
თან გულით ვხარობ, ნამდვილია ჩემი აქ მოსვლა!

### ფ ა უ ს ტ ი

სადა ვარ, აზრი ამრევია, ძლივს სიტყვა წარვთქვი.  
ჰგავს, სიზმარია, ველარ ვარჩევ დროსა და ადგილს.

### ე ლ ე ნ ე

თავი მგონია გარდასულიც, ახლივ შობილიც,  
შენს ბედ-ილბალთან ვარ გადანულ-გადაჭდობილი.

### ფ ა უ ს ტ ი

არ გვინდა ფიქრი ჩვენს უცნაურ, ერთადერთ ბედზე,  
ყოფნა ვალია, გვახსოვდეს და სხვას ნურას ვეძებთ.

ფ ო რ კ ი ა ს ი , გაჩქარებული შემოდის

სიყვარულის მინდი-გინდი!  
გადაფრინდი, გადმოფრინდი!  
ალარც გესმით საყვირის ხმა!  
სპარტის მეფე დიდი ჯარით,  
აქ გაჩნდება სადაც არი,  
დაგატყდებათ მისი რისხვა!  
ისე აგქნის ლუკმა-ლუკმა,  
დეიფობოსს როგორც უქნა  
ილიონში, თავის დროზე.  
ამას კიდევ მძიმე ცული,  
საგანგებოდ შემართული,  
ელოდება სამსხვერპლოზე.

ფ ა უ ს ტ ი

რა ხმაურია! ხარ თავგასული, ვინც ხარ!  
ვერ ვიტან ნიაქს, კიდევ მელოდეს საფრთხე.  
ავი ამბავი აუსახურებს მომტანს,  
შენ კი, ბებერო, უსახური ხარ ისეც.  
გიჯობს, გაჩუმდე, სიტყვებს ტყუილად ხარჯავ,  
რაც საფრთხედ გიჩანს, საფრთხე არ არის ჩემთვის.

(გამათფრთხილებელი ხმები კოშკებიდან, საყვირები და ნაღარები,  
საბრძოლო მუსიკა, მრავალრიცხოვანი ლაშქრის ფეხის ხმა.)

ფ ა უ ს ტ ი

ჰა, რჩეულ გმირთა შეიკრა რკალი,  
ან გამოჩნდება, ვინც ვართ და რაც ვართ.  
დე, ისეთ ვაჟკაცს ეტრფოდეს ქალი,  
რომელსაც ქალის ძალუდევეს დაცვა.

(მიმართავს ჩაზმთა შეთაურებს, მწყობრიდან წინ წამოდგარებს.)

მედგრად, ჭაბუკნო! არ გესწავლებათ,  
სასწორი თქვენკენ როგორ დახაროთ,  
შენც, ახალმოდგმავ აღმოსავლელო,  
შენც, ჩრდილოელო ახალნაყარო!

ფოლადის მტკიცე ჯავშანი გიცავთ,  
ბევრი სამეფო უკვე დაღენეთ,  
საცა გაივლით, ირყევა მიწა,  
ბრიალებს ცეცხლი თქვენს ნაკვალევზე.

ბერი ნესტორის სახსენებელი  
პილოსში სრულად არის ნაშლილი,  
მიყარ-მოყარეთ წვრილი მეფენი,  
დარღვეულია მათი კავშირი.

ვეკვეთებით და ზღვაში გავისვრით  
სულ მალე მეფე მენელაოსსაც,  
ძველი ხელობა მიჰხვდეს თავისი  
მეკობრესა და რჩეულ ნაოსანს.

დედოფლისაგან მოგიძღვნით სალამს,  
ეს მთაც მისია და ეს დაბლობიც,  
სხვა დანარჩენზე იხმიეთ ძალა,  
უცხო მეფეებს აქვთ შენაფლობი.

გერმანთა ჯარი შემირჩევია,  
ზღუდით ჩაკეტოს კორინთოს ყელი,  
და აქაიას მრავალხევიანს  
იცავდეს გოტის მამაცი ხელი.

ფრანკებს ებრძანოს ელისში მისვლა,  
მესენეს დაცვა იკისროს საქსმა,  
ნორმანმა ზღვები განმინდოს მტრისგან,  
არგოლისისკენ სავალი გახსნას.

მტრობის ისრები მიმართეთ გარეთ,  
ურყევი იყოს თქვენი ერთობა,

მაგრამ გახსოვდეთ, ყოველი მხარე  
ემორჩილება სპარტის დედოფალს.

მოიმედე და მსასოოველი  
ქვედადრკით მისთა ფერხთა წინარე,  
მისგან მიიღეთ მადლი ყოველი,  
მისი ნათელი ისხივმფინარეთ.

(ფაუსტი ცახციდან ჩამოდის, ფარშემო მთავრები  
შემოეხვევიან შემდგომი ბრძანებების მოსასმენად.)

### ქ ო რ ო

ვინც დიაცს ეტრფოს  
უმშვენიერესს,  
მას იარალიც  
ხელთ ეპყრას მუდამ,  
და მით უმეტეს უნდა გაფრთხილდეს,  
პირმოთნე სიტყვით თუ მოიპოვა  
საუნჯე იგი უზენაესი.  
მიმტაცებლისა ეშინოდეს,  
მაცთუნებლისა ეშინოდეს,  
ნუ დაიძინებს გულდამშვიდებით.

ქება ეკუთვნის  
ჩვენს მბრძანებელს  
უმეტეს სხვათა  
რადგან შეურწყა  
სიმამაცე გონიერებას.  
მორჩილად დგანან მის წინაშე,  
ძლიერთაგან უძლიერესნი  
და მის ბრძანებას ელოდებიან  
ორთავე მხარის  
განსადიდებლად.

ვინ გამოსტაცოს ქალი ეგე  
ძლევამოსილ მბრძანებელს ჩვენსას?  
გეტყვი, ორმაგად მისია იგი,  
ჯერ ერთი, ციხის  
შეუვალი კედლები იცავს,  
მეორეც, კედლებს  
უძლეველი იცავს ლაშქარი.

### ფ ა უ ს ტ ი

ნადით, მიიღეთ ვითარცა ძღვენი,  
ვისთვის რა მხარეც განგვიჩენია.  
ეს შუაგული იქნება ჩვენი,  
სხვა დანარჩენი ყველა თქვენია.

სულ ვინრო ყელით ევროპას ვებმით,  
მონყვეტილი ვართ სხვაფრივ სრულიად.  
ოთხივე მხრიდან არტყია ზღვები,  
კუნძულია და არც კუნძულია,

ამ ნათელ მხარეს ვლოცავ და ვესავ,  
ყველა სიკეთე სამისოდ მინდა,  
რადგან ეკუთვნის დედოფალს ჩემსას,  
დაბადებითვე, პირველი დღიდან.

გედის კვერცხიდან არის შობილი,  
ღვთიური იყო ეს დაბადება,  
ძმებს თვალსა ჭრიდა დამაბრმობელი,  
თავ ზარდამცემი მისი ნათება.

აქ ყველა მხარე გიხმობს და გელის,  
ფეხებთან გიფენს ძღვენს ნაირ-ნაირს.  
თუმცა შენია ქვეყანა მთელი,  
შენი სამშობლო გერჩიოს მაინც.

მზე, ამოსული დაკბილული მთების იქიდან,  
ცივად ანათებს, უსიცოცხლო სხივი გადმოსდის,  
კლდეზე ბალახმა ოდნავ ფეხი თუ მოიკიდა,  
მიხტიან თხები კბოდე-კბოდე მწირი საზრდოსთვის.

მერე კი, როცა გაზაფხულის დადგება ხანი,  
წყარო-ნაკადულთ ფართო ხევი მდინარედ შეკრებს,  
შეიმოსება სანახები პირველი მწვანით,  
მოედებიან ცხვრის ფარები ბორცვებს და ზეგნებს.

რქოსანთა ჯოგი ფრთხილად მისდევს ციცაბო ბილიკს,  
მწკრივად მიდიან, გადაბმულან თითქოს საბმურით,  
ტინის კედლებში სადგომები შეჭრილა გრილი,  
პატარა ეხი თუ ვეება გამოქვაბული.

პანი მწყემსია და ნიმფებიც იქვე არიან,  
ხევებში ბუჩქნარს შეფარვიან ნაზი დობილნი,  
ხე ხეს შეზრდია, უმკვლავდება ღარტაფს ქარიანს,  
ცად ისწრაფიან მჭიდროდ ტოტებგადაჭდობილი.

რძე მოიტანეს სავსე ცურებმა,  
კრავებისა და ბავშვების წილი.  
ხის ფულუროდან მოიწურება  
თაფლი და ველად მწიფდება ხილი.

მამრად იქცევა ბალღი პანია  
სრულყოფას აღწევს ძალით, იერიით.  
ნუთუ ღმერთია? ნუთუ კაცია?  
ნეტავ ვინ არის ეს ბედნიერი?

აქ აპოლონი ცხოვრობდა მწყემსად,  
მწყემსებიც იყვნენ უკვდავთა მსგავსი,  
რადგან ბუნებამ აქ ერთად შერწყა  
კაცებრივი და ღვთიური არსი.

(ელენეს გვერდით ფდება.)

ჩვენც დაგვებედა იგივე ბედი,  
დაე, განქარდეს მთელი წარსული,  
ხარ პირველქვეყნის მკვიდრი და მხედი,  
უზენაესი ღმერთის ასული.

შენ ეს კედლები არ უნდა გერთყას,  
ამ პირქუშ ადგილს გავცილდეთ უცებ,  
სპარტის გადაღმა გავიჭრათ ერთად,  
არკადიაში დავიდოთ ფუძე.

იმ ფერხულებში გვიჯობს შერევა,  
მწვანე თალარი გვერჩიოს ტახტებს!  
ჩვენს აუმღვრეველ ბედნიერებას  
არკადიული სილალე ახლდეს!

(სანახავი სრულიად იცვლება. ერთ მხარეს კლდეთა მღვიმეებს  
დახურული თალარები ეკვრის. ჩრდილოვანი ჭალა თითქმის  
განრეშემოდგამს კლდეებამდე აღწევს. ფაუსტი და ელენე არ ჩანან.  
ქოროს სძინავს, ცალ-ცალკე ფეხუფებად მიწოლილან.)

### ფოკიასი

დაუძინიათ... რა ესიზმრებათ ნეტავ?  
ის, რაც მე თვითონ ასე თვალცხადად ვნახე?  
ჯობს, გავალვიძებ, ვეტყვი საკვირველ ამბავს.  
განვაცვიფრებ და თქვენც განგაცვიფრებთ ამით,  
თქვენ, წვეროსნებო, მანდ რომ დამსხდარხარ ქვემოთ,  
და უცდით კვანძის სასწაულებრივ გახსნას.  
აბა, ქალებო, ავდგეთ, გვეყოფა ძილი!  
თმა გაისწორეთ, მორჩით თვალების ფშვინეტას  
და ყური მიგდეთ, გეტყვით, რა საქმეც ხდება.

### ქორო

მოგვიყვი, დროზე გვითხარ! სასწაული მოხდა რაღაც!  
უფრო მეტი სიხარულით იმას ვუსმენთ, რაც არ გვჯერა.  
ამ კლდეებში შეკეტილებს მონყენისგან გული მიგვდის.

## ფოტოკიასი

რა მოწყენა მოასწარით, ეს ნუთია გაგელვიძათ!  
მაგრამ კარგი, მომისმინეთ: ამ ქვაბებში, მღვიმეებში,  
თალარებში, ტალავრებში ჩვენს ბატონს და ჩვენს ქალბატონს  
ციხე-დარბაზები უდგათ.

## ქოჩო

როგორ, შიგნით?

## ფოტოკიასი

სწორედ შიგნით!

ქვეყნისაგან დაფარულნი, მე მიხმობდნენ სამსახურად.  
და მეც თავზე ვეველებოდი, მაგრამ ზოგჯერ საგანგებოდ  
მოვნახავდი სხვა რამ საქმეს, ერთგულეულს როგორც ჰფერობს,  
ვთქვით და წამლის შესათხზველად ვაგროვებდი ბალახ-ბულახს,  
დავაცლიდი ყოფნას მარტო.

## ქოჩო

ისეთს ჰყვები, თითქოს შიგნით სხვა მიწა და სივრცე იყოს,  
სხვა მდინარე, სხვა ტყე-ველი – გსურს, ზღაპარი დაგვაჯერო.

## ფოტოკიასი

რა სიღრმეა მაგ ზღვარს იქით, რა სასახლე, რა ბალები!  
ნაბიჯ-ნაბიჯ დამივლია! თქვენ რა იცით, უმეცარნო!  
ერთხელ იყო, მღვიმის შიგნით მიმოირხა სიცილის ხმა.  
შევიხედე, ბიჭი ცელქობს, ხტის მშობლების სიახლოვეს.  
რა ტიკტიკი, რა ჭყლოპინი, რა სიტყვები საალერსო!  
აღარ არის ყურთასმენა.  
ცეკვავს ბიჭი ტანშიშველი, გენიას ჰგავს, ოღონდ უფრთოს,  
ფავნსაც, ოღონდ არა უხეშს, ოღონდ არა ნადირისგვარს.

ფეხს დაკრავს და მინა თითქოს თავისთავად ისვრის მაღლა, კვლავ დაკრავს და ჭერს ეხლება, დედას შიშით გული უთრთის. ეტყვის: „ხტომას არვინ გიშლის, იხტუნავე, როგორც გსურდეს, ოლონდ ფრენას მოერიდე, გეკრძალება მაღლა ფრენა“. მამა ეტყვის: „მინას ენდე, მინა გაძლევს ხტომის უნარს, ფეხის ყოველ შეხებაზე, ვით ანტეოსს, ძალას გამატებს“. დახტის ბიჭი მთიდან მთაზე, მთიდან მთაზე, კლდიდან კლდეზე, ავარდება, დავარდება, დახტუნაობს როგორც ბურთი. მაგრამ ერთხელ ბნელი ხევის შავ ნაპრაღში ჩაიკარგა, არ გამოჩნდა, ტირის დედა, მამა ჯერაც იმედს აძლევს, მე კი ვდგავარ, მხრებს ვიჩეჩავ, სანუგეშოს ვერას ვამბობ. მაგრამ ბიჭი, ერთიცი ვნახოთ, მოცინარი მოხტის უკან. ოქროს მკედით, ვერცხლის მკედით დაქარგული სტავრა მოსავს. ნუთუ სადმე განძი ნახა?

ბაფთა-ზონარ-ყაითანი ფრიალებდა ათასფერი, ხელში ოქროს ქნარი ეყრა, პანანინა ფებუსს ჰგავდა, კლდის კიდეზე დაიხარა, განცვიფრებით შევაცქერდით. ვხედავ, თავზე შუქი ადგას, რა ბრჭყვიალებს ნეტავ ასე? იქნებ ოქროს გვირგვინია, ელვარება მისგან მოდის, ანდა იქნებ თვითონ ბიჭი გამოუცნობ ძალას ახმევს, მომავალი სიმღერების ძალას ახმევს გაუგონარს. ყური უგდეთ, ყური უგდეთ, მაგის სადარს რას მოისმენთ!

## ქ ო რ ო

ნუთუ ეს მართლა  
 სასწაულად მიგაჩნია,  
 კრეტელო ქალო?  
 იონიური სიმღერები,  
 ელინური თქმულებები  
 არასოდეს მოგისმენია?  
 ძველი ამბები  
 ღმერთებისა და გმირებისა,  
 წინაპართა დანატოვარი?

ის, რაც დღეს ხდება,  
არის იმ დღეთა  
ოდენ მწუხარე გამოძახილი.  
ნათქვამი შენი ვერ შეედრება  
მათ ძვირფას ტყუილს,  
სიმართლეზე უფრო სარწმუნოს,  
ვთქვათ, მონაყოლს  
ზევისა და მაიას ძეზე.

როცა ძიძებმა  
თოთო ბავშვი,  
სახვევებში მაგრად გამოკრეს,  
მან, მოქნილმა და  
ძალით ძლიერმა,  
მოულოდნელად  
არტახები გამოარღვია.  
როგორც პეპელა,  
ჭუპრის გამხმარ  
გარსს გაღწეული,  
ფრთების ფარფატით  
ზეცისკენ რომ გაფრინდება.

მისმა სიმარჯვემ,  
მისმა სიმარდემ  
ცხადად, თვალნათლად  
გამოაჩინა,  
რომ გახდებოდა  
ქურდების და თაღლითების  
მფარველი ღმერთი,  
და ყველა მათი,  
საშოვარზე ვისაც უვლია.  
ზღვის ღმერთს  
სამკაპი მოჰპარა ერთხელ,  
არესს მახვილი  
ქარქაშიდან ამოაცალა.  
ფებუსს მოჰპარა მშვილდ-კაპარჭი,  
ალერსის ჟამს – სარტყელი კიპრისს

და ზევსს ელვასაც მოჰპარავდა,  
ცეცხლის შიში რომ არ ჰქონოდა.

(გამოქვაბულიდან გამოისმის ქნარის მელოდიური ხმა.  
ყველანი მონუსხულეზებით უსმენენ.)

### ფოკიასი

საოცარი ისმის ხმები,  
ჰგავს, ახალი დრო იწყება.  
ძველ ღმერთებზე ნურას ჰყვებით,  
ჩავლილია მათი წყება.  
გაუხსენით კარი ახალს,  
ეს ზღაპრები აღარ გვინდა!  
გზას გულისკენ ის მონახავს,  
რაც გულიდან წარმოდინდა.

(კლდისკენ უკუმიდგება.)

### ქორო

შენ, ასეთი ამაზრზენი,  
თუ ასე გრძნობ სილამაზეს,  
ჩვენ რას ვიზამთ დანარჩენნი,  
რა მოგვივა მაგის ხმაზე!  
რაც სამყარომ არ გვაჩუქა,  
ჩვენს საკუთარ გულში ვნახავთ.  
მზე რა მზეა, მისმა შუქმა  
ჩვენშიც თუ არ იჩახჩახა.

(ელენე, ფაუსტი და ევფორიონი ზემოთ აღწერილი  
სამოსით შემოსილნი)

## ე ვ ფ ო წ ი ო ნ ი

ყური უგდეთ ჩემს სიმღერას,  
ვეუბნები ჩემს დედ-მამას,  
აჰყვეს თქვენი გულის ძგერა  
ჩემს ყმანვილურ ხტომა-თამაშს.

## ე ლ ე ნ ე

მიწიერი სიყვარული  
ორთა შერწყმა-შეერთება  
ხდება ღვთაებრივად სრული,  
ორი როცა სამი ხდება.

## ფ ა უ ს ც ი

მაშინ არის აზრით სავსე:  
შენ ხარ ჩემი, მე ვარ შენი.  
როცა გული გულს ითავსებს,  
არას ნიშნავს დანარჩენი.

## ქ ო წ ო

გამოსულა თითქოს ზესით  
ნათლიერი რა-რამ ძალა,  
რაც კი გქონდათ უკეთესი,  
ამ ყმანვილში გაიშალა.

## ე ვ ფ ო წ ი ო ნ ი

მინდა ერთბაშად  
ავიჭრა მალლა  
ნახტომით ერთით  
და არაფერი  
სხვა არაფერი  
არ მინდა მეტი.

### ფ ა უ ს ტ ი

მაგრამ ნამეტურ,  
მაგრამ ნამეტურ  
ზეაჭრას ცდილობ.  
დაილუპები,  
შენი დედ-მამა  
დაინდე, შვილო.

### ე ვ ფ ო რ ი ო ნ ი

ხელი გამიშვით,  
აქ, ამ მიწაზე  
რა დამრჩენია!  
ეს ჩემი თმებიც,  
ჩემი სამოსიც  
მხოლოდ ჩემია.

### ე ლ ე ნ ე

ჩემი სისხლი ხარ,  
ჩემი ხორცი ხარ,  
იცან მშობელი!  
არ დაარღვიო  
სამთა კავშირი  
განუყოფელი.

### ქ ო რ ო

ვაგლახ, დარღვევა  
მაგ კავშირისა,  
მანაც მოგელით!

## ე ლ ე ნ ე დ ა ფ ა უ ს ტ ი

ცადე მოთოკვა,  
გემუდარებით,  
შენი გულისტქმის,  
ჩვენი ხათრისთვის,  
შენი დედ-მამის  
სიყვარულისთვის!

## ე ვ ფ ო რ ი ო ნ ი

დე, ასე იყოს,  
არ გაგანბილებთ,  
დავრჩები თქვენთან.

(ქოროს მიეჭრება და ყველას  
საცეკვაოდ ჯამოინძობს.)

ოღონდ შევყვები  
ცეკვა-თამაშებს  
ამათთან ერთად.

## ე ლ ე ნ ე

მიდი, გაერთე!  
ლამაზმანების  
მთელი ჯარია!

## ფ ა უ ს ტ ი

მე ჩემდათავად  
მაგათი ცქერა  
არ მიხარია.

(ევეფორიონი და ქორო ცეკვავენ და  
პლერიან ერთ საერთო ფერხულში.)

ქ ო რ ო

როდესაც იშლება მკლავი,  
ნატიფად ახრილი,  
როდესაც ირხევა თავი,  
კულულებდაყრილი,  
როდესაც წყდებიან მინას  
მსუბუქი ფეხები,  
იცოდე, არ ცეკვავ იმნამს,  
ჩვენს გულებს ეხები.

(პაუზა.)

ე ვ ფ ო რ ი ო ნ ი

ფეხმარდო შვლებო,  
დროზე გაემზადეთ  
ახალი ცეკვისთვის.  
ლამაზნო ნადირნო,  
მე ვარ მონადირე,  
გაქცევა ვერ გიხსნით!

ქ ო რ ო

ჩვენი დანევა,  
მონადირება,  
არ არის ძნელი,  
ჩვენ თვითონ გვინდა  
შენთან ალერსი,  
მოგვხვიე ხელი!

ე ვ ფ ო რ ი ო ნ ი

გასნით, გავარდით,  
უნდა მოგდიოთ  
ტყეში თუ მინდვრად,

ასე ადვილად  
ხელთ ჩაგდებული  
არაფრად მინდა!

ე ლ ე ნ ე დ ა ფ ა უ ს ც ი

როგორ შმაგობს, როგორ ხელობს,  
ვერაფერმა შეაჩერა!  
მოსდებია ტყეს და ველებს  
გნიასი და ბუკთა ყლერა.

ქ ო რ ო , შემოწბიან თითო-თითოდ

ჩვენ ზედაც არ შემოგვხედა,  
იმას სდია, ის შეიპყრო,  
ვინც ხელობდა სხვებზე მეტად,  
ვინც ყველაზე შმაგი იყო.

ე ვ ფ ო რ ი ო ნ ი , შემოჰყავს ხელში ატატებული ქალი

შემიპყრია კაპარჩხინა,  
უნდა ძალად ვასიამო.  
ჩემს მკლავებში მოგცემ ბინას,  
ლამაზო და ბრაზიანო.  
დაგიკოცნი ჯიუტ ტუჩებს,  
შმაგი კოცნა დაგაყუჩებს.

ა ხ ა ლ გ ა ზ ს დ ა ქ ა ლ ი

ხელი მიშვი! დამეხსენი!  
რაკი თურმე გავჩნდი ქალად,  
ალარა მაქვს ნება ჩემი,  
ნამლექს შენი ვნების ძალა!  
შენ გგონია, კლდე ხარ სალი,  
მაღე ნახავ შენი თვალით,

ჩემი ცეცხლი რასაც გიზამს!  
გამომიდექ! ცაში ავალ,  
გამომიდექ! ქვესკნელს ჩავალ,  
მიუწვდომელს სდევდე მიზანს!

(აღლებული აფრინდება და დაიწვება.)

ე ვ ფ ო რ ი ო ნ ი , ალის ბოლო ნაჩვენებს იმორებს

ირგვლივ შემომდგარი მთები,  
ვინრო ქარაფები,  
არ მიშვებს, გავშალო ფრთები,  
მცირეა საფრენი.  
შორს ქარი დაქროლავს ხალისით,  
ტალღის ხმაურია.  
გამიშვით, იმ მხარეს გამიშვით,  
იქ ყოფნა მწყურია!

ე ლ ე ე , ფ ა უ ს ტ ი , ქ ო რ ო

ვაითუ მონყდე კბოდეს,  
რაგინდ ჯიხვივით ხტოდე.

ე ვ ფ ო რ ი ო ნ ი

მინდა ავიჭრა  
მალლა, სულ მალლა,  
გავხედო არეს.  
ეს ის მინაა,  
ზღვა და ხმელეთი,  
პელოპსის მხარე.

ქ ო წ ო

დარჩი, ნუ წახვალ,  
აქ ხომ ცხოვრება  
ისე წყნარია!  
მიმოიხედე  
გარს რა ზერებია,  
რა ხილნარია!

ე ვ ფ ო წ ი ო ნ ი

მშვიდობა არაფრად არ ღირს,  
ვგმობ ამგვარ არჩევანს!  
რაც არის ცხოვრების ძარღვი,  
ომში გამარჯვება!

ქ ო წ ო

ის, ვინც ომისკენ ილტვის,  
არას ეპუება,  
ბედნიერება მისთვის,  
არსად იპოვება.

ე ვ ფ ო წ ი ო ნ ი

ამ მინამ დაბადა  
ვაჟკაცი რამდენი,  
მისთა დიდებათა  
სათავის დამდეგი.  
ძალა და მხნეობა  
თვითეულ მეომარს!

ქ ო წ ო

რამსიმაღლე მთაზე შედგა!  
საით მიდის, რას იზრახავს!

მგონი, მართლა იცვამს ბეგთარს,  
მგონი, მართლა ისხამს ფარ-ხმალს!

### ე ვ თ ო რ ი ო ნ ი

რაც დაგვიცავს, მტკიცე გული,  
შეჯავშნული ტანი!  
არცა ციხე აზიდული,  
არცა გალავანი.  
რათა ყველამ, თავის რიგზე,  
მტერს აჩვენოს ძალა,  
ვაჟი გმირად უნდა იქცეს,  
ქალი – ამორძალად.

### ქ ო რ ო

პოეზიავ, სანუკვარო,  
მალლა აიჭერი,  
უნდა თავზე დაგვალვარო  
ვარსკვლავების ჩქერი!  
რაგინდ ცაში დაესახლო,  
ჩვენთანა ხარ მაინც ახლო,  
მაინც ჩვენთვის მღერი.

### ე ვ თ ო რ ი ო ნ ი

ბავშვი აღარ ვარ, დავკაცდი უკვე,  
ხმალი მარტყია, მიპყრია ფარი,  
თავისუფალი მივალ და უკან  
რჩეულ მოყმეთა მომყვება ჯარი.  
არ ვიცი დალლა!  
მალლა, სულ მალლა!  
ვხედავ, გახსნილა დიდების კარი!

## ე ლ ე ნ ე დ ა ფ ა უ ს ტ ი

როგორც კი გაჩნდი ამ ქვეყანაზე,  
მღერას და აღმა სვლას ეშურები,  
სხვა ყველა ფიქრი შენგან განაძე,  
გსურს ცისკენ გაჭრა საფეხურები.  
ხოლო მშობლები,  
შორით მხმობლები,  
არაფერნი ვართ შენთვის სრულებით!

## ე ვ ფ ო წ ი ო ნ ი

ირგვლივ ზარის და ზათქის ხმებია,  
აზავთებული მოზღვავედა ხალხი,  
ლაშქარი ლაშქარს შეჯახებია,  
შეგებებია მახვილი მახვილს.  
ოდენ სიკვდილი!  
ოდენ სიკვდილი! –  
ყური მიუგდეთ საბრძოლო ძახილს.

## ე ლ ე ნ ე . ფ ა უ ს ტ ი . ქ ო წ ო

ასე რატომ ეტრფი სიკვდილს,  
სად იჩქარი, რად იჩქარი?

## ე ვ ფ ო წ ი ო ნ ი

მეც ჩემს ბრძოლას გადავიხდი,  
ვერ დავრჩები განზე მდგარი.

## ი ჯ ი ვ ე ნ ი

დიდების სენი –  
აი რა არის,  
რაც შეგეყარა!

## ე ვ თ ო რ ი ო ნ ი

დე, ალტაცებით  
შემომცქეროდეს  
მთელი ქვეყანა!

(კლდიდან გადმოხცება, სამოსი ცოცა  
ხანს ჰაერში იჭერს, მისი თავი ბრწყინებს  
ასხივებს, უკან მანათობელი ზოლი მიჰყვება.)

## ქ ო რ ო

იკაროსია!  
იკაროსია!  
ძირს ჩაექანა!

(ლამაზი ჭაბუკი მშობლების თეხებთან დაეცემა.  
მიცვალებულის დანახვანე ბუნდოვნად ვაძრწევთ  
ნაცნობ სახეს. ქრება ყველაფერი სხეულებრივი,  
მისი ნათება ცანე კომეცასავით გადაილეკებს.  
მიწაზე წრება სამოსი, წამოსასხამი და ქნარი.)

## ე ლ ე ნ ე დ ა თ ა უ ს ტ ი

ვაგლახ, ვაგლახ, ხვედრი მწარე!  
ვაგლახ, ბედო უკუღმართო!

## ე ვ თ ო რ ი ო ნ ი ს ხ მ ა , სიღრმიდან

აჩრდილების მიცდის მხარე,  
ნუ გამიშვებ, დედა, მარტო!

ქ ო რ ო , გლოვის საჯალობელი

არ იქნები არსად მარტო,  
მოგნახავთ და გიცნობთ ყველგან.

საცა უნდა წარემართო,  
ჩვენი გული თან გაგყვება.  
ოდენ გიმღერო, არ დაგტირით,  
გვეხარბება შენი ხვედრი,  
ლხინი იყო გინა ჭირი,  
თამაშით და ბრძოლით მღერდი.

ბედნიერი სვისთვის იშვი  
დიდი მოდგმის, ძალის დიდის.  
თვალშეუდგამ სიმალლისთვის  
მოსაქცევი დასწვი ხიდი.  
შეგხაროდა, დაგნათოდა  
ულამაზეს ქალთა ჯარი.  
რა სიმღერის ჯადო გქონდა!  
რა სიცოცხლე მოასწარი!

მიეტანე მაინც ნებით  
საცთურსა და საზიანოს,  
განუსჯელად გადახვედი  
ყველა რიგს და ყველა კანონს.  
დიდი საქმე დაიკისრე,  
მიეც გონი, გული, ხელი,  
მაგრამ, ვაგლახ, წახველ ისე,  
აღსრულება ვერ შეძელი.

შეძლებს ვინმე? ამ კითხვისთვის  
ჯერ პასუხი არსად არი,  
ერი იგი დუმს და იცდის,  
ნაომარი, სისხლმდინარი.  
მაგრამ ჰანგებს ისევ ლვიძავს,  
ნაფუძარში ფეხი უდგას,  
ახალ სათქმელს დაძრავს მიწა,  
როგორც უწინ, როგორც მუდამ.

## ე ლ ე ნ ე

ძველი ნათქვამი, ვხედავ, ჩემზედაც ახდა,  
რომ სილამაზეს ბედნიერების გვერდით  
ლაღად ცხოვრება არ უნერია დიდხანს.  
განყდა სიცოცხლის და სიყვარულის ძაფი,  
შვილთან მივდივარ, ვერ დამაკავებს ვერვინ,  
მიიღე ჩემგან უკანასკნელი კოცნა.

(კოცნის. მისი სხეული ქრება, ფაუსტს მხოლოდ ჩიღე და  
ცანსაცმელი შეჩჩება ხელში.)

## ფ ო რ კ ი ა ს ი

იმას, რაც დაგრჩა, ხელი ჩასჭიდე მაგრად,  
თორემ დემონებს მათი დათრევა უნდათ,  
ქვესკნელს ჩატანა... ხელი ჩასჭიდე-მეთქი!  
ქაღმერთი გაქრა, მაგრამ სამოსი მისი  
ღვთაებრივია – უცებ ეთერში აგწევს,  
გადაფრინდები, სივრცეს გაივლი მრავალს.  
მეც იქ შეგხვდები, ამ სამანების მიღმა.

(ელენეს სამოსი ფაუსტს ღრუბლებად შემოხვევა და ჰაერში  
აიტაცებს.)

ფ ო რ კ ი ა ს ი , აიღებს ევფორიონის ცანისამოსს, წამოსასხამსა და  
ქნაწს, ჯამოდის ავანსცენაზე და მიმართავს მაყურებლებს

თუმცა მარტოდენ ათინათია,  
შიგ არა ცეცხლი აღარ ანთია,  
პოეტებს მაინც გამოადგებათ,  
საკინკლაოდ და ტვინის სადღეებად.  
რაკი ტალანტი ვერ მიმიცია,  
ამ ხარახურას მივცემ ნისიად.

(ფაღება ავანსცენაზე, ერთ-ერთ კოლონასთან.)

## პ ა ნ თ ა ლ ი ს ი

ყმანვილქალებო, მორჩა, აგვეხსნა უკვე  
თესალიელი მაგ კუდიანის ჯადო,  
რომელმაც ავი, კვალის ამრევი ხმებით  
მოიცვა სმენა, მაგრამ უფრო კი გონი.  
აბა, დავიძრათ ჰადესისაკენ ჩქარა,  
დედოფალს მივყვეთ ერთგულეულნი მისნი.  
იქ გველოდება, ამოუცნობის ტახტთან.

## ქ ო წ ო

დედოფლებს არსად გაუჭირდებათ!  
საცა არ მივლენ,  
სადედოფლო ადგილს ნახავენ.  
ჰადესშიც მალლა დასხდებიან  
პერსეფონეს თანაზიარნი.  
ჩვენ რა შეგვხვდება,  
ყრუ ადგილები?  
ასფოდელოსის მინდვრები მხოლოდ?  
უნაყოფო ტირიფები?  
ანონილი ალვის ხეები?  
თავშესაქცევად  
ლამურების მოვისმენთ წრიპინს?

## პ ა ნ თ ა ლ ი ს ი

ვისაც სახელი არ მიაჩნია არად,  
სტიქიონების კუთვნილებაა იგი.  
მე ჩემს დედოფალს ვერ მივატოვებ მარტოს.  
ერთგულეებაა, ის რაც მეობას გვაძლევს.

## ყ ვ ე ლ ა ნ ი

თუ სამზეოზე გამოგვიხმეს,  
ვგრძნობთ და ვიცით,

იმისთვის არა,  
ყველას ჩვენ-ჩვენი მეობა შეგვრჩეს,  
მაგრამ ჰადესში არ დავბრუნდებით.  
ცოცხალ ბუნებას  
შევერწყებით,  
ვითარცა სულნი.  
შეგვითვისებს და შევეთვისებით.

### ქოროს ენთონაწილი

ჩამალულნი ტოტებს შორის, მოშრიალე ფოთლებს შორის,  
ფესვებს, ვარჯებს ძალას მივცემთ, სასიცოცხლო წვენი სრუტოს.  
ხან ჩავინწავთ თმაში ყვავილს, ხან ჩავინწავთ თმაში ფოთოლს,  
რომ ნაყოფი გამოისკვნას, რომ მწიფობის უამი დადგეს,  
ჩამოცვივა დაბლა ხილი, გაუსინჯავს ხალხი გემოს,  
მოაგროვებს, დაგვეხრება, ისე როგორც პირველ ღმერთებს.

### ქოროს მეორე ნაწილი

ჩვენ კი კლდეებს შეყუყულნი, მოსარკული ტინის კედლებს,  
ჩავეხვევით, ჩავენწებით, როგორც ტალღა მოალერსე.  
ყურს მივუგდებთ ყოველ ბგერას, ჩიტის ყლურტულს, წყაროს ლიკლიკს,  
ლერწმის შრიალს, პანის ძახილს და იმავე ხმით პასუხს მივცემთ.  
შრიალია, ვიშრიალებთ, ქუხილია, ავქუხდებით,  
მთიდან მთაზე, ხევით ხევად შვიდმაგ ექოდ გადავივლით

### ქოროს მესამე ნაწილი

დებო, ჩვენ კი სრბოლის უინით წყლის ნაკადებს დაბლა დავყვით,  
რადგან გვინწევს შორი ბორცვი, ბორცვი, მწვანედ მოხასხასე.  
მეანდრულად დაკლაკნილნი, დაღმა მივალთ, მივხტით, მივჩქეფთ.  
იალაღზე, ველ-მინდვრებზე, ბალ-ბოსტანზე სახლის ირგვლივ.  
ცადანვდილი კვიპაროსი შემოხაზავს გეზს და სავალს,  
ჩვენს სარკეებს მოლივლივეს გამოჰყვება ორსავე მხრიდან.

## ქოჩოს მეოთხე ნაწილი

ყველამ თვისი საქმე ნახოს, ჩვენ აქ გვინდა მიმოვქროდეთ, სად ფერდობებს ზერები მოსავს, დაყრდნობია ვაზი ხარდანს. სად დილიდან საღამომდე დაფუსფუსებს მევენახე, სასოებით ელოდება შრომის ნაყოფს საორჭოფოს. თოხით ხელში, ბარით ხელში, სასხლავით თუ ასაკრავით შემწეობას შესთხოვს ღმერთებს, მზის ღვთაებას სხვაზე უფრო. ბაკხუსი კი, ნებიერი, არც უყურებს ერთგულ მსახურს, თვლემს მღვიმეში ან ფავენებთან ფოთლოვანში თამაშს მართავს. რომ ზმანებებს ეძლეოდეს, რომ ნახევრად მთვრალი იყოს. რუმბებში თუ ამფორებში, გინა მარჯვნივ, გინა მარცხნივ, სიგრილეში შენახული ძველთაძველი ღვინო უდგას. დანარჩენი ყველა ღმერთი, ჰელიოსი სხვებზე მეტად, დარ-ავდრებით თავის დროზე ეხმარება მევენახეს. მისი მშვიდი შრომის შემდეგ ჟრიაშულის ჟამი დგება, დაუკრეფავ-დაუვლელი არ დარჩება ერთი ძირიც. გოდრები და კალათები აივსება მწიფე მტევნით. სანნახელში ჩაიცლება, ცეკვავს ხალხი შიგ ჩამდგარი. წმინდა ვაზის წმინდა ნაყოფს უხეშად და ტლანქად სრესენ, მაგრამ ჩენჩო განზე რჩება, მოკრიალებს სუფთა წვენი. მერე უცებ კიშბალებად თიხის ჭურჭლის ისმის ხმები, დიონისე გამოჩნდება, მისტერიებს შემოიცილის. მასთან ერთად თხისფეხება ქალ-ვაჟების მოდის დასი, და დიდყურაც სილენისა აყროყინდა მაღალ ხმაზე. გაუქელავთ ორჩლიქოსნებს ზნეობა და ყველა წესი, ყველაფერი ბრუნავს ირგვლივ, ღრიანცელი ახშობს სმენას. მთვრალი კაცი ჭიქას ეძებს, დააცეცებს ხელებს ფუჭად, თავებიც და სტომაქებიც პირთამდეა ღვინით სავსე. ყველა ირგვლივ იმას ცდილობს, ყველა კაცი იმად იღვწის, რომ ახალი ღვინისათვის დაიცალოს ძველი რუმბი!

(ფანდა ეშვება. ფოჩოიასი, რომელიც ავანსცენაზე ზის, წამოიძარბება გოლიათური ტანით, ნილაბსა და ჩიდეს მოიხსნის და წამოიჩნდება მეფისცოფელად. რომ ეპილოგში, თუ ეს საჭირო ვახდა, განმარტოს პიესა.)

მეოთხე  
მოქმედება

## მთისწინეთი

ციცაბო, დაკბილული კბოდე ზემოდან ღრუბელი დაეშვება. ფაუსტი  
მციხე, მოვაკებულ ადგილზე.

ფ ა უ ს ც ი . ღრუბლიდან გადმოდის.

აჰა, მთაზე ვარ, დაბლა უფსკრულებს დაცქერ,  
ჩემმა ღრუბელმა აქ მომიყვანა ბოლოს,  
გადმომატარა ხმელეთიცა და ზღვებიც,  
ფრთხილად გადმომსვა და გზა განაგრძო თვითონ.  
არ გაფანტულა, ბურთად შეკრული მიდის,  
გეზი აილო აღმოსავლეთის მხრისკენ.  
თან მისდევს ჩემი გაცეხული მზერა,  
რასაც ვუყურებ, თვალთა ცდომია იქნებ!  
ქალღმერთის მსგავსი ტანად ვეება ქალი,  
მზით შემოსილი, ნევს ბალიშებზე ლბილზე.  
ნეტავ ვინ არის? იუნონა თუ ლედა?  
თუ ელენეა? რა სილამაზეს ვუჭვრეტ!  
მაგრამ ღრუბელმა უცებ იცვალა სახე,  
თვალდათვალ იქცა თოვლყინულოვან მთებად.  
გარდასულ დღეთა ნათელს ირეკლავს ისევ.

მაგრამ ნელინელ ნისლის მსუბუქი ზოლი,  
მესალბუნება, მეალერსება ნაზად,  
ნელა, ყოყმანით, მიიზიდება ზემოთ...  
თანდათანობით ქალის სახებას იძენს,  
მინვევს, მენვევა... ნუთუ ის არის მართლა?  
ის ნაკვთებია, ის სანატრელი სახე!

გულში იღვიძებს, წყაროსთვალავით ფეთქავს  
ჩემი პირველი ბედნიერების ხსოვნა,  
წარმტაცი დილა იმ მაშინდელი ტრფობის!  
რა იქნებოდა, არ დამეკარგა იგი,  
ჩემივე ხელით არ დამემსხვრია უღვთოდ.  
აჰა, მშორდება, მიიწელება ცისკენ,  
მიდის და მიაქვს სულის ნაწილი ჩემი!

(შემოაბიჯებს შვიდმილიანი ჩექმა, ფერ ერთი ცალი, მეგრე მეორე  
ცალი. გადმოდის მეფისტოფელი. ჩექმები გაჩქარებული ტაძიან.)

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

გზაც ამას ჰქვია! გიფრენია, ღრუბლებზე მაღლა!  
მაგრამ თუ იცი, სად მოხვედი, სადა ვართ ახლა?  
ეს ამ პიტალო კლდეების ჯერი,  
ეს აჩონჩხილი რუხი ტინები,  
რომლითაც ლამის ცას ვებჯინებით,  
ოდესღაც იყო – რა გგონია? – ქვესკნელის ფსკერი.

### ფ ა უ ს ტ ი

გამოგელია ძველი ჩმახები?  
ეგლა შემოგრჩა გასასაღები?

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

უფალმა ღმერთმა დიდი ხნის წინ, მას უამსა შინა,  
დაბლა ჩაგვრეკა, მინის გულში დაგვიდო ბინა.  
ცდები, თუ ფიქრობ, გაუვალი იდგა უკუნი,  
იყო გიზგიზი, საუკუნო ცეცხლის გუგუნი.  
დიდხანს ვემწყვდიეთ მეც და ჩემი ავი სულელებიც,  
ძლივსლა ვსუნთქავდით ვინრო ქვაბში ჩახუთულები.  
გვექონდა ხველება და ბოყინი წინით და უკნით,  
ისმოდა ირგვლივ წვრილფეხობის ჭყვირილი უქმი.  
გოგირდისა თუ გოგირდმჟავას ავი გაზები

ქვესკნელის კედლებს აწვებოდნენ გაათასებით.  
 და ამოინთხა ჯოჯოხეთი, დაიძრა ზევით,  
 გაავებული მინისძვრებით და ცეცხლის ფრქვევით.  
 ამოიტყორცნა მოვარვარე ფსკერი მინიდან  
 კლდეებად გასხდა, მწვერვალებად ამოიზიდა.  
 სწავლობს სწავლული, რომელი ქვა სადაურია,  
 ცოდნა-არცოდნით ზემო-ქვემო მთლად აურია.  
 ჩვენ კი გვეშველა, ცხელ წიაღში არ ვიხუფებით,  
 სუფთა ჰაერზე დავსეირნობთ თავისუფლებით.  
 ეს საიდუმლო, ხალხისათვის ჯერ-არ-თხრობილი,  
 გამოცხადების მეოხებით გახდა ცნობილი.

(ეფეს. 6.12)

### ფ ა უ ს ტ ი

ხილვად კეთილი ეს ქედები მუნჯია ჩემთვის.  
 ვკითხო, რა ვკითხო, სულერთია, არაფერს მეტყვის.  
 როცა ბუნება რუდუნებით თავის თავს ქმნიდა,  
 მოაპირკეთა დედამინა ყოველი მხრიდან,  
 ერთგან მწვერვალი გამოძერწა, უფსკრული სხვაგან,  
 კლდეები კლდეებს შეაყუდა, მთა მთაზე დადგა,  
 დაბლა დამრეცად დააცურა ბორცვების კალთა,  
 ძირს, დაბლობებზე, კალაპოტი გაშალა წყალთა.  
 ხოლო მინისპირს, იმისთვის, რომ თესლმა იხაროს,  
 სულ არ სჭირდება, თავზე ფერფლი გადაიყაროს.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ისე ადვილად მეუბნები, გენახოს თითქოს!  
 არადა, მართლა ვინც შეესწრო, სხვაგვარად ფიქრობს.  
 თავად იქ გახლდით, საკუთარით ვიხილე თვალით,  
 მინა რომ იძრა და ქვესკნელის ამოსკდა ალი.  
 მოლოქის ურო კლდეებს ფშვნიდა გაბოროტებით  
 და მიცვიოდა ნამსხვრევეები შორიდან შორად.  
 ასფუთიანი მიმოყრილა ირგვლივ ლოდები,  
 მაგრამ რა ძალამ მიმოყარა, ვინ ახსნას სწორად!

ფილოსოფოსი იგავს ჰყვება, ზნედა სჭირს, რა ქნას,  
კლდე კი აქ არის, არ იძვრის და მოითხოვს ახსნას.  
და ხალხმაც ახსნა, არ გამოდგა ეს საქმე ძნელი,  
თურმე ნუ იტყვი, ურევია სატანას ხელი.  
მიაკაკუნებს ცოდნის არგანს მგ ზავრი და მიდის,  
„ეშმაკის ლოდიც“ გაიარა, „ეშმაკის ხიდიც“.

### ფ ა უ ს ტ ი

მშვენიერია! ბარემ ისიც თქვი დალაგებით,  
ბუნების საქმე როგორღაა ეშმას გაგებით.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ბუნების, აბა, რა მცოდნია! თუმცა მის შექმნას  
ესწრებოდა და თავის წილიც შეჰქონდა ეშმას.  
თორემ საიდან ეს ამდენი აურზაური,  
უთავბოლობა, ძალადობა, უქმი ხმაური?  
როცა ფარფატიტ გადმოეველე ქვეყნის ნახევარს,  
როგორ ვირწმუნო, მოსაწონი ვერა ნახე რა!  
ვთქვათ, „სუფევანი სოფლისანი, დიდება მათი?“

(მათე. 4.)

მთელ მიწის პირზე არაფერი აღგიძრავს წადილს?

### ფ ა უ ს ტ ი

კი, როგორ არა, მაქვს მალალი ერთი მიზანი.  
თუ შეგიძლია, აქა ხარ და გამოიცანი.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ეგ ადვილია, არ სჭირდება მისწური ძალა.  
მე შენს ადგილას ავაგებდი სატახტო ქალაქს,  
შუაში ვინრო ქურებით და ბაზრის მოედნით,  
გრძელი დახლებით, ათასგვარი სავაჭროებით.

ბოსტნეული და ხორცეული ნაირ-ნაირი,  
ზინთი, ბუზები, ჭრელი ხალხი, მყრალი ჰაერი.  
ოლონდ გარშემო ფართო ქუჩებს შემოვახვევდი,  
ლამაზ მოედნებს, დამტკბარიყო მათით მნახველი.  
ალაყაფს გარეთ მოუზღვრელი, თავისუფალი  
გაიშლებოდა უგალავნო ვრცელი უბანი.  
უკვე გავცქერი მსრბოლავ კარეტებს,  
ზიმზიმ-ზრიალი წამით მარეტებს,  
ირევა ხალხი ვით ჭიანჭველა,  
დადის, თავისას დაეძებს ყველა.  
მიდიხარ ცხენით, გინათუ ეტლით,  
გარს გეხვევიან მეტნი და მეტნი,  
ერი და ბერი გეთაყვანება...

### ფ ა უ ს ტ ი

ჯერ არ მქონია მსგავსი ზმანება.  
ნატრობს მავანი საქმეს სანატრელს,  
გამრავლდეს ხალხი, გაძღეს, განათლდეს!  
არადა, აზრად არ მოსდის წამით,  
მეამბოხებს ამრავლებს ამით.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მაშინ ადექ და საკუთრივ შენთვის  
დიდი სასახლე აიგე ერთი.  
შემოიშენე ირგვლივ ბაღნარი,  
დარგე, ახარე ხე ათასგვარი.  
თალარები და ხასხასა მოლი,  
გზათა სხივები, ლარივით სწორი.  
ხელოვნურ კლდეზე მოქუხს ჩანჩქერი,  
შადრევენებია გარს ათასფერი.  
სხვა კიდევ ბევრი მსხვილმან-წვრილმანი,  
რისიც აქ არ ღირს მიმოხილვანი.  
უცხო სახლები წალკოტს ჩადგმული,  
მშვენიერ ქალთა მყუდრო სადგური.

ჰო, ქალთა-მეთქი! ვხმარობ მრავლობითს,  
მანდ მრავლობითი რიცხვის წყალობით  
ტკბობაც მეტია.

ფ ა უ ს ც ი

სარდანაპალი!  
ურცხვი დროება! ჟინი მდაბალი!

მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი

ველარ მივმხვდარვარ, რა გიდევეს აზრად,  
გავნბილდი, რაც არ შემოგთავაზე.  
აღბათ მთვარეზე გნადია ასვლა,  
ხომ იყავ უკვე ზეცის თავანზე!

ფ ა უ ს ც ი

ის დრო დამთავრდა, როცა ნატვრით ცას ავდიოდი!  
მინაზეც სრულად გაკეთდება საქმე დიადი.

მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი

დიდების ჟინით ატანილხარ, გასაგებია.  
იმ შენი გმირი ქალისაგან გადაგდებია.

ფ ა უ ს ც ი

დღეს საკუთრება უფრო მჭირდება,  
ქმედება მინდა, არა დიდება.

მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი

გარნა დიდებას ალგივლენენ მაინც მგოსნები,

შთამომავლობას გადაგცემენ გასხივოსნებით,  
ბრიყვთა სიბრიყვე რომ ამრავლოს შენმა შექებად.

ფ ა უ ს ტ ი

შე ბილწო, კაცის სიმაღლისა რა გაგეგება!  
იცო, რას ეძებს? რა სწადია? ისწრაფის რისკენ?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ბრძანე და, რასაც მოინებებ, აგიხდენ მყისვე!

ფ ა უ ს ტ ი

ზღვას დავყურებდი, აწყდებოდა ნაპირს სტიქია,  
მოვარდა ტალღა, მაგრამ უკან არ დაიხია,  
დარჩა და დარჩა, გადაფარა ზღვისპირა ზოლი.  
არ მომეწონა, რა ვიხილე შედეგი ბრძოლის.  
აღბათ შემთხვევით მოხდა-მეთქი, დავძაბე მზერა,  
ცოტა დრომ განვლო და მიიქცნენ ტალღები ჯერად.  
კვლავ დატოვეს და კვლავ დატბორეს იგივე მინა.  
ბრძოლას არ ჰგავდა, ზღვის უცნაურ თამაშად ვიცან.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . მყურებლებს

ასე ჰგონია, სასწაული იხილა უცებ.  
ასჯერ ათასი წელი გახდა, მაგ სურათს ვუცქერ.

ფ ა უ ს ტ ი . განაგრძობს მჭნეპარედ

გადარეცხილი, უნაყოფო ხდება ნაპირი,  
იქ, მთელ იმ ზოლზე, აღარ ხარობს აღარაფერი.  
გადმოდის ტალღა, უსარგებლოდ მოლოკავს ხმელეთს,  
ერთხანს დარჩება, უსარგებლოდ ილევა მერე.  
სასონარკვეთა მეუფლება, დავყურებ როცა

ამხელა ზღვისპირს სტიქიისგან უაზროდ მომცდარს.  
მაგაზე ფიქრი არ მშორდება ერთი წამითაც.  
უნდა შევება, დავამარცხო, აი, რა მინდა!  
თვინიერდება მაინც წყალი, რაგინდაც შმაგი,  
უკუიქცევა, შემალღებულს რა ნახავს ადგილს.  
პატარა ბორცვი თუ გამოჩნდა, გარშემო უვლის.  
ჩაედინება, თუ გამოჩნდა პატარა ღრმული.  
ხანი გამიხდა, ვაკვირდები გაფაციცებით  
და გადავწყვიტე, გამოვტაცო ზღვას ეგ მიწები,  
სულ ნაბიჯ-ნაბიჯ შევადგინე ყოველი გეგმა,  
ოლონდ თავიდან დახმარება მჭირდება შენგან.

(შორიდან მოისმის დაფდაფები და სამხედრო მუსიკა  
მაყურებელთა ზურგსუკან. მარჯვენა მხრიდან.)

მ ე თ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ეგ ადვილია. დაფდაფები თუ გესმის შორით?

ფ ა უ ს ტ ი

ისევ ომია? არ მახარებს, თუ გინდა სწორი.

მ ე თ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჭკვიანი კაცი ომისგანაც სარგებელს ნახავს,  
ის დროც დამდგარა, აიხდინო ეგ შენი ზრახვა.

ფ ა უ ს ტ ი

თუ ლაპარაკობ, გასაგებად ილაპარაკე,  
მომბეზრდა, ველარ ავუდივარ მაგ შენს ქარაგმებს.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

კარგი, მისმინე. მოგახსენებ მარტივი ენით.  
სვებედნიერი კაიზერი ხომ გახსოვს ჩვენი,  
ვითომ მიწაში რომ ვუპოვეთ დიდი ქონება.  
ტახტი შეერყა, შენ არ იცი, რა შავ დღეშია,  
თუ მაშინ ჯერაც მლიქვნელების ჯარი ესია,  
მისი სახელის აღარ უნდათ დღეს გაგონება.  
ყმანვილი იყო, რომ გამეფდა, ჯერ უმნიფარი,  
თუმცა სხვაფრივაც არ სდებია სიბრძნის ტვიფარი,  
სამეფოს მართვაც მოინდომა და თან გართობაც,  
ვაგლახ, სამეფო დროსტარებით არ იმართება.

## ფ ა უ ს ტ ი

დაე, მბრძანებელს მბრძანებლობა ჰყოფნიდეს ტკობად,  
გარემდგომთაგან მის ჩანაფიქრს ვერ მიხვდეს ვერვინ.  
ორ-სამ ახლობელს ჩასჩურჩულოს, აქვს ვისიც ნდობა,  
და რა აღსრულდეს ნება მისი, განკვირდეს ერი.  
ხელმწიფეს ღვანლი გამოაჩენს, მაღალი საქმე,  
მხოლოდ განცხრომა და გართობა ღირსებას ართმევს.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ამან კი რა ქნა? ისე განცხრა-გადაირია,  
სამეფო, ადრივ მორღვეული, მთლად აირია.  
ყველა ერთმანეთს წაეკიდა, დიდი და მცირე,  
ძმა ძმას არ ინდობს, ერთმანეთი უწყალოდ გმირეს.  
უბანი უბანს დაერია, ამქარს – ამქარი,  
ეპისკოპოსი მრევლისაგან არის გამდგარი.  
ეკლესიებში ხალხს ხოცავენ, ვისა აქვს ჯავრი,  
ვაჭარი გზაზე ველარ დადის, ვერ მგზავრობს მგზავრი.

## ფ ა უ ს ტ ი

მოკლედ, სამეფო მიფორხილობს, ეცემა, დგება,  
ისევ ეცემა, თავს ვერ იღებს, იფშვნება ძვლებად.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

თავიდან კიდევ მოეწონათ ეს ვითარება,  
თავისუფლებად მოეჩვენათ ქვეყნის არევა.  
ყოველი კაცი, რაც არ იყო, იმას ჩემობდა,  
არარაობა რაობდა და ქვემო ზეობდა.  
ჭკვიანი ხალხი შეიყარა, თქვა თუ: „გვეყოფა!  
მას, ვინც მშვიდობას დაგვიმყარებს, მივცეთ მეფობა!  
ამას ეგ საქმე არც უნდა და არც შეუძლია,  
წელი წელს მისდევს, ზნე და ნირი ვერ შეუცვლია.  
გადაგვეწურა მოთმინება, მორჩა, დამთავრდა,  
უნდა მშვიდობამ იზეიმოს და სამართალმა!“

## ფ ა უ ს ტ ი

მღვდლების ხელი ჩანს.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რა თქმა უნდა, მღვდლების ხელი ჩანს,  
მათი სტომაქის ამბავია, სანატრელისა.  
სული შთაბერეს აჯანყებას, კურთხევაც მისცეს.  
დაიძრა საქმე თავის ჯერზე და თავის რიგზე.  
ახლა აქ არის კაიზერი, მტერს აქ დახვდება,  
ვშიშობ, მოვიდა ბოლო ბრძოლის გადასახდელად.

## ფ ა უ ს ტ ი

სამწუხაროა. კაცი იყო წრფელი, კეთილი.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არა, იმედი ჯერ არ არის გადანყვეტილი.  
ვინ იცის, ბედის კამათელი როგორ დაჯდება,  
ჩვენც ხომ აქა ვართ,  
ხელს წავუკრავთ გასამარჯვებლად.

(ჩამოინაცვლებენ მთის შუამდე და ფაჩებს გადასცქეჩიან. ქვემოდან მოისმის დაფდაფებისა და საბრძოლო მუსიკის ხმა.)

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ვხედავ, ცუდადაც არ განლაგდნენ მისი ჯარები.  
გაიმარჯვებენ, თუ მივალთ და მივეხმარებით.

## ფ ა უ ს ტ ი

რითი აპირებ მიხმარებას? ჯადო-გრძნებებით?  
ეშმური ფანდით? შელოცვებით? მოჩვენებებით?

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ბრძოლებს სამხედრო ეშმაკობა იგებს სწორედაც!  
მოაგებინე ეს ბრძოლა და, რაც გინდა, სთხოვე.  
ნაპირი გინდა, მოქცევებით რომ იტბორება?  
მთელ სანაპიროს შენ გიბოძებს, ზღვის უბეს ყოველს.

## ფ ა უ ს ტ ი

მსმენია, ომის მოგებაშიც თურმე მარჯვე ხარ.  
ეს ერთი ბრძოლაც გამიჩარხე, რა გეხარჯება.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არა, ეგ ბრძოლა, საჭიროა, მოიგო თვითონ,  
მთავარსარდლობის მთელი ტვირთი შენ უნდა ზიდო.

## ფ ა უ ს ტ ი

მე როგორ ვზიდო, მაგ საქმისა განა რა ვიცი.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ეგ შტაბს მიანდე, ყველაფერი წავა თავისით.  
წინასწარ ვიგრძენ, რომ აქ ომის ცეცხლი ფეთქავდა,  
სამხედრო საბჭო შევადგინე ძველ მთიელთაგან,  
ყველა მათგანი დევკაცია, კლდის მონასხლეტი,  
არვის ჰყოლია თანამდგომნი ქვეყნად ასეთი.

## ფ ა უ ს ტ ი

ვხედავ მთის ხალხი წამოშლილა, მთელი ჯარია!  
ტანთ იარაღი აუხსამთ და მოიჩქარიან.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ვეცადე ბრბოსგან ამომელო კვინტესენცია,  
ვინც მნახავს, იტყვის: ჭეშმარიტი პიტერ კვინსია.

(შემოდის სამი ძალგულოვანი – მეფეთა II, 23, 8)

ჩემები გახლავთ! ჩვენთან ერთად ომის მსურველი!  
ხანიც სხვადასხვა, სამოსელიც და საჭურველიც.  
აღეგორიას ჩამოგვანან, მაგრამ მგონია,  
მათი სახება ამით უფრო მოსაწონია.

ი ა ვ ა რ ყ ა ვ ი , ახალგაზრდა, მსუბუქად შეჭყურვილი და ჭრელად  
ჩაცმული

ვინც შემომხედავს, მოვუნგრევ სიფათს,  
ზურგს თუ მაჩვენებს, დავითრევ თმითაც!

მ ო ი ნ ა დ ა ვ ლ ე , მოწიფული, კაცვად შეიარაღებული და სადად  
ჩაცმული

ჩხუბში იმარჯვო – რა სარგებელი,  
უნდა წაიღო წარსაღებელი.

მ ც კ ი ც ე დ ი პ ყ ა რ ი , ხანდახმული, მიიმედ შეჭყურვილი,  
თითქმის შეუმოსველი

შოვნა-მოხვეჭა მეც მიყვარს ძლიერ,  
შენარჩუნება მაინც მეტია.  
რასაც ხელიდან ვერ ნაჰგლეჯ ხნიერს,  
ყრმა უცებ ფანტავს, შარახვეტია.

## მთისძირი

დაფდაფებისა და საბრძოლო მუსიკის ხმები ქვემოდან.  
კაიზერის ფაშლილი კარავი.

კაიზერი, მხედართმთავარი, მკველები.

ს ა რ დ ა ლ ი

ხეობის დასწვრივ თავმოყრილად განლაგდა ჯარი.  
იმ ველს შეხედე! გამარჯვება იქ ისახება!

კ ა ი ზ ე რ ი

ყველაფერს საქმე გამოაჩენს. რაც არის, არის!  
ოღონდ არ მომწონს სანახევრო უკან დახევა.

ს ა რ დ ა ლ ი

მარჯვენა ფლანგი საიმედო გახლავთ სრულიად,  
აღმართი ასდევს, თან როგორი დატალღულია!  
კავალერია ვერც მობედავს.  
ჩვენ კი მზადა ვართ –  
რანამსაც გვინდა, შეტევაზე მაშინ გადავალთ.

## კ ა ი ზ ე რ ი

დავრწმუნდი, ჩვენი პოზიცია ჯობს გაცილებით.  
მაგ მხრიდან მართლაც საიმედოდ ვართ დაცულები.

## ს ა წ დ ა ლ ი

ცენტრში ნისლიდან ფლანგები ჩანს მეწინავე,  
შუბისთავეები დილის მზეზე უკვე ბრწყინავენ.  
ანთებულაია ომის ჟინით მთელი ლაშქარი,  
ნელა დაიძრნენ დაწყობილნი კარედ და კარედ.  
აქ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, არის აშკარა,  
თუმცა კი ბრძოლა, ვერ დავმაღავ, იქნება ცხარე.

## კ ა ი ზ ე რ ი

გადავყურებ და გულით ვხარობ: ო, რა ჯარია!  
ორჯერ მეტია, თუმცა რიცხვით თანაბარია.

## ს ა წ დ ა ლ ი

მარცხენა ფლანგი კლდეებია მიუდგომელი  
და კლდეებს შორის გასასვლელი მკვიდრად დაცული.  
მანდ შეგვებმება მტრის ლაშქარი – რომელს რომელი! –  
ბრძოლა იქნება ხელჩართული და ვაჟკაცური.  
მაგრამ ისე ვართ შემართული, ეჭვი არ არი,  
მაინც გავაქცევთ, გაბრუნდება დიდი ზარალით.

## კ ა ი ზ ე რ ი

სრულად გამიდგნენ ჩემი ვითომ ნათესავეები,  
ათასი ჯურის გარე ბიძა თუ ბიძაშვილები,  
გამიდიდგულდნენ, რას არ ვცდილობ, ვერ ვეზავები,  
ირყევა ტახტი და სამეფო არის აშლილი.  
ვინც ყოყმანობდა, არ კარგავდა ჯერ მოთმინებას,  
მათი სიმრავლე რა იხილა, ჩაჰყვა დინებას.

## ს ა წ დ ა ლ ი

ჩვენი მზვერავი მოქრის შორიდან!  
ნეტავ როგორი ამბით მოვიდა?

## პ ი წ ვ ე ლ ი მ ზ ვ ე წ ა ვ ი

გაძრომა და გამოძრომა  
ჩვენს საქმეში საშურია.  
რა ამბავიც ახლა მომაქვს,  
ვერაფერი სასურია.  
ის, ვინც თითქოს შენთან არის,  
შენზე ვითომ კეთილს ამბობს,  
არც აპირებს, მოგცეს მხარი,  
ხელს აფარებს მაგათ ამბოხს.

## კ ა ი ზ ე წ ი

არავის ახსოვს ერთგულება, მოვალეობა,  
ყოველგვარ ღალატს კადრულობენ, წახდა ზნეობა.  
მეზობელს სახლი ეწვებოდე, არაფერს იქმან,  
ალი მათთანაც რომ გადავა, არა აქვთ ფიქრად.

## ს ა წ დ ა ლ ი

ესეც მეორე მზვერავი ჩვენი.  
საიდან მოდის? დალლილა რბენით!

## მ ე ო წ ე მ ზ ვ ე წ ა ვ ი

კმაყოფილი მოვდიოდი,  
დაქსაქსული დამხვდა მტერი,  
მაგრამ უცებ შეწყდა შფოთი,  
ჰყავთ ახალი კაიზერი.  
შერიგდნენ და ყველამ თავი  
მის გარშემო მოიყარა,

გახდა ადვილ სამართავი,  
უკან გაჰყვა, როგორც ფარა.

### კ ა ი ზ ე რ ი

მაგ კაიზერის გამოჩენამ ძალა შემმატა,  
ტანზე აბჯარი ჩამაცვა და ბრძოლად შემმართა.  
ახლალა ვიგრძენ, რომ ნამდვილი კაიზერი ვარ,  
ომი მწყურია! ჯარისკაცთა რიცხვში ვწერივარ!  
ზარ-ზეიმებში რომ ვიყავი გადავარდნილი,  
საბრძოლო თამაშს რომ ვმართავდი, ვიდექ მცინარი,  
თურმე რაც მაკლდა, საფრთხე იყო, საფრთხე ნამდვილი,  
რომელიც ახლა, აქვე არის, ჩემს თვალწინ არის.  
რად ჩამიშალეთ მეომრული ძველი ზრახვები?  
უკვე განთქმული მექნებოდა ქვეყნად სახელი.  
დღეს ხმაღში ვინვევ ჩემს მეტოქეს, შევმართე ქედი!  
დე, ორთაბრძოლამ გადანყვიტოს ან ჩვენი ბედი!

(პეროლდს გზავნის ცნოუ კაიზერთან ორთაბრძოლაში  
გამოსასწევად. შემოდის ფაუსტი - ტანზე ფავშანი, თავზე  
სანახევროდ ახდილი ზუჩი.)

### ფ ა უ ს ტ ი

წინასწარ ვიცით, აქ არავინ შეგვხვდება ცუდად,  
და მაინც საქმე ისეთია, სიფრთხილე უნდა.  
აღბათ გსმენია, მთაში კაცი გულდაგულ ეძებს  
ბუნებისმიერ საიდუმლო წარწერებს კლდეზე.  
სულეებმა ბარი დატოვეს და მთებს მოაშურეს,  
სადაც თანხმობით ეწევიან საქმეს სასურველს.  
უყვართ ძიება, კლდის სიღრმეში საძრომთა ხვრეტა,  
ყნოსვად ქცეულნი გაზის სუნით აგნებენ მეტალს.  
კრისტალებს ქმნიან გამჭვირვალეს შეხებით ნაზით,  
სადაც მერმისის ინაკვთება კლაკნილი ხაზი.

## კ ა ი ზ ე რ ი

ეჭვი არა მაქვს, სარწმუნოა შენი სიტყვები,  
მაგრამ აქ ამას, რა დროსია, რისთვის მიყვები?

## ფ ა უ ს ტ ი

ნურჩელ ნეკრომანტს, ტომით საბინს, შენი ვალი აქვს,  
როგორც მარწმუნებს, შენგან არის, თუ ცოცხალია.  
კოცონზე იდგა, უკვე მისწვდნენ ცეცხლის ენები,  
კაცი თუ ეშმა – არვინ იყო მისი მშველელი.  
და უცბად შენმა სიტყვამ იხსნა, სიტყვამ მეფურმა,  
თვალთ სასიკვდილო შავი კვამლი არ დაებურა.  
ეს იყო რომში. და მას აქეთ ლოცულობს შენზე,  
შორით იდუმალ გეხმარება ყველაფრის შემძლე.  
შენი ამბები არ გაიგოს, ვერ ითმენს დიდხანს,  
მინის სიღრმეში ჩაიხედავს, ვარსკვლავებს ჰკითხავს.  
ეს დღეც განჭვრიტა და სასწრაფოდ, არდახანებით,  
დასახმარებლად აქ აღმოვჩნდით მისი ბრძანებით,  
რომ მთების ძალა დაფარული გაგეხსნას უცებ,  
რაიც სიბრიყვით ჯადოქრობა ჰგონიათ ხუცებს.

## კ ა ი ზ ე რ ი

სტუმარი ლხინშიც გიხარია, არათუ ჭირში,  
გმადლობთ ორთავეს, დახმარების გამხადეთ ღირსი.  
მაგრამ ნუ ჩქარობთ ქარქაშიდან ხმლის ამოგებას,  
სრულიად მარტომ გადავწყვიტე ბრძოლის მოგება.  
ბრაზმორეული ვიყავი და ვიცი, შევეტოპე,  
ორთაბრძოლაში გამოვიხმე ჩემი მეტოქე,  
მაგრამ ეს იყო სისხლისა და გულის ძახილი.  
მოუსავლეთში გაამგზავრებს ჩემი მახვილი.

## ფ ა უ ს ტ ი

პირდაპირ გეტყვი, მცდარი გახლავთ ეს ანგარიში.  
შენთან და შენთვის ვიმყოფებით აქ თვითეული.  
განა რა არის კიდურები თავის გარეშე?  
იძინებს თავი – ძილს ეძლევა მთელი სხეული.  
არა, ხელმწიფევ, ქმნა მაგისა არ შეიძლება.

## კ ა ი ზ ე რ ი

მეფური სიტყვა თქმულია და არ შეიცვლება.

## ჰ ე რ ო ლ დ ი , უკან დაბრუნებული

არც ისე წარმატებული  
გამოდგა ჩემი სტუმრობა,  
გადავეც დანაბარები,  
მიიღეს, როგორც ხუმრობა.  
მითხრეს: „იგორა ხელმწიფემ,  
მთის იქით გადაიგორა,  
დღეს ზღაპარივით ვიხსენებთ,  
იყო და არა იყო რა“.

## ფ ა უ ს ტ ი

ძალიან კარგი! ჩვენ თვითონაც ასე გვერჩია,  
ერჩია ყველა ერთგულეულს, ვინც შენს გვერდშია.  
მტერი დაიძრა, ჩვენი ჯარი, დროა, ეკვეთოს.  
ბრძანება გაცეც, უამი გახლავთ საუკეთესო.

## კ ა ი ზ ე რ ი

არა, ბრძანებას მე არ გავცემ, გიხდით მადლობას.  
(საჩდალს)  
მიჯობს, თავადო, შენ გადმოგცე მთავარსარდლობა.

## ს ა წ დ ა ლ ი

მაშინ მარჯვენა ჩვენი ფლანგი სასწრაფოდ დავძრათ,  
მტერი მარცხენა ფლანგით გვიტევს, აღმართს ამოდის,  
არ გვეპუება, ამოღწევა სურს აქამომდის,  
უცებ რომ თავზე დავაცხრებით, არცა აქვს აზრად.

## ფ ა უ ს ც ი

მაშინ ეს გმირიც წაიყვანეთ, ნახავთ რაც არი,  
გაგიკვირდებათ ამ ჭაბუკის ნამამაცარი.

(მარჯვნივ მდგომისკენ უთითებს.)

## ი ა ვ ა წ ყ ა ვ ი , წინ წამოდგება

ვინც მე სახეში შემომხედავს, მოვუნგრევ სიფათს,  
ვინც ზურგს მიჩვენებს, შეეყრება უმეტეს ხიფათს.  
ვინც შემომიტევს კომბლიანი თუ ხელხმლიანი,  
შორს გაისმება სასიკვდილო მისი ხრიალი.

## ს ა წ დ ა ლ ი

დაიძრან შუა ფლანგები სრული ძალებით,  
მტკიცედ იარონ, სწრაფად, მაგრამ არ გამალებით.  
იქ, მარჯვნივ, მტრების განლაგება არეულია,  
ჩვენი რაზმები ალყისათვის გარე უვლიან.

## ფ ა უ ს ც ი

ყველაზე უკეთ ეს დეკაცია მანდ გამოდგება,  
რასაც წასწვდება, უცებ იცის ხელში მოგდება.

მ ო ი ნ ა დ ა ვ ლ ე , წინ წამოდგება

საგმირო საქმეს რომ მოვრჩებით, მოვკრიბოთ დავლა,  
ოქრო აწყვია ცრუხელმწიფის კარავში მრავლად.  
ველარ იჯდება, სადაც ახლა ზის ეგ უძლები,  
მასთან საომრად თუ ამ რაზმებს მე წავუძღვები.

ი გ ს ე კ ა ლ თ ა , მაჩვიტანტი ქალი, პოინადავლეს ეკერის

თუმცა არა ვარ მისი ცოლი კანონიერი,  
ჯერ არ მქონია სიყვარული ასე ძლიერი.  
საშოვრისათვის დიაცები რას არ შვრებიან,  
ყველა უკლებლივ – რა აღქაჯი, რა ღვთისმოსავი!  
ომში როცა ხარ, ყველაფერი დასაშვებია,  
აქ ახლა ჩემთვის სთვლობის დროა, უამი მოსავლის!

(ოჩივენი ვადიან.)

ს ა წ დ ა ლ ი

ჩვენს მარცხენა ფრთას, წინასწარვე როგორც ველოდი,  
მარცხენა ფლანგით ტალღა-ტალღად მოაწყდა მტერი.  
გადასასვლელის ისარგებლეს დაუცველობით,  
შემოჭრა უნდათ... არ გამოსდით ჯერ არაფერი.

ფ ა უ ს ც ი . მაჩუხნივ მდგომისაკენ ათითებს

დე, ამ ვაჟკაცმაც ჩვენი რაზმი გააძლიეროს.  
მიდი, გვაჩვენე შენი ძალა, გმირო ხნეირო!

მ ტ კ ი ც ე დ ი პ ყ ა წ ი

მაგ მარცხენა ფრთას მე მოვარღვევ – იცის მოხუცმა!  
მონმე გახდებით, მტერი ნამში როგორ მოკურცხლავს.  
მერე კი ბედი ალაფის გზას გამაგნებინებს,  
რასაც მოვიგდებ, ველარავინ გამაგდებინებს.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი , ზემოდან ვშვება

უკანა მხრიდან, მთის პირიქეთით,  
ვინრო ხევებით და ბილიკებით  
დიდი ლაშქარი მომიყვანია,  
კლდის ძირას იცდის კარგა ხანია.  
ჯავშან-შუბებით აღვჭურვილვართ, ხმლებით, ფარებით,  
პირველ ნიშანზე საბრძოლველად გავეჩქარებით.

(სმადაბლა. იმათთვის, ვინც მაჯ საქმეში ჩახედულია)

თქვენ ზეპირ იცით მთელი საქმე, არც გინდათ კითხვა!  
მოგეხსენებათ, ერთ ადგილას ვერ ვიცდი დიდხანს,  
საცა მივედი, დავტრიალდი, დრო არ დავკარგე,  
ჩამოვუარე იარაღის საცავ დარბაზებს.  
იდგნენ გარშემო რაინდნი და მეფე-მთავარნი,  
ზოგი ქვეითი, ზოგიც ვითომ ცხენით მავალი.  
დღეს ეგ ჯავშნები ცარიელი ნიჟარებია,  
ლანდ-აჩრდილები აკითხავენ, შიგნით ძვრებიან.  
ჩემი ჭინკები შევსხი შიგ და აქეთ დავძარი,  
მტერს უნდა შორით დავანახო, დავცე თავზარი.

(სმამალლა)

მოყლარუნე და ჟანგიანი აბჯრის ჟამია,  
ბაირალები დაძონდილა, ჩრჩილს უჭამია.  
ძველი ლაშქარი საბრძოლველად კვლავ ემზადება,  
ახლების ომში გადანყვიტეს წილის დადება.

(ისმის საყვირების თავზარდამცემი ხმა. მტერი შემდრკალია.)

## ფ ა უ ს ტ ი

ბინდი ჩამოდგა დღისით და მზისით,  
ცა წითლად კვესავს, მაცნეა რისი?

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მარჯვენა ფლანგი შეუვალა,  
ჩვენი დევგმირი დამდგარა მაგრად.

## კ ა ი ზ ე რ ი

ათი მკლავი აქვს, მიკვირს ძალიან.  
არანაირად ბუნებრივს არ ჰგავს.

## ფ ა უ ს ტ ი

ის არ გსმენია, სიცილიის ნაპირთან, დღისით,  
მოულოდნელად რომ განვება ფერადი ნისლი?  
მოჩანს ზღაპრული ქალაქები, მოჩანს ბალები,  
ერთი სახება, მსწრაფლ იცვლება სულ სხვა სახებით.

## კ ა ი ზ ე რ ი

მაშინ, მითხარი, როგორ ხდება, ბრალია რისი,  
ჩვენი შუბები განუწყვეტელ ნაპერწკლებს ისვრის.

## ფ ა უ ს ტ ი

ეგ სხვა შუქია, დიოსკურთა გახლავთ ნათელი,  
კეთილი შუქი, ბევრათასი წლის წინანდელი.

## კ ა ი ზ ე რ ი

მაშ, ისიც მითხარ, ვისგან არის, რატომ და რისთვის,  
ბუნება ჩვენდა სასარგებლოდ ასე რომ იღვწის?

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ის კაცი იღვწის, სიკვდილისგან იხსენ რომელიც,  
იგია შენი მფარველი და თანამდგომელი.

## კ ა ი ზ ე რ ი

მახსოვს, ზეიმით შემხვდნენ რომში და მომენადა,  
ჩემი გავლენა რამე საქმით გამომეცადა,  
კლიროსს წავართვი სიხარული თავისი წილი,  
და ჩავასუნთქე იმ თეთრწვერას ჰაერი გრილი,  
რის გამოც დღემდე ეკლესია მიყურებს ცერად.  
ნუთუ იმ ძველი ცელქობისთვის მმადლობენ ჯერაც?

## ფ ა უ ს ტ ი

ათასწილ ფასობს უანგაროდ ქმნილი სიკეთე.  
აღაპყარ თვალი – რა ნიშნები გამოიკვეთნენ!  
ამოხსნა მათი ადვილია.

## კ ა ი ზ ე რ ი

ცად არწივს ვხედავ.  
გაავებული გრიფი მისდევს, დააცხრეს ზედან.

## ფ ა უ ს ტ ი

ნიშანი გახლავთ სავსებით ცხადი.  
რა არის გრიფი? ზღაპრული ხატი.  
არწივს რა უნდა დააკლოს მაგან,  
ერჩია, ძალა ეცადა სხვაგან.

## კ ა ი ზ ე რ ი

აჰა, გრიფი და ფრინველთა მეფე  
ერთმანეთს წენენ, კორტნიან, ფლეთენ.

ფ ა უ ს ტ ი

ამოიძუა ლომის კუდი უსახო გრიფმა,  
დამარცხებული დაიკარგა ტყეების მიღმა.

კ ა ი ზ ე რ ი

დე, ისე ახდეს, როგორც მენიშნა,  
რა აზრიც დამრჩა მათი ფრენისგან.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . მამფვნივ იყურება

უკან-უკან იხევს მტერი,  
ველარ უძლებს ჩვენს იერიშს.  
მთელი ფლანგი დაძაბუნდა,  
უკვე ბრძოლაც აღარ უნდა,  
შეერია მთავარ ძალას,  
ისიც უცებ აიშალა.  
მცირე ეჭვიც აღარ რჩება,  
ჩვენი არის გამარჯვება.

კ ა ი ზ ე რ ი , მამცხნივ იყურება

იქ კი, მანდეთ, აქეთ მხარეს,  
ვერას ვხედავ გასახარელს.  
კლდისკენ იწყო მტერმა დენა,  
შენყვეტილა ქვების ცვენა,  
საფრთხეშია ვინრო ყელი,  
მთავარ თხემზე ასასვლელი.  
თქვენმა ბნელმა ხელოვნებამ,  
მოიტანა მხოლოდ ვნება.

(პაუზა)

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

წყვილი ყორანი გამოჩნდა ჩემი,  
ჩემკენ მოფრენენ შავ ფრთათა ცემით,  
ახლობლები ვართ, მისხის მისხები.

კ ა ი ზ ე რ ი

შავი აფრებით, შავად შავებით,  
მოქრიან ავის მომასწავებნი,  
გადმოიფრინეს ბრძოლა ფიცხელი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი , ყოჩნებს

ყორნებო, თქვენი წყალობის ღირსი,  
ვინც არის, ძლევაც იქნება მისი.  
მოდით, ყურებთან შემომისხედით.

ფ ა უ ს ტ ი , კაიზერს

სიშავის გამო უფრთხიან კაცნი,  
რაც ვერაფერი მოსაწონია:  
მტრედი ჰგონიათ მშვიდობის მაცნე,  
ყორანი ომის მაცნე ჰგონიათ.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

გვიახლოვდება, ჩანს, განსაცდელი,  
გასასვლელელები ველარ შევკარით.  
იქითა ფლანგზე მარცხს ვერ ავცდებით.  
თუ საბოლოოდ დავთმეთ კლდეკარი,

## კ ა ი ზ ე რ ი

ნებას დავეყვი! ჩემზე ახია!  
გრძნების ბადეში რამ გამახვია!  
უხედავ, დამლუპეს მაგ ჯადოქრებმა.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არა, ჯერ შევეძლებთ ძალის მოკრებას.  
ყორნებს გავგზავნი კლდეკარის თავზე!  
მომეც ბრძანება, ბრძანება გავცე!

## ს ა რ დ ა ლ ი , ამ სიტყვებს შემოესწრება

არ მომენონა იმთავიდანვე,  
საქმე ამ ხალხთან რომ დაიკავე.  
ან სასიკეთოს ვერაფერს გეტყვი.  
მათგან წამხდარი თავს რაზე ვიძო,  
თუ წამოიწყეს, განაგრძონ თვითონ.  
გთხოვ, დაიბრუნო ეს შენი კვერთხი.

## კ ა ი ზ ე რ ი

ჯერ დაიტოვე უკეთეს დრომდე,  
გამოგვადგება, თუ ბედი მომდევს.  
ამაზრზენია ეგ თალლითი მხრებზე ყორნებით.

(მეფისტოფელს)

კვერთხს ვერ გადმოგცემ, არ ყოფილა საქმე საშენო.  
წადი, მიხედე წამხდარ საქმეს დაუყოვნებლივ,  
იქნება შეძლო, აზრიანი რამე მაჩვენო.

(ჯადის საჩდალთან ერთად)

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

კვერთხი, რა კვერთხი, ჯოხია ხმელი,  
ეგლა მაკლია, შევასო ხელი,  
ვერც დავიმაგრებ, თავზე ჯვარი აქვს.

ფ ა უ ს ტ ი

ახლა რას იზამ?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რაც საქნარია.  
შავად მოსილნო სახლიკაცნო, გაფრინდით ჩქარა,  
მთებში ტბას ნახავთ, გააფრთხილეთ იქ უნდინები,  
რომ მოგვაჩვენონ, ვითომ წყალი გადმოსკდა ღვარად,  
და ყველაფერი ჩაირეცხა შმაგი დინებით.  
ეგებ მაღალმა ხელოვნებამ გვიშველოს მათმა!  
დე, ქალურ წესზე მოგვასაღონ ტყუილი მართლად.

(პაუზა)

ფ ა უ ს ტ ი

ხედავ, რა კარგად გაგესარჯნენ სახლიკაცები,  
მოინადირეს სულ ერთ წამში წყლის დიაცები.  
მშრალი, შიშველი კლდეებიდან გადმოქუხს წყალი,  
მტერს გამარჯვება რაც ეგონა, არ დარჩა კვალიც.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ნახე, ყველაზე გულად მცოცავთაც  
ზარი დაეცათ! საქმე მოთავდა!

## ფ ა უ ს ტ ი

ღვარი ღვარს მოსდევს, იქცა ღვარცოფად!  
უცებ აავსო ყოველი ხევი,  
გახელებული დაეშვა ქვევით,  
რალას გიშველის აქ ვაჟკაცობა!

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მოჩვენებაა ეგ ღვარცოფი, ცთომაა თვალთა,  
მე აქ თვალაბმულ მეომართა ცქერით ვერთობი,  
ვით მდინარეში ჩაცვენილნი, ინყებენ ფართხალს,  
სულ ცურვა-ცურვით ჩაათავეს მთელი ფერდობი.  
მშრალზე მდგომელნი იხრჩობიან, ხაფად ყვირიან,  
ნახდა ლაშქარი, ყველაფერი მსწრაფლ აირია.

(ყოჩნები უკან ბრუნდებიან.)

ქებით გახსენებთ თქვენს პატრონთან, როცა შევხვდები,  
მაგრამ იქამდე სხვა რამეა გასაკეთები.  
ნადით და კლდეში ცეცხლოვანი მონახეთ ქვაბი,  
სადაც გნომები ენევიან სამჭედლო საქმეს,  
სადაც მადანი მუშავდება, იმსხვრევა ქვები,  
ნითლად ვარვარებს ლითონი და ნაპერწკლებს აფრქევს.  
მოსთხოვეთ, ცეცხლი ისე ენთოს და ეღვარებდეს,  
ჯერ კაცის თვალს რომ არ უნახავს აქ, ამ არეზე.  
ღრუბლის არილი, ვარსკვლავთცვენა არავის უკვირს,  
მაგრამ როდესაც აქ, სულ ახლოს, დადგება შუქი,  
შენ წინ ბუჩქები უცნაურად ინყებენ ბრიალს  
და ვარსკვლავები სველ მიწაზე ფეხებთან ყრია,  
ამის ნახვაზე არ იქნება არ დაფრთხეს კაცი.  
აბა ჰა, ჩემო შაოსნებო, საჩქაროდ გასნით!

(ყოჩნები გაფრინდებიან. ყველაფერი ბრძანებისამებრ ხდება.)

დაიბნა მტერი, ვერ გაიგნო გზა ველარსაით!  
ერთად დაატყდათ მთელი ცეცხლი, ყველა ვარსკვლავი!

ეს ყველაფერი კარგი გახლავთ და მშვენიერი,  
ახლა ის დროა, უნდა დავცეთ შიში ხმიერი.

### ფ ა უ ს ტ ი

ბეგთარ-ჯავშნები, საიდანღაც აქ მოზიდული,  
მომაგრებულან, ცოცხალი აქვთ ყველა კიდური.  
სმენა წამელო, ჟღერიალი დგას ხმაგაბზარული,  
მოფორხილობენ რაჩხა-რუჩხით, ჟღარუნ-ჟღარუნით.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ორთაბრძოლები გაუმართავთ, ვით ძველ რაინდებს!  
შერკინებულან, აქ ერთმანეთს არვინ დაინდობს!  
აქაურობა გააყრუეს მაგ შერკინებით!  
ჯავშანი თორანს ეომება თავგადაკლული,  
ვერ რიგდებიან სამკლავენი და საბარკლულნი,  
როგორც ოდესღაც გველფები და გიბელინები.  
და ვით ყოველთვის ეშმაკეულ ღღესასწაულზე  
ერთმანეთს წენავს ორი მხარე, აქვთ ვაი-ვიში.  
პირი იბრუნეს, ორომტრიალს ველარ გაუძღეს,  
კაცი კაცს ასწრებს, პანიკურით გარბიან შიშით.  
შორიდან ისმის გაქცეული ლაშქრის ხმაური.  
რა ღამე იყო! სატანური და ეშმაური!

(ომის დაუსწაველი ხმები ორკესტრში, ჩომელიც თანდათან  
ხალისიან საბრძოლო მუსიკაში გადადის.)

## ცრუ კაიზერის კაჩავი

ცაბცი, მდიდრული მოსთულობა.

მოინადავლე, ივსეკალთა

ი ვ ს ე კ ა ლ თ ა , მაჩვიტანცი ქალი  
უცებ მოვექანდით, ჩვენ ვართ პირველნი!

მ ო ი ნ ა დ ა ვ ლ ე  
ვერ შეგვედრება ვერა ფრინველი.

ი ვ ს ე კ ა ლ თ ა  
გარს სიმდიდრეა განუზომელი,  
რას მივეტანოთ? დავთმოთ რომელი?

მ ო ი ნ ა დ ა ვ ლ ე  
სულ გავსილია აქაურობა!  
არ შემიძლია მშვიდად ყურება.

ი ვ ს ე კ ა ლ თ ა  
სწორედ ასეთი მინდა ხალიჩა,  
ლოგინი მაქვს და – მხოლოდ ჩალისა.

## მ ო ი ნ ა დ ა ვ ლ ე

შეხედე, სუფთა ჯავარდენია!  
მე მაგის ნატვრით ცრემლიც მდენია!

## ი ვ ს ე კ ა ლ თ ა

ქათიბი, ოქროს ძაფით ხვეული!  
დიბა-ატლასი და ძონეული!

მ ო ი ნ ა დ ა ვ ლ ე , გადმოიღებს იაჩაღს

ლახვარი არ სჯობს ამადარ ლახვარს,  
ალყაშიც მოხვდე, გაჭრი და გახვალ.  
შენ კი რა დავლა მოგიკრებია,  
ხარახურა და ძველი ჩვრებია.  
მაგის ამარა სადამდე ვივლით,  
მოდის, წავილოთ ერთ-ერთი სკივრი.  
მაგათში ლაშქრის მთელი ქირა დევს,  
არის ოქროთი სავსე პირამდე.

## ი ვ ს ე კ ა ლ თ ა

რამსიმძიმეა, ვერ ვზიდავ ხელით.

## მ ო ი ნ ა დ ა ვ ლ ე

ზურგზე შემოგდგამ. მოხარე წელი.

## ი ვ ს ე კ ა ლ თ ა

ვაიმე, ზურგი! აღარ მაქვს ძალა!  
სამგან ჩამიტყდა ხერხემლის მალა!

(სკივრი ძიხს დაეპრდება და დაიშლება.)

## მ ო ი ნ ა დ ა ვ ლ ე

მოცვივა ოქრო! ჩეჩქივით ყრია!  
დროზე მოხვეტე! იქნება გვიან!

ი გ ს ე კ ა ლ თ ა , ჩაიჩოქებს

უცებ ავივსე არდაგის კალთა,  
მთელი სიცოცხლე გვეყოფა ალბათ.

## მ ო ი ნ ა დ ა ვ ლ ე

იჩქარე, თორემ შემოგვისწრებენ!  
რაც ახლა გინდა, მხოლოდ სისწრაფე!

(ქალი წამოდგება.)

ნახე, მოგცვივა ოქრო წყეული,  
კალთა გქონია გამორღვეული.

## მ ც ვ ე ლ ე ბ ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი კ ა ი ზ ე რ ი ს ა

აქ ასე უცებ, რამ გაგაჩინათ?  
ჰგავს, კაიზერის ძარცვავეთ ხაზინას.

## მ ო ი ნ ა დ ა ვ ლ ე

ქირის ხალხი ვართ, მარჯვენას ვყიდით,  
თან საფასურიც არ მიგვაქვს დიდი.  
ნადავლის შოვნა ძველი წესია.  
ვიმკით ცოტ-ცოტას, რაც გვითესია.

## მ ც ვ ე ლ ე ბ ი

ჩვენში კი მეფის ჯარისკაცები,  
არ შეიძლება, იყვნენ მძარცველნი.

ეგეთი წესი აქ არ წერია.  
ვინც ყაჩაღია, დასაჭერია.

### მ ო ი ნ ა დ ა ვ ლ ე

თქვენს კანონსა და წესიერებას  
სახელად ჰქვია კონტრიბუცია.  
ზღვარი არ უდევს მის ძლიერებას,  
არ გაახარა, ვისაც უნია.

(იესეკალთას)

ჩვენი ნადავლი ავიღოთ და მოვსხლტეთ აქედან!  
ალარაფერი ჩვენ მაგათთან არ გვესაქმება!

(გადიან.)

### პ ი ჩ ვ ე ლ ი მ ც ვ ე ლ ი

გამკვირვებია, რა დაგემართა!  
ვერ მოუნგრეე მაგ თავხედს ყბები?

### მ ე ო ჩ ე მ ც ვ ე ლ ი

არც მიფიქრია ხელის შემართვა...  
ჯადო თუ იყო... ვერაფერს ვხვდები.

### მ ე ს ა მ ე მ ც ვ ე ლ ი

მე თვალზე ლიბრი გადამეფარა,  
ველარ ვხედავდი ირგვლივ ველარას.

### მ ე ო თ ხ ე მ ც ვ ე ლ ი

არა, არ ვიცი ეს რა იყო, დღე იყო ცხელი,  
სიქას გვაცლიდა აღმური და სავალი ძნელი.

ისმოდა კვნესა, რა ზემოდან და რა ქვემოდან,  
ვილაცა ძლებდა და ვილაცა ძირს ეცემოდა.  
ხელის ცეცებით მივიბრძოდით, ხელ-ფეხს ვიქნევდით,  
როგორ გვეგონა, იმ წყვდიადში გზას გავიგნებდით.  
არადა, აქ ვართ გამარჯვების დღის მოზიარედ,  
ვერ გავვიგია, სად ვიარეთ, რატომ ვიარეთ.

(შემოდინ კაინეჩი და ოთხი მთავარი. მკველეები ჭადიან.)

## კ ა ი ზ ე რ ი

დამთავრდა, როგორც რა იყო, მორჩა, დამარცხდა მტერი,  
მისი მრისხანე წყობისგან დარჩა ბუქი და მტვერი.  
დგას ტახტი მიტოვებული, არვინ ეხვევა გარს,  
მხოლოდ ის სივრცე უპყრია, რა ადგილზედაც დგას.  
დანყნარებულა სამეფო, შულლი ჩამცხრალა ძველი,  
ზეიმის ჟამი დამდგარა, ბოლო ელჩობას ველით.  
თუ რამე ჯადოც ერია ჩვენს გამარჯვებას დღეს,  
ხმლით მარტოდმარტო ვიბრძოდით, დაიმახსოვრეთ ეს!  
მოხდება, სწყალობს ბუნება, ვინც მართალია, იმას,  
მტერს ციდან ქვები აცვივა, ცეცხლის ელვრება წვიმა.  
გაისმის ბნელი ქვაბიდან გრგვინვა მჭექარე ხმის,  
ერთს რომ მხნეობას უბრუნებს, სხვას კი ძაბუნად ხდის.  
გაქცეულ-დამარცხებულნი ვერ აუდიან სირცხვილს,  
ვინც გამარჯვებას ენია, ღმერთის დიდებას იტყვის.  
საერთო ლოცვას იწყებენ, ღვთისდა მადლობის თქმას,  
„ღმერთო, იდიდე“, გაისმის ასი ათასი ხმა.  
ხოლო მე, თვალებდახრილი, შიგნით მივმართავ მზერას,  
ჩემს წარსულს გავემიჯნები, რაც არ მიქნია ჯერაც.  
ლხინობდეს მეფე ჭაბუკი, განატარებდეს დროს,  
მაგრამ წუთს ნულარ გაფლანგავს, მოიწიფება როს.  
და, აჰა, ოთხი მთავარი ვიხმე წინაშე ჩემსა,  
ჩემს დაბრუნებულ სამეფოს რომ დავუდგინო მწყემსად.

(პირველს)

ეს შენ ხარ, ვისაც ათასგზის ძლევიტ გივლია წინ.

ახლა იცვლება დროება, ღვანლი გასწიე შინ,  
ბრძნულად და შეუცდომელად ტახტს ემსახურე კიდევ.  
პირველ მარშლობას განიჭებ, ხმაღს ჩემი ხელით გკიდებ.

### პ ი ვ ე ლ ი მ ა რ შ ა ლ ი

აქამდე ამბოხს ვახშობდით, ნდობით გაძლევდით მხარს,  
დღეიდან საზღვრებს დავიცავთ, მხნედ მოვევლებით გარს.  
როცა დაცხრება ყოველი, დღე გათენდება მშვიდი,  
როცა შენს ოქროს დარბაზში ღვინი გვექნება დიდი,  
წინ იმ სამეფო ზეიმზე მე გაგიძღვები თვით,  
ან გამოგყვები მხარდამხარ გაშიშვლებული ხმლით.

### კ ა ი ზ ე რ ი . მეორეს

შენ კი, თვინიერ სიმხნისა, ნატიფიც ხარ და ზრდილიც,  
გაძლევ ერცკამერჰერობას, მძიმე გარგუნე წილი.  
სასახლის მსახურ-ფარეშებს შენ დაუნესებ ჯერს,  
ღირსებისამებრ დახვდები მოყვარესა თუ მტერს.

### პ ი ვ ე ლ ი კ ა მ ე რ ჰ ე რ ი

ვისაც ხელმწიფის საქმისთვის გადაუდვია თავი,  
ხამს, კეთილს უზღოს კეთილით, ავს არ მიაგოს ავით,  
იყოს წყნარი და უხვანჯო, ეშმაკს არ ჰყავდეს ტყვედ.  
ვერვინ გეცრუოს, ხელმწიფევ, ღრმად დაფარულსაც ჭვრეტ.  
როცა ნადიმზე დაჯდები, უმალ გავჩნდები შენთან,  
ტაშტს გამოგიტან ოქროსას დასაბანელად ხელთა,  
ნაძრობილ ბეჭდებს დაგიჭერ, ვარდის გაპკურებ წყალს,  
შევასრულებ და მოვიხდი ყველა წესსა და ვალს.

### კ ა ი ზ ე რ ი

ახლა დრო არ გვაქვს ნადიმის, ვერ ვილაღობებთ მაგით,  
მაგრამ, დე, ესე ამბავიც ითქვას გუნებით ლაღით.

(მესამეს)

შენ გნიშნავ მთავარ მესუფრედ, ფხაც სამაგისო გაქვს,  
ნანადირევი მოკრიბე, ეუფლე ბოსტან-ბალს.  
რა-რაც რომელ თვეს ეკუთვნის, კერძი დროისი თუა,  
მაგისდა კვალად შემირჩევ, მისცემ გემოს და ყუათს.

### მ თ ა ვ ა ჩ ი მ ე ს უ ფ რ ე

მანამ ვიჯდები უზმოზე, ლუკმას არ შეეჭამ ერთს,  
სანამ სუფრაზე არ დავდგამ შენთვის მოსაწონ კერძს.  
სამზარეულოს მსახურნი, მეც და უკლებლივ ყველა,  
გაუჩინელსაც გაგიჩინო, მოგირბენინებთ ხელად.  
და თუმცა გიყვარს პურობა უხვს და ბუნებით ლაღს,  
უბრალო საზრდოს სჯერდები, მეტისმეტობა გძაგს.

### კ ა ი ზ ე ჩ ი . მ ე ო თ ხ ე ს

რაკი პურობა იხსენა, სუფრას სასმელი შევინს,  
ჭაბუკო გმირო, მთავარი მნდე შეიქმნები ჩვენი.  
ჩემს მარნებს დროით აავსებ, არას გავალებ სხვას,  
უნდა ვიცოდე, კასრებში რჩეული ღვინო დგას.  
თვითონ კი სასმელს ეკრძაღე, მთვრალი არავინ გნახოს,  
ნუ გადაგძალავს ცთუნება, რაკი ღვინოა ახლოს.

### მ თ ა ვ ა ჩ ი მ წ დ ე

ჭაბუკსაც, ჩემო ხელმწიფე, ნდობას რომელიც გრძნობს,  
ნაკლებ არ მოსდევს სიმტკიცე, ვიდრე ასაკში მყოფს.  
უკვე თვალცხადად ვუყურებ დარბაზს სტუმრებით სავსეს,  
ბროლის სასმისებს ვალაგებ, ოქროს და ვერცხლის თასებს,  
ნადიმისათვის ვამზადებ, მაღალ სადგარზე ვდგამ.  
ვენეციური შუშაა გასაოცარი რამ:  
რამდენიც უნდა დაცალოს, კაცი ფხიზელი რჩება,  
სხვა გემოს იძენს სასმელი, სულ უკეთესი ხდება.  
თუმცა ლოთსა და მემთვრალეს, შენც არ აუბამ მხარს,  
ღვინოში, იცის ყოველმა, თავდაჭერილი ხარ.

## კ ა ი ზ ე რ ი

ამას გინესებთ ყოველთა, მეფის მთავრებად ხმობილთ.  
რაც ოდენ ნდობით გითხარით, ვიცო, მიიღებთ ნდობით.  
მანც სიგელი ჯობია, თვითონ დავდებდე ხელს,  
ზედვე თარიღსაც დავსვამდე – „ვწერ ამა და ამ წელს“.  
სიგელთა კაციც გამოჩნდა, ყველას თავისი დრო აქვს,  
შეუდგენია საბუთი, ხელმოსაწერად მოაქვს.

(შემოდის მთავარეპისკოპოსი – პიჩუელი კანცლერი)

როცა დადებენ გუმბათზე ბოლო გარანდულ ქვას,  
აგებულია შენობა, სამარადჟამოდ დგას.  
აქა ხართ ოთხნი მთავარნი, ვინც გამიმაგრეთ მხარი,  
უკვე ვთქვით, რასაც მოითხოვს თქვენგან სამეფო კარი.  
მეხუთე შემოგემატათ, ხუთნი გამხდარხართ ან,  
იმას იქმოდეთ, ქვეყნისგან მოგეთხოვებათ რაც.  
თქვენი ხუთთავე სამთავრო მეტი რომ გახდეს სხვაზე,  
ორგულთ წავართმევ მამულებს, გაგიფართოვებთ საზღვრებს.  
ჩემს ერთგულეულთ უკლებლივ იმის ნებასაც ვრთავ,  
უფლის და ჩემი შეწევნით ფართოვდებოდნენ კვლავ,  
ანდერძითა თუ შესყიდვით, ძალთუხმევლად თუ ძალით.  
კრებდეთ მოსაკრებს ბეგარით, ბაჟით, ყალარით, ღალით.  
თქვენვე დაიდგენთ მარილის, მადნის, მონეტის ფასს,  
თქვენითვე მოჭრით სამართალს, არვის მიხედავთ სხვას.  
რა ერთგულებაც გასწიეთ, ჯილდოდ ყოვლისა ამის  
ჩემი მეფური უფლება სრულად დაგიტმეთ ღამის.

## მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი

ქება და მადლი ხელმწიფეს – ესდენ წყალობას გვფენს!  
რაც მეტად გაგვაძლიერებ, გაძლიერდები შენც.

### კ ა ი ზ ე რ ი

ან კი მნადია, შეგძინოთ ერთი ღირსებით მეტი:  
თუმცა კვლა მინდა მეფობა, ისევ სიცოცხლეს ველტვი,  
მაგრამ შტოს წინაპრებისას რომ ავადევნებ თვალს,  
მეც იმათ შევემატები დღეს თუ არა და ხვალ.  
და როცა დაგეთხოვებით, ბოლო ფიალას შევსვამ,  
თქვენ ხუთნი დაასახელებთ მეფეს შემდგომად ჩემსა.  
საკურთხეველთან გვირგვინით თქვენვე შეუმკობთ თავს,  
გადააბარებთ მშვიდობით, დღეს რასაც ომი ნთქავს.

### მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი

სიამაყით და რიდობით, ყოვლთა დასტურის ნიშნად,  
მუხლს გიყრით ხუთი მთავარი, უპირველესნი ვინც ვართ.  
ვიდრე მკერდს გული გვიფეთქავს, ძარღვებში სისხლი დის,  
ვიციტო, სულიან-ხორციან სრულად ვეკუთვნით ვის.

### კ ა ი ზ ე რ ი

ახლა კი ეგეც წარითქვას სიგელ-გუჯრების ენით:  
არაფრით შეიზღუდება ძალაუფლება თქვენი,  
ოლონდ, რაც შეგხვდათ სამკვიდროდ, ნურავინ დაყოფთ მას,  
უფროს ვაჟს ერგოს უკლებლივ მამულიცა და ყმაც.

### მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი

წერილად ჩამოვწერ ყველაფერს, გადანუსხავენ თეთრად,  
ხელმოსანერად ხვალისთვის თვითონ მოგართმევ ეტრატს.

### კ ა ი ზ ე რ ი

სულ მალე ისევ მოგიხმობთ, ახლა ვიკმაროთ ეს.  
თავისუფალი ბრძანდებით, მძიმე დღე გვქონდა დღეს.

(საერო პირები ვადიან.)

## მთავარეპისკოპოსო

თუმცა კანცლერი წავიდა, ეპისკოპოსი დარჩა,  
უნდა პირისპირ განვსაჯოთ ის, რაც თვალდათვალ არ ჩანს.  
ჯავრი მჭამს, გითხრა, რა გითხრა! დაგიმალო და ვით?

## კაიზერი

აქ, სიხარულის ზეიმზე, რა ჯავრი განევს? თქვი!

## მთავარეპისკოპოსო

გიკვირს, ამ გამარჯვებულზე რად არ მიცინის პირი,  
სატანას გარიგებიხარ, ამას ვწუხვარ და ვტირი.  
ვითომ გადარჩა სამეფო, ტახტიც ურყევი გაქვს,  
მაგრამ ცად უფალს რას ეტყვი, ანდა მიწაზე პაპს!  
დაგწყევლის, სასჯელს დაგადებს ცისკენ აწვდილი ხელით,  
ორივე განადგურდებით, შენც და სამეფოც მთელი.  
ისიც არ დავინწყებია, რომ სულწაწმედ ილ კაცს  
სიცოცხლე შეუნარჩუნე, ეს შეცოდებაც გაც.  
როცა გვირგვინი დაიდგი, პირველი რაცა ჰყავი,  
წყალობის შუქით შემოსე ბილწი ჯადოქრის თავი.  
მკერდში მჯიღს უნდა იცემდე და წმინდა საყდარს ჩვენს  
თვალცრემლიანი სწირავდე ცოდვის შესატყვის ძღვენს.  
მთელი ის ვრცელი ზეგანი, სადაც კარავი გედგა  
და ძალას ცდიდნენ ავსულნი, გალალეულნი შენგან,  
ხამს ეკლესიას გადმოსცე საძოვრებით და ტყით,  
ტბებით და მდინარეებით, თევზის საჭერი წყლით,  
ძირს დაფენილი დაბლობით, სახნავ-სათესით სრულით,  
რათა აღირსო შენდობას დამძიმებული სული.

## კაიზერი

ისეთი ცოდვის კითხვა მაქვს, ან ვერას განვბჭობ სხვას,  
თქვენთვის შემოდვნილ მიწა-წყალს თქვენვე დაუდებთ ზღვარს.

## მთავარეპისკოპოსო

გარდა ამისა მთის თხემზე, დღეს რომ ნაბილწეს იმათ,  
ხამს, გაისმოდეს ლოცვები უზენაესის მიმართ.  
ვხედავ, თლილი ქვის კედლები მიისწრაფიან ზე  
და პატრონიკეს ანათებს ამომავალი მზე.  
გასრულებულა გუმბათი, აღმართულია ჯვარი,  
უკვე ზარებიც რეკავენ, ცისკრის ილება კარი.  
ტაძრის კურთხევა იწყება, დიდია ჩვენი ხადილი,  
შენც დღეობაზე იქნები, მისი მშვენება ნამდვილი.

## კაიზერი

ვიგრძენი, როგორ შეეხო უფლის წყალობა სულს!

## მთავარეპისკოპოსო

თუ რომ საბუთსაც გვიბოძებ, სხვა არაფერი გვსურს.

## კაიზერი

დანერე, შენ ხარ კანცლერი, მე წამს არ გადავაჯადებ,  
ხელს სიხარულით მოვანერ, სამეფო ბეჭედს დავადებ.

მთავარეპისკოპოსო. დაუთხოვება, მაგრამ  
ვასასვლელთან მისული უკანვე მოპრუნდება

და კიდევ – ტაძარს დაუთმე ბეგარა ყოველწლეული,  
საძღვნე, საღვინე, საჩექმე, ღალა და ათნილეული.  
მიეცეს სამარადუამოდ, ართუ რამდენსამ წელს,  
რაც შესანახად სჭირდება საგანმგებლოსაც მთელს.  
როდესაც საყდრებს ვაშენებთ სადმე, უდაბურ ალაგს,  
ოქრო და ვერცხლი გაილე, მტრისგან რომ დაგრჩა დავლად,  
თან ხალხიც შემოგვაშველე, ღირსი პატივი გვეც,  
გარდა ამისა, გვჭირდება კირიც, აგურიც, ხეც.  
ჩვენ გვისმენს ერი ყოველი, მოგვჩერებია რწმენით.

ვასნავლით კათედრებიდან, ერთგულნი იყვნენ შენი.

(გაღის.)

კ ა ი ზ ე რ ი

რა მძიმე საქმეს შევეყრივარ, ბოლომდე მიდრეკს ქედს.  
აქეთ ზარალი მანვება, იქით ცოდვები მწყმედს.

მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი , კვლავ უკან მობრუნდება და  
მდაბლად იხრება

მოტევებას გთხოვ, ხელმწიფევ, მაგრამ ვიეთს და ვიეთს  
დიდი წყალობა მიჰკერძე, ზღვის სანაპირო მიეც.  
ეკლესიისგან გამდგარნი არას მოგწევენ კარგს,  
თუ არ დაანერ ახლავე ჩვენს სასარგებლოდ ხარკს.

კ ა ი ზ ე რ ი , გაღიზიანებით

რა ხარკი უნდა მოვკითხო, ჯერაც ფსკერია ზღვისა.

მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი

ვისაც ლოდინი არ ძალუძს, ის ვერც ეწევა მიზანს.  
სიტყვები წართქვი მეფუერი, ნუ უღალატებ მათ.

(გაღის.)

კ ა ი ზ ე რ ი

კიდევ ცოტაც და სამეფოს გამომაფცქენიან მთლად.

მესუთე  
მოქმედება

## გაშლილი ადგილი

მ გ ზ ა ვ რ ი

კვლავ მიხმობენ ის ცაცხვები,  
ხნოვანი და ტანად მძლავრი,  
კვლავ ისა ვარ, ვერა ვცხრები  
მიმავალი გზაზე მგზავრი.  
აგერ ქოხიც, მყუდრო ბინა,  
სადაც ერთხელ სტუმრად ვიყავ.  
ამ ადგილას წლების წინათ  
ზღვამ ნაპირზე გამომრიცა.  
ცოცხალია ნეტა კიდევ  
ის ტკბილი და სათნო წყვილი?  
მაშინ უკვე წლებს ითვლიდნენ,  
თმები ჰქონდათ დათოვლილი.  
ვაკაკუნებ, სად ხართ, ხალხნო,  
არ მოგაკლოთ მადლი ზენამ!  
ერთიც მინდა დაგინახოთ,  
მომენატრა აქ დარჩენა.

ბ ა ვ კ ი ს ი . ბებერი ქალი

უცხო მგზავრო, ფრთხილად, ფრთხილად,  
არ შემიკრთო ბერიკაცი,  
დალლილა და მინოლილა,  
მოკლედ სძინავს, ნაწილ-ნაწილ.

## მ გ ზ ა ვ რ ი

შენ ის არ ხარ, ის ბავკისი,  
პირში სული ვინც ჩამბერა?  
დამიბრუნდა ზრუნვით მისით  
სუნთქვაცა და გულის ძგერაც.

(შემოდის ბერიკაცი.)

და შენ კიდეც ის არა ხარ,  
ფილემონი არ ხარ განა,  
ვინც ზღვისპირას მკვდარი მნახა,  
და აქ ზურგით მომიტანა?  
ხოლო ზღვისგან რამაც მიხსნა,  
შუქმა თქვენი შუქურისამ.  
ზღვას გავხედავ ციდან ცამდე,  
ყველა ნუხილს წარვიხოცავ,  
მინდა ახლავ მუხლზე დავდგე,  
აღვაკლინო წმინდა ლოცვა.

(წინ, დიუნებისკენ მიდის.)

## ფ ი ლ ე მ ო ნ ი , ზავკისს

დატრიალდი, აბა, წამზე,  
ბალში სუფრა გაგვიშალე.  
დგას სტუმარი, დაბლობს დამზერს,  
არ უჯერებს თავის თვალებს.

(მგზავრის გვერდით დადგება.)

ის ნაპირი უდაბური,  
გამოგრიყა სადაც ტალღამ,  
სამოთხეა ახლა სრული,  
დაემგვანა ღვთიურ ბაღნარს.  
სანამ მქონდა მოხუცს ძალა,  
მეც ვშრომობდი ცოტა-ცოტა.

დაიხია კიდეც წყალმა,  
სანამ ჯანი წავიდოდა.  
უშიშარი, გამრჯე ხალხი,  
პატრონიც და მისი ყმებიც,  
თხრილებს თხრიდა, ჭრიდა არხებს,  
აშენებდა მაღალ ჯებირს.  
დღეს კი ყვავის ეგ მიდამო,  
ბალ-ვენახი, ტყე თუ ყანა...  
მაგრამ დავსხდეთ, პური ვჭამოთ,  
ჩამონვება ბინდი სანამ.  
მოდის ნავი ნაპირისკენ,  
შორით ვხედავ თეთრ იალქნებს,  
თავის სადგომს აგნებს ისე,  
ვით ფრინველი ბუდეს აგნებს.  
სურნელება მოაქვთ ქარებს,  
ზღვაც ლივლივებს შორიახლოს...  
მარჯვნივ, მარცხნივ, ყველა მხარეს  
ბედნიერი ხალხი სახლობს.

## ბადი

სამ კაცზე ფაშლილი სუფრა

ბ ა ვ კ ი ს ი , სტუმარს

გამოგვხედე, რამე გვითხარ,  
არას ჭამ და ზიხარ წბილად.

ფ ი ლ ე მ ო ნ ი

დღეს ნანახმა ჩააფიქრა.  
რაც რა მოხდა, უთხარ წვრილად.

ბ ა ვ კ ი ს ი

ბაღნარები – ზღვის ფსკერისგან,  
სასწაულიც ამას ჰქვია!  
მაგრამ რაც და როგორც იქმნა,  
კეთილ ძალას არ უქნია.

ფ ი ლ ე მ ო ნ ი

ნუთუ შეცდა კაიზერი,  
ეს ნაპირი ვისაც მისცა?  
ზეიმით და ბუკთა ჟღერით  
რომ გვეუნყა ჰეროლდისგან?  
ჯერ კარვები გაიშალა,  
ამ მინაზე როცა დასხდნენ,

მერე უცხო რაღაც ძალამ  
წამომართა სრა-სასახლე.

ბ ა ვ კ ი ს ი

თუმცა შრომა არ ცხრებოდა  
მცირე იყო მისი წვლილი:  
სადაც ღამით ცეცხლი კრთოდა,  
ჯებირები იდგა დილით.  
რაც აქ მუშა დაიხოცა,  
ფუჭად იყო დახოცილი:  
სადაც ღამით ზღვა იწვოდა,  
დაგვხვდებოდა არხი დილით.  
ულმერთოა, სხვა რა ეთქმის!  
არ გვაყენებს, ვიყოთ ჩვენთვის.  
გარეშემო არვინ უნდა,  
ყმადქცეული ვინც არ არი.  
ახლა თვალში მოუვიდა  
ეს სახლი და ეზო-კარი!

ფ ი ლ ე მ ო ნ ი

ნაცვლად გვაძლევს ახალ მინას –  
სხვა ადგილს და სამოსახლოს.

ბ ა ვ კ ი ს ი

არ ინდობა ფსკერი ზღვისა,  
ნუ დაუთმობ ამ ჩვენს მალლობს!

ფ ი ლ ე მ ო ნ ი

ლოცვის დროა! სანამ ვპურობთ,  
დაეფინა მწუხრი ბეჭობს.  
სამლოცველოს მივაშუროთ,  
მწუხრის ზარი ჩამოვრეკოთ.

## სასახლე

ვრცელი ბაღნაზი, სწორი და თანთო აზზი. თაუსცი, უკვე ძალიან  
დაბერებული, აქეთ-იქით მიმოდის.

ლინკევი, კოშკის თავზე დაწაფად დგას და რუპორში ლაპარაკობს

მზეც ჩაინურა, უკვე დაღამდა,  
პორტში შესულა ხომალდი ყველა.  
ჩამომდგარ ბინდში მოჩანს კატარლა,  
უახლოვდება ჩვენს ნაპირს ნელა.  
აჰა, მოცურდა, რეიდზე დგება,  
მეზღვაურები მოაწყდნენ გემბანს,  
მხიარულია გემის უფროსი,  
სალამს გიძღვნის და ალგივლენს ქებას.

(ბექობიდან ისმის ზარის რეკვა.)

ფაუსცი, გაღიზიანებით

კვლავ ეს ზარის ხმა! მკლავს ეგ ზარის ხმა,  
თითქოს ქურდულად მესროლეს ტყვია  
და აღარ მიჩანს გასახარისად  
საუფლო ჩემი, ეს სივრცე ღია.  
მახსენებს ჯავრი ყოვლის მომცველი,  
რომ ჩემი ნება არ არის სრული!  
კვლავ დგას ის ქოხიც, ის სამლოცველოც  
და ზღვარი უნდა დაეუდო სურვილს!

## ლ ი ნ კ ე ვ ს ი

ჩამომდგარია ჩვენი კატარლა,  
სად ხართ, მტვირთავნო, ახლო რად არ ხართ!  
იქით ტომრები, აქეთ კასრები –  
დიდი ტვირთია ჩამოსაცლელი!

(ძვირფასად მოჩთული ნაიდან. რომელიც. ეცყოზა.  
შოშიდან უნდა იყოს მოსული. ვადმოდიან  
მეფისტოფელი და სამი ფოლიათი.)

## ქ ო რ ო

აქ ვართ, პატრონო,  
მოგეახელით,  
დალოცვილ იყოს  
შენი სახელი.

(ნაპირზე ვადმოდიან. იწყება ბარჯის ვადმოცვირთვა.)

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ერთად იმდენი საქმნელი ვქმნით,  
მნამს, კმაყოფილი დარჩები ჩვენით.  
ზღვაში გავედით ორი ხომალდით  
და უკან ათჯერ მეტით მოვლაგდით.  
რა გვიშოვია, რით გვივარგია,  
მაგის პასუხი ჩვენი ბარგია.  
არ უყვარს საქმეს ფიქრი და ყოვნი,  
როცა დრო დგება ნადავლის შოვნის.  
თევზი იქნება, გემი იქნება,  
მოინადავლე დაუფიქრებლად!  
სამი ხომალდი თუ ხელში იგდე,  
სხვა სამიც მოვა თავ-თავის რიგზე.  
ძალა შენია, ნებაც შენია,  
ჭანგი გამოსდე, რაც რამდენია.

რასაც მოხელავ, სრულად წაიტან,  
არავინ გკითხავს, რით და საიდან.  
ომი, ვაჭრობა, მეკობრეობა –  
ერთი ხელობის სამსახეობა.

ს ა მ ი ბ უ მ ბ ე რ ა ზ ი

არცა მადლობა,  
არცა სალამი,  
გაცუდდა შრომა  
დაულალავი.  
ტყუილ-უბრალოდ  
გავიგდეთ ქანცი,  
არ მოგვინონა  
მეფური განძი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჯილდო არ მოგცათ?  
დაგტოვათ წბილი?  
თქვენვე აიღეთ  
თქვენ-თქვენი წილი.

ბ უ მ ბ ე რ ა ზ ე ბ ი

ჯილდოსთვის არა ღირს  
მანდ თავის გაყოფა,  
ჩვენ გვინდა ყველაფრის  
თანაბრად გაყოფა.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ახვალთ, აავსებთ  
ტვირთით დარბაზებს,  
თვითონ დაივლის

და შეაფასებს.  
ლხინს გადაგვიხდის  
მერე საოცარს  
შინმობრუნებულ  
ყველა ზღვაოსანს.

(ვადმოცანილი ცვირთი ზემოთ ააქეთ.)

შ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . ფაუსტს

რას ჩამოგტირის სახე, ძმობილო,  
მაინც რითი ხარ უკმაყოფილო?  
შენი სიბრძნით და გამრჯე ხელებით  
შერიგებულა ზღვა და ხმელეთი,  
არხი და არხი ერთმანეთს ებმის,  
ხომალდებისთვის გაჭრილა გზები.  
ამ სასახლიდან დღეს შენი ნება  
მთელ მხარეს კიდით კიდემდე წვდება.  
არადა, როცა დაიწყე საქმე,  
მცირე ფიცრულში ცხოვრობდი აქვე.  
ეს კიდევ თხრილი იყო პატარა,  
დღეს აქ ხომალდი რომ გაატარა.  
ამ სანაპიროს, ამ ზღვას და მიწას,  
შენი შრომაა, ფასი რომ მისცა.  
აქ, გარეირგვლივ...

ფ ა უ ს ტ ი

ეს „გარეირგვლივ“!  
გულს ეკალივით მასვია იგი!  
გეუბნები და თქმისა მრცხვენია,  
არადა, მეტიც რა დამრჩენია...  
ვერა საქმეში ველარ ვებმები,  
უნდა მომშორდნენ იქ ის ბებრები.  
სამეფოც გქონდეს, რის მაქნისია,  
შიგ ორი ბურჩქი თუკი სხვისია.

გადმოვიხედო იმ ცაცხვნარიდან,  
სამზერი დავდგა, აი რა მინდა!  
თვალს მოვაველებდი საკუთარ ნაღვანს,  
კაცური აზრის ქმნილებას მაღალს.  
ხალხის საცხოვრისს ასე გავრცობილს,  
გვირგვინს გარჯისა და მამაცობის.  
ძნელია, როცა ყველაფრის პატრონს  
რალაცა გრჩება ხელთუპყრობელი,  
იმ მცირეოდენს ნუხხარ და დარდობ,  
რისიც არა ხარ ჯერაც მფლობელი.  
როცა ქარს მოაქვს ცაცხვის სურნელი,  
ასე მტანჯველი და სასურველი,  
ან სამლოცველოს მომესმის ზარი,  
ლამის ავტირდე ცრემლებით ცხარით.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ზარი მართლაცდა მწარე რამეა.  
სულ ზარს გირეკდნენ, რა სიამეა.  
მისი ძინ-ძინი, თუ განვსჯით მშვიდად,  
კაცს არ იქნება, რომ არ ზარავდეს,  
თქვენი პირველი განბანის დღიდან  
ასე დაგყვებათ კუბოს კარამდე.  
„ძინს“ და „ძინს“ შორის გადის ცხოვრება,  
ვერც ასწრებ კარგად დამახსოვრებას.

### ფ ა უ ს ტ ი

ო, ეს სიკერპე და სიჯიუტე!  
ველარსაიდან ველარ მიუდექ.  
ვეგრძნობ, ვერ ვიქნები სამართლიანი,  
ვაითუ კიდეც მიჰხვდეთ ზიანი.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მანც როდემდე ფიქრობ ლოლიავს?  
აკი გეგმავდი ვრცელ კოლონიას.

## ფ ა უ ს ტ ი

ჰოდა, ეგ საქმე შენ მოავგარე,  
ის მოხუცები დროზე წამგვარე.  
სხვას, არანაკლებს, ვთავაზობ ადგილს,  
ბალიც ჩავყარე, შიგ სახლიც ჩავდგი.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

უნდა უეცრად გადასვა ღამით,  
დასაფიქრებლად არ მისცე წამიც.  
მერე კი, როცა მოვლენ გონებას,  
ნახავენ ადგილს, მოეწონებათ.

(უსტვენს. შემოდის სამი ბუმბერაზი.)

პატრონი გიხმობთ, გამოცხადდეთ უნდა სამთავე.  
ხვალ კი ზღვაოსნებს სანაქებო ლხინს გვიმართავენ.

## ბ უ მ ბ ე რ ა ზ ე ბ ი

ვემდურით მოხუცს, ხმა არ გაგვცა, მიგვილო ცუდად.  
მიმხვდარი, მაგის გამოსყიდვას ნადიმი უნდა.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . მაყურებლებს

ისევ ვუყურებთ, ბატონებო, ათასგზის ჩავლილს –  
ნაბოთის ვენახს, როგორც ხედავთ, არ გასდის ყავლი.

(მეფეთა III, 21.)

## ტვიანი ღამე

ლინკეესი . მღერის საღაწაფო კომპეზე

სამზერად შობილს და  
სამზერზე მდგარს  
უცხო სანახავი  
მარტყია გარს,  
კომკიდან გავცქერი  
სამყაროს ვრცელს,  
ბინდბუნდში ტყეს ვხედავ  
და ტყეში – შველს.  
ვიკონებ სამყაროს  
და ზედაც ვკონივარ.  
ის მოსაწონია –  
მეც მოსაწონი ვარ.  
უხარის თვალსა და  
უხარის გულს,  
ირგვლივ სილამაზეს  
ვუყურებ სრულს.

(პაუზა.)

მაგრამ მისთვის როდი ვდგავარ,  
სილამაზით დატკბეს თვალი.  
აჰა, ბნელში რალაც ავად  
აგიზგიზდა ცეცხლის ალი.  
ორმაგ ღამეს ცაცხვებისას  
ანათებს და ჩინჩხლებს ისვრის.  
ნუთუ იწვის სახლი ხისა,

იმ მოხუცთა საცხოვრისი?  
კი, ის არის! ქობი ძველი!  
ჰგავს, თვითონაც შინ არიან!  
არსაიდან არვინ შველის,  
მთელი მხარე მძინარია.  
მუდამ ხანძრის ეშინოდათ  
უნყინართ და ყოვლად კეთილთ,  
დრო ჰქონოდათ ნეტავ ცოტა,  
გამოესწროთ ჯოჯოხეთით!  
ქობის კედლებს ლოკავს ალი,  
დაფარულებს შავი ხავსით.  
არ მიჭრიდეს ასე თვალი,  
ან არ ჩანდეს რამე მსგავსი!  
ხეთა ვარჯებს ალი მისწვდა,  
იგრაგნება, ბრუნავს, ხელობს!  
მთელი ცაცხვი წამოიქცა,  
დაიტანა სამლოცველო!  
აღმა აჰყვა ხეებს წყობილს,  
ყველაფერი გადათქერა.

(ხანგრძლივი სიჩუმე. სიმღერის ხმა.)

გაქრა, რასაც მრავალწლოებით  
შეჰხაროდა კაცის მზერა.

ფ ა უ ს ტ ი . აივანზე. დიუნების წინ

ვილაცა ზემოთ გულის დარდს ახმევს!  
ჩემი მზირია, გამღერის მწარედ.  
კი, ნაჩქარევად მოხდა ეგ საქმე,  
რა ვთქვა, თვითონაც არ მომწონს ბარემ.  
აღარც ის სახლი, ცაცხვებიც აღარ!  
შიშველ გორაკსლა ვხედავ აქედან!  
მე მანდ ციხე-კოშკს ავაგებ მაღალს  
და თვალუნვდენელ სივრცეს გავხედავ.  
შორით მოჩანდეს მოხუცი წყვილის

ახალი სახლი, ადგილი ვრცელი.  
გაჰგრძელებოდეთ დღეები ტკბილი,  
ეცხოვროთ კიდევ მრავალი წელი.

მ ე თ ი ს ტ ო ფ ე ლ ი დ ა ი ს ს ა მ ნ ი , აივნის ქვემოთ

ვაგლახ, მოვდივართ გულდანყვეტილნი,  
არ გამოვიდა საქმე კეთილი.  
კაკუნზე კარი რომ არ გაგვიღეს,  
არც გვიპასუხეს არა ძახილზე,  
დავუნყეთ კარებს მუშტების ცემა  
და ვერ გაუძღეს ფიცრებმა ძველმა...  
მოკლედ, თავისით ჩამოწყდა კარი  
და შუა ქოხში აღმოვჩნდით მდგარი.  
მოხუცებს გულზე შემოეყარათ,  
ველარ ხვდებოდნენ შიშით ველარას,  
ჰოდა, ზედმეტიც არ უწვავლიათ,  
ორივემ ერთად სული დალია.  
უცხო სტუმარიც ჰყოლოდათ სახლში,  
გამოვარდა და გვეკვეთა დაშნით.  
ვიგერიებდით, არ გვსურდა ავი...  
ძალით მოიკლა სანყალმა თავი.  
ამდენ ჯაჯგურში ცხელი ნაცრიდან  
შიგ შეხვეული ღველფი გაცვივდა,  
ვერ მივაღვენეთ დროულად თვალი,  
ჩალას ეცა და ავარდა ალი.  
კოცონად იქცა ცხედრისა სამის...  
შიგ ჩაიფერფლა სამივე გვამი...

ფ ა უ ს ტ ი

ეს დაგავალეთ? სარბევად წასვლა?  
მშვიდად მინდოდა ადგილთა გაცვლა.  
ორ სიტყვას გატანთ: წყეულ იყავით!  
თან წაიღეთ და გზად გაიყავით!

## ქ ო წ ო

ხამს აირჩიო ორთაგან ერთი,  
სხვა არჩევანი არ არის მეტი:  
ან ბოროტებას შეეკარ ზავით,  
ანაც სასწორზე შეაგდე თავი!

(ჯადის.)

## ფ ა უ ს ტ ი

ცად ვარსკვლავები გადამალულან,  
ჩამქრალა ცეცხლი და ჩანავლულა.  
კვამლის სუნს ფანტავს საავდრო ქარი.  
ამბავი მოხდა ზედმეტად ჩქარი.  
თუმცა ბრძანებაც სწრაფად გავეცი...  
ის რა ლანდები ჩანან ლამეში?

## შუაღამე

შემოდის ოთხი ჭადანა ქალი.

პ ი რ ვ ე ლ ი

მე ვარ სიმწირე.

მ ე ო რ ე

მე ვარ ვალი.

მ ე ს ა მ ე

მე ვარ ზრუნვა.

მ ე ო თ ხ ე

მე – გაჭირვება.

ს ა მ ნ ი

ჩვენ აქ ვერ შევალთ,  
აქ მდიდარი კაცი ცხოვრობს,  
კვალი ირევა.

ს ი მ წ ი რ ე

მე აჩრდილად ვიქცევი.

გ ა ლ ი

მე ლამის ბინდს გავყვები.

ტ ა ჭ ი რ ე გ ე ზ ა

ამაყსა და ნებიერს ვერც მე დავენახვები.

ზ რ უ ნ ვ ა

თქვენ ომითაც ვერ შეხვალთ, მე კი შევალ თამაშით,  
ზრუნვა ვარ და გავძვრები კარის ჭუჭრუტანაშიც.

(ზრუნვა გაუჩინა დეზა.)

ს ი მ წ ი რ ე

გვიჯობს, დროით ნავიდეთ, არ ვართ შიგ შემსვლელები!

გ ა ლ ი

დებო, მეც ნამიყვანეთ, რა ადვილად მელევეთ!

ს ა მ ნ ი

დროზე უნდა ნავიდეთ! ვდგავართ სასომიხდელი!  
ჰა, სიკვდილიც გამოჩნდა, ძმად გვერგება სიკვდილი!

## ფ ა უ ს ც ი , სასახლეში

აქ ოთხნი იყვნენ მოსული და სამნი წავიდნენ,  
რატომლაც სიკვდილს ახსენებდნენ ამათავითვე.  
რალაც ლანდური ჩურჩულია, ქარად მქროლია!  
ო, არა, დღემდე თავისუფლად არ მიბრძოლია!  
მაგიისაგან ვერ გავწმინდე ჩემი სავალი,  
ვერ განვიშორე საჩხიბრები სიტყვამრავალი.  
გარჯად რაცა ღირს – კაცი ვიყო, ადამიანი,  
ბუნების გზებით მოარული, საღი, მთლიანი.  
და ვიყავ კიდეც, სანამ ბნელეთს არ მივეც გული,  
არ შევაჩვენე ჩემი თავიც, ქვეყანაც სრული.  
დავალთ და ირგვლივ მოჩვენებებს გააქვთ ფართქალი,  
გონს ველარ ვიკრებთ, აგვრევია ტყუილ-მართალი.  
ვთქვათ და ერთი დღე გაგვითენდა მშვიდი, ნათელი,  
ვერა, ვერ ვირგებთ! ზმანებები გვდევეს წუხანდელი!  
გზად გაივლი და უცებ თავზე დაგჩხავლებს ყვაავი!  
შენ გამო ჩხავის! შეგახვედროს, სწადია, ავი!  
ვართ ყველა მხრიდან ცრურწმენებით შემოქსოვილი,  
ჩვენ შემოგვცქერის, ჩვენზე ფიქრობს ქვეყნად ყოველი.  
შეშინებული ველოდებით: რა გველის ნეტავ?  
მაგრამ კარს ვილაც მომდგომია... ვერავის ვხედავ.  
არის მანდ ვინმე?

## ზ რ უ ნ ვ ა

შენი კითხვა მოითხოვს დასტურს.

## ფ ა უ ს ც ი

მერედა ვინ ხარ?

## ზ რ უ ნ ვ ა

მუდამ ის ვარ, ვინც მსურს და რაც მსურს.

ფ ა უ ს ც ი

გასწი აქედან!

ზ რ უ ნ ვ ა

საცა დავთქვი, სწორედ იქა ვარ.

ფ ა უ ს ც ი , აენტება, მაგრამ მეჩუ თავს შეიკავეს და თავისთვის  
ჩაილაპარაკებს

დანყნარდი! არ თქვა ჯადო-სიტყვა განუკითხავად!

ზ რ უ ნ ვ ა

არ შემიშვებ ყურში ნებით,  
უცებ გულში ჩაგიჯდები.  
სახით ჩემით ცვალებადით  
დავიმკვიდრებ ყველგან ადგილს.  
ზოგი წყევით მეღერება,  
ზოგი ლიქნით მეფერება.  
თავის ჰანგზე მკენესის ყველა,  
მპოულობენ უძებნელად.  
ნუთუ არასდროს მოგწევია ზრუნვასთან შეყრა?

ფ ა უ ს ც ი

მე სიამიდან სიამისკენ დავსრბოდი ქვეყნად.  
რაც გულს უნდოდა, ვეწვდებოდი დაუხანებლად,  
ყველა დანარჩენს მოვისროდი დაუხანებლად.  
მსურდა და სურვილს ვისრულებდი და ისევ მსურდა,  
დაუცხრომელი გული ჩემი ხელახლა ხურდა.  
ჯერ იყო, ვიდექ შემართული, მხნე და ძლიერი,  
მას მერე დინჯი, ფიქრიანი და გონიერი.  
ამქვეყნიური ვიცი გზებიც და გზის პირებიც,  
მაგრამ მიღმიერს არასოდეს მივეტირები.

შლეგია კაცი, ღრუბლებს იქით რომ გამზერს სივრცეს,  
თხზავს არარსებულ ორეულს და ამქვეყნად იწვევს!  
მინაზე დადექ და გარშემო მიმოიხედე,  
აქ არის ყველა სიავე და ყველა სიკეთე.  
ხარ მისი ხორცი ხორცთაგანი, მისი ქმნილება,  
თუნდ არა წამმა არ მოგგვაროს კმაყოფილება!

### ზ რ უ ნ ვ ა

ვისაც ერთხელ დავდე ხელი,  
ვერა ძალა ვერ უშველის,  
მზე იდგეს და არ უმზევდეს,  
წყვდიადში და ბნელში ხვევდეს.  
სალი თვალით, ბასრი მზერით,  
ვერ იხილოს ვერაფერი.  
უთვალავი განძიც ჰქონდეს,  
მისხალი არ მიუნონდეს.  
კერძი ედგას, ვერა ჭამდეს,  
ღვინო ედგას, ვერა სვამდეს.  
მხოლოდ ხვალის დღეზე წუხდეს,  
რამე ცუდად არ აუხდეს!

### ფ ა უ ს ტ ი

შენწყვიტე! ჩემთან ვერას გახდები,  
მაგ სისულელის არ მინდა სმენა.  
ვაი მას, ვისაც შეუსახლდები,  
ბრძენს შეშლის შენი ჭარტალა ენა!

### ზ რ უ ნ ვ ა

ვისაც ერთხელ შევხებივარ,  
მის სულსა და გულში ვზივარ.  
გზაზე იდგეს, ვერა ვლიდეს,  
ვერც მოვიდეს, ვერც წავიდეს.  
თვალიც, გონიც გაურეტდეს,

ველარაფერს ველარ წყვეტდეს,  
მოელანდოს ყველგან ავი,  
სხვაც ტანჯოს და თავის თავიც.  
ვერ დგებოდეს, ვერ ჯდებოდეს,  
არც ცოცხლობდეს, არც კვდებოდეს.  
რაც არ ქნას და რაც არ ცადოს,  
ჯოჯოხეთი განიმზადოს.

### ფ ა უ ს ტ ი

გულშემზარავო აჩრდილებო, ათასი ხვანჯით  
შებორკოთ კაცი, ერთადერთი რაც გეამებათ!  
ყოველი ნუთი ახალ-ახლით აუესოთ ტანჯვით,  
ჩვეულებრივი დღე უქციოთ გაბმულ წამებად.  
ვიცი, დემონებს კაცი ძნელად თუ დაუსხლტება,  
უფრო ძნელია, არ დაიდო სულზე ბორკილი,  
მაგრამ არასდროს ზრუნვის უღირს ძალაუფლებას  
არ ვაღიარებ, ვერ გავხდები მისი მორჩილი.

### ზ რ უ ნ ვ ა

მაგასაც ვნახავთ! მივდივარ და გიტოვებ წყევლას,  
რაც ხანი დაგრჩა, სიბნელეში, წყვდიადში გველოს!

(თვალეებში შეუბერავს.)

### ფ ა უ ს ტ ი . დაბრძანებული

ლამე დამეცა, გაუვალმა წყვდიადმა მიხმო,  
და მაინც შიგნით განუხრელი შუქი ანთია.  
ჩემი ბრძანება იქაც მივა, სიბნელის მიღმა,  
საქმეს სჭირდება დაჩქარება, უამი ზანტია.  
ნუ გძინავთ, ყმანო, დროზე ადგეს კაცად კაცადი!  
გონების თვალით ყველას გხედავთ, მყავხართ ნაცადი.  
აიღეთ ხელში ნიჩბები და ბარ-წერაქვები!  
ფართო კვალი მაქვს მონიშნული, იმ კვალს გაჰყვებით.

იჩქარეთ, თორემ ზღვა დიდხნობით აღარ მოგვიცდის,  
ჯილდო სუყველას – სისწრაფისთვის, ბეჯითობისთვის!  
დიადი საქმის აღსრულებას დღე დღეზე ველი.  
დე, მორჩილებდეს ერთ გონებას ათასი ხელი!

# სასახლის წინა ეზო

ჩირაღდნები

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . წინ პოდის ზედაშედეველად ჩაცმული

მოდით, საშური საქმე მოგელით!  
ჩემკენ, ლემურთა დასნო!  
ძვლებით, ძარღვებით და იოგებით  
წნულნო ნახევარარსნო!

ლ ე მ უ რ ე ბ ი . ქოროდ

გვითხარი, რა ვქნათ, ბრძანებას ველით,  
ვართ ყველაფრისთვის მზად,  
ოლონდ ეს მხარე, დიდი და ვრცელი  
უნდა მივიღოთ ძღვენად.

საზომი თოკი და პალოები  
გადაგვინყვია მხარზე,  
მაგრამ აქ ახლა რისთვის მოვედით,  
ეგ აღარ გვახსოვს არც ერთს.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

განზე გადადეთ საზომი ძველი,  
არ დაგჭირდებათ მაგდენი შრომა,  
განვეს თქვენ შორის ყველაზე გრძელი  
და მის მიხედვით აიღებთ ზომას.

აჰა, ოთხკუთხა ორმოც გათხრილა,  
როგორც იცოდნენ თქვენმა მამებმა.  
კაციც მზად არის სრა-სასახლიდან  
ვინრო სენაკში წასაბრძანებლად.

ლ ე მ უ რ ე ბ ი , თხროან სახელამცინაენი

სანამ ვიყავ ახალგაზრდა,  
თავში ტრფობის ქარი ქროდა,  
საცა ცეკვა-როკვა იყო,  
ფეხიც იქით გამირბოდა.

არ დამინდო როცა ხანმა,  
თავს სიბერე დამარისხა,  
ღია კართან მივფორხილდი,  
კარი დამხვდა სამარისა.

ფ ა უ ს ტ ი , ფაშოდის სასახლის კაჩიდან ხელის ცეცეებით

ტკბილად ჩამესმის ბარების და ნიჩბების ხმები,  
წყნარდება მინა, ემატება ჯებირი ჯებირს.  
ზღვის სარტყლებისთვის დავამზადეთ მტკიცე ყალიბი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი , თავისთვის

სულ ჩვენთვის წვალობ მაგ დამბებით და კაშხალებით.  
უკვე ნეპტუნი, ზღვათა ჭინკა, გიმზადებს ნადიმს.  
ვერ გადარჩები, გნებავს, მოდი და გნებავს, წადი.  
წყლის სტიქიასთან შეთქმულნი ვართ, ვაახლებთ კავშირს,  
სულ მცირე დროში შენი ღვანლის კვალსაც კი წაშლის.

ფ ა უ ს ტ ი

ზედამხედველო!

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

აქ გახლავართ.

## ფ ა უ ს ტ ი

სასწრაფოდ წადი,  
ხალხი მოკრიბე, დაარწმუნე, აქეთ ქნან პირი,  
დაყვავებით თუ მუქარით თუ გაზრდილი ქირით,  
რითიც იქნება, გაათმაგდეს ნაშრომი მათი.  
წუსხას შემიდგენ აღსრულებულ დღიურ საქმეთა,  
არხი რამდენზე გაიჭრა და სად რა გაკეთდა.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . ხმადაბლა

ამბავი მომდის, სარწმუნო ფრიად,  
რომ არხს კი არა, სამარეს ჭრიან.

## ფ ა უ ს ტ ი

აქ, მთების ფერხთით, ჭაობები მისდევენ ნაპირს,  
ამ ახალ მიწებს გვიხაშმავენ, ზღვას რომ წავართვით.  
მათი დანრეტა-ამოშრობა მწაღია სწრაფი,  
უკანასკნელი მძიმე ბრძოლა მაქვს გასამართი.  
მრავალათასი აქ იცხოვრებს ხალხი ძლიერი,  
არა უსაფრთხოდ, მაგრამ შრომით სვებედნიერით.  
ნაყოფიერი ველ-მინდვრები, სივრცე გახსნილი,  
გახსნილა კაციც და გაშლილა მისი ნახირი.  
განსახლდებიან, დაიპყრობენ ამ ახალ ადგილს,  
სადაც წყალთაგან დასაცავად ბორცვები დავდგით.  
სამოთხის მსგავსი გაშენდება ირგვლივ ტყე-ველი,  
ზღვის მოთარეშე ტალღებისთვის შეულწეველი.  
თუ რომ ჯებირში სულ პატარა ხვრელი გაჩნდება,  
დიდი თუ მცირე მიესევა ამოსავსებად.  
ძველთაგან თქმულა, ვერ ეწევი მიზანს სასურველს,  
თუ არ მღვიძარებ, დღიდან დღემდე თუ არ იურვი.

თავისუფლებას და სიცოცხლეს ის იმსახურებს,  
ვინც იგი ბრძოლით მოიპოვა ყოველდღიურით.  
და ებრძვის საფრთხეს, თუ ცალ-ცალკე, თუ დარაზმული,  
ყმანვილი კაციც, მონიფულიც და ხანდაზმულიც.  
ასეთი მინდა რომ ვიხილო ახალი ტომი,  
თავისუფალი, თავისუფალ მინაზე მდგომი.  
მაშინ, ო, მაშინ გულავსილი, მძლავრი, ხმიერი,  
„შეყოვნდი, ნამო“, შევძახებდი, „ხარ მშვენიერი“!  
და ვირწმუნებდი: ჩემი კვალი მუდამ იქნება,  
სამარადისოდ ეონებში არ დაინთქმება.  
ბედნიერების მოლოდინით, უხინჯო შვებით,  
ამ უზენაეს წამს შევხარო! წინასწარ ვტკბები!

(ფაუსტი უკან გადაესვენება. ლემურები შეუდგებიან და მიწაზე დააწვენენ.)

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

შვება-სიამის ყველა საცთურს სძლევედა ადვილად,  
ცვალებად ლანდებს შევატრფე და იქაც გამისხლტა;  
და, აჰა, შლეგმა შეჩერება მოინადინა  
უკანასკნელი, ცარიელი, ურგი წამისა.  
სასტიკ ბრძოლაში დროისაგან დამარცხებული,  
ბებერი კაცი წევს მინაზე დანარცხებული.  
შედგა საათი...

## ქ ო წ ო

ვაგლახ, შედგა, არ ისმის ჩქამი.  
ჩამოცვენილან ძირს ისრები.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

აღსრულდა ჟამი.

გაქრა, წავიდა.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

სულელური სიტყვაა „გაქრა“.

სად გაქრა? წმინდა არარაში? იქამდე რა ქნა?  
ქრებოდა? მაგრამ თავიდანვე თუკი ქრებოდა,  
მაშინ შესაქმე რად უნდოდა, რას იქმნებოდა!  
ყოველი არსი არყოფნაში შედის ნყობილად,  
რაც იმას ნიშნავს, რომ ყოფადში არცა ყოფილა.  
არადა, თითქოს არსებობსო, ისე წრიალებს...  
რა შეედრება საუკუნო სიცარიელეს!

## სამაჩემო ჩასვენება

ლ ე მ უ რ ი , სოლო

ვინ ააშენა აქ ასე ცუდად  
სახლი ნიჩბით და ბარით?

ლ ე მ უ რ ე ბ ი , ქოჩო

ტილოთი მოსილს მეტიც რად უნდა,  
ძილი მოეღის წყნარი.

ლ ე მ უ რ ი , სოლო

ერთი მაგიდაც არ დგას დარბაზში,  
ერთიც არა დგას სკამი.

ლ ე მ უ რ ე ბ ი , ქოჩო

მევალე ჰყავდა საწყალს ათასი,  
სრულად გაზიდეს დგამი.

მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი

ძირს გდია გვამი, სულს გაფრენა სწადია ლალად,  
მაგრამ მე სისხლით ხელმონწერილს წარვადგენ ქალალდს.  
თუმცა ამ ბოლოს მოიგონეს ფანდი მრავალი,  
ხელთ მოგდებული გამოსტაცონ ეშმაკს სულელები.

ძველ გზებზე უკვე გადამიჭრეს ყველა სავალი  
 და ახალზედაც ძვირფას სტუმრად არ ვეგულები.  
 აქამდე მარტოს თუ შემეძლო ხლართების ხლართვა,  
 დღეს უსათუოდ თანადგომა მჭირდება სხვათა.  
 აღარც ადათი – რაც წესები, სულ უგვანონი,  
 აღარც ის ძველი სამართალი, მტკიცე კანონი.  
 ვერ დაეყრდნობი ვერა საბუთს და ვერა დავთარს.  
 სულ აირია ყველაფერი, ნახდა დროება.  
 უნინ სხვა იყო: სული სხეულს რომ დატოვებდა,  
 ვით კატას თაგვი, ერთ ნახტომზე ბრჭყალებში მყავდა.  
 ახლა ყოყმანობს, არ ამოდის თავის გარსიდან,  
 ძნელადლა ტოვებს აყროლებულ, შმორიან სოროს,  
 მტრული სტიქია სხეულიდან ვიდრე განზიდავს,  
 ებლაუჭება დამპალ ჩენჩოს, ცხედარში ცხოვრობს.  
 გაიტანჯები, თავს და ბოლოს ველარ მიხვდები.  
 „სად? როგორ? როდის?“ – საოცარი ისმის კითხვები.  
 თვითონ სიკვდილმაც ძველი წესი ისე არია,  
 ჭოჭმანობს ხალხი – „სულ მკვდარია“? „მართლა მკვდარია“?  
 თვალს არ უჯერებ, გაფიჩხული ცივი ცხედარი  
 ამოძრავდება, ფეხზე დგება, ისევ მხნედ არი.

(უცნაური საჩხიბავი მოძრაობები)

აბა, მობრძანდით, ამ სურათის ვისაც გსურთ ნახვა,  
 მოხრილრქიანო ბატონებო, თქვენც, სწორრქიანო,  
 ახლო მოდექით სუყველანი, რა შორს ხმიანობთ,  
 აქ მომამშველეთ ჯოჯოხეთის გახსნილი ხახა!  
 ჯოჯოხეთს მრავლად აქვს ხახები, ჩემო კეთილნო,  
 ინთქმება ხალხი წოდების და ღირსებისამებრ,  
 მაგრამ აქ ახლა, მოვადექით როცა ეპილოგს,  
 მორჩა, ახალი საფიქრალით თავს არ ვინამებ.

(მარცხნივ ვახსენება ჯოჯოხეთის სახარელი ხახა.)

ეშვები გარეთ გამოჩრილან, ყბა უფსკრულს აღებს,  
 ცეცხლდამდინარე სასას ვხედავ, ელვარე თალებს,  
 აღსა და კვამლში ვხედავ შიგნით ცეცხლოვან ქალაქს

სამარადისო ვარვარების, წამების ალაგს.  
ხანძარი კბილებს მოაწყდა და ცოდვილთა სულნი  
ცეცხლს მოაპობენ, გამოღწევეს ლამობენ ცურვით.  
მაგრამ მალევე იხურება ყბები ხრჭილით  
და კვლავ ახლდება ცეცხლოვანი გზების ტრიალი.  
ბევრი სხვაც მოჩანს მოკვდავისთვის შიშით მდალავი,  
სივინროვეში უჭირთ საწყლებს, ძალიან უჭირთ!  
მომწონს, ცოდვილებს რომ აშინებთ მაგ სანახავით,  
თორემ ჰგონიათ იქაობა ზმანება ფუჭი.

(მიმართავს სწოწრქიან. სქელ-სქელ ეშმაკებს.)

აბა, ტანსრულო თაღლითებო ცეცხლისლოცებავ,  
დაგაქვთ მუცლები ჯოჯოხეთის გოგირდით სავსე,  
კარგად უყურეთ, გვამს ციმციმი თუ გამოჰყვება,  
მკრთალი რამ შუქი, ფოსფორული ნათების მსგავსი,  
ეს – კაცის სული მოციმციმებს, ფსიქე ფრთიანი,  
თუ გაგვიფრინდა, მატლის მეტი რაღა დაგვრჩება!  
დროზე დავადოთ ჩემი დამლა გამოსარჩევად  
და ჯოჯოხეთში ნავიტანოთ ფრიალ-ფრიალით!

მზირად ყოფნაა, გარუმბულნო, დღეს თქვენი ვალი,  
განსაკუთრებით მუცლის არეს ადევნეთ თვალი!  
სული სხეულში სად თავსდება, არავინ იცის.  
იქნებ ჭიპიდან გამოძვრეს და დავკარგოთ კვალი.  
ვერ მივაქციოთ ყურადღება მიღეულ ციმციმს.

(მიმართავს გაშხდარ და დაფრეხილრქებთან ეშმაკებს.)

თქვენ კი, ბეხრეკნო, შემომდგარნო გოლიათებად,  
თუ მანდ, ჰაერში, მოფარფატე რამე გაკრთება,  
ჩაასვეთ ჭანგი, უყვართ სულებს ზეცისკენ წასვლა,  
მას შემდეგ, როცა ძველი სახლის უხდებათ დაცლა.

(ზეჯარდმო ნათელი ზემოთ, მარფვენა კუთხეში.)

## ზ ე ც ი უ რ ი მ ს ე დ რ ო ბ ა

გზავნილთა დასნო,  
დავფრინდეთ დაბლა  
ფარფატით წყნარით,  
შენდობა მივცეთ  
საბრალო ცოდვილთ,  
არ დავცეთ ზარი.  
ქვეყნიერება  
ცის და სინათლის  
იფენდეს არილს.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

საზიზღრობაა! რა სინათლე მოდის ზემოდან!  
ან ეს ჰანგები! რა მცოდნია მაგ სიმთა ჟღერის!  
მლოცველ დედაბრებს სულ ჟრუანტლად მოეღებოდათ,  
ველარ გაიგებ, გოგო მღერის თუ ბიჭი მღერის!  
მას უამსა შინა ჩვენმა ფიქრმა, მარადმა „არამ“,  
კაცთა ჯილაგის გასაქრობად იზრახა რა-რამ.  
ამათ კი საქმედ უქცევიათ ის ჩვენი ზრახვა,  
თან შეფრფინავენ, არ აკლებენ ლოცვას და თაყვანს.

მოდინ სათნო სახეებით ეს თვალთმაქცები,  
გამოგაცლიან, მოგდებული რაც გქონდა ხელად.  
ასეა, ჩვენი იარაღით ჩვენვე ვმარცხდებით,  
მაგათ რომ ხედავთ, შენიღბული ეშმაა ყველა.  
დღეს მხარი მხართან! გამარჯვება არ უნდა მივცეთ!  
სამარის კართან შემოჯარდით, დადექით მტკიცედ!

ა ნ გ ე ლ ო ზ ე ბ ი ს გ უ ნ დ ი . ვარდებს ფანცავს

ელვარე ვარდებო,  
სურნელით სავსენო,  
მოსულნო ცით,  
უთხარით ყოველთა,

სადით სად იარეთ,  
ამბავი თქვით.  
ასევე მოცვივით  
ფერად და სურნელად  
სამოთხის კართ.  
განსვენებულისთვის  
მარადი სუფევის  
მაცნენი ხართ.

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი , ქაჯ-უმაკებს

თრთით, იბუზებით? ჯოჯოხეთის საყმო რჩეული!  
ფანტონ ყვავილი, არ დაუთმობთ დღე დღევანდელი!  
რიგებს ნუ არევთ, თავის პოსტზე დგეს თვითეული,  
მაგათ ჰგონიათ, გაგთოშავენ მათი ფანტელით!  
მხურვალე ქშენა შეაგებეთ, მჭვარტლივით შავი!  
ცხელი ჰაერი დააჭკნობს და აფუტკნის ყვავილს.  
ბერეთ მბერველნო! – აი ასე! კმარა! კარგია!  
ფანტელებს ფერი გადასვლიათ! გზაც დაკარგვიათ!  
მეტი არ გინდათ! ჩაისუნთქეთ! საკმარისია!  
რომ დაინყებენ, გაჩერება აღარ იციან!  
ერთად შეჯგუფდით, გაუმაგრდით, არა დათმობთ რა!  
სახელ-დიდებას გაუფრთხილდით ჩვენთა საძმოთა!  
...მაინც მისუსტდნენ, ქანაობენ მუხლმოკვეთილი,  
სხვა ძალა იგრძნეს – მოალერსე, თბილი, კეთილი.

### ა ნ ტ ე ლ ო ზ ე ბ ი ს ტ უ ნ დ ი

ყვავილნო ნეტარნო,  
აღნო მხიარულნო,  
აღავსებთ გულებს,  
სიყვარულს ავრცობთ და  
სიხარულს ავრცობთ და  
სინათლეს უღევს!

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

წყევლა და კრულვა! მარნმუნებდნენ, უშიშნი ვართო!  
ძირს თავდაყირა მიცვივიან ტყაპან-ტყაპანით!  
იქ, ცეცხლის ღვარში, სასკორავი აქვთ განსაბანი.  
მე ერთი დავრჩი ჩემს ადგილზე, დამაგდეს მარტო.

(მოცვინარ ვარდებს ხელების ქნევით იგვრიებს.)

მოხეტიალე ნათება ხარ, გამშორდე უნდა,  
შუქით გონებას ვერ ამირევ, არ მოგცემ ნებას!  
ვინც ახლოს გნახავს, ხელთ შერჩება ტალახის გუნდა,  
თან თითქოს კუპრი დამალვარეს, მენვება კეფა!

## ა ნ გ ე ლ ო ზ ე ბ ი ს ტ უ ნ დ ი

რაც შენი არ არის,  
თუ შენად მიითვლი,  
დარჩები ნბილი.  
ოდენ განერიდე,  
რაშიც ბუნებითი  
არ გიდევეს წილი.  
სიყვარულს ეწიოს,  
სიყვარულისათვის  
ვინც არის ქმნილი.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მენვის გულ-ღვიძლი, მიხურს თავი, ვინვი ერთიან!  
ეს რა ცეცხლი მჭირს! ჯოჯოხეთის ცეცხლზე მეტია!  
შეყვარებულნო, ვხვდები თქვენი წამების სიღრმეს,  
მიმავალ სატრფოს რომ გასცქერი და კისერს იღრეც.  
მეც მაგ დღეში ვარ? თავი იქით სად მომღრეცია?  
აკი მაგათი მტერი ვიყავ, ეს რა მენია?  
ნუთუ მომხიბლეს ქალებრ ტურფა მაგ ყმანვილებმა?  
რად ველარ ვწყევლი, რად მნადია მიხმატკბილება?

სხვად ვარ ქცეული? ის აღარ ვარ, რაც ოდით ვიყავ?  
გაფრთხილდი, თავბრუს დაგახვევენ, დაგსვამენ ბრიყვად!

პირმშვენიერო ყმანვილებო, მინდა, ამიხსნათ,  
თქვენც ლუციფერის ჯიშისა და მოდგმისანი ხართ?  
ყველანი ისე ლამაზნი ხართ, ჩაგკოცნოთ მინდა,  
მგონია, თითქოს ათასწლობით გიცქერთ სიამით!  
მოდით, თვალები მომანათეთ, დაეშვით ციდან,  
გულზე მიმიტბეთ კატასავით ალერსიანი.

### ა ნ ტ ე ლ ო ზ ე ბ ი

მაშ, რატომ იხევ უკან-უკან, როცა მოვედით?  
თუ ძალგიძს, დარჩი! ძრწიხარ ჩვენი მოახლოებით!

(ანგელოზები თანდათან მაცულობენ და მთელ სივრცეს ავსებენ.)

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . ავანსცენისკენ გამოძევებული

ჩვენ ნაწყმედილი სულები გვქვია,  
არადა, თქვენ ხართ ცოდვის მთესავნი,  
ერთბამ აცთუნებთ კაცსა და დიაცს,  
ვის ემარჯვება ჯადო თქვენსავით!  
სხეულში ცხელი ჟრიალი მივლის!  
დამენვა კეფა, ველარ ვგრძნობ ტკივილს!  
მაშ, სიყვარული ნუთუ ეს არის?  
მიფრენთ და მოფრენთ, გიყურებთ და არ გიჩანთ ტანი!  
მინიერ წესზე დაგვანახეთ ნარნარად სვლანი!  
გაუცინარი სახეები, კი, ძალზე გშვენით,  
მაგრამ ერთხელაც მსურს ვიხილო ღიმილი თქვენი!  
აი, იმდარი, ბაგეს ოდნავ რომ აფენია  
და მინიერი სიყვარულის მონაფრფენია!  
მაღალო ბიჭო, შენ შემოგტრფი ყველაზე უნინ,  
ოლონდ ეგ არის, არ გიხდება იერი ხუცის,  
თანაც აჯობებს, ცოტა უფრო შილიფად გეცვას,  
გრძელი კვართია, ქობა-კალთის უნდები კეცვას.

იქით შებრუნდნენ! მაგრამ ასეც, ზურგით მდგომარნიც,  
რა მშვენიერი რამ არიან, რა სანდომარნი!

### ა ნ გ ე ლ ო ზ ე ბ ი ს გ უ ნ დ ი

წმინდაო ნათელო  
ჭეშმარიტებისავ,  
ხატო და ქმნილებავ  
ზეგარდმო ნებისა,  
იხსენი, ვინ იგი  
წაწყმედის კარებთან  
ცოდვილიც იბრძოდა,  
ცოდვას არ დანებდა!

### მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი . ჯონს მოეგება

ნუთუ ეს მე ვარ? – წამებული იობის გვარად,  
თავისი თავი წყლულებდასხმულს თავად რომ ზარავს?  
არა! თავსა ვგრძნობ ისევე ისე ლაღად, ხალვათად,  
გამაგრდა ეშმა, თავის ჯილაგს არ ულაღატა!  
კეთილშობილი ეშმაური გადარჩა დერიტა,  
მხოლოდ კანი მაქვს დაფუფქული ტრფობის სახმილით!  
სალ-სალამათი გამოვედი აღმურის წრიდან,  
კვლავ ვიცან თავი! გწყევლით გულის მთელი ძახილით!

### ა ნ გ ე ლ ო ზ ე ბ ი ს გ უ ნ დ ი

ეს წმინდა ნათელი  
ვისაც კი მოიცავს,  
შეერწყმის ცხოვრებას  
თვინიერ დროისა.  
ან განწმენდილია  
ჰაერი სრულად,  
დაე, თავისუფლად  
ისუნთქოს სულმა!

## მ ე ფ ი ს ც ო ფ ე ლ ი . მიმოიხედავს

რა ხდება! როგორ გამაცურეს მაგ უმწიფრებმა!  
თურმე რად მდგარან სამარესთან ასე ჯარ-ჯარად!  
ჩემი ნადავლი წაიღეს და ცისკენ მიფრენენ,  
გარდა ამ ურგი მინა-მტვრისა, არა დარჩა რა!  
სული, ჩემს ხელში მოხვედრილი, ძალით წამერთვა,  
ჩემია იგი, თავს პატრონად ვრაცხ ერთადერთად.

ვისთან ვიჩივლო? სამართალი ვეძებო ვისთან?  
ვინ დაგიბრუნებს შენს უფლებას? შენზე ახია!  
შენი სიბრიყვე ისეთია, ვარსკვლავებს მისწვდა!  
ამ სიბერეში ტრფობის თავბრუ რამ დაგახვია?  
რა ჩანაფიქრი ჩააფლავე, შე უბადრუკო!  
სირცხვილი შენი! ასე როგორ გიმტყუნა გეშმა!  
ვნებამ უწიოს, სიყვარულის ალმა დაგხრუკოს  
კუპრში ნავლები, ათასწლობით ნაჯეკი ეშმა!  
მიამიტობას, აი, ბრიყვო, რას ეწირები!  
სული წაგართვეს, ოქრო იყო მიურეველი!  
სირეგენე გინდა ჭეშმარიტად, არცთუ მცირედი,  
თვითონვე გახდე საკუთარი თავის მძლეველი!

## მთის ნეოხები

ცყეები, კლდეები, უკაცრიელი ადგილები.

წმინდა განდევნილები მთააღმა განლაგებულან, აქეთაც და იქითაც  
უფსკრულებია.

გ უ ნ დ ი დ ა ე ქ ო

პირქუში კლდეები,  
გარნა დიდებული,  
მეჩხერი ხეები,  
კლდეს ჩაჭიდებული.  
წყალი და ტინები,  
განდევნილთ მღვიმენი.  
ლომნი მოარულნი  
იცავენ მრავლად  
წმინდა სიყვარულის  
ღვთაებრივ ალაგს.

P a t e r e c s t a t i c u s , პაერში ადი-ჩამოდის

მარადი ხანძარი,  
გულს შიგნით ჩამდგარი,  
ტკივილი ნეტარი,  
ორად გამკვეთარი,  
ელვარე მახვილი,  
ჩემს მკერდზე დახრილი,

ყველა შუბ-ისარი  
სიყვარულის არი.  
დე, წმინდა ტრფიალების  
მეწვოდეს იარები!

*P'ater profundus*, ქვედა სფერო

თუ ფერხთით კბოდე შესდგმია კბოდეს,  
უფსკრულებისკენ გადამცქერალი,  
თუ წყალი ათას ნაკადად მოდენს,  
რომ დაეკიდოს კლდეზე ჩქერალი,  
თუ ყველა ღეროს სურვილი მსჭვალავს  
მინას ასცდეს და აიჭრას ცამდე,  
ეს – სიყვარულის მარადი ძალა  
ბრუნავს და ახალ სიცოცხლეს ბადებს.

მოსკდება თქეში ისეთი ზათქით,  
თითქოს ეს მთები თავდაღმა მიაქვს,  
ძირს სათავისოს იპოვის ადგილს  
და ნელა ავსებს უფსკრულთა წიაღს;  
მერე ბარისკენ ეშვება ნელა,  
გვარწყულებს ჭავლით აღერსიანიტ;  
საზარი ჭექით გაკვესავს ელვა,  
ჰაერს განმენდს და წავა სრიალიტ.

ელვაც და მეხიც, ღვარიც და თქეშიც  
ეს სიყვარულის მაცნეა ყველა.  
დიადი განცდა შემოდის ჩემში,  
სული სიამით ბორგავს და ღელავს.  
ვდგავარ საზღვრების წამშლელ ღელვაში  
და ვგრძნობ, თავიდან რომ ვიბადები.  
ღმერთო, ჩემს ფიქრებს ფრთები შეეასხი,  
ჩემს გულს ნანატრი მოეც ნათელი!

Pater seraphicus, სამუალო სუერო

იქით, სადაც ფიჭვნარია,  
ღრუბელი ჩანს განთიადის.  
ვხედები, შიგნით ვინც არიან –  
ყრმათა სულნი, დასი მათი.

ნ ე ტ ა რ ს ე ვ ი ლ თ ა ტ უ ნ დ ი

თქვი, მამაო, დალაგებით,  
ვინა ვართ და აქ სად მოვალთ?  
გახსნილია ჩვენი გზები,  
ჩვენი ყოფნა საამოა.

Pater seraphicus

შუალამით იშვით ქვეყნად,  
არ გახვედით სამზოოზე,  
დაჰკარგვიხართ მშობლებს თქვენსას,  
შესძენიხართ ანგელოზებს.  
აქეთ მოდით, საყვარელნო,  
ჩემთან მოდით ყველაკანი!  
არ გესურვათ, ქვეყნად გველოთ,  
არ დაიტყვეთ მინის კვალი.  
ჩემს თვალეებში შემოსხედით,  
თვალიც არ გაქვთ ანახელი,  
მოდით, ნახეთ ჩემი ხედვით,  
აქაური სანახველი.

(თავის შიგნით შიყყვანს.)

ეს ხე არი, ეს კლდე არი,  
თავდაღმართზე მიდის ჩქერი,  
მოკლე გზათა მაძებარი  
ჩანჩქერებად ჩაიმღერის.

ნ ე ტ ა რ ი ჩ ვ ი ლ ე ბ ი , შიგნიდან

დიდებული სივრცე კია,  
მოსაზღვრული დიდი მთებით,  
მაგრამ ისე ხრიოკია,  
აქ ვერასგზით ვერ დავრჩებით.

### P a t e r s e r a p h i c u s

მაშინ წადით, მაღლა ადით,  
შეუმჩნევლად თავი ზარდეთ,  
განუხრელნი ცად ამალღდით,  
მიაღწიეთ ბოლო ზღვრამდე.  
სულს ციური საზრდო კვებავს,  
თქვენც თანდათან მიემთხვევით  
საუკუნო ნეტარებას  
სიყვარულის ძალთა ხმევით.

ნ ე ტ ა რ ი ჩ ვ ი ლ თ ა გ უ ნ დ ი , მწვერვალის ირგვლივ  
ცრიალებენ

ხელებჩაკიდებით  
წრე შევკრათ წყობილი,  
უფლის სადიდებლად  
ვთქვათ საგალობელი.  
გადმოვალს თანისთან  
ნათება ცისა,  
მიგვიხმობს თავისთან,  
თაყვანს ვცემთ ვისაც.

ა ნ გ ე ლ ო ზ ე ბ ი , მაღალ სივრცეში ფაუსტის სულს მიაფრენენ

მაღალი სული წავართვით ბოროტს,  
ნაბრძოლ-ნაღვანი ღირსად.  
ვინც წინ ისწრაფის, ქმედითად ცხოვრობს,  
ჩვენი ვალია, ვიხსნათ.

ვისაც ზემოდან მოწყალე თვალით  
თვით სიყვარული დასცქერს,  
ნეტართა დასმა განუხენას ცანი,  
მადლი მოილოს მასზე.

უ მ ც რ ო ს ი ა ნ გ ე ლ ო ზ ე ბ ი

ის ვარდები ცოდვილ ქალთა,  
მომნანიე ცოდვილ ქალთა  
ხელით არის მოტანილი,  
სახედ მსგავსი ცეცხლის ალთა,  
ცეცხლის ალთა, გაუმკრთალთა,  
სიყვარულის მადლით შლილი.  
გავაქციეთ მათით მტერი,  
მძლავრი ძალით მათმიერით.  
არა ჯოჯოხეთის ტანჯვა,  
სიყვარული მიესაჯათ.  
თვით ეშმათა წინამძღოლი  
ტკივილისგან აღარ იყო,  
დაიქანცა მათთან ბრძოლით,  
რა სურდა და რა ნაილო!

უ ფ რ ო ს რ უ ლ ქ მ ნ ი ლ ი ა ნ გ ე ლ ო ზ ე ბ ი

მინიერ ნარჩენთა ზიდვა  
ძნელია ჩვენთვის,  
იყოს ასბესტისა გინდაც,  
ხრწნადია ნეშტი.  
სული კი სტიქიას გაყვება  
ერწყმის და მისი გზით დადის,  
ანგელოზთ არ ძალგვიძს გაყოფა  
ორმაგი ბუნების მათის.  
მხოლოდ სიყვარული თიშავს,  
ყოველის განმსჭვალავი,  
მარტოდენ ის ადებს ნიშანს  
და მეტი არავინ.

## უ მ ც რ ო ს ი ა ნ გ ე ლ ო ზ ე ბ ი

მსწრაფლ რომ იცვლებიან,  
თხემს რომ დასევიან,  
განთუ ნისლებია,  
სულთა დასებია.  
მიფრენენ ნეტარნი ყრმანი,  
მინაზე არ დაზმეს ხანი,  
იქ, მალლა, ზესკნელის კარად  
გაზაფხულს ეძებენ მარადს.  
ეგ სულიც იახლონ თან,  
გვერდიგვერდ იარონ,  
ღვთის სავედრებლები თქვან,  
ნათელს ეზიარონ.

## ნ ე ტ ა რ ი ჩ ვ ი ლ ე ბ ი

სულია ძლიერი,  
ჯერ ოლონდ ქუპრია,  
ქერცლი მიწიერი  
ჯერ არ დაუყრია.  
გარსი მოვაცალოთ,  
ფრთხილად, უვნებელად.  
ცაში ავაცილოთ,  
გაფრინდეს პეკელა!

Doctor Marianus, ყველაზე მაღალსა და  
ჯანსქენდილ სენაკში

გახსნილა ზეგარდმო კალთა,  
წინ გზები მნათია,  
წყებანი, წყობანი ქალთა  
ზეცისკენ აღიან.  
ბრწყინვა და ციალი მავსებს,  
დამბრმობი თვალისა!  
ვარსკვლავთა გვირგვინით თავზე  
ცის დედოფალი ჩანს!

(აღტოცებით)

მბრძანებელო, შეხსენ კიდე  
ლურჯად გაშლილ კარავს,  
ერთი წამით შემაჭვრიტე,  
რა ხვაშიადს ფარავს.  
გრძნობისაგან ჩემი გული  
გაიპობა ვინემ,  
ღვთაებრივი სიყვარული  
ამომათქმევინე.  
გვიბრძანებ და რკინისა ვართ,  
გვიბრძანებ და ცვილის,  
შენეული გზებით დავალთ,  
შენი დაგვაქვს წილი.  
ქალწული ხარ ყოვლად სრული,  
ყოვლად სრული დედა,  
ხარ დედოფლად არჩეული  
ყველა არსთა ზედა.

მომნანიე ქალთა დასი,  
ვით ღრუბლების რიგი,  
ათასი და კვლავ ათასი,  
გახვევია ირგვლივ.  
ურჩი ქედი მოუხრიათ  
შემცოდეთა ყოველთ,  
აჰა, მუხლი მოუყრიათ,  
შენყალეებას გთხოვენ.  
ვნების ბორკილს ვინ აიხსნის  
ოდენ ძალით თვისით,  
თუ ვერ გახდა შენი ღირსი,  
შენგან შევლის ღირსი!

(ძალლით გამოჩნდება Mater gloriosa.)

მ ო მ ნ ა ნ ი ე ქ ა ლ თ ა გ უ ნ დ ი

მწყალობლად გადმოხვალ ზენით,  
მუხლს გიყრის სამზეო.  
ისმინე ვედრება ჩვენი,  
მადლით აღსავსეო!

M a g n a p e c c a t r i x (ლუკა. 7. 36)

იმ ცრემლთა წილ, ფერხთა ზედა  
რომ ვაპკურე შენსა ძესა,  
არ მივხედე დანაყბედარს,  
ფარისეველთ რაცა თქვესა,  
იმ ჭურჭლის წილ, თავზე რითაც  
დავალვარე ნელსურნელი  
და, მას უკან, გაშლილ თმითა  
შევუმშრალე ფერხნი სველნი –

M u l i e r S a m a r i t a n a (იოანე. 4)

იმ ჭისა წილ, სადაც ფარას  
აბრაამი ედგა მწყემსად,  
იმ კოკის წილ, მაცხოვარმა  
საიდანაც წყალი შესვა,  
იმ წყაროს წილ, სიანკარედ  
მინის პირზე რომ დადინდა  
და მას აქეთ ყველა მხარეს  
ეფინება ჭავლი წმინდა –

M a r i a A e g y p t i a c a (Acta sanctorum)

იმ ტაძრის წილ, სადაც მკვდარი  
ძე ესვენა როსმე ღვთისა,  
იმ ძალის წილ, უჩინარის,  
მე რომ ტაძრად არ შემიშვა,  
ანდერძის წილ, ჩემი ხელით

ცხელ ქვიშაზე რომ დავწერე,  
ორმოცი წლის განუხრელი  
ღვინის და ხორცთა გვემის მერე -

### ს ა მ ი ვ ე

აგვხსენ ყველა ცოდვა-ბრალი,  
შეგვიტკბე და შეგვივრდომე,  
გთხოვთ, ეგ სულიც ყმანვილქალის,  
დიდი ტანჯვა შეხვდა რომელს,  
მიიხვენ და მეოხ ექმენ,  
სიყვარულის გამო სცოდა,  
საცთურს დაჰყვა ერთადერთხელ.  
სხვა რამ ცოდვა არ იცოდა.

Una poenitentium, უწინ გრეცხენად სახელდებული,  
ისიც მათ შიკედლეზია

არა მწუხარებით,  
მხვდები მშუქარებით!  
მლიმარი მომაჰყარ სახე!  
სული უცხრომელი,  
მიყვარდა რომელიც,  
ან შეებამოგერილი ვნახე.

### ნ ე ტ ა წ ი ჩ ვ ი ლ ე ბ ი

სულია ცისადი,  
ასულა ცად,  
მოვლა-ზრუნვისათვის  
მოგვაგებს მადლს.  
მაგას გრძლად უვლია,  
ჩვენ მოკლედ ვიარეთ.  
იგი სწავლულია,  
სწავლას გვაზიარებს.

მ მ ნ ა ნ ი ე ს უ ლ ი , უწინ ცრეტხენად სახელდებული

დგას ეგე სული გაოგნებული  
და აქამომდე გონს ვერ მოსულა,  
გაცისკროვნებულ სულთა კრებულით,  
წმინდანთა დასით გარემოცულა.  
შორდება გარსი ქვეყნისეული,  
სალტე და სალტე, რკალი და რკალი,  
და ეთერული მისი სხეული  
კვლავ ჭაბუკურით ივსება ძალით.  
დაე, აღეხვნას თვალნი ახლავე,  
შენ გვეედრები, ითნე და იხსენ!

### Mater gloriosa

როგორც კი იგრძნობს შენს სიახლოვეს,  
ნდობით წამოვა ახალი დღისკენ.

Doctor Marianus, პირქვე ფაჩთხმული ლოცულობს

გიცქერენ სასობით აღვსილი  
სულნი, შენდობისა მთხოველნი,  
არიან ზეცისკენ გზახსნილნი,  
მომნანიებელნი ყოველნი.  
გვინდა შენს ნათელს შეგვაფარო,  
ლოცვად მივიდრიკეთ თავი.  
ქალწულო, დედაო, დედოფალო,  
ქალღმერთო, წყალობა ჰყავი!

### Chorus mysticus

ყოვლი წარმავალი  
არს ოდენ მსგავსება,  
სად იგი მრავალი,  
ერთ არსში თავსდება.

გაცხადდა ფარული,  
ცის მოვალს დიდება  
და მარადქალური  
ზემიგვეზიდება.

FINIS

## შენიშვნები

### პირველი მოქმედება

გვ. 15 *ფაუსტი ყვავილოვან კორდზე მიგდებულა* – პირველი ნაწილის ტრაგიკული ამბების შემდეგ ფაუსტი გონს ჯერაც ვერ მოსულა და მას ელფები, ჰაერისა და სინათლის კეთილი სულები, თავს დასტრიალებენ, რომ გრძნობაზე მოიყვანონ და წარსულისგანაც განკურნონ, დაავიწყონ, რაც შეემთხვა.

გვ. 15 *არიელი* – ელფების მეფე უილიამ შექსპირის დრამიდან „ქარიშხალი“.

გვ. 15 *ეოლოსის ქნარი* – ეოლოსი ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ქარების ღმერთია. მისი სახელი დაუკავშირდა შემდგომდროინდელ მუსიკალურ ინსტრუმენტს, რომლის სიმები ქარის ქროლვაზე ირხეოდა.

გვ. 15 *ლამის ოთხივე სახმილავი...* – სახმილავი შეესატყვისება ძველ რომაულ ვიგილიას. ღამე ოთხ თანაბარ ვიგილიად იყოფოდა, საღამოს ექვსი საათიდან დილის ექვს საათამდე. ქვემოთ, ელფების სიმღერაში თითო სტროფი თითო ვიგილიას განასახიერებს – serenade (საღამოს მუსიკა), notturmo (ღამის მუსიკა), maturino (დილის მუსიკა) და reveille (გაღვიძების მუსიკა).

გვ. 17 *შუქი გრგვინავს...* – მზის შუქი ძველთა რწმენით საშინელი გრუხუნით ვრცელდებოდა, მაგრამ ეს ხმა მოკვდავთა სმენას არ სწვდებოდა.

გვ. 17 *ცემს, ფეთქავს მაჯა სიცოცხლისა...* – ფაუსტის ეს მონოლოგი დაწერილია ტერცინებით, დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ სტროფით.

გვ. 19 *კაიზერი* – იმპერატორის გერმანული სახელწოდება. იგივეა, რაც კეისარი.

გვ. 19 *აქ არის ბრძენი, მაგრამ სულელი რა იქნა ჩვენი?* – იგულისხმებიან კარის ასტროლოგი და კარის მასხარა, არცთუ უმნიშვნელო ფიგურები მეფის სასახლეში.

გვ. 20 *რა არის...* – მეფისტოფელის გამოცანას ერთმნიშვნელოვანი ახსნა არა აქვს, ყველაზე მიღებული ვერსიის მიხედვით, პირველი სტროფის პასუხია „გონიერება“ და „ფული“, მეორე სტროფისა – „მასხარა“ და „ეშმაკი“. სხვა ვერსიის თანახმად, მეფისტოფელი თავის თავს გულისხმობს – „უარყოფელი სული“.

გვ. 21 *კანცლერი* – სიგელ-საბუთების გამრიგე. ეს თანამდებობა გერმანელი იმპერატორის კარზე მაინცის არქიუპისკოპოსს ეკავა.

გვ. 23 *გველფები და გიბელინები* – მძაფრად დაპირისპირებული ორი პარტია XI–XV საუკუნეების იტალიაში, პირველნი პაპის მომხრენი იყვნენ, მეორენი – იმპერატორისა.

გვ. 27 *მზე, წმინდა ოქრო...* – მონოლოგში პაროდირებულია ასტროლოგიური წინასწარმეტყველებანი და შესაბამისი ტერმინოლოგია. იმ დროს პლანეტებად მიჩნეულ თითოეულ ციურ სხეულს ერთი რომელიმე ლითონი შეესაბამებოდა, მზეს – ოქრო, მთვარეს – ვერცხლი, ვენერას – სპილენძი, მარსს – რკინა, იუპიტერს – კალა, სატურნს – ტყვია.

გვ. 28 *ქიმისტერობანა – ცაში ცქერობანა* – დამცინავი მინიშნება ალქიმიასა და ასტროლოგიაზე.

გვ. 28 *მანდრაგორა* – მიიჩნეოდა ჯადოსნურ მცენარედ, დამარბული განძის ადგილმდებარეობის მიმანიშნებლად, განძისა, რომლის მოთხრაც მხოლოდ შავი ძაღლის საშუალებით იყო შესაძლებელი.

გვ. 30 *ოქროს კუროთა დასძარ ნახირი* – ოქროს კურო (იგივე ოქროს მოზვერი) წარმართული კერპია, ისრაელიანთა მიერ მოსეს არყოფნისას დადგმული (ბიბლია, გამოსვლათა, 32); უზღვავე სიმდიდრის განსახიერება.

გვ. 31 *სიბრძნის ქვა* – ალქიმიკოსთა ცდების საბოლოო მიზანი სიბრძნის ქვის მონახვა იყო, რომლის საშუალებით შეეძლებოდათ, უბრალო ლითონი ოქროდ ექციათ და განეკურნათ ყველა დაავადება.

გვ. 32 *ჰეროლდი* – შუა საუკუნეებში სამეფო კარზე ტურნირებისა და დღესასწაულების გამრიგე. ითვლებოდა საპატიო თანამდებობად. ჰეროლდის კვერთხი თითქმის ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც მხედართმთავრისა.

გვ. 32 *ჩვენთვის კი ქუდი მოიყოლა ჩაჩის მაგვარი...* – იგულისხ-

მება მასხარას ჩაჩი, საკარნავალო ნილაბი. საერთოდ, კარნავალები გერმანულ სამეფო კარზე, იტალიურის, განსაკუთრებით კი ფლორენციულის, გავლენით იმართებოდა.

გვ. 35 *თეოფრასტე* – ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ. წ. III ს.), მიჩნევა ბოტანიკის ფუძემდებლად.

გვ. 38 *პულჩინელები* – მხიარული ჯამბაზები იტალიური ნიღბების თეატრიდან.

გვ. 45 *ასმოდევსი* – ლათინიზებული სახელწოდება ბიბლიური ავსულისა. შუა საუკუნეებში მიჩნეული იყო ქორწინების ბოროტ გენიად. (ნიგნი ტობიასი, 3,8).

გვ. 48 *ზოილოთერსიტე* – აქ შეერთებულია ორი სახელი. ზოილოსი ძვ. წ. III საუკუნის გრამატიკოსი იყო, ჰომეროსის მაგინებელი, მისი სახელი გაავებული კრიტიკოსის სინონიმად იქცა. თერსიტე ჰომეროსის „ილიადის“ პერსონაჟია, მეფეებისა და გმირების მაგინებელი, ყბედი და ავსიტყვა.

გვ. 50 *ყმანვილი შეეტლე* – განასახიერებს სიუხვესა და პოეზიას, იგივე ლინკევისი, იგივე ევფორიონი მესამე მოქმედებიდან.

გვ. 57 *კვადრიგა* – ბერძნულ-რომაული ოთხცხენშემული ორთვალა ეტლი.

გვ. 63 *გნომები* – ჩრდილოური ფოლკლორის ჯუჯაკაცები. დიდი პანის მხლებელთა შორის აქ მხოლოდ გნომები არ არიან ატიკური წარმოშობისა.

გვ. 68 *მრავალათასი სალამანდრას მბრძანებლად ვიქეც* – მიჩნეული იყო, რომ სალამანდრებს უვნებლად შეეძლოთ ცეცხლში ცხოვრება.

გვ. 79 *გმირი ქალების არ გახლავან თუმცა სადარი* – აქ გმირი ნიშნავს არა საგმირო საქმეების ჩამდენს, არამედ ანტიკური თქმულებების პერსონაჟს. ეს ქალები, ელენეს ჩათვლით, სხვა შემთხვევაშიც გმირებად მოიხსენიებიან.

გვ. 80 *დედები* – დედების ამბავი, როგორც ჩანს, თვითონ გოეთეს მიერ შეთხზული მითია. ისინი მხოლოდ ერთხელ, გაკვრით არიან ნახსენები პლუტარქესთან.

გვ. 82 *მისტაგოგი* – საიდუმლო, მისტერიული კულტის მსახური.

## მეორე მოქმედება

გვ. 117 *კომპონირდა, ვერლუტირდა, კოპობირდა* – ალქიმიური ტერმინები; შეითხზა, შენივთდა, დაინმინდა.

გვ. 119 *ჰომუნკულუსი* – ლათინურ ენაზე კაცუნა. ამგვარი ხელოვნური კაცუნას შექმნა ალქიმიკოსებს შესაძლებლად მიაჩნდათ.

გვ. 120 *ხედავთ, რას უჭვრეტს?* – ჰომუნკულუსი ხედავს, რა ესიზმრება ფაუსტს; ეს არის ის მომენტი, როცა გედად ქცეული ზევსი ლედასკენ მიცურავს. სწორედ ამ შეხვედრის შედეგად გაჩნდება ელენე.

გვ. 122 *კლასიკური ვალპურგობის ღამე* – მთელი ეს მონაკვეთი მოცულობის მიხედვით ნამდვილი დრამაა დრამაში, მაგრამ ალიქმება როგორც ინტერმედია ან, უკეთეს შემთხვევაში, როგორც ვრცელი პროლოგი ფაუსტისა და მშვენიერი ელენეს სიყვარულისა. აქ არც მთავარი მოქმედი პირების, მეფისტოფელისა და ფაუსტის ხასიათებს ემატებათ რაიმე ახალი, არც სიუჟეტის განვითარებაში ხდება ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ცვლილება. პოეტს ანტიკურ მითოლოგიურ სამყაროში შევყავართ და ყურადღება შესაბამის ფიგურებსა და ანტიურაჟზეა კონცენტრირებული. მითოლოგიური არსებების ჩვენებისას დაცულია მათი წარმომავლობის რიგი, ფანტაზიის უხეში ქმნილებებიდან (სფინქსები, გრიფები...) უფრო დახვეწილი არსებების გავლით (სირინოზები, ტრიტონები, ნაიადები) უმაღლესი მშვენიერებისკენ (დორიდები, გალატეა). ბოლო მონაკვეთი სწორედ გალატეას ტრიუმფალურ სელას ეძღვნება. მოქმედება ხდება თესალიაში, ფარსალიის ველებზე, სადაც გაიმართა გადამწყვეტი და ისტორიულად უმნიშვნელოვანესი ბრძოლა კეისარსა და პომპეუსს შორის, ბრძოლა, რომელმაც ძველი რომის პოლიტიკური ნყობა ძირეულად შეცვალა, რესპუბლიკა იმპერიად აქცია. ხალხური რწმენის მიხედვით, ეს ბრძოლა ყოველ წლისთავზე თავიდან მეორდება, ცხადია, როგორც ხილვა და მოლანდება. კლასიკური ვალპურგობის ღამე პოეტმა მის ერთ-ერთ წლისთავს დაამთხვია.

გვ. 126 *ჩვენს ამალამდელ...* – ამ მონოლოგში, რომელიც ანტიკური დრამის პროლოგთა მიხედვით არის დაწერილი, გამოყენებულია ანტიკური დრამისავე ძირითადი სალექსო საზომი იამბური ტრიმეტრი, ან, უფრო სწორად, მისი გერმანული ეკვივალენტი. ძველ ქართველ ჰიმნოგრაფებს ეს საზომი იამბიკოთი გადმოჰქონდათ. ჩვენ მიერ არჩეული საზომი ქართული იამბიკოს ერთ-ერთი ვარიაციაა.

იგი გამოყენებულია შემდეგ მოქმედებაშიც, რომლის დიდი ნაწილიც ძველი ბერძნული დრამის თარგზეა მოჭრილი.

გვ. 126 *ოლონდ ისეთი თვალთამაზრზენიც არ ვარ* – აქ მინიშნებულია ლუკანუსის პოემის შესაბამისი ადგილი, სადაც ერიქთო ამაზრზენად არის დახატული.

გვ. 126 *მაგნუსი* – პომპეუსი ამ სახელწოდებითაც მოიხსენიებოდა. ლათინურად ნიშნავს „დიდს“.

გვ. 128 *ბუმბერაზი ტანის ქალი* – მალლით მოსულები ხედავენ მათგან გარიდებულ ერიქთოს.

გვ. 128 *ის, ის სად არის?* – გონზე მოსული ფაუსტი ისევ ელენეზე ლაპარაკობს.

გვ. 130 *აქაურობის სიუცხოვე...* – მეფისტოფელი ხშირ-ხშირად აცხადებს, რომ ანტიკური სამყარო მისთვის უცხოა.

გვ. 132 *Old iniquity* – (ინგ.) ძველი ცოდვილი. ინგლისურ პიესებში ამ სახელით იხსენიებოდა ეშმაკეული პერსონაჟი, ბოროტების განსახიერება.

გვ. 132 *თქვი გამოცანა* – მინიშნებულია სფინქსის გამოცანა, რომელიც მან ოიდიპოსს მისცა. აქ წარმოთქმულ გამოცანაში იგულისხმება ეშმაკი, ანუ სფინქსი მიმხვდარია, თუ ვისთან აქვს საქმე.

გვ. 136 *ულისემ ანძას...* – მინიშნებულია „ოდისეას“ ის ეპიზოდი, როცა ულისემ, იმავე ოდისევსმა, სირინოზების მოსასმენად ანძაზე თოკით თავი მიაბმევინა, თანამგზავრებს კი ყურები სანთლით ამოუღესა.

გვ. 138 *რიგს ვუნესებთ მნათობთა სრბოლას* – სფინქსები, ნახევრად ქალები და ნახევრად ლომები, ეგვიპტური წარმოშობისანი არიან და განასახიერებენ მზის შესვლას ლომისა და ქალწულის ზოდიაქოში. ამ დროს ნილოსი, ეგვიპტის მაცოცხლებელი მდინარე, დიდდებოდა და ახალი წელიწადის ათვლა იწყებოდა.

გვ. 140 *არა, არ მძინავს* – ფაუსტს ახლა უკვე ცხადლივ ეზმანება ამასწინანდელი სიზმარი – ზევსისა და ლედას შეხვედრა.

გვ. 148 *აქ საბერძნეთს შეება რომი* – იგულისხმება ბერძნებისა და რომაელების პირველი შეტაკება, სადაც მეფე პერსევსი დამარცხდა, გაიმარჯვა რესპუბლიკურმა რომმა. სწორედ ამის აღსანიშნავად არის ნათქვამი: „მეფე დამარცხდა, მოქალაქემ მოიგო ომი“.

გვ. 148 *მიკარგულა სამეფო ვრცელი* – მაკედონიის სამეფო.

გვ. 149 *პერსეფონემდე მიდის ეს გზა* – მანტოს მოენონება ფაუსტის დაუოკებელი სწრაფვა და ქვესკნელის გზას მიახწავლის.

გვ. 151 *ლონე მერჩის, გავკრა მხარი, შევარყიო მინამყარი* – გოეთე აქაც გვამცნობს და შემდეგ პასაჟებშიც არაერთხელ უბრუნდება გეოლოგიურ დავას ეგრეთნოდებულ ვულკანისტიკბსა და ნეპტუნისტიკბს შორის. პირველთა მიხედვით დედამინის ქერქი ვულკანური წარმოშობისაა, მეორეთა მიხედვით კი წყლის სტიქიის, ნეპტუნის, ზემოქმედების შედეგია. თვითონ გოეთე მეორე თვალსაზრისს იზიარებდა.

გვ. 151 *მშობიარეს მისცა ბინად* – კუნძული დელოსი, ანტიკური მითის მიხედვით, პოსეიდონმა მინისძვრით გააჩინა, რომ იქ ლეტოს ემშობიარა, აპოლონისა და არტემისის დედას.

გვ. 156 *არა, ბლოკსბერგი სხვა რამეა* – მეფისტოფელი ბროკენის მთაზე გამართულ ვალპურგობასა და შესაბამის გეოგრაფიულ სახელებს იხსენებს.

გვ. 163 *ანაქსაგორა* – ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ. წ. V საუკუნე). მიიჩნევდა, რომ დედამინას საბოლოო სახე სტიქიების მოქმედების შედეგად მიეცა და გოეთეს იგი ვულკანისტური გეოლოგიური თეორიის დამცველად გამოჰყავს.

გვ. 163 *თაღესი* – ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ. წ. VI საუკუნე). ყველაფრის დასაბამად წყალი მიაჩნდა და გამოყვანილია ნეპტუნისტური გეოლოგიური თეორიის დამცველად.

გვ. 166 *დისკო მთვარისა, ვარვარით მოდის* – ანაქსაგორას ეჩვენება, თითქოს მთვარე მინაზე ვარდება. არადა, ეს მხოლოდ მეტეორია, რომელიც მთვარიდან მონყვეტილად ივარაუდება. მინიშნებულია ის გარემოება, რომ დედამინისთვის საბოლოო სახის მიცემაში, ანაქსაგორას თვალსაზრისით, დიდი წვლილი მიუძღვის მეტეორიტებს.

გვ. 172 *თესალიელ გრძნეულ ქალთა...* – წინა სცენაში სირინოზებს (ისევე როგორც ანაქსაგორას) მოეჩვენებათ, რომ მთვარე, თესალიელი გრძნეულების შელოცვის შედეგად, მინაზე ჩამოვარდა. ახლა, როცა მთვარეს ისევ ცაზე ხედავენ, გახარებულები საგალობელს უმღერიან.

გვ. 178 *კაბირი შვიდიაო, ზოგ-ზოგი შარიანობს...* – გოეთე აქ დასცინის შელინგსა და კროიცერს შორის ჩამოვარდნილ დავას, რამდენი იყვნენ კაბირები.

## მესამე მოქმედება

გვ. 195 *მე ვარ ელენე...* – მთელი მოქმედება ფაუსტისა და ელენეს სასიყვარულო კავშირს ეძღვნება. ეს მოტივი „ფაუსტის“ ხალხური ვერსიებიდან მომდინარეობს, მაგრამ გოეთესთან იგი სხვა მნიშვნელობებითაც არის დატვირთული. მართალია, ელენე აქაც შუა საუკუნეებშია გადმოყვანილი, მაგრამ მოქმედება ელადამი ხდება, ანტიკური ეპოქა აქ სრულად თანამონაწილეობს. დრო ფაუსტისეულია, ადგილი ელენესეული. ეს შერწყმა ევფორიონს ბადებს, რომელიც ახალი კულტურის, კერძოდ კი ახალი პოეზიის განმსახიერებელია. მისი პროტოტიპი ბაირონია, რომლის მეტეოროლმა გაელვებამ გოეთეზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა.

გვ. 195 *ფრიგიის მიწა* – ფრიგია მხარე იყო მცირე აზიაში, რომლის ნაწილიცაა ტროადა, სადაც ათი წლის განმავლობაში ტროის ომი მიმდინარეობდა.

გვ. 210 *ამბობენ, თითქოს ორი სახება გქონდა* – ვერიპიდეს თავის ტრაგედიაში „ელენე“ გამოყენებული აქვს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც მოტაცებული ელენე ეგვიპტეში დარჩა, პარისმა კი ტროაში მისი „იდოლი“ (უსიცოცხლო სახება) წაიყვანა.

გვ. 219 *ვთქვათ, ილიონთან ვინც კაცის ხორცი ჭამა* – აქ ფორკიასი აშკარად უტრირებას ახდენს, ალბათ ის პასაჟი იგულისხმება, როცა აქილევის ორთაბრძოლის წინ ჰექტორს უმად შეჭმას ჰპირდება.

გვ. 229 *ჯერ ერთმაგი და მერე უკვე...* – ნათქვამი გულისხმობს, რომ ელენემ ოთხჯერ იცვალა სახე. პირველ და მეორე სახეცვლილებად ეგვიპტესა და ტროაში ერთდროული ყოფნაა მიჩნეული, მესამე და მეოთხე სახეცვლილებად – ჰადესში ჩასვლა და უკან დაბრუნება.

გვ. 239 *სულ ვინრო ყელით ევროპას ვებმით* – საუბარია ნახევარკუნძულ პელოპონესზე.

გვ. 239 *გედის კვერცხიდან არის შობილი* – ლედას, ელენეს დედას, ზევსი გედის სახით შეეუღლა. ქალმა პირდაპირ ბავშვი კი არა, გედის კვერცხი გააჩინა, საიდანაც შემდგომ ელენე გამოიჩეკა.

გვ. 241 *თქვენ, წვეროსნებო* – ფორკიასი მიმართავს მაცურებლებს.

გვ. 245 *ევფორიონი* – ფაუსტისა და ელენეს შვილი (აღებულისა აქილევსისა და ელენეს შვილის სახელი). გოეთე ბოლო პასაჟებში უშუალოდ ბაირონზე ლაპარაკობს და ყურადღებას არ აქცევს, რომ მისი ნალაპარაკებიდან ზოგი რამე ევფორიონს სრულიად არ შეეფერის.

## მეოთხე მოქმედება

გვ. 264 *უფალმა ღმერთმა...* – მეფისტოფელის მთელი ეს მონოლოგი წარმოადგენს სატირას ვულკანიზმის გეოლოგიურ თეორიაზე. წინა მოქმედებაში დაწყებული დავა აქ კიდევ უფრო ცხადი სახით გრძელდება.

გვ. 265 *მოლოქი* – ფინიკიელთა სასტიკი ღმერთი, რომელსაც ბავშვებს სწირავდნენ მსხვერპლად. მილტონისა და კლოპშტოკის მიხედვით, იგი, ბრძოლის ჟინით ატანილი, კლდეებს აქეთ-იქით ისროდა.

გვ. 267 *დიდი სასახლე აიგე ერთი* – აღწერილია ვერსალის სასახლე და პარკი, რომელთა მიზაძვითაც ცდილობდნენ თავიანთი რეზიდენციების მოწყობას გერმანელი წვრილ-წვრილი მეფე-მთავრები.

გვ. 268 *სარდანაპალი* – ასირიის მეფე, რომლის სახელი ფუფუნებისა და განცხრომის სინონიმად არის მოხმობილი.

გვ. 268 *გმირი ქალისაგან გადაგდებია* – იგულისხმება ელენე და წინა მოქმედებაში მისი კავშირი ფაუსტთან.

გვ. 274 *პიტერ კეინსი* – კომიკური პერსონაჟი შექსპირის პიესიდან „ზაფხულის ღამის სიზმარი“.

გვ. 275 *იაფარყავი* – სახელი აღებულია ბიბლიიდან (ესაია, 8, 3), ისევე, როგორც გერმანულ დედანში.

გვ. 280 *ნურჩელ ნეკრომანტს* – ნეკრომანტი ეწოდებოდა სულთა გამომხმობელ მისნებს. ნურჩელი ნეკრომანტი, როგორც ჩანს, ჯადოქრობისათვის რომში კოცონზე დაწვეს. „ფაუსტის“ მიხედვით იგი კაიზერმა შეინყალა.

გვ. 286 *ცად არწივს ვხედავ, გაავებული გრიფი მისდევს* – იგულისხმება, რომ არწივი კაიზერის ჰერალდიკური ფრინველია, გრიფი – პრეტენდენტისა.

გვ. 293 *ცრუ კაიზერის კარავი* – მთელი ეს სცენა წარმოადგენს სატირას იმ პოლიტიკურ ურთიერთობებზე, დანაწევრებულ გერმანიაში რომ ჩამოყალიბდა კაიზერსა და ფეოდალურ სამთავროებს შორის, – ისინი თითქმის დამოუკიდებელნი არიან. კაიზერი ისე ელაპარაკება თავით მთავრებს, თითქოს ისინი მის კარზე მართლა ასრულებდნენ ჩამოთვლილ მოვალეობებს, ვთქვათ, მეღვინეთუხუცესისა თუ მზარეულთუხუცესისა, რაც მხოლოდ ფიქციაა. მთავარეპისკოპოსის წინაშე კი სრულ უსუსურობას იჩენს და ყველა მის მოთხოვნას ემორჩილება.

გვ. 299 *ვენეციური შუშა* – შუა საუკუნეთა რწმენის მიხედვით, ვენეციური მინისაგან გაკეთებული სასმისი იცავდა ზედმეტი თრობისაგან და უმალ აღმოაჩენდა, თუ ღვინოში საწამლავი იყო ჩაყრილი.

### მეხუთე მოქმედება

გვ. 307 *გაშლილი ადგილი* – ამ სცენაში გამოყვანილი მოხუცი წყვილი, მიუხედავად მათი სახელებისა, არ წარმოადგენენ ანტიკურ ფიგურებს. როგორც თვითონ გოეთე აცხადებს ეკერმანთან საუბარში, მან თავის გმირებს ღვთისნიერი და ერთმანეთის მოყვარული მითოლოგიური ცოლ-ქმრის სახელები ხასიათების უკეთ წარმოსაჩენად დაარქვა.

გვ. 312 *ლინკეესი* – ამ პერსონაჟსაც შორსმხედველი ანტიკური მესაჭის სახელი თვალთა სიბასრის გამო ჰქვია.

გვ. 317 *ნაბოთის ვენახი* – ისრაელის მეფე, აქაბი, ამაოდ ლამობდა ხელში ჩაეგდო ნაბოთის ვენახი და დედოფალმა, ქმრისაგან მალულად, ნაბოთი მზაკვრულად მოაკვლევინა (მეფეთა III, 21).

გვ. 330 *სანამ ვიყავ ახალგაზრდა* – თავისუფალი თარგმანი მესაფლავის სიმღერისა შექსპირის „ჰამლეტიდან“.

გვ. 343 *ლომნი მოარულნი* – მშვიდობიანი ლომები განდევილების ცხოვრებათა არცთუ იშვიათი ატრიბუტები არიან.

გვ. 343 *Pater ecstaticus* – (ლათ.) მამა მგზნებარე.

გვ. 344 *Pater profundus* – (ლათ.) მამა ჩაღრმავებული.

გვ. 345 *Pater seraphicus* – (ლათ.) მამა სერაფიმული.

გვ. 346 *ნეტარი ჩვილები* – ტექსტში სერაფიმული განდევილი მათ შუალამით შობილებს უწოდებს. ხალხური რწმენით, ზუსტად შუალამით დაბადებულები მალევე იხოცებიან და ნეტარებას ეწევიან.

გვ. 346 *ვინც წინ ისწრაფის, ქმედითად ცხოვრობს, ის შეგვიძლია ვიხსნათ* – გოეთეს თქმით, ამ სიტყვებშია ფაუსტის ხსნის გასაღები.

გვ. 348 *Doctor Marianus* – (ლათ.) დოქტორი მარიანუსი ანუ წმ. მარიამით შთაგონებული მისტიკური მოძღვარი.

გვ. 349 *Mater gloriosa* – (ლათ.) დიდებით მოსილი დედა.

გვ. 350 *Magna peccatrix* – (ლათ.) დიდი ცოდვილი. ქალი, რომელმაც იესოს ფეხი დაბანა, ნელსაცხებელი აპკურა და თმით გაუმშრალა.

გვ. 350 *Mulier Samaritana* – (ლათ.) სამარიტელი ქალი, იესოს რომ ჭასთან წყალი ასვა.

გვ. 350 *Maria Aegyptiaca* – (ლათ.) მარიამ მეგვიპტელი, დიდი წმინდანი, ორმოცდარვა წელი უდაბნოში გაატარა. მინიშნებულია მისი ცხოვრების ორი ეპიზოდი. მრავალი წლის განმავლობაში იგი როსკიპი იყო და, ერთხელ, როცა ტაძარში შევიდა, რალაც ძალამ კარს გარეთ გამოიყვანა. სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ გაემგზავრა ეგვიპტის უდაბნოში, სადაც სიკვდილის წინ ქვიშაზე ბერებს ანდერძი დაუწერა, ქრისტიანული წესით დაესაფლავებინათ და მისი სულის მოსახსენიებელი ლოცვები ეთქვათ.

გვ. 351 *Una poenitentium* – (ლათ.) მომწანიე ქალი.

გვ. 352 *Chorus mysticus* – (ლათ.) მისტიკური ქორო.

გვ. 353 *მარადქალური* – ყველაფერი, რაც კი ამა ქვეყნად ხდება, ერთი სუბსტანციის (სავარაუდოდ, ჭეშმარიტების) ემანაციაა. როცა დაფარული გაცხადდება და მიწიერი გარსისაგან განვიძარცვებით, ცად მხოლოდ „სიყვარული აგვამალლებს“, რომელიც თავისი არსით მარადქალურია, წმინდად ქალური სანყისია, არა მამაკაცური.

## „ფაუსტის“ მეორე ნაწილში მოხსენიებული ბერძნულ-რომაული მითოლოგიური სახელები

„ფაუსტის“ მეორე ნაწილში მრავლად ვხვდებით ბერძნულ-რომაული მითოლოგიის ფიგურებსა თუ რეალიებს. ისინი სხვადასხვა მონაკვეთებში აჩაერებულ გვხვდებიან. ამიტომ უმჯობესად ვცანით მათი ანბანურ რიგზე დალაგება და ცალკე გამოცანა. ავსრეთვე ზედმეტად მივიჩნიეთ ყოველ ფიგურზე იმის აღნიშვნა, რომ ესა და ეს მითოლოგიური პასაჟი ძველი ჩსშენის მიხედვით იყო ასე და ანა ჩვენი დღევანდელი შეხედულებით.

**აიაქსი (აიანტი)** – აქილევის შემდეგ ყველაზე ძლიერი გმირი ბერძენთა შორის ტროის ომში.

**ალკიდე** – იგივე ჰერაკლე, მეფე ალკეოსის შთამომავალი.

**ანტოისი** – პოსეიდონისა და გეას (მინის) ვაჟი, ბუმბერაზი, რომელიც მინის ყოველ შეხებაზე დედისაგან ახალ ძალას იძენდა. ჰერაკლემ იგი ჰაერში აიტაცა და ისე მოაშთო.

**აპოლონი** – ბერძნული პანთეონის ერთ-ერთი უპირველესი ღმერთი, სინათლის, სილამაზის, ხელოვნების ღვთაება, მუზათა წინამძღოლი, უბადლო მოისარი. ითავსებს აგრეთვე მზის ღმერთის, ჰელიოსის, ფუნქციებს.

**არამასპები** – ჰეროდოტეს „ისტორიის“ მესამე წიგნში აღწერილია ჩრდილოეთში გრიფების მეზობლად მცხოვრები ჯუჯა ხალხი, რომელიც მათ ოქროს სტაცებდა.

**არქასი** – მთის ნიმფა.

**ატლასი** – ტიტანი, რომელსაც მხრებით ცის კამარა უპყრია.

**აქილეუსი** – ელინთა უპირველესი გმირი ტროის ომში. ფტიის მეფის, პელევსისა და ნიმფა თეტისის ვაჟი, მირმიდონელთა მბრძანებელი. არსებობს გადმოცემა, რომ სიკვდილის შემდეგ, ჰადესიდან დაბრუნებული, შეეუღლა ელენეს.

**ბაქნუსი (ბახუსი)** – ვენახისა და ლენის, აგრეთვე თრობისა და ღვინის რომაული ღმერთი. შეესატყვისება ბერძნულ დიონისეს.

**ბონეადები** – ჩრდილოეთის ქარის, ბორეასის ორი ფრთოსანი ვაჟი.

**გალატეა** – უმშვენიერესი ნიმფა, ნერეუსისა და დორისის ასული, განასახიერებს მშვიდი და მოკიაფე ზღვის სილამაზეს.

**გიგანტური ჭიანჭველები** – პეროდოტე „ისტორიის“ მესამე ნიგნ-ში მოგვითხრობს, რომ ინდოეთში არსებობენ მელიისოდენა ჭიანჭველები, რომლებიც მიწიდან ოქროს მარცვლებს აგროვებენ.

**გრაიები** – იგივე ფორკიადები.

**გრაციები** – განასახიერებენ მომხიბვლელობას, ქველმოქმედებასა და მადლიერებას. ბერძნულად ქარიტები.

**გრიფები** – ფანტასტიკური ფრთოსანი არსებები.

**დაქტილები** – ყველაზე პატარა, ცეროდენა ტომი. ენევიან მჭედლობას. დამორჩილებული ჰყავთ პიგმეებს და ყოველი საშუალებით ცდილობენ მათგან განთავისუფლებას.

**დეიფობოსი** – პარისის ძმა, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ შეეუღლა ელენეს. მენელაოსმა მოკლა და ასო-ასო აკუნა.

**დიანა** – ნადირთა და ნადირობის ქალღმერთი. განასახიერებდა აგრეთვე მთვარეს.

**დიოსკურები** – ტყუპისცალი ძმები, ზევსისა და ლედას შვილები, მშვენიერი ელენეს ძმები. ისინი, თანავარსკვლავედად ქცეულნი, გზას უჩვენებდნენ მზღვაურებს.

**დროიდები** – ნერეუსისა და დორისის ასულები. ისინი, ნერეიდებისაგან განსხვავებით, ორსახოვნები არ არიან და მათზე მაღალი რიგის არსებებად მიიჩნევიან.

**დრიასი** – ხის ნიმფა.

**ელენე** – უფრო სწორი ნაკითხვაა პელენე. ქალური მშვენიერების განსახიერება ანტიკურ მითოლოგიაში, ზევსისა და ლედას ასული. ჯერ თითქმის ბავშვი მოიტაცა თეზეესმა, მაგრამ მისმა ძმებმა დიოსკურებმა უკანვე გამოიტაცეს. სპარტის მეფის, მენელაოსის მეუღლე. მოიტაცა პარისმა, რასაც მოჰყვა ტროის ომი. პარისის სიკვდილის შემდეგ მის ძმას, დეიფობოსს, შეეუღლა. ტროის დაცემის შემდეგ მენელაოსმა ისევ სპარტაში დააბრუნა. მისი სიკვდილის შემდეგ გარდაცვლილი აქილევსის აჩრდილს შეეუღლა. მის სახელს უკავშირდება კიდევ მრავალი მითოსი თუ თქმულება. შუა საუკუნეებში ჯერაც ცოცხალია და სახალხო წიგნისა თუ თოჯინური დადგმების მიხედვით, ფაუსტის საყვარელია.

ემპუსე – უსახური არსება, ვირისჩლიქებიანი და, გოეთეს მიხედვით, ვირისთავიანი ლამია.

ენდიმიონი – მშვენიერი ჭაბუკი ენდიმიონი მთვარის ქალღმერთ ლუნას (სხვა ვერსიით, დიანას, რომელიც მთვარესაც განასახიერებდა) შეუყვარდა, ლამლამობით მასთან ძირს ეშვებოდა და კოცნით ავსებდა.

ერეზოსი – პირველყოფილი წყვდიადის, ყიამეთის ღმერთი. ამდენად, იგი სიმბოლურად უძველეს „მამას“ წარმოსახავს, როგორც ღამე – „ღედას“.

ეროქთო – თესალიელი გრძნეული ქალი, პერსონაჟი ლუკანუსის პოემისა „ფერსალია“. მან პომპეუსს ფერსალიის ბრძოლის წინ დამარცხება და დაღუპვა უწინასწარმეტყველა.

ეროსი – სიყვარულის ღმერთი, მიწასა და მიწისქვეშეთთან ერთად ქაოსისაგან შობილი. გვიანმა ანტიკამ იგი გადაიაზრა, როგორც არესისა და აფროდიტეს ვაჟი, ფრთოსანი ყრმა მშვილდით ხელში, სასიყვარულო ისართა მტყორცნელი. შეესატყვისება რომაულ ამურს.

ესკულაპი (ესკულაპუსი) – აპოლონის ძე, მკურნალთა მფარველი ღვთაება. იგი აღზარდა და მკურნალობის ხელოვნებაში გაწვრთნა კენტავრმა ქირონმა. მომდინარეობს ბერძნული ასკლეპიოსისაგან.

ეიქტორია – გამარჯვების რომაული ქალღმერთი.

ეფზესი – ათენელი გმირი, კუნძულ კრეტაზე მინოტავრის დამარცხებელი. მოიტაცა ელენე, ჯერ თითქმის ბავშვი.

ეფისი – ზღვის ნიმფა, დაქორწინდა ფტიის მეფეზე, პელევსზე. ამ ქორწინებისაგან იშვა სწორუპოვარი აქილეესი.

ზევსი – ძვ. ბერძნული პანთეონის უზენაესი ღმერთი, მეხთა მპყრობელი, ოლიმპოს მბრძანებელი. უკავშირდება აურაცხელი მითი და გადმოცემა.

იბიკოსის წყროუბი – იბიკოსი, სახელგანთქმული პოეტი, ყაჩაღებმა მოკლეს და სწორედ ამ დროს გადაიფრინეს მათ თავზე წეროებმა. ქალაქში დღესასწაულზე მისულმა მკვლევლებმა წეროების დანახვაზე წამოიძახეს – იბიკოსის წეროები! – რითაც თავი თვითონვე გასცეს. „ფაუსტის“ ტექსტში იბიკოსი არაფერ შუაშია, ნახსენებია შილერის პატივისცემად, რომლის ბალადა „იბიკოსის წეროები“ გერმანიაში დიდად პოპულარულია.

იკაროსი – მამასთან, დედალოსთან, ერთად აფრინდა სანთლისაგან ბუმბულშენებებული ხელნაკეთი ფრთებით. მაგრამ თამაშ-თამაშით მზეს მეტისმეტად მიუახლოვდა, სანთელი გადნა და თვითონ ზღვაში ჩავარდა.

ილიონი – იგივე ტროა.

იუბიტერი – ლათინთა უზენაესი ღმერთი. ეთანადება ბერძენთა ზევსს.

კასტორი და პოლუქსი – იგივე დიოსკურები.

კითეფა – აფროდიტეს (ვენუსის) ერთ-ერთი ეპითეტი. მომდინარეობს კუნძულ კითერეს სახელწოდებიდან: ამ კუნძულზე მისი საკულტო ცენტრი იყო განთავსებული.

კიპრისი (კიპრიდა) – აფროდიტე-ვენუსის ეპითეტი: კიპრელი ანუ კუნძულ კიპრთან (კვიპროსთან) შობილი.

კიჩკე – გრძნეული ქალი, „ოდისეას“ პერსონაჟი. მან ოდისეესის თანამგზავრები ღორებად აქცია.

კლიტემნესტრა – ელენეს და, არგოსის დედოფალი.

ლაბიები – სისხლისმწოველი არსებები, ვამპირები. მსხვერპლის მისატყუებლად შეეძლოთ ლამაზ ქალთა სახის მიღება.

ლედა – სპარტის მეფის, ტინდარეოსის, მეუღლე, რომელიც გედად გარდასახული ზევსისაგან დაფეხმძიმდა. სწორედ ამ კავშირისაგან გაჩნდნენ ელენე და დიოსკურები.

ლეფე – ქვესკნელის მდინარე. მისი წყლის შესმის შემდეგ კაცს სრულად ავინყდება საკუთარი წარსული.

ლემურები – მიცვალებულთა სულები, ავად მოარული მოჩვენებები.

ლერნული ჰიდრა – პელოპონესში ლერნის ჭაობების ბინადარი შვიდთავიანი ურჩხული. მისი მოკვლა ჰერაკლეს თორმეტ გამირობათა სათვალავში შედის.

ლინკეესი – არგონავტების მესაჭე, გამოირჩეოდა არა მხოლოდ ბასრი მზერით, არამედ მისწერი, მჭვრეტელი თვალთ. შემდგომ პასაჟებში გამოყვანილ ლინკეესს ეს სახელი მხოლოდ ბასრი მზერის გამო ჰქვია და ანტიკურ მითოლოგიასთან კავშირი არა აქვს.

ლუნა – მთვარის ქალღმერთი.

მაია – ნიმფა, ჰერმესის დედა.

მანტო – მისანი ქალი, ბრმა ტირესიას ასული და ესკულაპუსის მონაფე. გოეთესთან ესკულაპუსის ასულად არის გამოყვანილი.

მანსი – ომის რომაული ღმერთი, ბერძნული არესი.

მენელაოსი – სპარტის მეფე, ელენეს მეუღლე.

მენტორი – ოდისეესის მეგობარი, რომლის სახითაც ათენა დაჰყვებოდა ოდისეესის ვაჟს, ტელემაქეს.

მიჩმიდონელები – ჭიანჭველებისაგან წარმოშობილი თესალიური ტომი (myrmex. ბერძ: μύρμηξ – ჭიანჭველა), ტექსტში ნახმარია ჭიანჭველების ეპითეტად.

ნეკრესი – ზღვის მოხუცი, მეორე რიგის ღვთაება. განასახიერებს ზღვათა სიმშვიდეს.

მისანი – მომავლის განმჭვრეტი.

ნეკრეიდები – ზღვის ნიმფები, ნერეუსის ასულები, წელს ზემოთ ქალები და წელსქვემოთ თევზები.

ნესტორი – პილოსის მეფე და ტროის ომის უხუცესი მონაწილე.

ნიმფები – წყლებისა და ნაკადულების, მთებისა და მცენარეების კეთილი სულები, სილამაზით გამორჩეული ქალური არსებები.

ოპსი და რეა – ლათინური ოპსი ეთანადება ძვ. ბერძნულ რეას. უძველესი ქალღმერთი, სატურნუსის (კრონოსის) მეუღლე, იუპიტერის (ზევსის) დედა.

ოჩიონი – დიდი მშვილდოსანი და მონადირე. იგი, თანავარსკვლავედად ქცეული, ცაზე პლეადებს მისდევს მოსანადირებლად.

ოჩუკუსი – ქვესკნელის ღმერთი, იგივე ჰადესი.

ოჩუგესი – სწორუპოვარი მგოსანი და მომღერალი. ჰადესში ჩავიდა გარდაცვლილი მეუღლის, ეერიდიკეს, გამოსახსნელად, მაგრამ პირობა დაერღვა და მარტოს მოუხდა ამობრუნება.

პალასი (პალადა) – სიბრძნის ქალღმერთის, ათენას, ეპითეტი.

პანი – ტყეებისა და იალალების თხისფეხებიანი და რქებიანი ღვთაება, ჯოგებისა და, საერთოდ, ყოველგვარ პირუტყვთა მფარველი. განასახიერებს ზაფხულის შუადღის სიმშვიდეს, ამ დროს იგი, როგორც წესი, იძინებს, მაგრამ უეცრად გაისმის მისი შემზარავი ძახილი, რომელიც ყველას შიშის ზარსა სცემს. სწორედ აქედან მოდის სიტყვა პანიკა. „დიდი“ პანის ფუნქციები რამდენადმე განსხვავებულია, ის არის ჩასახვისა და ნაყოფიერების ღმერთი, მთელი ცოცხალი ბუნების მომცველი.

პანისი – ტროელი მეფისწული. მოიტაცა ელენე, რის გამოც მოხდა ტროის ომი და თვითონაც ამ ომში დაიღუპა.

პაჩკები – ბედისწერის ქალღმერთები, სამი და. ძვ. ბერძნულად მოირები. კლოთო ბედის ძაფს ართავდა, ლეხესისი ძახვავდა, ატროპოსი მაკრატლით წრიდა. „ფაუსტის“ ამ პასაჟში მათ, გამონაკლისის სახით, ფუნქციები გაცვალეს.

პატიოკლე – აქილევსის უპირველესი მეგობარი და თანამებრძოლი ტროის ომში. გვიანი ანტიკური თქმულება მას ელენესთან აწყვილებს.

პეკსეფონე – ზევსისა და დემეტრას ასული, ქვესკნელის ღმერთის, ჰადესის, მეუღლე.

პეგმეები – ნილოსის სათავეებთან მცხოვრები ქონდრისკაცების ტომი.

- ჰომეროსის მიხედვით, თავს ესხმოდნენ სამხრეთში *გადამრჩენის* დროს ყანჩები და წეროები.
- პლუტონი – მიწისქვეშეთის მბრძანებელი, აურაცხელი მიწისქვეშა *განთავის* მფლობელი. უმეტესწილად გათანაბრებულია ჰადესთან.
- პლუტუსი – სიმდიდრის ღვთაება.
- პოსეიდონი – ზღვათა ღმერთი, ზევსის ძმა, ერთ-ერთი უპირველესი ღმერთება ბერძნულ პანთეონში.
- პროცეუსი – ზღვის ღვთაებრივი მოხუცი. ყოველ წამს შეუძლია ნებოსპიერი სახის მიღება. დაჯილდოებულია უჩვეულო მისწერი ძალით.
- საციფროსი – რქიანი და თხისფეხა ღვთაება, ბინადრობს ტყეებსა და უელ-მინდვრებში, მხიარული, მრუში და უხეში. უმეტესად *მოთაზრება* ზამთარს მსლებლად.
- სეისმოსი – ტიტანი, მიწისძვრის ღმერთი.
- სილენუსი – ბაკხუსის აღმზრდელი და თანამგზავრი, მემთვრალე და უარზე ამხედრებული.
- სიპილა – ნათელმხილველ და ბრძენმეტყველ ქალთა საერთო ხანელი. ანტიკურ ხანაში გავრცელებული იყო ეგრეთწოდებული სიპილური ნიგნები.
- სიწინაზები – ქალისსახიანი დიდი ფრინველები, რომლებიც მათი სიძულ-რით მონუსხულ ზღვაოსნებს თავიანთ კუნძულზე მიიტყუებდნენ და ხოცავდნენ.
- სკილა – ძაღლისთავებიანი ზღვის ურჩხული.
- სტიმფალიდები – არკადიაში სტიმფალოსის ტბის ბინადარი ფრინველები, რომელთაც რკინის ნისკარტები, რკინისავე ფრთები და ჭანგები ჰქონდათ და შეეძლოთ, ბუმბული ისრებად ეხმარათ. ისინი ამოყლიტა ჰერაკლემ, რაც მის თორმეტ გამირობათა სათვალავში შედის.
- სციქსი – ჰადესის მთავარი მდინარე.
- სფინქსი – ფანტასტიკური არსებები ქალის თავითა და ლომის ტანით.
- ტელქინები – კუნძულ როდოსის პირველმოსახლენი, ჯადოქრობაში განსწავლულნი.
- ტინდარეუსი – სპარტის მეფე და ლედას ქმარი.
- ტიტესიასი – ბრმა ნათელმხილველი ოიდიპოსის მითოსიდან, ზევსმა მას ცხარე თაობის სიცოცხლე უწყალობა.
- ტიტანები – პირველი თაობის ღმერთები. კრონოსზე, საკუთარ მამაზე, გამარჯვებულმა ზევსმა ისინი ქვესკნელში ჩარეკა.
- ტიტონები – პოსეიდონისა და ამფიტრიონის ვაჟები, ზღვის ორსახოვანი

არსებები დელფინის ტანებით. დაატარებენ ზღვათა ღმერთების ეტლებს და ნიჟარის საყვირებს სცემენ.

**ტროა** – მცირე აზიაში ტროადის სამეფოს სატახტო ქალაქი. ელენეს გამო გამართულ ომში, რომელიც ათ წელიწადს გრძელდებოდა, დამარცხდა და ნანგრევებად იქცა. იგივე ილიონი.

**ულისე** – ოდისეუსის, „ოდისეას“ მთავარი გმირის, ლათინური სახელი.

**უნდინები** – ნყლის ფერიები.

**ფაენი** – ტყეებისა და ველების ძე. რომაული ღვთაება, ყურებნვეტიანი და თხისკუდიანი.

**ფებუსი** – იგივე აპოლონი.

**ფილიზა** – ზღვის ნიმფა, ქირონის დედა.

**ფოჩკიადები** – ზღვის მხცოვანი ღვთაების, ფორკიასის ასულები, მოხუცად-შობილი და საზარელი შესახედავი სამი და. სამთავეს აქვს ერთი საერთო თვალი და ერთიც საერთო კბილი, რომელთაც რიგრიგობით ხმარობენ. ცხოვრობენ მიწის საზღვრებს მიღმა, მარადიულ სიბნელებში. ინოდებიან აგრეთვე გრაიებად.

**ფსილეები და პისესები** – მითოსური უძველესი ტომები აფრიკასა და იტალიაში. გველთა შემლოცველები. ვენუსსა და გალატიას მათგან საზღვაო გზებს უწმენდნენ.

**ფურიაები** – შურისძიების ქალღმერთები, ბერძნულად ერინიები. გოეთე მას ამ ადგილას ფუნქციებს თავისით უწვინილებს.

**ქელონე** – ნიმფა ქელონე ზევსმა დაცინვისთვის დასაჯა და უზარმაზარ კუდ აქცია. მისი სახელი ბერძნულად კუს ნიშნავს. კუს გაპრიალებული ბაკანი ძველ დროში სარკედ გამოიყენებოდა. ნერეიდებს კაბირები გიგანტური კუს ბაკნებით მოჰყავთ, რომელთა ზედაპირზეც მათი გამოსახულება ირეკლება.

**ქირონი** – ბრძენი კენტავრი, მრავალი სახელგანთქმული გმირის აღმზრდელი, ცნობილი იყო აგრეთვე როგორც სწორუპოვარი მკურნალი.

**ცერერა** – ნაყოფიერებისა და მინათმოქმედების ღვთაება. უმეტესწილად გამოისახებოდა ხორბლის ძნით ხელში. ბერძნულად კერესი.

**ჰადესი** – ქვესკნელისა და სულეთის ღმერთი.

**ჰამპიები** – ვეებერთელა, სვავთა მსგავსი ქალისსახიანი ფრინველები. ისინი მსხვერპლს აცხრებიან და ალესილი ჭანგებით ფლეთენ.

**ჰეკატე** – ლამეულ მოჩვენებათა და გრძნეულ ქალთა ქალღმერთი. ზოგჯერ მოიხსენიებოდა მთვარის ქალღმერთადაც.

**ჰელიოსი** – მზის ღმერთი. იგი მზეს ეტლით მიასრბევს, რომელშიც ცეცხლისმფრქვეველი რაშები აბია.

- პერაკლე – ზევსის ძე. ზღაპრული ჯან-ღონის პატრონი. ჩაიდინა თორმეტი სნორუპოვარი გმრობა. სიკვდილის შემდეგ შერაცხეს ღმერთად.
- პერკულესი – პერაკლეს ლათინური სახელი.
- პერმესი – ზევსისა და ნიმფა მაიას ვაჟი, ღმერთების შიკრიკი, ქურდების, ვაჭრებისა და გზაჯვარედინების ღმერთი.
- პეტესტო – მჭედლობისა და ვულკანური ცეცხლის ღმერთი.
- პორეპი – დროის ქალღმერთები. ისინი აპოლონის (მზის) ეტლს დილის ალაცაფს გრუხუნით უღებენ.



დიდი გერმანელი მწერლისა და მოაზროვნის,  
იოჰან ვოლფგანგ გოეთეს (1749-1832)

მრავალმხრივი შემოქმედება, დიდი ხანია,  
მსოფლიო ლიტერატურის კუთვნილებაა. მისი  
რევოლუციური შეხედულებებით, სიღრმითა  
და სარკაზმით გამორჩეული ნაწარმოებების

უმეტესობაში სამყაროს ერთიანობისა და „მშვენიერი ადამიანის“  
იდეაა ასახული. მწერალი მხოლოდ ბუნებას როდი აიგივებს  
ღმერთთან – თვით ადამიანს ადაზნებებს ბუნება-ღმერთზე და  
მას მსოფლიო გონთან მებრძოლ არსებად წარმოადგენს. ეს იდეა  
გასდევს მისი შემოქმედების მწვერვალს, ეპოქალურ ნაწარმოებს –  
„ფაუსტს“, რომელსაც გოეთე თითქმის მთელი სიცოცხლის  
განმავლობაში წერდა.

„ფაუსტის“ პირველი ნაწილი 1810 წელს გამოქვეყნდა, მეორე –  
1832 წელს, მწერლის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე. თუ  
ტრაგედიის პირველი ნაწილი ხალასი პოეზიითა და ემოციურობით  
გამორჩეული შედეგია და ძირითადად მიჰყვება დოქტორ  
ფაუსტის ლეგენდას, მეორე ნაწილში გოეთე მეტ იმპროვიზაციას  
მიმართავს. ეს ნაწილი, თომას მანის სიტყვებით, „სანახევროდ  
ფეერიას წარმოადგენს და სანახევროდ – მსოფლიო ეპოსს,  
რომელშიც გერმანული ენის ყველა წყარო ჩქეფს“.

დავით წერედიანმა ამჯერადაც ოსტატურად აამღერა ეს წყაროები  
ქართულად და შეგვიძლია „ფაუსტის“ მეორე, ნაკლებ დრამატულ  
და უფრო პოეტურ ნაწილს მშობლიურ ენაზეც გავეცნოთ.

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

ISBN 978-9941-23-863-5



9 789941 238635

